

ითხაბ იმედაშვილი

ივანე  
როსტომაშვილი

1852-1924

იოსებ ივანეაშვილი

ივანე  
როსტომეაშვილი

1852-1924

თბილისი  
2025

UDC (၅၅၂) 371.12 (479.22)  
ဂ-471

ISBN 978-9941-9980-1-0

# სარჩევი

წინათქმა .....	5
I. „შეხეთ, ჩვენი ფუტკარიც დაუჭერიათ!“ .....	7
II. ვინაობა .....	9
III. ნამსახურება და დამსახურება .....	14
IV. ნაშთი ძველი დიდებისა .....	25
V. სახელმძღვანელოები .....	30
VI. სწავლა-აღზრდა .....	35
VII. პრაქტიკული პედაგოგიკა .....	51
VIII. პედაგოგობა და ადამიანობა .....	61
IX. მწიგნობრობა .....	66
X. ეროვნული მთლიანობისათვის .....	92
XI. ლექსიკოგრაფია .....	96
XII. ჟურნალისტობა .....	104
XIII. საყმანვილო მწერლობა .....	113
XIV. საზოგადოებრივი საქმიანობა .....	116
XV. სიმართლის ღალადებისათვის გასამართლება .....	122
XVI. სოციალიზმი .....	136
XVII. მრწამსი, მოძღვრება, შრომა .....	138
XVIII. ჯანსაღობა .....	140
XIX. კომუნალური მეურნეობა .....	144
XX. გრამატიკა .....	147
XXI. დრამატურგია .....	148
XXII. პრაქტიკული საქმიანობა .....	150
XXIII. ოჯახი .....	152
XXIV. სინათლე, მეტი სინათლე! .....	155
ივ. როსტომაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა .....	158
ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის ნაშრომ-ნაწერები .....	158
ივანე როსტომაშვილის შესახებ .....	171
ჩემი ბიოგრაფია .....	174
ივანე როსტომაშვილის არქივის კატალოგი, დაცული საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში .....	187
საძიებლები	
პირთა საძიებელი .....	193
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი .....	202



## წინათქმა

ივანე როსტომაშვილის შესახებ ბავშვობიდან მესმოდა. ჩვენები ბოჭორიძის ქუჩაზე (ახლანდ. ჩერქეზიშვილის ქუჩა) ცხოვრობდნენ. იქ არის ჩემი დიდი პაპის – გიორგი თაქთაქიშვილის მიერ 1900 წელს აშენებული სახლი, რომელიც ემიჯნება, ასევე, ჩვენი წინაპრის, არდაშელ თაქთაქიშვილის, გიორგის პაპის, ისტორიულ სახლს, სადაც 1879 წელს პირველი ქართული გიმნაზია გაიხსნა. სწორედ ამ უბანში ცხოვრობდნენ ივანე როსტომაშვილის შთამომავლები, და მამა ყოველთვის მიმითითებდა იმ სახლზე, სადაც როსტომაშვილების სამყარო იყო.

მასხოვს, კეთილშობილი ქალბატონი ზიზი როსტომაშვილი, რომელმაც პატარა ბიჭს თავისი პაპის, ივანე როსტომაშვილის კერძო ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნები მაჩუქა. ის ამაცობდა ივანე როსტომაშვილით და დარდობდა, რომ მასზე იოსებ იმედაშვილის მიერ დაწერილი მონოგრაფია 1991 წლის დეკემბერ-იანვრის პუტჩის მოვლენების დროს განათლების მუზეუმის დანვასთან ერთად განადგურდაო. ეს იყო და ეს, თუმცა არ ვიცოდი, ცხოვრება რა დავალებას მიმზადებდა...

წლების შემდეგ გავიცანი ბატონი კობა იმედაშვილი, რომელსაც სახლში რომ ვესტუმრე, მთხოვა – სარდაფში ჩავყოლოდი, იქ უნიკალური ბიბლიოთეკა და არქივი დამხვდა – იოსებ იმედაშვილის და მისი ვაჟის, გაიოზისა – ოლონდ ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. ბატონი კობა წუხდა, ყველაზე ძვირფასი დოკუმენტები არ გაბნეულიყო და მეც შევუდექი საქმეს. სწორედ იქ აღმოვაჩინე ივანე როსტომაშვილზე დაწერილი იოსების მონოგრაფიის შავი ცალი (მეორე ცალი განათლების მუზეუმთან ერთად განადგურდა), ფურცელ-ფურცელ სხვადასხვა ადგილას მიმოფანტული, რომელიც შევაგროვე სრულად. ბატონმა კობამ ჩემს მიერ გადახედილი არქივი ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა, ეს მონოგრაფია კი, ჩემი თხოვნით, მე დამითმო. იოსებ იმედაშვილის ეს ნაშრომი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ის წარმოადგენს საქართველოში პირველ და დღემდე ერთადერთ ნაშრომს, სადაც ავტორი, თავად გამომცემელი და ბიბლიოფილი, წიგნს უძღვნის თავის მეგობარ-გამომცემელს და დიდ ბიბლიოფილს – ივანე როსტომაშვილს.

ზოგადად, გამომცემლები ყველაფერს ბეჭდავენ, მოგონებებსაც, მაგრამ ცალკე გამომცემას არ უძღვნიან თავის კოლეგებს, რადგან ისინი კონკურე-

ნტები არიან. თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, თუ რა შუღლი და ბოღმა იყო გამომცემელთა შორის. სტამბა, ასოთამწყობნი, დამდნარი ტყვია, მესტამბეთა ავადმყოფური სახე და ერთმანეთის კონკურენცია ხშირად აავადებდა ამ საქმის ხალხს. აქ კი, ამ წიგნში ერთი გამომცემელი დიდი პატივისცემითა და რუდუნებით აღწერს მეორე გამომცემლის ცხოვრებას. ვინ თუ არა იოსებ იმედაშვილი, აღწერდა უდიდესი ქართველი განმანათლებლის – ივანე როსტომაშვილის მოღვაწეობას, რაც ეს ღირსეულად შეასრულა კიდევ. აღსანიშნავია ერთი ფაქტი: რამდენადაც იაკობ გოგებაშვილის სახელი აღიარებულია ქართული პედაგოგიკის სახელმძღვანელოთა ისტორიაში, იმდენად ჩრდილშია ივანე როსტომაშვილი, რომელსაც დიდი ამაგი აქვს ქართული საანბანო წიგნის ისტორიაში.

მინდა მქონდეს იმედი, რომ იოსებ იმედაშვილის მიერ დაწერილი და ჩვენს მიერ თქვენდამი წარდგენილი ეს გამოცემა ივანე როსტომაშვილის პიროვნებას კიდევ ერთხელ გააცოცხლებს. სამწუხაროდ, ის დღემდე ღირსეულად არ არის დაფასებული.

**ლევან თაქთაქიშვილი**



## „შეხეთ, ჩვენი ფუტკარის დაუჭერიათ!“



*ქორმა წინილა ნაილო,  
იძახდა ნიავ-ნიავსა, –  
წინილის თეთრი ბუმბული  
ველად გაჰქონდა ნიავსა...*

### **ვაჟა-ფშაველა**

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, ილია ჭავჭავაძე თავის ბინის ფანჯარასთან მიმდგარიყო, ცალი ხელი სერთუკის უბეში ჩაეყო, მეორე – შარვლის ჯიბეში და ქუჩაზე გაიცქირებოდა.

ქუჩის ნაპირას ჩამწკრივებული, ფოთოლთაგან სრულიად გაძარცვული ხეები გრიგალს ეზნიქებოდნენ.

ჩრდილოეთის ქარიშხალი ნამქერს აბორიალებდა!

სდუმდა პოეტი!..

მაგრამ ამ დუმილში უფრო დიდი მეტყველება უჩანდა: ბუნების სიმძაფრეს თავისს სამშობლოში თვითმპყრობელ მეფისაგან გაბატონებულ უსამართლობის პარპაშს უპირისპირდებდა, – ბუნების სტიქიონი მშობელი ერის განადგურებას უშლიდა თვალწინ!..

უცებ ფანჯრიდან ქუჩაზე ორი ჟანდარმი შენიშნა, მათ შორის მიმავალი, უპალტოვო, გაცრეცილი ტანისამოსიანი დაბალი ტანის ახალგაზრდა კაცი, გარეგნულად ნამდვილი სოფლის მასწავლებლის სახეობა. ილიამ წარბები მოჭმუნა, დააკვირდა, იცნო და თანამოსაუბრეთ – დიმიტრი ყიფიანს და იაკობ გოგებაშვილს გაელაპარაკა:

– შეხეთ, ჩვენი ფუტკარიც დაუჭერიათ!

თანამოსაუბრეთ ყური ცქვიტეს.

მცირე ხანს ქუჩაზე მიმავალთ თვალი გაადევნა ილიამ, მერე დიმიტრი ყიფიანს მიუბრუნდა:

– გეთაყვა, დიმიტრი ივანიჩი, ნახეთ ვინმე, ემანდ ციხეში არ ჩააღპონ ან არ გადაასახლონ.

– ვინ არის?

– ჩვენი თანამშრომელი ვანო, ინგილოთა სკოლის მასწავლებელი ივანე როსტომაშვილი... წარმოიდგინეთ, რუსულ სკოლაში სწავლის გამო ქართული ენა სულ მთლად დავინწყებული ჰქონდა, მაგრამ თავისით სამშობლო-ენა ისე შეისწავლა, რომ საქმიან წერილებს გზავნის ხოლმე რედაქციაში.

– ჩვენი ვანო, არითმეტიკული გამოცანათა შემდგენი! – წარმოსთქვა იაკობმა.

– მამ სასარგებლო კაცი ყოფილა, – გაიფიქრა დ. ყიფიანმა. მართლაც, ვინც საჭირო იყო, დიმიტრიმ ნახა და ივანე როსტომაშვილი დიდ სასჯელს გადაარჩინა.

ვანო სასჯელს გადარჩა, მაგრამ უპალტოვოდ ზაქათალიდან თბილისს ჩამოყვანილი ისე გაციებულიყო, რომ ერთი ყურის სმენა სამუდამოდ დაეკარგა.

რისთვის ჩამოიყვანეს ვანო ასე უპალტოვოდ შეპყრობილი?

[18]74-80-იან წლებში ივანე როსტომაშვილი საინგილოში სოფ. კახსა და ზაქათალაში იყო მასწავლებლად. აქ მასწავლებლობის გარდა, საზოგადოებრივ-რევოლუციურ მუშაობასაც აწარმოებდა, რის გამოც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვანო დიდად შეიყვარეს, ხოლო მეფის მომხრეებმა თვალიდან ამოიღეს. ამ ხანებში მეფის მთავრობამ ინგილოელთაგან 38 კაცი გადაასახლა. ამით ხალხს თავზარი დაეცა, გლეხოზა უნუგეშობამ მოიცვა.

– ნუ გეშინიანთ, – ანუგეშა ვანომ. – 38-ის მაგიერ ათი და ასი 38 შვილი გაგეზრდებათ...

– ეგ სიტყვის მასალაა, შენ თითონ ერთიც არა გყავს!

– ერთი კი არა, ცოლიც არ გაგაჩნია და...

ვანომ სიტყვა აღარ დაასრულებინა და ვითომ ხუმრობით, მიუგო:

– ცოლს შევირთავ, 38 შვილს გავაჩენ და ყველას რევოლუციანერად გავზრდი თქვენი მწუხარების შურის საძიებლად.

ეს გარემოება არ გამოეპარა ჟანდარმერიას თავის აგენტ-ჯაშუშების წყალობით; რა თქმა უნდა, ამას ვანოს სხვა წინანდელი რევოლუციური „ცოდვებიც“ დაემატა, აგრეთვე მღვდელმა დაასმინა, „სკოლაში საღმრთოსჯულს არ ასწავლის, ღმერთისა და მეფის წინააღმდეგიაო“. ერთ ზამთრის ღამეს გაჩხრიკეს, შეიპყრეს და, თითქმის შიშველ-ტიტველი, თბილისს ჩამოიყვანეს.

ვინ იყო ვანო, იგივე ივანე როსტომაშვილი?



## შინაოგა



*ისწავლე, სწავლის მძებნელო,  
მიჰყე დავითის მცნებასა,  
ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი,  
თუ ეძებ გემოვნებასა!..*

**დავით გურამიშვილი**

ივანე (ვანო) პავლეს ძე როსტომაშვილი, შთამომავლობით გლეხი, დაიბადა კახეთში – ს. კურდღელაურს (თელავის ერთი უბანი იყო), 1852 წ. დეკემბრის 25-ს. დედა მისი იყო ზაქარია კურდღელაშვილის ასული ბარბარე, შინაურულად აღზრდილი, მამა – პავლე, იოსებ მღვდლის შვილი, მებაღე-მევენახე, ლეკებთან ომებში ნარჩინების გამო ობერ-ოფიცრის ხარისხით დაჯილდოებული. ვანომ სწავლა დაიწყო თელავის სამაზრო სკოლაში, 10-11 წლისა თუქურმიშას (დედოფლის წყარო, ან წითელი წყარო, ყოფ. სიღნაღის მაზრა) სამხედრო სკოლაში მიაბარეს.

ამ სკოლაში, თვით ივანე როსტომაშვილის გადმოცემით, ცუდი პედაგოგიური პირობები იყო: უფროსები – ჯარისკაცები, უფროსი მოწაფეები ზნეობით გახრწნილები. აქ ხელზე ცემას უფრო უნერგავდნენ, ვიდრე მეცნიერებას. ყოველი საშუალება იყო მიღებული, რომ ბავშვებს სამშობლო ენა დაევიწყებინათ. ეს სკოლა როცა ნორმალურ სკოლად გადააკეთეს და კახეთის – საცხენისის ციხეში გადაიტანეს, ივანე როსტომაშვილიც თან გადაჰყვა. ამ სკოლაში სწავლობდა ნ წელიწადი. კურსის დასრულების შემდეგ, მონაშობა მიიღო, გადიკიდა აბგა ორიოდე წიგნით და რადგან თელავისაკენ მიმავალმა პოვოსკებმა გაუხსნრეს, ფეხით გაუდგა გზას.

16-17 წლის ჭაბუკი იყო ამ დროს. იმდენი იჩქარა, რომ პოვოსკებს წამოენია მდ. კაბალთან. მეპოვოსკეებმა სალამო ხანზე ოჟიოს ბოლოზე ალაზანში გაიყვანეს და მიუთითეს: – „ააა, აგერა თელავი, ახლა შენც შეგიძლიან ახვიდეო“.

აქ ვალაპარაკოთ თვით ივანე როსტომაშვილი.

... „მადლობით გამოვეთხოვე კეთილ „მეპოვოსკეებს“ და შევუდექე თელავის გზას. ბევრს ვცდილობდი, ჩქარა ავსულიყავ თელავში, მაგრამ მაინც დამიღამდა, გზა სრულიად უცნობი იყო ჩემთვის და ამიტომ ბევრი წვალეობა და შიში გამოვიარე. აქაც გზის აქეთ-იქით მინდვრებში ცხვრების ფარები მიხვდებოდა და ის მაშინებდა, რომ ძაღლებმა ან ახლო-მახლო მოხეტიალე მგლებმა არ დამგლიჯონ მეთქი.

ავედი თელავს. მივედი ქვრივ ძაღუებთან, გაეხარდათ, მიმიღეს, მომი-აღერსეს, მკითხეს ხან რა, ხან რა, მაგრამ მე მათი ლაპარაკისა არაფერი მესმოდა, მე უცხო ვიყავი იმ ჟამად მათთვის და ისინი ჩემთვის, რუსულის მოლაპარაკეც მაშინ იშვიათათ იყო და, აი, აქ ვიგრძენ პირველად, თუ რა მიყო გადაგვარებულმა სკოლამ და შემძულდა იგი...

„ძაღუეებმა კარგად მიმიღეს-მეთქი, მაგრამ ეს მათი კარგად მიღება მხოლოდ ერთი წამით იყო. გათენდა თუ არა, პელაგია-ძაღუამ გამომიძახა მეორე ოთახიდან:

– „შვილო ვანო, ჩაირბინე ბატონის წყაროზე და ერთი კოკა წყალი ამო-იტანე“.

ამოვიტანე.

– „შვილო ვანო, დღეს ვენახში მივდივარ (ამათაც კურდღელაურში ჰქონდათ ვენახი ჩვენი ვენახის გვერდით), წადი მჭედლიანთა და კეკელას დამი-ძახე: ვენახში მივდივარ, ჩემთან გადმოდი თქო“.

დავუძახე. მოვიდა. აგვკიდა კალათები და ვენახს ჩავედით. მიამა ჩვენი ბალ-ვენახისა და სახლის ნახვა, მაგრამ სახლში ჩემი და-ძმები უკვე ველარა ვნახე: აქ მხოლოდ მონახევრე იმერელი მეზაღეები იდგნენ და და-ძმა კი, თურმე, სიძეს გადაესახლებინა შალაურში თავის სახლში...

შევუდექით საქმეს. ძაღუამ დაგვაკრეფინა ბლომად ლობიო, კიტრი, ხა-ხვი, სხვა და სხვა მწვანილი, რომელიც შრომის მოყვარე იმერლებს ბლომად მოეყვანათ. აგვკიდა ყველა ეს მე და კეკელას და გამოვწიეთ თელავისაკენ.

– „შვილო ვანო, წაიღე კოჭობი (პატარა ქილა), აი, ეს ფული, მიდი მელი-ქასთან და უთხარი: ორი შაურის ერბო გამომიგზავნე-თქო“.

წაველ და მოვიტანე.

– „შვილო ვანო, კოკა აიღე და წყალი ამოიტანე, აღარ გვიდგა“...

და ესე გაუთავებლად ვტრიალებდი დღე-ღამ, სანამ ძაღუები და მათთან ერთად მეც ძილს მივეცემოდი.

ბიძა მყვანდა, მეტ სახელად ჩიკრო, ომებში განწრთნილი. მითხრა: ვანო, რუსული არ დაივიწყო, წიგნშიაც ჩაიხედე ხოლმე ზოგჯერაო, ქალაქს წაგი-ყვან, სხვა დიდ სკოლაში უნდა მიგაბაროო. მაგრამ ძაღუებთან მცხოვრებს

განა შემეძლოლა წიგნში ჩახედვა, რომლებიც მე სკოლიდან აბგით ვატარე თან, როგორც წმინდა ნაწილები... ჭკუაში დამიჯდა ბიძის სიტყვები, ხუმრობაში, მართლა არ დამავინყდეს, რაც მისწავლია-მეთქი და მეც, მოვიცლიდი ხოლმე თუ არა მაშინვე წიგნს მივატანდი და ვკითხულობდი, თუმცა სულ ზეპირად ვიცოდი, რადგანაც სკოლაში რომ სწავლა თავიდანვე უცხო (რუსულ) ენაზე სწარმოებდა და არაფერი მესმოდა, მეც და სხვებიც, ვისაც კი ცოტაოდენი ხალისი და სურვილი ჰქონდა რამე ესწავლათ, ყველაფერს იმდენს ხანს ვსწავლობდით, სანამ სიტყვა-სიტყვით არ გავიზეპირებდით გაკვეთილს. ძაღუები თითქოს ჯობრზე განაგრძობდნენ ჩემს წვალებას და გაუთავებელ დასაქმებას, თითქოს რვა-ცხრა წლის უსწავლელი ბიჭი ვყოფილიყავ. ერთხელ ველარ ავითანე მათი ასეთი მოქცევა ჩემდამი და სალამო-ჟამს სახლში აღარ მივედი“.

ღამე დაბრუნებულმა ჩიკრომ, ვანო რომ ვერ ნახა სახლში, იკითხა:

– სად არის ბიჭი?

– ღმერთმა რომ არ იცის იმის თავი და ტანი. არ იცი იმისი ამბავი! სადღაც წაეთრეოდა სატანტალოდ.

– ვაი შენ ჩემო თავო, აქ აღბად რაღაც ამბავია, თორემ ის იგეთი არ არის, – მოიგო ჩიკრომ და გასწია ვანოს საძებნად.

ბევრი ძებნის შემდეგ მიაგნო ვენახის ოთახში, რომლის თახჩაში ძველის ძველი ხატები ელაგა. ამ ხატების წინ შენიშნა მძინარე ვანო, რომელსაც წიგნი გულში ჩაეკრა. დააცქერდა ჩიკრო და სინანულით წარმოსთქვა:

– ცოდო არ არის შენ პატრონი არა გყავდეს! შენ ან დიდი კაცი გამოხვალ ან, არაფერიო. წამოიყვანა და იმავე წლის შემოდგომაზე თბილისს წაიყვანა იუნკერთა სასწავლებელში შესაყვანად, რადგან ვანო, როგორც სამხედრო სკოლაში ნასწავლი და იმავე სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული სამხედრო შინაარსის წიგნების კითხვით განვითარებული, ნიადაგ რუსის გამოჩენილ სარდალ სუვოროვზე, ყარსის ციხის აღებასა, ბაირალთა ფრიალსა და სხვა ასეთებზე ფიქრობდა.

ენტუზიასტ ახალგაზრდას ოცნებას, საბედნიეროდ, იუნკერთა სასწავლებლის უფროსის უარმა შეაკვეცა ფრთები:

– დაგვიანებულია, მეორე წელიწადს მოდი და მიგიღებო.

ნაწყენმა თუ გაჯავრებულმა, რომ სამხედრო სასწავლებლის უფროსმა მაშინვე არ მიიღო სკოლაში, ბიძამ მეორე წელს იმასთან აღარ გაგზავნა, არამედ იმ ხანებში ახლად გახსნილ საოსტატო სემინარიაში, სადაც 1870 წ. ვანო მიიღეს კიდევ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებებს“ სტიჰენდიანტად.

ეს სასწავლებელი თბილისში დაარსდა 1867 წ. „თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სემინარია“-ს სახელით, შემდეგი 1868 წლი-

დან 1872 წლამდე ეწოდებოდა „ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა“ (ქართველები უწოდებდნენ „უჩიტელის სკოლა“-ო), ხოლო 1873 წლიდან – „ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი“, იგივე „საოსტატო ინსტიტუტი“, რომლის დებულება შესდგა 1872 წ. და მთელს რუსეთის იმპერიაში ერთადერთი პირველი იყო. სათავეში ედგა ყოველმხრივ განათლებული პედაგოგი, ცნობილი ზახაროვი.

აქ ასწავლიდნენ: საღმთო წერილს, რუსულ ენასა და ლიტერატურას, პედაგოგიკას, არითმეტიკას, გეომეტრიას, ალგებრას, ბუნების მეცნიერებას, გეოგრაფიას, ისტორიას, სლავურ ენას, გალობას, წერას, ტანვარჯიშობას (გიმნასტიკას), ფიზიკას და პრაქტიკულად ავარჯიშებდნენ.\*

სწავლის საქმე აქ კარგად იყო დაყენებული და მომავალ მასწავლებელთ საპედაგოგო მოღვაწეობისათვის საფუძვლიანად ამზადებდნენ.

ივანე როსტომაშვილი მოგვითხრობს:

„გავათავე მეც საოსტატო სემინარია, რომელიც იმ ხანებში გადააკეთეს საოსტატო ინსტიტუტათ... ოცნებანი სუვოროვზე და ყარსზე ძირფესვიანად დამეკარგა, მათი ადგილი დაიკავა აქ ხალხის სამსახურმა და მათი შვილების სწავლამ. დაიკარგა უკვალოდ სამშობლო ენის მივიწყებაც. თუმცა სასწავლებელში სრულიად არ გვასწავლიდნენ ქართულს მე თითონ ვიწყე მისი შესწავლა, არ ვიცი ამხანაგების გავლენის თუ პედაგოგისა, რომ პირველ დაწყებით სწავლა მოსწავლეთა უთუოდ მათ დედაენაზე უნდა ხდებოდა... სასწავლებლის უფროსი (ნ. ზახაროვი) სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას, ქართულს წიგნს არ აჭაჭანებდა სასწავლებელში (ერთხელ გამჩხრიკეს კიდეც და ჩამომართვეს გოგებაშვილის „ბუნების კარი“, რომელსაც თავისუფალ დროს ვკითხულობდი ხოლმე). მაგრამ ტყუილად ხომ არ უთქვამთ ქართველებს, რომ „აკრძალული ხილი გემრიელიაო“. მე უარესად ვეტრფოდი ქართულს, ხოლო გავათავე სწავლა თუ არა და გამოვედი მასწავლებლად, მაშინვე გამოვიწერე ქართული გაზეთი „დროება“, კვირეული „ივერია“ და მისი მარადი კითხვით იმდენად შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ თითონაც დავიწყე პატარ პატარა ამბების აღწერა და გაზეთებში გზავნა დასაბეჭდათ.

„ინსტიტუტი გავათავე 1874 წელს და როგორც სტიპენდიანტი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა, დამნიშნეს მასწავლებლად ინგილოებში, სოფელ კახში. მე დიდის სიამოვნებით მივიღე ეს ცნობა და გავეშურე იქითკენ. თუ სადამდის მონადინებული ვიყავ მესწავლებინა

---

\* ცნობები სსრ პედაგოგიურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში კ. არველაძის მიერ წარმოდგენილ მასალებიდან.

ხალხის შვილებისათვის სჩანს იქიდამ, რომ ინსტიტუტის გათავებისას, მე შეველი ფოტოგრაფიაში, შევიყვანე თან ერთი სანყალი ფეხ-შიშველა და დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით ბიჭი, დავიყენე გვერდით და გადაშლილი წიგნით ხელში გადავალებინე ფოტოგრაფს სურათი. სურათი ჩინებული გამოვიდა.\*

როცა ეს სურათი სახლში მოიტანა, შინაურებმა გაცემით ჰკითხეს:

– ეს რაღა საქციელია... რას ნიშნავს ამ გლეხის დაღლარასთან სურათის გადაღება?!

– ეს იმას ნიშნავს, რომ მე ამისთანებს უნდა ვასწავლო, მათი ქომაგიც ვიყო.

სურათში ვანო თეთრი ჩერქესკითაა ლამაზად ვაჟკაცურად, – გლეხის ბიჭი დაგლეჯილ ტამისამოსით მობუზული.

მასწავლებლად გამწესდა თუ არა ვანო, მთელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით შეუდგა პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი, N7137.



## ნამსახურება და დამსახურება



*რასაც დასთეს, იმას მოიმკი!..*

**ხალხური**

თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტში კურსის დამთავრებისათნავე (1874 წ. ატესტატი N204), 1874 წ. მაისის 1-დან ვანო დაინიშნა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების“ კახის სასოფლო სკოლის მასწავლებლად (საინგილოში).

კახის სკოლას ქონდა, – როგორც თვით ივ. როსტომაშვილი მოგვითხრობს თავის ავტო-ბიოგრაფიაში, – გალავნით შემოვლებული დიდი საბაღე ადგილი. ვანომ დაუყონებლივ გამოიწერა ხეხილი და დარგო. ხეხილმა იხარა, იქაურობა გაამშვენიერა და დიდი ლაზათი დასდო. ვანომ ეს არ იკმარა, მცხოვრებლებს სთხოვა – შეგირდების ხელით თითო ოროლა ძირიანი ვაზი გამომიგზავნეთო. ვაზი გამოუგზავნეს. ვანომ დარგო და ხელად პატარა ვენახიც გააშენა. ამითი მცხოვრებთა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. რამდენიმე მოზრდილმა ახალგაზრდობამ მოისურვა ქართული წერა-კითხვის შესწავლა. ვანომ გახსნა მათთვის საღამოს უფასო კურსები.

ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი საზოგადო მოღვაწეობაში.

მთავრობა ცდილობდა მხოლოდ რუსულ ენაზე ყოფილიყო სწავლა. ივანე როსტომაშვილი სრულიად წინააღმდეგს აკეთებდა: რუსულთან ერთად ქართულსაც ასწავლიდა, რის გამოც დიდი ბრძოლა მოუხდა ინსპექტორებთან, რომლებიც წელიწადში ორ-სამჯერ ეწვეოდნენ ხოლმე სკოლას დასათვალიერებლად.

იმავე დროს საღმრთო სჯულის გაკვეთილების დაკარგვით ნაწყენმა ბლალოჩინმა მთავრობასთან დაასმინა: „ივანე როსტომაშვილი ღვთისა და მეფის უარმყოფელია“-ო. როგორც იქნა, ივანე როსტომაშვილმა თავი იმართლა, მაგრამ სამოსწავლო უწყებამ მაინც 1878 წ. სექტემბრიდან ზაქა-

თალის სამაზრო სასწავლებელში გადიყვანა მეცნიერებათა მასწავლებლად (Учитель наук).

ივანე როსტომაშვილის კახიდან გადაყვანის გამო გაზ. „დროება“-ს კორესპონდენტი (1878 წ. 10 მარტის N54) სწერდა:

„ამ უამად ფრიად ყურადღების ღირსი საქმე ჩვენში არის ფიქრი კახის სასოფლო შკოლის მომავალზედ...

კახის შკოლის მასწავლებელი უ. ივანე როსტომაშვილი დავალებული იყო ექვსი წელიწადი ემსახურნა ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისთვის, როგორც ყოველს ახალგაზრდას, რომლებსაც მიუღია და კიდევ იღებენ განათლებას სამასწავლებლო ინსტიტუტში. ეს დადებული ყავლი მას ამ მომავალს ივნისში უთავდება და ამის გამო იგი სტოვებს კახის შკოლას და აპირებს კიდევ სწავლის გაგრძელებას. თუ ეს განზრახვა მან სისრულეში მოიყვანა, რასაკვირველია, კახის შკოლას იმის მიტოვება ძალიან დაეტყობა. **თუ რა ღვანლი დასდო მან აქაური სახალხო განათლების საქმეს**, ამაზედ როდისმე მოვილაპარაკებთ“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ხოლო თვით ივ. როსტომაშვილმა იმავე გაზ. „დროება“-ს 1878 წ. N170-ში მოათავსა ფელეტონი, რომელშიაც გამოხატა თვისი ეროვნული, პედაგოგიური, საზოგადოებრივი და კულტურული მრწამსი. მომყავს ეს წერილი მცირედ შემოკლებით, რადგანაც მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და გვითვალისწინებს საინგილოს ვითარებას:

„გამომშვიდობება და ჩემი ანდერძი

მშვიდობით, ჩემო მშვენიერო და დაუვიწყარო კახო, კაკო! მართალია მოვშორდი შენს ტურფა სახეს, შენს ამწვანებულს, ტყით მოსილ გორაკებს და მთებს, შენს მძიმედ ამღვრეულს – მაგრამ ზოგჯერ სარკიან კურმუხს, შენს ნაკადულ წყაროებს, შენს გაუნვდენელ ყურძნის ბალებს და თუთების ბაღებს, შენს მშვენიერ, ამწვანებულ, წმინდათ დაგვილს და ლაზათიანათ ხეხილებით დარგულს ეზოებს, შენს ტურფა გზებს და ორლობებს, შენს მრავალ-შფოთიან წისქვილ-დინგებს, შენს წმინდა გიორგის სალოცავს, შენს ტურფა და უმანკო შკოლას, და დასასრულათ თვითონ შენც, კაკელო, კახეთელის ძმაო! გეუბნები მოვშორდი ყოველისფერს შენისას კაკო, მაგრამ გული ჩემი მაინც შენკენ არის! მრავალი საწუგემო და არა საწუგემო საქმენი ვნახე მე, ამ ოთხ წელში, შენში მრავალ-წამებულო.

ისე მრავალი, რომ ვერც კი დამიგროვებია ერთ ჯამში მოსაგონებლათ წარსულისას!.. გახსოვს, რა მდგომარეობაში, რა ყოფაში, რა ცხოვრებაში და რა ჩაგრულობაში ვიყავით ამ ერთის წლის წინათ?! გახსოვს, როგორ

გათამაშებდნენ ძლიერნი ამ წუთის სოფლისა? გახსოვს, როგორ ჩუმათ ვტიროდით შენთან ერთათ, ამ გვარ გულსაკლავ მდგომარეობაში ჩაცვივ-ნულები? და სხვ. გახსოვს, გახსოვს, მაგრამ აწინდელმა ნეტარებამ, მგონია, იგრე მალლა აიტაცა შენი არსება, რომ ყოველი შხამი წარსულისა, უნებ-ლიეთ დაივიწყე!!! დაივიწყე, ჩემო კარგო, რომ ცოტათი მაინც მოსულიე-რდე, მაგრამ გაფრთხილდი, რომ აწინდელმა შენმა ნეტარებამ, ჭკვა-გონება არ დაგიხსოს და აწინდელის უმჯობესობაც ვერ გაგაგებინოს. არა, კაკო, შენ ისე არ წახდები.\* შენი წარსული მრავალი მარადის მოწამენით სავსეა! მათის სისხლით მორწყულია ყოველი ნაბიჯი შენის ტურფა ქვეყნისა! შენ მრავალი ტანჯვა და აუნერელი ვაი-ვაგლახი გიჭამია, მაგრამ, მაინც, ისევე იმ ქედ-მოუდრეკელ ქართველათ დარჩომილხარ, რაც რამოდენიმე საუკუ-ნოების წინ ყოფილხარ!

... ახლა რა შევიძინოთ და რა დავიმკვიდროთ უთუოდ იკითხავთ და პა-სუხსაც მოელოდებით ჩემგან? ბევრი რამე, კაკელებო და აი განსაკუთრე-ბით:

დღეს თქვენს შკოლაში, ჩემს მაგიერად ჰხედავთ სხვას. მაგის დანიშნუ-ლებაც ის არის, რაც ჩემი იყო. მაგან დაულალავად და მოუსყიდავათ თქვენ შვილებზე (და სხვათა შორის თქვენზედაც) უნდა იზრუნოს, და თქვენ კი თავის მხრით ხელი მოუმართოთ მას, რაშიაც საჭირო იქნება ეს ხელის მო-მართვა. ჩვენ მამა-პაპებს უთქვამთ: „ჰსწავლა სინათლეა. უჰსწავლელობა სიბნელეაო!“ მგონია თქვენც მრავალ-ჯერ გაგიგონიათ? თქვენმა პატა-რებმა ხომ ყველამ იციან ეს ჩვენ წინაპართაგან ანდერძათ გამოთქმული ანდაზა. მაშ ისწრაფეთ კაკელებო ჰსწავლისადმი, ვიდრე დრო არის! ეხლა ხომ ცხადათა ჰხედავთ მის საჭიროებას? ნუ მოაკლებთ თქვენ შვილებს უბრალო ქართული წერა-კითხვის ცოდნას მაინც! ხომ კარგად გახსოვთ – ყასიმა, კოსტა, მურადა, ჰაჯი-ქაუზა, ალაშირინა, ალავერდა, რუშინა და სხვანი ბევრნი, რა დროს მოვიდოდნენ ჩემთან ქართულის წერა-კითხვის სასწავლებლათ! ესენი დღისით მუშაობაში თავს იკლავდნენ, რომ ცოლ-შ-ვილს საჭმელ-სასმელი მიჰსცენ და ღამით კი, როდესაც მუშაკი უნდა ისვენებდეს, შკოლაში მოგროვდებოდნენ! ეს რას ნიშნავს? არა თუ იმას, რომ თქვენც გაიგეთ მამა-პაპების ანდერძი და დაინახეთ მისი საჭიროება?! ვინძლო, ვინძლო კაკელებო, ერთი ერთმანეთს არ ჩამოჰრჩეთ. ძველადგანვე უთქვამთ: „ისა ჰჯობია მამულისათვის, რომ შვილი ჯობდეს მამასა“. თუ თქვენ მესტიას შაუძლიან ოთხს თავის შვილს შკოლაში აღზრდა მიჰსცეს და ქართული წერა-კითხვაც ისწავლოს, რატომ ყველა თქვენგანს ერთის

---

\* ნაბეჭდში „წაჩნდები“-ა (ი. ი.).

შვილის ჰსწავლება არ შაუძლიან?... მაინც არ შამიძლიან არ გაგიტყდეთ და პატივი არა გცეთ კაკელებო: ამ უკანასკნელ წელს თქვენ ძლიერ ისწრაფდით ჰსწავლისადმი. ხუთმეტამდის კაკელმა თვითონ, სხვის უბრძანებლათ, მოიყვანა შვილები და შკოლაში მოაბარა... მაშ ეგრე კაკო: ვიდრე დრო და კეთილი შემთხვევა გაქვს ისწავლე და განსაკუთრებით შენი შვილები შკოლაში გაგზავნე. ხომ გაგიგონიათ: „საუკუნე იცოცხლეო, საუკუნე ისწავლეო!“

დრო და ცხოვრება სავსეა ათას-გვარი საქმეებით. თუ რაც დღეს ისწავლე ხვალ არ გაიმეორე, იცოდე, რომ თუ შენ ცოდნას არა დააკლდება რა, უთუოთ არც არაფერი მოემატება. ...ყოველთვის და ყველგან ეცადენით უფრო და უფრო უმჯობესნი იყვნეთო. ესევე ვალი აძევს შენს ახალგაზრდებს... თქვენი ვალია კვირაში ერთხელ მაინც არ დაუშალოთ მათ, რათა ნავიდოდნენ და... სხვა ჭკვიანი, ნასწავლი კაცები ნახონ, და მათგან ახალი სიტყვა, ჰსწავლა გაიგონ, ანუ რომელიმე სასარგებლო წიგნი, გაზეთი წაიკითხონ და ყველაფრით ამით უფრო უმჯობესნი შეიქმნენ. ერთის სიტყვით, კაკელებო, საკვირაო შკოლას, რომელიც ამ ჟამად თქვენში არსებობს, საყვარელი შვილისავით, მოუარეთ, შაინახეთ!“... – აქ ურჩევს ბანკის დაარსებას, ექიმის მოწვევას, საამხანაგო სავაჭროს მოწყობას და მერე განაგრძობს:

... „ერთმა დიდმა და სახელ-განთქმულმა კაცმა ჰსთქვა ერთხელ: „წელიწადში ათჯერ გამაბანეთო, გამწმინდეთო და ათჯერ მეტს ვიცოცხლებო, ე. ი. ათის წლის მაგიერათ ასს წელიწადს ვიცოცხლებო!“ ეს სიტყვები – იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენივე ხორცი, ტანი წმინდათ და ფაქიზათ უნდა შავინახოთ, ყოველ წელს რამდენჯერმე უნდა გავიბანოთ ხოლმე საპნით და თბილი წყლით (ორ კვირაში ერთხელ მაინც), თუ გვინდა, რომ დიდხანს და ჯანმრთელათ ვიცხოვროთ. თქვენ მხოლოდ ზაფხულში ბანაობთ მდინარე წყლებში და კარგსაც შვრებით, მაგრამ მხოლოდ ზაფხულის ბანაობა რომ არ არის საკმარისი: საჭიროა ბანაობა შემოდგომაზედაც, გაზაფხულზედაც და ზამთარშიაც. მაგრამ საქმე იმაშია: სად უნდა ჰბანაობდეთ ამ დროებებში? აქ ერთათ ერთი, ყველაზე იაფი, კარგი, ყველასათვის შემრგო და უწყინარი საშუალება არის – აბანო. აბანოს გაკეთება თქვენ ძლიერ ძვირად არ დაგიჯდებათ, რადგანაც ქვა, ქვიშა, ხე-ტყე, წყალი და თითქმის ყველაფერი ცხვირ წინ გიძევთ.

... კიდევ ბევრი რამეების შექმნა გეჭივრება, როგორც მაგალითად: განათლების გავრცელება ქალთა შორის; ხეირიანი სამოსელის შაკერვის ცოდნა და შემოღება ამ უკანასკნელთა შორის; უკეთესი ჯოგის ცხენის, საქონლის და ცხვრის გამრავლება; გავრცელება ზოგიერთი ხელობებისა – დურგლობისა, კალატოზობისა, და სხვა მრავალი...

შენ, ჩემო კაკო, ბრწყინვალე მომავალი მოგელის. და ეს ბრწყინვალე მომავალი შენი მოზარდი შვილებია. ცოტათ თუ ბევრად და ეხლაც ჰსჩანს ამ ბრწყინვალე მომავლის ნიშნები. ხალხის კეთილი მომავალი მხოლოდ მაშინ შაიდლება ვსთქვათ – კეთილია, როდესაც მისი შვილების გაჰზდვის, ჰსწავლის შემდეგ თვისივე დედა-სამშობლოში ბრუნდებიან, რათა ემსახურონ იმათ, ვისგანაც შობილან, და ვისი ოფლით, ფულით და შრომით თვითონ არიან აღზდილნი. იგინი, ჩვენი პოეტისა არ იყოს:

ყველას გაუძლებენ, სასტიკ ტანჯვასაც,  
თვის საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,  
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს  
და თვით თვის ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს,  
ყველას გაუძლებენ, როგორც კლდე ქვისა!!.

მაგრამ თვისი ხალხის უბედურებას, უმეცრებას, ტანჯვას, ტირილს, მის სულის ვალშიდ ამოგდებას, შვილების უსწავლელათ დარჩომას, ქონების უხეიროდ და უმიზნოთ მოხმარებას და ერთი სიტყვით ყველა უბედურებას ხალხისას კი, ვერა ძალუძს, ძმანო, მათ ვერ რით გაძლება. იგინი, ვამბობ, ყველაფერს აიტანენ, მხოლოდ თვის საყვარელ მშობელს (ხალხს) ტანჯვის ცრემლი მოჰმინდონ... ამ ჟამად შენშიაც ჰსჩანს ამ ბრწყინვალე მომავლის ნიშნები... შენი იმედი, სრულდება შენ რამოდენიმე ახალგაზრდებზე. პირველი ადგილი მათ შორის, უჭირავს შენს „ინგილო ჯანაშვილს“, რომელიც ამ ჟამად წასულა მოსკოვში აკადემიაში ჰსწავლის გასაგრძელებლათ... და მანდედამ იმუშავებს, როგორც თვით შენთვის, აგრეთვე ჩვენი სამშობლო-სთვის!

მეორე ადგილი, უეჭველია, ეკუთვნის აბელა ბაირამაშვილს. მან ჯერ თვით შაგირდობის დროს, იმდენი გონიერება და გავლენა იქონია თვის დედ-მამაზე, რომ წინააღმდეგ მთლათ თქვენი ადათისა, მიაბარა თვისი და ერთ პატიოსან ქართველ ქალს, ასწავლა მას ქართული ხელ-საქმე, ქართული წერა-კითხვა და შემდეგ კიდევ თვისი მუდმივი წერილების მიწერ-მონერით, ისე გაულსნა მას ჭკუა-გონება და ინტერესი ჰსწავლისადმი, რომ ნეტავი ჩვენ საქართველო სოფლებშიაც მრავალი მოიძებნებოდეს მისთანა მხურვალე ლტოლვილებით ქალები.

ეს კიდევ ცოტაა. მამადხანას შვილმა პირველმა დაგიმტკიცათ, თუ რა ძალა არის ხალხისათვის კარგი შვილი. ჯერ ერთი ის, რომ მის განწესებამდე მასწავლებლათ, ჰსწავლა და აღზდვა ზაქათლის შკოლაში მიდიოდა საშინლათ უგულოთ, უსაფუძვლოთ, სრული უცოდინარობით, ზანტათ და სხვ. მის მოსვლის შემდეგ კი მოხსენებულ სასწავლებელში უეცრათ ფარდა აიხადა და სულ სხვა სურათი წარმოსდგა. საქმე იმაშია, რომ მან მოაწყო და მომართვა

თვისი პირველ-დანწყებითი კლასი, განაგდო იქიდგან ის ზარ-დასაცემი შიში, რომელიც ასე საშინლად ამახინჯებდა საზოგადოთ მთელი შკოლის შაგირ-დებს, შთაბერა ყმანვილებში ინტერესი ჰსნავლისადმი, არა ჩვეულებრივი მოძრაობა, წესი, ნდობა თავის თავისადმი, ბავშური ღზინი, სიცოცხლე მოძრაობაში და ერთი სიტყვით, დააყენა ეს კლასი იმ წერტილზე, რა წერტილზე-დაც დგომა არა თუ მას, არამედ მთელ შკოლასაც დიდი ხანია ასე ეჭირებოდა.

ამას გარდა... იგი ყოველთვის შენზე ზრუნავდა, შენზე ფიქრობდა... რათა ყველგან – ბეჭდით, თუ პირის-პირად დაეცვა მას შენი თავი ... ბოროტ-მოქმედობისაგან. რალა ბევრი გავაგრძელო, ხომ თვითონ შენც კარგათა ჰხედავ, ჩემო კარგო, რომ შენში ამ ჟამად დულს სიცოცხლე, როგორც აღელვებულ ოკეანეში და ამ სიცოცხლეში თვით შენ შვილებს უჭირავსთ არა უკანასკნელი ადგილი. ამას თუ დაუმატებ სხვა შენ შვილებსაც საკვირაო და ყოველ დღიური შკოლის მონაფეებს და იმათ, რომელნიც ამ ჟამად გორის საოსტატო სემინარიამია (ორი ყმანვილია) და ყირიმის საოგრონომიო შკოლაში (ხუთი ყმანვილია) ჰსნავლობენ, მაშინ, არა თუ შენ, კაკო, არამედ ყველა საქართველოს სოფლელნიც კი ცხადათ იხილვენ, შენი ბრწყინვალე მომავლის ნიშნებსა!..

მშვიდობით, ჩემო კაკო! ღმერთმა კიდევ მალირსოს ოდესმე შენი მშვენიერობის და ჩემი ნაანდერძევის სისრულეში მოყვანის ნახვა, ანუ გავება!..

შენ ვანო როსტომაშვილი

1878 წ.“.

(გაზ. „დროება“, 1878 წ. N170, 172).

ასე იწოდა სამშობლოს სიყვარულით ივანე როსტომაშვილი, როგორც ჭემმარიტი სახალხო მასწავლებელი, აღგზნებული მამულიშვილი, ხალხის კეთილდღეობისა და წარმატებისთვის მზრუნველი.

1878 წ. ზაქათალის სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლად ყოფნისას, სასოფლო მეურნეობით გატაცებული ივანე როსტომაშვილი იმავე წლის ზაფხულს იალტას გაემგზავრა. აქ ნიკიტას საბალოსნო სკოლაში შეისწავლა სამეურნეო საგნები, სწავლა ქების ფურცლით დაამთავრა და შემდეგში გონივრულ სასოფლო მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობდა.

იალტიდან დაბრუნების შემდეგ აირჩიეს სოფლის მასწავლებელთა ყრილობის ხელმძღვანელის თანაშემწედ. ამ ყრილობაზე პირველად აღიძრა სამშობლო ენაზე სწავლების საკითხი.

ზაქათალაში ამ დროს, სხვათა შორის, მასწავლებლად იყო ინგილო ბაირამაშვილი, კარგი მომზადებული, მაგრამ ამაცი, რომელიც თანამშრომლობდა მაშინდელ რუსულ გაზეთებში და თავისი წერილებით ადგილობრივ ბობოლებს თავზარსა სცემდა.

შეუტყვეს. მოვიდნენ და აღმოაჩინეს, რომ როსტომაშვილს, ბაირამაშვილსა და სიღნაღიდან კოტე ბალაშვილს კავშირი შეეკრათ, მწერლობის საშუალებით სდევნიან ყოველ ბოროტებას...

ამის შემდეგ ვანომ დროებითი შეპყრობაც იგემა.

საინგილოში ივ. როსტომაშვილმა ნ წელი იმსახურა, როცა გადმოიყვანეს, ინგილოელნი გამოეტირნენ: „ნუ ნახვალ, ჩვენთან დარჩიო“. ხოლო შემდეგ, როცა ინგილოთ ქართულის არ მცოდნე უცხო კაცი გაუგზავნეს მასწავლებლად, სცემეს და გამოაგდეს, ივანეს კი ინგილოელ მირზა-ო-ლლის (მირზაშვილის) მეთაურობით დელეგაცია გამოუგზავნეს: „დაგვიბრუნდიო“, მაგრამ ვანოს უკან დაბრუნება ვეღარ მოხერხდა.

1880 წ. 1-ლ ივლის<sup>6</sup> გადაყვანილი იქმნა თელავის (იხ. ჟურნ.) საქალაქო სასწავლებელში და ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში მასწავლებლად.

მისი თელავში გადაყვანა და თელავის საზოგადოების ამოძრავებაც, მისი ღრმა ძილიდან გამოყვანა ერთი იყო. ივანე როსტომაშვილმა აქ: 1) დაარსა პირველი წინგთსაცავ-სამკითხველო, რომელსაც შესწირა მანამდე ქართულ ენაზე არსებული, საკუთარი თანხით შექმნილი წიგნები. 2) 1882 წ. დაარსა „დეპო“ – საზოგადო სავაჭრო, რომელმაც დიდი აურზაური გამოიწვია ადგილობრივ უცხოტომის ვაჭრებში, რომლებიც ყოველი საშუალებით ცდილობდნენ მის დამხობას. მაგრამ ივანე როსტომაშვილი და მისი თანამოაზრენი ამოღებული ხმალივით სდარაჯობდნენ ახალ დაწყებულ საქმეს: ექვსასი მანეთით დაწყებული „დეპო“ საათობით იზრდებოდა, ივანე როსტომაშვილი ამ ხანებში ამტკიცებდა: „სიღარიბის წამალი კოოპერატივები და მომხმარებელი საზოგადოებანიაო“. 3) თელავსა და კურდღელაურში დაარსა სახალხო ბანკები. 4) შექმნა საკვირაო სკოლა და... მაგრამ სჯობია აქ ივ. როსტომაშვილის პირად – საოჯახო საკითხსაც შევეხოვ, რადგან მის მეუღლეს ელისაბედს, როგორც ივანეს პირად-საზოგადოებრივ ისე პედაგოგიურ საქმიანობაშიც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის.

\* \* \*

1882 წ. ივანე როსტომაშვილმა ცოლად შეირთო კახელი თავადიშვილის, წარსულში საქართველოს წინაშე დიდად დამსახურებული ოჯახის შთამომავლის დავით ჩოლოყაშვილის ასული ელისაბედი (ლიზა), რომელმაც დაამთავრა თელავის წმ. ნინოს 4-კლასიანი სასწავლებელი. ამავე ხანებში ივანე როსტომაშვილი უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო როგორც ნიჭიერი

---

\* ავტო-ბიოგრაფიაში შეცდომით „1878 წ.“ აქვს ნაჩვენები. ნამდვილად 1880 წ. 1-ლ ივლისს გადაიყვანეს თელავს. – იხ. განკარგულება 1880 წ. 1/7-ს, 32 38 (ი. ი.).

სათნო მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე და კარგი ფიზკულტურელი, – ფიზკულტურის ხელმძღვანელი.

ჯვარის წერამდე, ოთხი წლით ადრე, ვანო და ლიზა ერთმანეთს შეხვდნენ ჩიკროს მეგობრების ოჯახში. პირველი შეხვედრისთანავე ვანომ უთხრა:

– თქვენ უეჭველად მუდამ დროსტარებაში იქნებით: დღეობა, ქეიფი, ლხინი... როგორც თავადიშვილის წესია.

– არა, მე სრულიადაც არ დავდივარ მაგნაირ დროს ტარებასა და დღეობებში! – მიუგო ცოტა არ იყოს, ასეთი შეკითხვით ნაწყენმა ლიზამ.

– რატომა?! – გაკვირვებით შეაჩერდა ვანო.

– იმიტომა რომა, ამნაირ დროს ტარებასა და დღეობებში ადამიანი სისაძაგლის მეტს ვერაფერს ნახავს.

ვანოს თვალეები გაუბრწყინდა, ისე შეაჩერდა, თითქოს უნდა მთელის არსებით გულში ჩაიკრასო.

და მალე იქორწინეს კიდევ. ამ ქორწინებით ყალბზე დადგა იმ დროის ბრწყინვალე საზოგადოება: „განა შეიძლება თავადიშვილის ქალი კურდღელაურელ გლეხს, მშიერ მასწავლებელს მიეცეს!.. ვის ეკადრება.“ და ბოიკოტი გამოუცხადეს, ხოლო იმავე დროს ვანოს მოსვენებას არ აძლევდნენ: – ადექი და ახლა შენს ცოლს – თავადიშვილის ქალს – მოსამსახურეები და „პოვარ-ლაქიები“ დაახვიე თავზეო“, მაგრამ იყვნენ ისეთი შეგნებული თავადიშვილებიც, მათ შორის პოეტი რაფიელ ერისთავიც, რომლებიც ამათ ქორწინებას ძლიერ აფასებდნენ: „ჩვენი ახალი ცხოვრების მერცხლები არიან, აბა თუ როგორ ისახელონ თავიო.“

მართლაც, თავად დავით ჩოლოყაშვილის ასული ელისაბედი პირველი დღიდანვე ოჯახის მუყაითი დიასახლისი, ცნობილი ქართველი ქალი და მეუღლის თანამოღვაწე შეიქმნა. ხოლო თავისი ნოდებისადმი პროტესტის გამოცხადების ნიშნად, გლეხ ქალთათვის სკოლის გახსნა განიძრა და ნებართვისათვის თბილისს წავიდა.

თბილისში ვანო და ლიზა ქუჩაზე დიმიტრი ყიფიანს შეხვდნენ.

– გამარჯობა ბიჭო! – მიესალმა დიმიტრი ივ. როსტომაშვილს. – ეგ ვინ არის? – ჰკითხა და ლიზას გადახედა.

– ჩემი მეუღლე, დავით ჩოლოყაშვილის ასული.

– ჩოლოყაშვილის ასული და შენი მეუღლე?! – გაიკვირვა დიმიტრიმ და ვითომ კუშტად ლიზას მიუბრუნდა: – ამისთანა მშიერს გლეხს, შენ თავადიშვილის ასული როგორ გაჰყევი?

– განათლებული გლეხი – გლეხი აღარ არის!

– ბიჭოს! – გაოცებით შეხედა დიმიტრიმ. – როგორ იცხოვრებთ?

– შრომით, გარჯით... ოღონდ ადამიანმა იშრომოს და რა გაუჭირდება.

- ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ!.. მომეცი ხელი.
- ხელს მოგცემ, იმ პირობით კი ხელზე არ მაკოცოთ.
- რატომ?
- თქვენ გმართებთ ჩემგან ხელზე კოცნა დიმიტრიმ ხელზე ხელი მაგრა მოუჭირა. ლიზა შუბლზე ეამბორა.
- თელავიდან რაზე ჩამოსულხართ?
- ობოლი გლეს ქალთა სკოლის გახსნის ნება უნდა ვითხოვო.
- ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ! აკი ქართველი ქალი აღარ არისო? – თავადიშვილის ქალთაგან ასში მაინც ერთი ასეთი რომ გამოჩნდებოდეს, საქართველო არ დაილუპება.
- მე რა ვარ, – მოიგო ლიზამ ღიმილით. – ჭიადაც არა ვღირვარ. ჩემზე უკეთესები თუ არ არიან, მართლაც დალუპულა საქართველო... მაგრამ ჩემზე უკეთესი ბევრია.
- დიმიტრი გახალისდა, ხელი უფრო მაგრა ჩამოართო, გამარჯვება უსურვა და ვანოს გადახედა:
- შენ ხომ არ ასწავლე ასეთი ლაპარაკი?.. თქვენ არ დაილუპებით, თუ მართლა მუყაითად იშრომებთ...
- ლიზამ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკისთან არზა შეიტანა: „გლესთა ქალებისათვის სკოლის გახსნის ნება მომეცითო.“
- იანოვსკიმ გაკვირვებით შეხედა:
- თქვენ ხომ „ბრწყინვალეობა“ ბრძანდებით. საიდან მოგივიდათ აზრად რომ გლესის ქალებს სკოლა გაუხსნათ?
- ჩემი ქმარი სწავლა-განათლების დაუცხრომელი მუშაკია, მინდა და დავაჯილდოვო და სხვა რითი შემძღიან პატივი ვცე, თუ არა ამით. სწორედ იმათ მინდა ვასწავლო, რომლებიც ყურადღებას მოკლებულნი არიან.
- იანოვსკიმ მაგრად ჩამოართვა ხელი და მოიგო:
- აი, ეგ მესმის.
- ლიზას აქტიური მონაწილეობით გაიღო თელავში 1883 წ. ქალთა სკოლა. რადგან იმ ხანად უფასოდ სწავლება არ იყო მიღებული, იანოვსკის მოთხოვნით სწავლის ფასად დაანესეს თვეში ათი შაური (50 კ.), რომელსაც უმეტესად ისევე სკოლის მზრუნველნი იხდიდნენ, რადგან მოსწავლე გლეს-ქალთა დიდი უმეტესობა ღარიბ-ღატაკნი და ობოლნი იყვნენ: სწავლობდა 100 ქალი.
- მასწავლებლად იყვნენ თვით ლიზა – ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილისა, მისი მეუღლე ვანო და მათი მეგობრები: დრამატურგის, ნ. შიუკაშვილის მამა – მღვდ. ივანე შიუკაშვილი (რომელიც ისტორიასა და გეოგრაფიას უფრო ასწავლიდა, ვიდრე საღმრთო სჯულს, ხოლო მთავრობის

თვალის ასახვევად ზოგიერთ ლოცვას აგალობებდა დღეობებში), მუსიკოსი ზაქარია ჩხიკვაძე (რომელმაც პირველად აქ დაიწყო მასწავლებლობა) და ნანო ანდრონიკაშვილისა. ასწავლიდნენ: ქართულ წერა-კითხვას, ანგარიშს, ხელსაქმეს – ჭრა-კერვას, პურის ცხობას, კულინარობას – მზარეულობას, მემაქარლამეობას, მეოჯახეობას, მეურნეობის წარმოებას, ცეკვას, სიმღერას, ტანვარჯიშობას, შვილების აღმზდელ დედობას, სამშობლო ქვეყნის სიყვარულს უნერგავდნენ, გონებით ანვითარებდნენ, შთააგონებდნენ, რომ შვილები მშრომელ ხალხად აღეზარდნათ, ჩაგრულ-დევნილთა მოსარჩლენი ყოფილიყვნენ, ცხოვრებაში გზა საკუთარი შრომით გაეკვლიათ და სხ. ამეცადინებდნენ პრაქტიკულად.

აი, ამ სკოლისა და საერთოდ თელავის იმ დროის მონინავე პატარა წრის შესახებ რას ვკითხულობთ (1885 წლ. გაზ. „დროება“-ს N149-ში):

... „აქ არის პატარა წრე ახალ-თაობისაც, რომელიც გულ-მოდგინედ მიისწრაფის ყოველი კეთილისადმი... ამათი მეოხებით თელავი მესვეური ქალაქი შეიქნა ყველა მაზრის ქალაქებისთვის... (ამ წრის მთავარი ღერძი იყო ივ. პავ. როსტომაშვილი. ი. ი.).

... „მაგრამ რაც რომ მე ყველაზე ძალიან მომეწონა, რაც რომ თავის დღეში არ დამავიწყდება – ეს არის პატივცემული ივ. როსტომაშვილის საქალბო სკოლის პატარა მონაფეთა ქართული გალობა სობოროში. მშვენიერი დღეა, სობორო ხალხით გაჭედილია, ხოროზედ შემდგარან რვა-ცხრა პატარა ქალი, ზოგი ღურგლისა, ზოგი ხარაზისა, ზოგი სხვა ხელოსნისა, ზოგი სოფლელი მუშაკისა, შუაში უდგათ ახალგაზრდა გალობის მასწავლებელი კამერტონით და გალობენ სრული წირვის საგალობლებს!“...

ამ სკოლის გუნდი დღეობებში დაჰყავდათ, მათი ნამუშევრის ლატარია-ალეგრის მართავდენ, შემოსულ თანხას ისევ სკოლის უკეთესად დაყენების საქმეს ახმარებდნენ: მონაფეებს აცმევდნენ, აჭმევდნენ და სხვა.

სკოლამ დიდი ნაყოფი გამოიღო: აქ ნასწავლი გლეხის გოგონები შესანიშნავი ქალები აღმოჩნდნენ: მათი სიმღერის გუნდს, ცეკვას, ხელსაქმიანობას, საჭმელთ მომზადებას და სხ. დიდი ფასი დაედო.

ამ ღარიბ გლეხ ქალთა როსტომაშვილის სკოლაში ნასწავლი 100 ქალი ისე გათხოვდა, რომ მზითევი არავის დასჭივრებია, თუმცა იმ დროს უმზითვოდ ვერავინ თხოვდებოდა. ამ სკოლის ყველა ნამონაფარმა საუკეთესო ოჯახი შექმნა, თითოეულ მათგანს მეზობოლი ქმარ-შვილი ჰყავდა. ამ სკოლაში სომხის ქალებიც სწავლობდნენ, თუმცა იმ დროს სომეხ-ქართველთა ურთიერთობა გამწვავებული იყო და აქ სწავლებაც ქართულად სწარმოებდა. ამ სკოლამ მცხოვრებთა დიდი პატივი დაიმსახურა (გაზ. „ივერია“, 1895 წ. N68).

ამ სკოლის სული და გული იყო ივანე როსტომაშვილი, რომელსაც კახეთის მშრომელთა შორის დიდი სახელი და ნდობა ჰქონდა დამსახურებული როგორც საუკეთესო პედაგოგს. არა ერთხელ გამიგონია: ივ. როსტომაშვილთან ხშირად მოჰყავდათ მთლად გზა-აბნეული ახალგაზრდები და ივ. როსტომაშვილი თავისი იშვიათი პედაგოგიური მიდგომით სრულიად გამოსცვლიდა, გარდაქმნიდა ხოლმე და სწორე გზაზე აყენებდა.

გარდა ამისა, ივ. როსტომაშვილის ოჯახი თელავში იმ დროს საუკეთესო მოაზროვნე და მეტადრე დევნილ მოძმეთა თავშესაფარი იყო. ამ ოჯახმა დიდი მზრუნველობა და ჭირისუფლება გაუწია მუშა-მგოსან იოსებ დავითაშვილს (1850-1887). 1887 წ. მისსავე ოჯახში იყო შეფარებული ალექსანდრე ყაზბეგი (1848-1893). ივ. როსტომაშვილის თაოსნობით დაარსებულმა დამზოგველმა სავაჭრო „დეკომ“ დიდი გამომხაურება ჰპოვა კახეთში (გაზ. „დროება“, 1884 წ. N38) და სხ., რომელთ ნიადაგზე მეშურნე-მქირდავნიც გაუჩნდნენ და ივ. როსტომაშვილი აიძულეს თელავს გასცლოდა.

1889 წ. 1-ლ ივლისიდან დაინიშნა ჯავახეთის ახალქალაქის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად. 1894 წ. 31 ოქტომბრიდან თანახმად თვისის თხოვნისა, ჯანმრთელობის შერყევის გამო სამასწავლებლო უწყებაში სამსახურიდან განთავისუფლებულ იქმნა და 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბეჯითი სამსახურისათვის წლიური პენსია დაენიშნა 700 მან. სრული ჯამაგირის ოდენობით, რაც ამიერკავკასიაში სასწავლებელთა ინსპექტორობისათვის იყო განკუთვნილი. სახელმწიფო-პედაგოგიურ სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ სრულიად საზოგადოებრივ, სამწიგნობრო მუშაობაში ჩაება, იმავე დროს თავისუფალ დაქირავებით მსახურობდა: 1897 წ. 1-ლ სექტემბრიდან 1906 წ. 1-ლ სექტემბრამდე თბილისის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელში, 1900 წ. 17 სექტემბრიდან 1906 წლის 1-ლ სექტემბრამდე თბილისის კომერციულ სასწავლებელში ასწავლიდა ქართულ ენას.

# IV

## ნაშთი ძველი დიდებისა



ნაშთი ძველის დიდებისა  
არ გამქრალა ჯერაც კიდე!..

აკაკი

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ მთავრობის განკარგულებით ვანო ოჯახობით ჯავახეთს გადასახლდა.

საქართველოს ეს უძველესი კუთხე – ჯავახეთი და მისი გული – ქ. ახალქალაქი, – რუსულის წოდებით «Ахалкалакский уезд» ჟამთა ვითარების გამო მკვიდრ მცხოვრებთაგან – ქართველთაგან – შეთხელდა, სამაგიეროდ ლტოლვილებით გახშირდა. ამ კუთხის ლტოლვილებით დასახლებას ჯერ კიდევ რუსეთის მეფის მთავრობამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ მესამედში მისცა გზა ფართო, – ერზერუმიდან შემოასახლა 40000 ლტოლვილი სომეხი (იხ. სხ. შორის „კვალი“, 1900 წ. N22, გვ. 353-355; N25, გვ. 401-403 – ნერილი ივ. გომართელის) და შემოხიზნულთა მადა იქამდე გაიზარდა, რომ ამ კუთხის მიკუთვნება განიზრახეს იმ მხრისათვის, საიდანაც გამოქცეულიყვნენ.

ამ კუთხის უძველესი დროის ქართველურობას მხოლოდ ქვანილა ჰღაღადებენ. და ამ ქვათა ღაღადის ნაშლა ანუ შეცვლაც კი მოინადინეს. თუმცა შორეული წარსულის არსებულის ძეგლებითა და მიუდგომელ უცხო მეცნიერ-მკვლევართა გამოკვლევითაც კი, კოლა, ნაქალაქევი, სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა და სხვა ქართველთა მიწა-წყალია, ქართველთა მიერ ნაშენები ტაძარ-მონასტრებით დამტკიცებული.

ჯავახეთის ნახვით ივანე როსტომაშვილი დარწმუნდა, რომ საქართველოს ეს კუთხე მდიდარია ბევრი უცნობი ნაშთით, რომ მათ შესწავლას შეუძლიან ნათელი მოჰფინოს ჩვენი ისტორიის ზოგიერთ მხარეს და ამიტომ მოინადინა მათი აღწერა.

აქ სამსახურის დროს მოიარა მთელი ჯავახეთი, აღწერა და ყოველი ძეგლი, ძველის-ძველი ნაშთები გადილო. ამ წარწერა-ნაშთების სისწორით

გადაღებისათვის ხუცურის კითხვა ერთ დღე-ღამეში თვისით შეისწავლა, ფოტოგრაფიის ხელობა იცოდა და საკუთრივ გადილო, როგორც ძველებური წარწერანი, ასევე სურათები. ამ სამეცნიერო-არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერა ფოტო-სურათებით პირველად დაიბეჭდა რუსულად სათაურით: «Ахалкалакский уезд в археологическом отношении» კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წლიურ კრებულში («Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа». Изд. Управ. Кавказск. учебн. округа; вып. 25<sup>III</sup>, стр. 1-133. Тифлис, 1898 г. (საჯარო ბიბ.). ე. თაყაიშვილის შეფასებით (გვ. 134-136). იმავე წელს ქართულად გამოიცა მხოლოდ 200 ცალი (ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იმვიათობას წარმოადგენს). ნაწილ ნაწილ დაიბეჭდა აგრეთვე „მოგზაურ“-ში 1901 წ. NI-IX.

ამ წიგნში აღწერილი ჯავახეთი (ან ახალქალაქის რაიონი), რომლის უძველესი მკვიდრნი ქართველები იყვნენ და ნაწილობრივ დღესაც არიან, ჯავახელთა სიტყვით „ოთხმოცჯერ ნახდენილა, ოთხმოცდაათჯერ აღშენებულა“.

ივ. როსტომაშვილის ამ შრომის შესახებ «Сборник материалов»-ის წინასიტყვაობაში ლ. ლაპატინსკი ამბობს (1898 წ. 30 ნომბერს). ... „განყოფილება იწყება ი. პ. როსტომოვის (როსტომაშვილის) წერილით „ახალქალაქის მაზრა არქეოლოგიურის მხრივ“. მოხსენებული წარწერები, ეკლესიათა და ციხეთა ნანგრევების სურათები მოწმობენ თბილისის გუბერნიის ერთ-ერთი მაზრის ისტორიულის წარსულზე, რომელმაც ჟამთა სვლის წყალობით თვისი ეროვნული ელფერი შეიცვალა: ძველი ჯავახეთის მკვიდრნი, ქართველები, შესცვალეს გადმოსახლებულმა სომხებმა, ხოლო იმ ქართველებმა, რომლებიც ჩამოსახლებულთა შორის კიდევ შერჩნენ, უმეტეს ნაწილად უკვე დაკარგეს თვისი ეროვნული ნიშნები, თურქეთის ბატონობის გავლენით შეიცვალეს წინაპართა სარწმუნოება და თითქმის, თურქეთა ენა შეითვისეს. ამ კუთხის არქეოლოგიურად შესწავლისათვის ამ წერილის მნიშვნელობა შეფასებულია ე. ს. თაყაიშვილის შენიშვნაში (იხ. «Сборник материалов...», 1898 წ. წიგნი 25, გვ. I).

ჩვენი ცნობილი მკვლევარი ე. თაყაიშვილი იმავე წიგნში ივ. როსტომაშვილის ამ არქეოლოგიური შრომის შესახებ თავის «Заметка»-ში ამბობს (მომყავს შემოკლებით):

„ი. პ. როსტომოვის წერილი „ახალქალაქის მაზრა არქეოლოგიურის მხრივ“ წარმოადგენს საპატიო შრომას, რომელიც გვაცნობს ძველი ეკლესიათა წარწერებს, რომელთა ნანგრევები ყველა ნაბიჯზე გვხვდება ამ მაზრაში, ძველად სამცხეს ნაწილად ცნობილ ჯავახეთში... ამ ძველთაგან ზოგიერთი თვისი წარწერებით დიდი ხნიდანვე იყო შესწავლის საგნად გა-

დაქცეული. ეს ძეგლები თავის შრომებში გაგვაცნეს დიუბუა დემონპერემ, მ. ბროსემ, ხანიკოვმა, ვ. პერევალენკამ და დ. ბაქრაძემ, ... **მაგრამ არც ერთს ზემოხსენებულს პირს ისე სრულად არა აქვს შეკრებილი ჯავახეთის ეკლესიათა წარწერები, როგორც ბ. როსტომაშვილს.** მის შრომაში წარმოდგენილი ზოგიერთი ეკლესია თავისი წარწერებით, აქამდეს უცნობი ლიტერატურაში, დღეს მისი წყალობით ცნობილი ხდება“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

შემდეგ ე. თაყაიშვილი შენიშნავს: „რაც გადაუღია ივ. როსტომაშვილს სწორია, სინამდვილეს შეესაბამება, თითქმის ყველა წარწერა ხელით აქვს გადაღებული, როგორც ასლი, გარდა იმათი, რომელნიც ფოტოგრაფით გადაუღია. ასეთ შემთხვევაში, ფოტოთი გადაღებულ წარწერათა ნათელ საყოფად, რომ მკითხველმა ადვილად ამოიკითხოს, ტექსტში ბეჭდვით აქვს მოყვანილი“-ო და სხ., და ბოლოს დასძენს:

„დასასრულ ვისურვებთ, რომ ბ. როსტომოვმა კვლავ განაგრძოს თვისი შრომა კავკასიის არქეოლოგიურ მასალების შესაკრებათ და ამ შრომაზე არ შეჩერებულიყოს. თუ ასე ყურადღებით მიმოიხილება ძველი საქართველოს ყველა ოლქის ძეგლები, მაშინ შესაძლოა შეკრებილ იქნას ლიტერატურაში ჯერ კიდევ უცნობი ძლიერ ბევრი მასალა“.\*

ივ. როსტომაშვილის ეს შრომა ჩვენმა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმაც ღირსეულად იცნო.

ამ ნაშრომით ივ. როსტომაშვილმა მეცნიერებას სამუდამოდ შეუნარჩუნა ჯავახეთის ვინაობის საბუთები, ხოლო ქართველებს უჩვენა, რომ ეს კუთხე ქართველთა სახელოვან წინაპრების აკვანი იყო და არის, რომ ქართველებმა მაღალი კულტურის საძირკველი ჯერ კიდევ 7-8 საუკუნეში აქ ჩაყარეს. აქაური ძეგლები, ისტორიული ნაშთები რომ კიდევაც მოისპნენ, როგორც დიდის მონადინეობით ცდილობენ ზოგიერთნი გარენარნი, ივ. როსტომაშვილის მიერ ფოტოთი და ხელით გადაღებულნი ასლნი ქვაძეგლთა წარწერების მაინც სიმართლეს მიუდგომლად ილაღადებენ.

და ეს დიდი ამაგი როგორც ქართველ ერს, ისევე მეცნიერებას ივანე როსტომაშვილმა საკუთარი თავოსნობით და დაუზარელის შრომით დასდო. ივ. როსტომაშვილს ამაზე მეტი რომ სულ სხვა არაფერი გაეკეთებინა-რა, მეცნიერებისა და საქართველოს კულტურის ისტორიაში მუდამ მოიხსენიება.

კიდევ უფრო საყურადღებო ის არის, რომ რაც ივ. როსტომაშვილმა ფოტოთი თუ ხელით გადილო ანუ აღწერა, 900-იან წლებში მიწისძვრამ გაანადგურა, ანუ ზოგიერთ ძეგლს, ეკლესია-მონასტრებს წარწერები შეუცვალეს,

---

\* Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 25, Тифлис, 1898 г., стр. 134-136.

ხოლო ივ. როსტომაშვილის ნაშრომთა წყალობით კი ამ ძეგლთა არსებობის ცხადი მოწმობანი სამუდამო დაღუპვას აცდენილი მეცნიერებას შერჩა.

ცნობილმა ილია ალხაზიშვილმა თვის თხზულებაში შემდეგი სიტყვებით მოიხსენია ივ. როსტომაშვილი: ივანე როსტომაშვილმა „მთელი ჯავახეთის არქეოლოგიური ნაშთნი ზედ-ნარნერებითურთ ფოტოგრაფიულად და ხელით გადილო და აღწერა. დარწმუნებული ვარ, არც ერთი სხვა მაზრა საქართველოში ასე სავსებით არ არის ანერილი და გადაღებული, როგორც ჯავახეთია, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია სამშობლოსათვის დაუღალავი მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

„ყველა ჩვენგანს ამდენად რომ შეგნებული ჰქონდეს თავისი ზნეობრივი წმიდა მოვალეობა სამშობლოსადმი, მაშინ რაღა გაუჭირდება ჩვენს მომავალ თაობას!“ (იხ. მისი წიგნი „ბუნება და ცხოვრება“, თბ., 1897 წ., გვ. 69).

საქართველოს სიძველეთა დაცვას და მათ მიზანშეწონილად შესწავლას ივ. როსტომაშვილმა ჯერ კიდევ 1894 წ. მიაქცია ყურადღება. ამ წელს გაზ. „ივერია“-ში (1894 წ. N192, – ეს ნომერი შეცდომით 191 N-ით არის აღნიშნული) მოწინავე წერილი დაბეჭდა შემდეგის სათაურით: „საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრის დაფუძნების საჭიროება ტფილისში“, რომელშიც, სხვათა შორის, ამბობდა:

„ხშირად შევხვდებით ხოლმე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისტორიულს წერილებსა, რომელნიც დაწვრილებით აღგვიწერენ ჩვენის ქვეყნის ძველს ნაშთებსა. ყველა ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ერთი ნაკლი სჭირს ამ გვარად კანტი-კუნტად მუშაობასა: ... ამ გვარ შრომას აკლია ერთი სული, ერთი ხელი, ერთი მიმართულება, აკლია ერთიანობა, ერთსახეობა... ისინი, უმეტეს შემთხვევაში, აღწერენ ერთს რომელსამე ნაშთს... და იბეჭდება... სხვა და სხვაში, რის გამოც მეტად ძნელდება მათი შესაფერი გამოყენება მეცნიერებისთვის... დროც არის და საჭიროც, რათა მთელი ჩვენი ქვეყანა მაზრა-მაზრა აინეროს და ყველა ეს, შემუშავებული და გამოცემულ იყოს ერთი წრის ზედამხედველობის ქვეშ, რომ მით ყველას ადვილად შეეძლოს მათი მოხმარება-გამოყენება...

... „ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს, ტფილისში, ჩვენ ქართველებს გვყავს უკვე იმდენი მცოდნე კაცი, რომ მათ ადვილად შეუძლიათ შეადგინონ საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრე, რომელიც იკისრებდა ყველა ნათქვამის შესრულებასა და განხორციელებასა...“ ამისათვის ფოტოხელობის შესწავლა სულ რამდენისამე საათში შეიძლება, წრე შეიქმნა ფოტომონყობილობას და „ეს საშუალება ნებას მოგვცემდა სულ ათიოდე წელში მთელი საქართველო აგვეწერა და დაგვესურათებინა, რომლის ნაშთები... რაც დრო მიდის, სულ უფრო და უფრო ძველდება, ინგრევა და ზოგი მა-

თგანი მიწასთანაც სწორდება... სულ სხვა იქნება, როცა ნაშთს ქალღმერთად გადავიღებთ: ათასი წლებიც გავა და ის, მაინც, არ დაიკარგება და შთამომავლობას უწყებულის სახე, მაინც, დარჩება წინაპართა ხელოვნება-მოქმედებისა“-ო („ივერია“, 1894 წ. N192, გვ. 1). ეს დაწერა და მის განხორციელებას საქმიანად შეუდგა ჯავახეთის აღწერით, რომელიც ზემორე მოვისხენიეთ. მალე საქართველოს არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ისტორიული საზოგადოებაც დაარსდა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, ამ მიზნის განსახორციელებლად ჟურნალი „მოგზაური“-ც გამოსცა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

# V

## სახელმძღვანელოები



მე კარგსა რასმე ავირჩევ,  
მიღება შენზედ ჰკიდია:  
სწავლაა ბნელის ფანარი,  
სწავლა ცხოვრების ხიდია.

**იოსებ დავითაშვილი**

ქართველ პედაგოგთა შორის შუქურვარსკვლავად მოსჩანს იაკობ გოგებაშვილი, რომლის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ახალი საქართველოს გათვითცნობიერების ფუძედ შეიქმნა და, როგორც ჩვენი ქვეყნისა და მწერლობის ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი არტურ ლეისტი თავის გერმანულ ნიგნს – „გეორგიშე დისტერ“ – „ქართველთა პოეტებში“ აცხადებს, „სასახელოდ შეიძლება შედარებულ იქნეს ევროპის განათლებულ ხალხთა საუკეთესო სახელმძღვანელოებთან...“ (იხ. იგივე წერილი). ასევე მრავალ მხრივი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეა ივ. როსტომაშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებიდან მთავარი ყურადღება მიაქცია მდაბიო ხალხის სწავლა-აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეს, რომელიც „არითმეტიკული სახელმძღვანელოების ავტორთა“ შორის იხსენიება („ივერია“, 1901 წ. N2, 3).

ივ. როსტომაშვილმა თავისი პატარა „არითმეტიკული გამოცანები“-თ იმ დროის კარჩაკეტილობის წრე გაარღვია და ხალხის გონებითი სიბნელის კარი შეაღო.

რას წარმოადგენს ეს „არითმეტიკული გამოცანები“?

საინგილოში მასწავლებლობის დროს ივ. როსტომაშვილმა შეადგინა სახელმძღვანელო „არითმეტიკული გამოცანები. სახალხო შკოლებისთვის და მშობლებისთვის დამატებით ბუნების მეცნიერებიდამ“ (გამოცემა ე. ხელადისა, თბ. 1876 წ.), რომლის წინასიტყვაობაში ამბობს:

„ვუძღვნი ამ პანანინა ნიგნს ყველას, ვინც უნდა იყოს ის, სწავლული თუ უსწავლელი, მასწავლებელი თუ მშრომელი, დიდი თუ პატარა; ერთის სიტყვით ყველას, ვისაც უყვარს პატარები, ეს მომავალის იმედნი, კლასში თუ სახლში, ბაღში თუ მინდორ-ტყეში, ნაუკითხეთ ხოლმე რამე წინადადება და მიეცით ნება როგორც უნდათ ისე გამოიცნონ შედეგი მიცემულის წინადადებისა“; შემდეგ: მასწავლებლებს ვურჩევო, „იხმარონ ეს წიგნი თავიანთ დაბალ კლასებში ისე, როგორც ხმარობენ ზახაროვის წინადადებათა წიგნებს, რადგანაც ამ გვარად ამ წიგნის ხმარება, მოუტანს შეგირდებს დიდ სარგებლობას, როგორც კითხვაში, აგრეთვე ოცამდის რიცხვის შესწავლებაში, თავისუფლათ წიგნის ხმარებაში, გონების გახსნაში და სხვა.

„ეს წინადადებანი ... შემიდგენია მხოლოდ ოც რიცხვამდის. ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ ჟამათ არც ერთ სასწავლებელში და, მგონია, არც ერთ ქართულ ოჯახობაში, არ ასწავლიან (ქართულ ენაზე) ანგარიშს იმაზე ზევით.

„...მოყვანილია ბოლოზე რამოდენიმე წინადადება ზოგიერთი ბუნების მოვლინებების შესასწავლელათ და თვალ-დევის ვარჯიშობისათვის... უფრო მეტათ მიაქციეთ ყურადღება ამ უკნასკნელ წინადადებაებს, მშობლებმა თავიანთი შვილებისათვის და მასწავლებლებმა თავიანთი ახლად-შემოსული და მცირე-წლოვანი შეგირდებისათვის“ (გვ. 3, 4, 1875 წ. 1 ნომბერს, სოფ. კახი).

წიგნს ბოლოზე დართული აქვს:

„ამ წიგნის ხმარება სასოფლო შკოლებში. ... ამ წიგნში მოყვანილი წინადადებანი მხოლოდ მაშინ უნდა მიჰცეთ ხოლმე მოსწავლეს, როდესაც თქვენ შეასწავლით ამ უკნასკნელს რომელიმე რიცხვს... ამ წიგნში მოყვანილ ზომებთან – შაური, მანეთი, აბაზი, კაპიკი, სამ კაპიკიანი, საყენი, არშინი და სხვა. **თქვენ უნდა გააცნოთ ხოლმე მოსწავლეები... უეჭველათ თვით საგნის ნახვით** (ხაზი ჩვენია. ი. ი.), ე. ი. უჩვენოთ შაურიანი, აბაზიანი, მანეთიანი, კაპიკიანი, და შემდეგ გაცნობისა იხმაროთ ის წინადადებანი, რომლებიც მოყვანილია მათ შესახებ“ (არით. გამოც. 1875 წ. გვ. 44, მომყავს მართლწერის დაცვით შემოკლებით. ი. ი.).

წიგნს ამთავრებს შემდეგი მამულიშვილურ-პატრიოტული ამოცანით:

„N285 ამოცანა. კიდევ ერთი და უკანასკნელი: რამდენ წელს იქით უნდა გახდეს 20 წლის **ვაჟ-კაცი ქართველი?**“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ამ პირველი წიგნიდანვე გამოჩნდა ივ. როსტომაშვილის პედაგოგიური მეთოდი, – თვალსაჩინოებით სწავლების წესი, – და ის, თუ ვისთვის უცემდა გული! სამშობლოსა და ხალხის განათლებისთვის რა მაღალი იდეალებით იყო აღვზნებული.

ივ. როსტომაშვილმა 1895 წ. შეადგინა და გამოსცა „ქართული ანბანი 18 სურათით. ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი. ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად“, რომლის წინასიტყვაობაში მშობლებს და მასწავლებლებს ეუბნება: „უმთავრესი საშუალება ცოდნის შეძენისა და ყოველ-მხრივი განვითარებისა ადამიანისათვის – წიგნია და ამიტომ, თუ კაცს კაცად, ხალხს ხალხად გახდომა უნდა, უთუოდ წიგნი უნდა იცოდეს: წერა და კითხვა.

„ეს დიდი მნიშვნელობა საგნისა იყო მიზეზი – გამოგვეძებნა იმისთანა საშუალება, რომ სწავლა წერა-კითხვისა აწინდელზედ უფრო ჩქარა და ადვილად სრულდებოდეს“... რომ „ერთხელ შესწავლილი სიტყვა თითქმის ყველა გაკვეთილში“ იმეორებოდესო. „ეს არის ძირითადი ცვლილება, რომელიც პირველად ჩვენ შეგვაქვს წერა-კითხვის სწავლებაში“-ო და ამტკიცებს, რომ ამ წესით პატარები მალე შეისწავლიან წერა-კითხვასო და სხვა.

ამ ანბანს ივ. როსტომაშვილმა მოაყოლა საკითხავი წიგნები: „მოდო ვნახოთ ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“ და „მეთევზის შვილი ყრმათათვის“, რომლებიც ჟურნალ „კვალში“ განიხილეს, ივ. როსტომაშვილი ნიჭიერ პედაგოგად მიიჩნიეს და, სხვათა შორის, აღნიშნეს: „რწყილი და ჭიანჭველა“ და „მეთევზის შვილი“ ბავშვებს გაახალისებენ და გაუადვილებენ კითხვის პროცესებს, ენას გაუმდიდრებენ, იდეალისაკენ მისწრაფებას ჩაუნერგავენ, ერთმანეთის დახმარებას შთააგონებენ და „... არ შეიძლება მადლობა არ ვუძღვნათ ბ. როსტომაშვილს ამ იაფ ფასიანი ნახატებიანი (თითო წიგნი 15 კაპ.) წიგნაკების გამოცემისათვის“ („კვალი“, 1896 წ. N14, გვ. 235-236).

წიგნშია ც „წერა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (თბ. 1902 წ.) მშობლებსა და მასწავლებლებს უხსნიდა თავის „ანბანში“ ხმარებულ მეთოდის მნიშვნელობას, აგრეთვე უმეორებდა: **„თუ კაცს კაცად და ხალხს ხალხად გახდომა უნდა, უთუოდ წიგნი უნდა ისწავლოს, წიგნი უნდა იცოდეს – წერა და კითხვა**, უმთავრესად კი იმიტომ, რომ მათ შეეძლოთ ყოველი ქვეყნის და დროის მწერლების ნააზრთა გაცნობა შესწავლა“-ო. და აქვე ჰმარტავდა: „... **ძირითადი ცვლილება**, რომელიც პირველად ჩვენ შევიტანეთ წერა-კითხვის სწავლებაში (იხ. ჩვენი ქართული ანბანი, გამოცემა 1895 წ.). შეერთება ბგერათა (ხმათა), რომელიც შეადგენს უმთავრეს სიძნელეს წერა-კითხვის სწავლებაში, ჩვენის ამ ანბანით სრულიად ჩვეულებრივი და სულ სუსტი გონებისთვისაც კი მეტად ადვილ-დასაძლევია საგანია, ისეთი ადვილი, რომ ორიოდვე კვირის შემდეგ, მოსწავლე სრულიად თავისუფლად კითხულობს სიტყვებსა და ერთ თვეზე ხომ სრულიადაც ათავენს მთელის ანბანის შესწავლასა“... **მოზრდილები „ჩვენის წიგნით სულ ერთის კვირის განმავლობაში სწავლობენ და ათავენ მთელს ანბანსა... (ხაზი ჩვენია. ი. ი.)**

.. სხვა ანბანით ნასწავლი ბავშვი ხშირად მთელი ორი წლის განმავლობაშიაც ვერ ითვისებს ეგრედ წოდებულს ჩქარს კითხვასა (წѣтлое чтение), ჩვენი ანბანი კი ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე პირველივე გაკვეთილებიდან სრულის სავსებით ითვისებს **ჩქარს კითხვასა**, რომელიც შეადგენს აუცილებელს პირობას მოსწავლის წარმატებით განვითარებისათვის“ (გვ. III-IV).

ეს წიგნი შესდგება რამოდენიმე კარისაგან. თავის დროს საერთო სახელმძღვანელოდ უნდა შემოეღოთ კიდეც და ივ. როსტომაშვილს მოსთხოვეს – ხელზე რამდენიმე სიტყვა შეიტანე საღვთო წერილის შესახებო, თორემ წიგნი ვერ გავრცელდებაო, – სკოლა არ მიიღებსო.

ივ. როსტომაშვილმა მტკიცე უარი უთხრა: ვისაც საღვთო წერილის შესწავლა უნდა, სამაგისო სახელმძღვანელოები მოძებნოსო.

წიგნი სკოლებში მართალია, არ შეუშვეს, მაგრამ ხალხში კი სწრაფად მოიფინა.

1917 წ. მკათათვიდან გამოსცა შინა-სწავლის სახელმძღვანელო ჟურნალი „შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი“, რომლის პირველ ნომერში სწერდა: „ჩვენი შინა გიმნაზიის მოსწავლეებად ჩვენ ვეძახით ყველა იმათ, ვინც-კი, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა, თავისთავად გამოგვეხმაურება ჩვენ, თავის-თავად გადასწყვეტს დაადგეს ჩვენ-მიერ ნარჩევ სწავლა-აღზრდის გზასა, ვინც იკისრებს გაიაროს ამ ჟურნალის შემწეობით ჩვენი შინა-გიმნაზიისა და უნივერსიტეტის კურსი ანუ მხოლოდ ის საგნები, რომლებსაც თითონ აარჩევს.

„პროგრამა ჩვენი გიმნაზიისა არაფრით არ ჩამორჩება ახლანდელ გიმნაზიების პროგრამასა და პირიქით, ბევრს რაშიმე გაცილებით სჭარბობს კიდეცა მას, ასე რომ ჩვენ შინა-გიმნაზიის მოსწავლეებს მშვენივრად შეეძლება, თუ-კი მოისურვებენ, განაგრძონ სწავლა ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში“.

ასწერს რა, თუ რამდენად „ძნელია დღეს სწავლა ჩვეულებრივ სკოლებში“, რა ძვირი ჯდება და სხ., განაგრძობს:

„ჩვენს შინა-გიმნაზიაში სწავლა კი წელიწადში ერთ თუმანზედ მეტი არ დაგიჯდებათ და არც ოჯახს მოსწყდებით უდროვოდ“-ო.

„სწავლა-აღზრდა არის უდიდესი და თითქმის ერთად-ერთი იარაღი ადამიანის ნამდვილ ადამიანად, ნამდვილ კაცად-კაცურის, ზე-კაცის აღზრდა-მომზადებისათვის, მაგრამ ასეთი აღზრდა-მომზადება მარტო იმ ნაცადი საშუალებით შეიძლება, რომელსაც თვით-მოქმედება, თვით-განვითარება ეწოდება და ასეთ შედეგამდის-კი მხოლოდ ადამიანის საკუთარ „მე“-ს, საკუთარს შეგნება-შემეცნებას, საკუთარს შთაგონება-შეგულიანე-

ბას შეუძლიან მიიყვანოს მოსწავლე... თორემ ამაო და ფუჭი იქნება სხვათა შრომა და მეცადინეობა მოსწავლისათვის!“-ო („შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი...“, 1917 წ. N1, გვ. 1).

ჟურნალში გაკვეთილობრივ აქვს დალაგებული საგნები და შესასწავლი მასალა:

სახალხო სკოლისა და პროგიმნაზიის კურსი: ნერვა, ქართული ანბანი, ქართული ენა, საქართველოს ისტორია, არითმეტიკა, ბუნებისა და მსოფლიოს ცნობა (N1); პედაგოგია – თვითმოქმედება, პურის ბოსტანი და სხ., ქართველ კლასიკოსთაგან რჩეულ ნიმუშებით (ხელში ჩაგვივარდა მხოლოდ 4 ნომერი).

თეორიულ მოსაზრებათა გარდა, ივ. როსტომაშვილი თვის ნააზრევს პრაქტიკულადაც ანხორციელებდა და რასაც გამოცდილებით შეიცნობდა, იმას უკვე საყოველთაო საცნობელად გარდაქმნიდა ხოლმე.

სხვა მრავალ საქმიანობის გარდა, ივ. როსტომაშვილმა 1895 წ. თბილისში (საღდათის ქ. N7) დაარსა „მოსამზადებელი სასწავლებელი“, რომელიც ამზადებდა ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველი კლასებისათვის, სწავლის ფასი ნ მან. იყო.

1910 წ. ენკენისთვიდან თბილისში დააფუძნა:

„პირველათ რუსული და ქართული ენების კურსები

ორივე სქესის ყველა წლისათვის (დანწყებული 12 წლიდან). კურსების მიზანია შეასწავლოს მსურველთ რუსული ანუ ქართული ნერა-კითხვა და ლაპარაკი ეგრეთ წოდებული საგნური წესით, რომელიც არა მარტო საუკეთესოთ ათვისებს ყველას ლაპარაკსა და ნერა-კითხვას, არამედ თან საუკეთესოდაც ანვითარებს მათ. სწავლა იქნება 9 თვეს პირველ ენკენისთვიდან პირველ თიბათვემდინ, ყოველ დღე ჯგუფობით, ერთნახევარი საათი თითოეულ ჯგუფში, დილის 9-საათიდან შუა დღის 3-საათამდის, საათებს შუა. სწავლა დამთავრებულთ მიეცემა მოწმობა“ – და სხ.

კურსების დამაარსებელი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი.“

იმ დროს ასეთ კურსებს არა მხოლოდ ხალხის სწავლა განათლებისთვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, პრაქტიკულადაც საჭირო იყო ყოველი ცოტათ თუ ბევრად, თვითგანვითარების მოყვარულ ადამიანებისთვის, არამედ ივ. როსტომაშვილი ამით ცდილობდა გამოცდილებათა მასალის დაგროვებას სწავლა-აღზრდის ასპარეზის გასაფართოებლად.

# VI

## სწავლა-აღზრდა



მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში ივ. როსტომაშვილის სიტყვა და საქმე, თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს არა სცილდებოდა სადაც კი მასწავლებლობდა – საინგილოს, კახეთს, ჯავახეთს, თბილისს (ნმ. ნინოს სახ. ქალთა სასწავლებელი და კომერციული სასწავლებელი) და სხ. დროში მასწავლებლის, აღმზრდელისა და მოქალაქის მუდამ მაღლა ეჭირა.

ჩვენის ქვეყნისათვის სასარგებლო სკოლების დაარსებას და სკოლის საშუალებით ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნის გავრცელებას ივ. როსტომაშვილმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში მიაქცია ყურადღება (სხვათა შორის, თავის ერთ-ერთ წერილში „ორიოდე სიტყვა ი. ი. წინამძღვრის-შვილის სკოლაზე“ („დროება“, 1881 წ. N3). უცხო ქვეყნის გამოჩენილ პირთა მონაწილეობით ამტკიცებდა რა, რომ ხალხის წიგნით გაძლიერებისა და ერთობის დამყარებისთვის საჭიროა ხალხის განათლება სწავლა-მეცნიერებით, ამასთან იხსენიებდა, რომ ჩვენში თუმცა სასწავლებლები არის, მაგრამ ამ სასწავლებლებში საქმე ისე არ არის დაყენებული, რომ აქ ნასწავლმა „სწავლის გაგრძელება და ამ სწავლის ლუკმა-პურად გადაქცევა“ შეიძლოსო. აი ამ გვარი, ყველასაგან მივიწყებულ ყმანვილებისათვის უნდა ყოფილიყო დანიშნული ზემოხსენებული (ილ. წინამძღვარისშვილის სასოფ. სამეურნეო სკოლა. ი. ი.) სასწავლებელი... თქვენ (მიმართავს ი. წინამძღვრისშვილს, ი. ი.), რომ ასეთი უკვე სოფლის სკოლაში ნასწავლები მიიღოთ, რომელთაც „წერა-კითხვა და სხვა საგნები საკმარისად ეცოდინებათ შესვლისათანავე; ამიტომ დღეში ორიოდე საათი რომ სწავლის გარდაცემას მოახმაროთ, მაინც შესაძლებელი იქნება კარგა საკმარისად ცოდნით გარდასცეთ თქვენ მოსწავლეებს ქიმიიდან, ფიზიკიდან და სხვა ყოველ დღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ სამეცნიერო ცნობებიდან, რომელთა განვითარებითი ცოდნით მხოლოდ შესაძლებელია ჩვენი მეურნეობის წინ-წამონევა“...

შემდეგ იხილავს რა სოფლად რა და რა სახის სკოლა უნდა გვექონდეს, რამდენ წლიანი, რამდენი განყოფილებით, განაგრძობს: „ვასწავლოთ საგ-

ნები თანასწორ, ქართულადაც და რუსულადაც... სწავლა სამშობლო ენაზედ მუდამ წამძღვარებული ექნება რუსულსა, რაიცა ეჭვი არ არის **ერთნაირად გაადვილებს და გაადიდებს მოსწავლის განვითარებას ორივე ენასა და საგნებში**“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ივ. როსტომაშვილი მოითხოვდა, რომ სასოფლო სკოლებში შემოღებული ყოფილიყო აგრონომია და ხელსაქმე. ეს იმიტომ, რომ ყველა სასოფლო სკოლა უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს სახალხო, ე. ი. უნდა აკმაყოფილებდეს ხალხის მოთხოვნილებას, უფრო გლეხობისას, რადგან ესენი რიცხვით მეტნიც არიან და მუშაობის მიმხვედრნიც, ხოლო რადგან ეს უკანასკნელი შრომაა, მუშაობა, ამიტომ სასოფლო სკოლამაც თავისი უმთავრესი ყურადღება ამ საგნებს უნდა მიაქციოს, რათა ნამდვილი მშრომელი თაობა გამოუზარდოს სოფელსაო („ივერია“, 1895 წ. N23, 24).

ივ. როსტომაშვილი თავიდანვე დიდ ყურადღებას აქცევდა იმას, თუ „როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სკოლები“ („ივერია“. 1895 წ. N23, 24). ამ წერილში იგი, სხვათა შორის, ამბობდა:

„სასოფლო სკოლა დღეს ერთი უმთავრესი იარაღია ხალხის – ხალხად და კაცის – კაცად ქმნისა და ამიტომ არასოდეს მოგვეტევება მისი ასე დავენწყება...“

„მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდასა და სკოლას-კი“ გულგრილად ვერ მოვეპყრობითო, „რადგან ამათ ხეირიანად წარმართვაზედ არის დამყარებული ... ჩვენი იმედი და სასოება უკეთესის მომავალისა!..“

სწავლა-განათლება მხოლოდ სასწავლო წიგნებით („უჩებნიკებით“) ვანოს არა სწამდა: „ამ „უჩებნიკმა“ დაიმონა მთელის ქვეყნის მოზარდი თაობის გონების იარაღი და მალე თვით ცხოვრებას და მის პროგრესსაც დაიმონებს, თუ დროზედ ხსნის ფარს არ აუფარებთ მას! ეს ფარი – გაძლიერებაა სამონაფო და სახალხო ლიტერატურისა, შექმნა ჩვენს ენაზედაც მთელი წყობა წიგნებისა ყველა სასწავლო და სამეცნიერო საგნებიდგან, ცხოვრების ყველა დარგიდამ!

... „თვით სწავლის, თვით-განვითარების წეს-რიგი და საშუალება იმდენად გაადვილებულია დღეს, რომ თითქმის ყველას, სულ უბრალო დღიურს მუშასაც-კი, ადვილად შეუძლიან თვით უმაღლეს სწავლა-განათლებასაც მისწვდეს, თუ კი გულით და სულით მოისურვებს ამას“ („ივერია“, 1895 წ. N91, გვ. 2).

ივ. როსტომაშვილის აზრით, „დანიშნულება ყოველის ჭეშმარიტის სწავლისა იმაშია, რომ ზედ-მინევნით გვასწავლოს შემეცნება და გაგება ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებისა და ცხოვრებისა... შეგნებით მიღება და შეთვისება იმ შთაბეჭდილებათა, რომლებსაც ახდენენ ჩვენზედ ესენი... .. ახლო ვუ-

დგეთ მათ, რომ ძალაუნებურად ვგრძნობდეთ ჩვენს თავს მათს განუყოფელს ერთთაგანს... ეს კი შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: გამუდმებულის დაკვირვებით და შესწავლით ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებისა და ცხოვრებისა...“ („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 4, 6).

ივ. როსტომაშვილი აღმაცერად უყურებდა სწავლა-განათლების ისეთ ნესს, რომელიც მოსწავლეს ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნით არ აღჭურვიდა: მარტო წერა-კითხვის ცოდნა არაფერია, თუ საქმეში მუშაობაში არ არის გავარჯიშებული, გონებით განვითარება და ხელგარჯილობა შეთანხმებული, – აი, მისი მოთხოვნილება.

საჭიროა შევიგნოთ, რომ სასოფლო მეურნეობა და მისი მრეწველობა ერთადერთი ბუნებითი და ამიტომ უტყუარი ფაქტორია ადამიანურის ცხოვრება-სიმდიდრისა, ძალისა, საჭიროა შევიგნოთ, რომ ნასწავლი და განათლებული მუშა სოფელს უნდა დაუბრუნდეს, სოფელში იმუშაოს...

ჩვენთვის საჭიროა გლეხთა შორის მუშაობა, რომ ჩვენ გლეხის ამტანობა გვაკლია, ეს მისით შევავსოთ, ხოლო ჩვენი მეტი სწავლა იმავ დროს მას გაუზიაროთ... ერთის სიტყვით, გვჭირია სრული გარდაქმნა დღევანდელის ჩვენის ზნისა და ხასიათისა...

როგორც ცნობილია, რევოლუციამდელ საქართველოში, რუსთ მეფის თვითმპყრობელობის დროს ქართული ენა თუ სადმე ისწავლებოდა მხოლოდ სამეცადინო დღის ბოლოს მე-ნ გაკვეთილად. როცა მოწაფენი მოქანცულნი იყვნენ, რის გამოც მოწაფენი არც თუ მაგრე რიგად ეტანებოდნენ სამშობლო ენის სწავლას. ივ. როსტომაშვილმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და მოითხოვა:

„გინდათ რომ ყმანვილებიც და მასწავლებლებიც არა თუ ხალისიანად სწავლობდნენ სამშობლო ენას, არამედ შეიყვარებდნენ კიდევ? მიეცით საზრდო ამ ენაზედ, ასწავლეთ მათ ამ ენაზედ საგნები – სამართო სჯული, არითმეტიკა, ბუნების-მეტყველება, ისტორია, გეოგრაფია და აბა ვნახოთ მაშინ, ივლიან მოსწავლენი ქართულს გაკვეთილზედ თუ არა!“ („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, ბიბლიოგრაფია, გვ. 47).

აჩქარებული მკითხველი იფიქრებს, აქედან სჩანს, ივანე როსტომაშვილი საღმრთო სჯულის მომხრე ყოფილაო, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ჯერ ერთი: ძველ სკოლაში საღმრთო სჯულის სწავლება აუცილებელი იყო, მაშასადამე აქ ივ. როსტომაშვილმა სხვა უსაჭიროესი საგნები – მათემატიკა, ბუნების მეტყველება, ისტორია, გეოგრაფია მიაყოლა, მეორეც – იმავე ჟურნალში ივ. როსტომაშვილი ია მარუშიძის ენით სასულიერო წოდების მსახურთ, საღმრთო სჯულის მიმდევართ სამარცხვინო ბოძზე აკრავს, ანადგურებს (იხ. „მოგზაური“, 1903 წ. N7-8, გვ. 225-229) და რო-

სტომაშილის თავის სახელმძღვანელოებში საღმრთო სჯულის ხმარებაც არ შეჰქონდა.

ივ. როსტომაშილი დიდ ყურადღებას აქცევდა სკოლაში მეცადინეობის ისე წარმოებას, რომ მოწაფენი არ დაქანცულიყვნენ. აი სხვათა შორის რას მოითხოვდა:

„შემამცირეთ საკლასო მეცადინეობის საათები, დაკმაყოფილდით მარტო იმ სწავლით, რის სწავლებასაც მოასწრობთ კლასში, მოსპევით ეკზამენები, შემოიღეთ მოსწავლეთა გადაყვანა და სწავლა კლასებში მისგან თვითიული და არა ყველა საგნის ცოდნის კვალად და ნახავთ, რომ მოსწავლეთა დღევანდელი მოქანცვა და დაწვრილმანება-გადაგვარება სრულს დავიწყებას მიეცემა!..“ („მოგზაური“, 1904 წ. N5-6. გვ. 311).

სწავლა რისთვის უნდოდა? – აი, ყური უგდეთ:

„ყოველი სწავლა უპირველეს ყოვლისა მე იმისთვის მინდა, რომ უკეთესი გავხდე, უკეთესი ცხოვრება შევისწავლო, ეს კი მარტო მაშინ შეიძლება, როცა მე საუკეთესო ცოდნა მექნება. ეს საუკეთესო ცოდნა კი დღევანდელს სკოლაში უმთავრესად პირველმა საკითხავმა წიგნმა უნდა მისცეს. ... „დედა-ენა“ კი... წარმართულ წერილებსა და ზღაპრებს აწვდის ბავშვთა გონებას!..“ („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 14. მეორე სვეტი).

დიდს ყურადღებას აქცევდა ზნეობრივს აღზრდას: „... ზნეობრივი აღზრდა ჩვენს დროში და თანამედროვე სკოლებში თუ ოჯახებში ვერა სდგას საჭირო სიმაღლეზედ, რომ ჩვენ თითქმის არავითარი ზნეობრივი გავლენა არა გვაქვს ჩვენს შვილებსა და მოსწავლეებზედ...“, არკვევს უძველესი დროიდან როგორ ესმოდათ ზნეობა და „რადგანაც ყოველი ადამიანი თანასწორ-უფლებიანი წევრია საზოგადოებისა, ამიტომ... უნდა ისე მოაწყო საზოგადოება და მისი ცხოვრება, რომ ყოველ ადამიანისთვის უთუოდ უზრუნველ-ყოფილი იყოს კაცად-კაცური ცხოვრება და არსებობა“...

რა არის ზნეობა? – ივ. როსტომაშილი გვიხსნის:

**„ზნეობა არის იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა განერიდოს ადამიანი ლიტონ პირადულ ცხოვრებას, როგორ უნდა იცხოვროს სხვა უმაღლეს საგნისათვის!..“**

„თუ ჩვენ გვინდა ვიყვნეთ უკეთესნი და საუკეთესო ზნეობათა პატრონები, უთუოდ ღრმად და საფუძვლიანად უნდა შევითვისოთ ის ზნეობრივი ცოდნანიც, რომელნიც დღევანდლამდე საკმაოდ გარკვეული აქვს კაცობრიობას...“ (იხ.: „საფუძვლები ზნეობრივის აღზრდისა ჩვენს დროში“, გვ. 1, 9, 13).

გარდა ამისა, ივანე როსტომაშილი უცხო ენების შესწავლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებდა. მან კარგად იცოდა, რომ „რუ-

სული ენის ცოდნა, – იმ ენისა, რომელიც ღირსია შესწავლის როგორც თავისთავად, – ვინაიდან ეს ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და ყველაზე უფრო მდიდარი ცოცხალ ენათაგანია, ისე იმ ლიტერატურის გულისათვის, რომელსაც იგი გადაგვიშლის, – ახლა უკვე არც ისე იშვიათი ამბავია“ (ენ-გელსი, თხზ. 15-ტე, გვ. 238; ს. აბულაძე. „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის გამოყენებისათვის რუსული ენის სწავლებაში“, 1939 წ. გვ. 4), „თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ (ილია ჭავჭავაძე, პედაგ. თხზ., 1938 წ. გვ. 344). დიად, ივ. როსტომაშვილს იმ თავიდანვე ღრმად სწამდა, თითქო წინასწარ გრძნობდა კიდეც ჩვენს დღევანდელობას, აწინდელ მოთხოვნილებას, რომ: „ქართულმა სკოლამ უნდა აღზარდოს ჩვენს ახალგაზრდობაში მტკიცე სიყვარული დიადი და მძლავრი რუსული ენისადმი. ეს უნდა შეადგენდეს ჩვენი ახალგაზრდობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას“ (პროფ. გ. თავიშვილი, „საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა“, თბ., 1939 წ. გვ. 29).

ამიტომ ამ ენის საფუძვლიანად შესწავლას მოითხოვდა.

1903 წ. იანვრის 14-ს კავკასიის [საიმპერატორო] სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საჯარო კრებაზე განიხილეს ბ-ნ სულთან კრიმ-გირეისა და ბ-ნ ნატროშვილის მოხსენება პირველ დაწყებითი სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლების წარმოების შესახებ („ივერია“, 1903 წ. N12).

მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია, ყველა ორატორი მხარს უჭერდა, მხოლოდ ბ-ნი ივანე როსტომაშვილი ამტკიცებდა, „სამშობლო ენა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ამავე დროს საჭიროა სწავლება პარალელურად რუსულს ენაზედაც სწარმოებდესო“ („ივერია“, 1903 წ. N12).

ივ. როსტომაშვილის აზრმა დიდი აურზაური გამოიწვია, – ერთ მხარეს ი. გოგებაშვილი და მისი მომხრენი იდგნენ და მეორე მხარეს – ივ. როსტომაშვილი. და თუმცა იმ დროს ი. გოგებაშვილი ერთად ერთი ავტორიტეტი იყო და არა მხოლოდ ქართველ საზოგადოებაში, თვით რუსეთის პედაგოგიურ პრესაშიაც, ივ. როსტომაშვილმა მაინც მის წინააღმდეგ ხმა დასძრა:

„ვერც ბ-ნს გოგებაშვილს დავეთანხმებით. ის ამტკიცებდა, რომ სწავლა რუსულის ენისა მარტო ლექსიურად უნდა სწარმოებდესო, მის გარეშე რუსულს ენას სისწორით ვერ შეისწავლიანო... ვუმეორებთ ბ-ნს გოგებაშვილს, რომ მარტოდენ თვით ენის ლექსიურის ნაწილის სწავლებით არც ერთი ენა არ შეისწავლება (ხაზი ივ. როსტომაშვილისაა) სავსებით, იგი (აქაც) შესწავლა კი არა, მარტო ერთმხრივი, ყოვლად მოსაწყენი და უსიცოცხლო,

უნაყოფო სწავლება იქნება ენისა და, როგორც ვსთქვით, თუ გვინდა რამოდენათმე მაინც სავსებით შევასწავლოთ ბავშვებს უცხო ენები, – უთუოთ ყველა საგნების თვალსაჩინო ნაწილიც უნდა შეათვისოთ ბავშვებს, თორემ მარტოდენ თვით ენის ლექსიურის ნაწილის შესწავლით ვერას გახდებით. გარჩევა აქ მხოლოდ იმაში იქნება, რომ სამშობლო ენაზედ სწავლა ყოველად თავისუფალი და ბავშვების ჭკვა-გონების უსაზღვროდ განმავითარებელი იქნება, ხოლო უცხო ენებზედ – უბრალო თვალ-საჩინო და უკვე სამშობლო ენაზედ შესწავლილის დასკვნებითი, განზოგადებული, რომლის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ბავშვებმა ენა გაიტეხონ უცხო ენაში და რამდენადაც შესაძლებელი იქნება ყოველ-მხრივ და ყოველ საგნიდამ გაიმდიდრონ უცხო ენის ლექსიკონი. მეორე გარჩევა კიდევ ის იქნება, რომ სწავლა სამშობლო ენაზედ მეტს სისწრაფეს და ნაყოფს გამოიჩინს, ვიდრე უცხო ენების შესწავლა, მაგრამ ჰარმონია, ჰარმონიულად განვითარება ადამიანის ყოველ ძალთა და ნიჭთა, რასაც მთელი საუკუნოებია დაჟინებით ღალადებს პედაგოგია (რაც სამწუხაროთ ჩვენ აქამდეც ვერ შეგვიგნია), – სავსებით იქნება დაცული და ამიტომ ასეთის სწავლა-აღზრდის ნაყოფიც – სრული“-ო.

გარდა ამისა ივ. როსტომაშვილი მოითხოვდა, რომ „მოხსენება შევსილიყო იმ შუამდგომლობითაც, რომ **მეტი ადგილი დაეთმოს ადგილობრივ ენებზე სწავლას თვით საოსტატო სემინარიებში**“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.) ... „არა კმარა, რომ სწავლება სამშობლო ენაზედ სწარმოებდეს. საქმე აქ იმაშია, რას ასწავლით!? თუ თქვენ მარტო წერა-კითხვას, მცირეოდენს ანგარიშს და საღმთო სჯულს ასწავლით სამშობლო ენაზედ, ამით თქვენ მაინც შორს ვერ წახვალთ. ... ასეთის სამწუხარო შედეგის ასაცილებლათ ჩვენს ქვეყანაშიაც აუცილებლად საჭირო იყო სახალხო სკოლის სახის შეცვლა, მისი პროგრამის გაფართოვება, საჭირო იყო **ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების მეტყველების და სხვა საგნების შეტანაც მის პროგრამაში** (ხაზი ჩვენია. ი. ი.), თორემ, ვიმეორებთ, დღევანდელის პროგრამით, ვერცარას ყოველად-შემძლებელ სამშობლო ენაზედ სწავლა დასდებს მალამოს ჩვენის ხალხის გახსნა-განვითარებას...“ („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 56-64).

ივ. როსტომაშვილის ამ მოსაზრებათა გამოთქმამ დიდი რისხვა გამოიწვია, მაგრამ ივ. როსტომაშვილმა თავდაჭერილი პასუხი გასცა თავდამსხმელთ:

„აქ მე არავითარი დამალული აზრი არ მიმიძღვოდა და ისიც მიმიძღვის. **აქ მე ვსჯი როგორც ჭეშმარიტი მიუდგომელი პედაგოგი, რომლის ერთადერთი მიზანი მოსწავლეთა ვრცელი განვითარება-ცოდნაა და სხვა არაფერი** (ხაზი ჩვენია, ი. ი.). თუ არ მეთანხმებით, ბატონებო, რაშიმე, სამშობლოს

მოლაღატობით კი ნუ მიხსენიებთ, ამას მარტო მდაბალი სულის პატრონი იკისრებს. არა. დამიმტკიცეთ საბუთებით და სხვა გამორჩენილთა მეცნიერთა და პედაგოგთა სიტყვებით, რომ ჩემი შესწორებანი დაბლა სდგანან მოხსენების წინადადებაზედ და მაშინ გამკიცხეთ... მაგრამ სამშობლო მოლაღატის ნოდების უფლება მაინც არ გექნებათ, რადგანაც საზოგადო კრება იმიტომ ჰქვია, რომ ყველამ სწორეთ ისა სთქვას, რასაც ფიქრობს და ერწმუნება, პირიქით, სამშობლოს და საზოგადოების მოლაღატე ის იქნება, ვინც ამ ფიქრს და რწმენას უშიშრად საყოველთაოდ არ იტყვის!..“ („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 64).

კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო, თითქმის ყოველმხრივ მოესივნენ ივ. როსტომაშვილს. აი, მოვუსმინოთ:

„ჩვენმა სიტყვამ გულის სიღრმემდის შეაძრწუნა ჩვენი პედაგოგები, არა თუ შეაძრწუნა, ველურადაც ეჩვენათ მათ ჩვენი აზრი სამშობლო ენისა და უცხო ენების სწავლების და მონყობის შესახებ ჩვენს სკოლებში... ჩვენ იმ დრომდე არ მოვეშვებით ამ საკითხის შესახებ წერასა და ლაპარაკს, სანამ თვალ-ნათლივ არ ვყოფთ საზოგადოებისათვის, ჩვენს აზრს, სანამ საზოგადო კუთვნილებად არ გავხდით ჩვენს შეხედულებას... ყოველი სწავლა-აღზრდის მიღება ყოველი ადამიანისათვის სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს, მაგრამ თუ მას იმავე დროს ჰსურს ერთი გონიერი მონაწილეთაგანი იყოს მსოფლიოსი და მის საერთო ცხოვრებისა, უსათუოდ სხვათა ენებიც (ჩვენში ეგრედ-ნოდებული „უცხო ენები“) უნდა იცოდეს... **მიზანი სახალხო სკოლისა, ჩვენში თუ სხვაგან... ერთი და იგივეა: გონებითი და ზნეობითი განვითარება და სრულ-ყოფა მასში მოსწავლე ბავშვებისა** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) ... ჩვენს მთელს იმედს და სასოებას სახალხო სკოლაში მოსწავლეთა რაციონალურად სწავლა-აღზრდისა და განვითარებისათვის და ამ გზით ცივილიზაციის ნაყოფის შესატანად თვით ხალხში, ჩვენ ვამყარებთ: 1) სწავლებაზედ ყველა აქ მოხსენებულ საგნებისა სამშობლო ენაზედ და 2) საფუძვლიან შესწავლაზე რუსულის წერა-კითხვისა და ლაპარაკისა“ („მოგზაური“, 1903 წ. N7-8, გვ. 498-509).

„პირველდწყებითი სწავლას ჩვენს სკოლებში სამშობლოს ენაზედ“ ივ. როსტომაშვილი ხელ-ახლად დაუბრუნდა ჯერ გაზ. „ივერია“-ში (1903 წ. N133), შემდეგ ჟურ. „მოგზაურ“-ში (1903 წ. N9-10, გვ. 604-614) და ახსნა, თუ რა სახისა უნდა იყოს საზოგადოდ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ სხვაგან და რა სწავლების არსებულ წესს, განაგრძობს:

---

\* ხაზი როსტომაშვილისაა (რედ.).

„... მარტოოდენ წიგნური მეცადინეობით თანამედროვე სკოლა ყოვლად უკუღმართად აწარმოებს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, თვისის დღევანდელის წეს-წყობილებით და ტრადიციით თანამედროვე სკოლა ისეთსავე განდევნილებს გვიზრდის ცხოვრებისას, როგორც ოდესმე ცუდად გაგებულნი ქრისტიანობა... თანამედროვე სკოლა სდგას ყოვლად განკერძოებულად ცხოვრება-ბუნებისაგან, თითქოს იგი ღვიძლი შვილი-კი არა და გერი იყოს მისი...

**„... არ იციან და არც ჰსურთ გაიგონ, რომ მარტოოდენ წიგნური სწავლა სრულიად ამახინჯებს ადამიანის ბუნებას, ახშობს მის ბუნებრივ გრძობასა და გონების ბუნებრივ ნიჭსაც. ამით არა ჰსურთ დაინახონ, რომ ადამიანი ღვიძლი შვილია ბუნება-ცხოვრებისა და ამიტომ ყოვლად დამლუპველია ის სკოლა და აღზრდა, რომელიც არა თუ უახლოვეს მოზარდ თაობას ამ ბუნება-ცხოვრებას, არამედ, პირიქით, სრულიადაც აშორებს... ავინყდებათ, რომ ცხოვრება იგივე შრომა და მუშაობაა, რომ ეს ორი ცნება განუყრელი ძმები არიან, რომ სადაც შრომა და მუშაობა არ არის, იქ არც ცხოვრებაა, იქ სიკვდილია...“**

ჰმარტავს რა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „სამეურნეო სახელოსნო სწავლება“-ს, განაგრძობს: „... სახალხო სკოლა არის ის დანესებულება, სადაც უნდა იზრდებოდეს მთელი ხალხი, მთელი მისი დიდი და მოზარდი თაობა და ამიტომ ყოვლად ძალოვანიც უნდა იყოს, რომ პირნათლად შეეძლოს თვისი ამ დიადი დანიშნულების შესრულება...“, სახელოსნო-სამრეწველო ელემენტიც აწარმოოს სკოლაშიო.

მონინაალმდევე პედაგოგებს უკიჟინებს-რა ჩამორჩენილობას, განაგრძობს:

„... ჩვენც ეგ გვიკლავს გულს, რომ დღევანდელი სკოლა ისეა დაცემული და მონწყობილი, რომ იმის მაგივრათ, რომ **ნამდვილი მზე იყოს სოფლის მთელი მოზარდი თაობისა და თვით ხალხისათვისაც**, იგი დღეს ყოვლად **ნაცარნაყრილს კერას წარმოადგენს** და თუ მალე არ მივეშველეთ, სულაც ჩაქრება. აი რატომ არის, რომ ჩვენ ძირიან-ფესვიანათ ვცვლით დღევანდელი სკოლის წეს-წყობილებას და **ჩვენი ბრალი არ არის, რომ თქვენ იგი ზღაპრულ რადმედ მიგაჩნიათ...**“ (ხაზი ყველგან ჩვენია. ი. ი.).

... **„დღეს თუ ხვალ ჩვენ-მიერ ქადაგებული სახალხო სკოლა აუცილებელი კუთვნილება გახდება ყოველი, სულ უკანასკნელი მიყრუებული სოფლისაც კი...“** (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

„... აღზრდა ისეთის ადამიანისა, რომ შეეძლოს **„სავსე ცხოვრებით ცხოვრება“**, – ვინრო პრაქტიკულიაო!.. არ გესმისთ აგრეთვე რა აზრით და მნიშვნელობით ვხმარობთ ჩვენ სიტყვას **„წიგნური სკოლა“**. ... ამ სახელს ჩვენ

ვსდებთ სწორეთ თქვენ-მიერ მოყვანილ მაგვარ სწავლას. იგი თუმცა წიგნური არ არის, მაგრამ **სიტყვიერია**, ჩვენ კი გვწადიან, რომ სწავლა **შრომისა**ც იყოს: როგორც იშრომე და იცხოვრე – არის ცხოვრების ჭეშმარიტი დედა-აზრი, სწორეთ ასევე გვინდა, რომ – **იშრომე და ისწავლე** გახდეს ყოველი სახალხო სკოლის დედა-აზრად, მის დედა-ბოძად!”

„თქვენ არ გჯერათ, რომ ხუთმა თუ ათმა დესეტინა მიწამ იმდენი შემოსავალი მისცეს სკოლას, რომ უკანასკნელს შეეძლოს სკოლის ყოველი ხარჯის გასტუმრება და ნიმუშად მოგყავთ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა, რომელსაც 50 დესეტინაზედ მეტი ადგილი აქვსო... აქამომდე იგი თუ ვერა ჭვარავდა ხარჯსა საკუთარი შემოსავლიდამ, ეს იმიტომ, რომ დრო და შეხედულობა ისეთი იყო, რომ ვითომ სკოლა მუდამ სხვისი ოფლით უნდა სცხოვრობდეს... აი, რამდენი ხანია, ჩაქრიჩინებთ, **სკოლა დამოუკიდებელი უნდა იყოს** და ვერაფერი შემისმენია თქვენთვის, ისე ველურად გერვენებათ თქვენ ჩემი სიტყვები. მაგრამ **მოიცათ ცოტა ხანი, საზოგადოება გამოფხიზლდება** (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

„თქვენ ბრძანებთ:

„სახალხო სკოლებში უმთავრესი საქმეა საზოგადო საგნების სწავლება და საზოგადო გონების განვითარება სკოლის მოწაფეებისა“.

„ცარიელი, ფუჭი სიტყვებია ეს სიტყვები, რადგანაც თქვენი გლახური, წიგნური სკოლა ყოვლად უღონო და უსახსროა მისწვდეს ამ უბრალო სურვილსაც კი. სულ სხვაა ჩვენი სკოლა: იგი სავსებით სწვდება ორსავე მიზანს!“ („მოგზაური“, N9-10, გვ. 708-712).

მონინალმდეგენი უმეტეს ფსევდონიმებით უფრო დაირაზმნენ ივ. როსტომაშვილის წინააღმდეგ პირად შეურაცხყოფასთან, სწავლა-აღზრდაში საკუთარი მრწამსის შეგინებასთან ერთად დაუნუნეს „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის“ გამოცემა, რომელთა შესახებ ივ. როსტომაშვილმა უპასუხა: „ქვეყნისათვის... ინავარდეთ, საქმე და მომავალი გამოაჩენს, ვინ არის ჩვენში მართალი და ვინ მტყუანი... ჩვენ რომ რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონის გამოცემას გვიკიჟინებთ, რომელიც ჩვენ მხოლოდ ასე იმიტომ დავინწყეთ, რომ საენციკლოპედიო მასალა შეგვემზადებინა ახლო მომავალში ნამდვილი ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოსაცემად და თქვენ“... იმის მაგიერ, რომ „უსაქმოდ თბილისის ტროტუარებზედ დაბრძანდებით... ორი-სამი საენციკლოპედიო წერილი მაინც დასწეროთ“-ო.

„როცა კაცს ჭკუა ან სიმართლე არ უჭრის, რომ მოკამათეს პირდაპირ შეებას და ნათელი საბუთებით წინააღმდეგი დაუმტკიცოს, იგი მოჰყვება და ერთს ქარ-ბუქს აყენებს, რომ ჩემი მონინალმდეგე ჯაშუშია, მოლაღატეა, მშიშარაა, სოფისტია, ორპირია...“ და სხ.

„რაც ჩვენი თავი გვახსოვს, წარბ-შეუხრელად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ერთი წამი, ერთი დღე-ღამე არ გასულა ისე, რომ ჩვენ, შეძლებისამებრ, მარად ჩვენის ქვეყნის ჭირ-ვარამი არ გვდებოდა წინ, რომ მარად დაულაღავი და უშიშარი მებრძოლი არ ვყოფილიყავით მის ყოველ ავთან და ახლაკი გამოსულა... (მიმართავს იმ დროის ერთ ერთს ცნობილ პუბლიცისტ-ფელეტონისტს) ქვეყანას აყრუებს, რომ ჰარიქა, როსტომაშვილი მოლაღატეა, შორს მისგან“-ო... .. მშიშარა ტურასავით იმალები და პირადს კამათში სახელ-გვარსაც არ აცხადებ?! ... ფუჭო ლიკლიკავ, თითონ რომ არ შეგიძლიან საქმე და ქვეყნის სამსახური, სხვას მაინც რად უშლი?“

... ჩვენ ვმოქმედობთ საქვეყნოდ, აშკარად, დაუფარავად, ცხადად, ისე როგორც შეჰფერის ყოველს მართლის მომქმედს და ამიტომ მარად და ყველგან ქვეყნისათვის სასარგებლოდაც ვმოქმედობთ... ჩვენ იმას ვაკეთებთ და ვწერთ, რაც მიგვაჩნია ამა თუ იმ საუკეთესო საქმის და გარემოების და მბადებლად ქვეყნისთვის...“

ილაშქრებს რა პირად მოკამათეთა წინააღმდეგ, ივ. როსტომაშვილი განაგრძობს:

„ამით მე იმას როდი ვამბობ, რომ კრინტს ნუ ამოვიღებთ ამა თუ იმ საგანზედ, ნუ ვიკამათებთ. სრულიად არა. პირიქით, დიდად სასიამოვნო და სასარგებლოც არის მწერლობაში სხვა და სხვა ორღანოთა აზრის გაზიარება, მაგრამ მხოლოდ ერთს პირობაში: ხელშეუხებლად დაცულ იქმნას მწერლის პიროვნება და განსაკუთრებით ისეთის სიტყვებით მათი მოხსენება, როგორებიც არიან: „ქვეყნის მოლაღატე“, „ჯაშუში“, „იმდენად საშიში პირდაპირ მოსული მტერი არ არის“, „ისევ პირდაპირი გამცემი სჯობია“ და სხვა ამისთანები. ასეთი მოკამათენი მწერლობის იუდეზად უნდა იქმნენ აღიარებულნი და ერთხელ და სამუდამოდ მათთვის ყოველი პატიოსანი რედაქციის კარები დახშულნი, თუ გვინდა, რომ ჩვენმა მწერლობამ და აზრმა იდღეგრძელოს და წარმატებით წინ იაროს...“ („მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 712-722).

\* \* \*

პიროვნების განვითარებისათვის, საზოგადოების ყოველი წევრის პირადი ღირსების გამოჩენისათვის საჭიროა „...მოსწავლის, მისი ბუნების და კვალად, აღზრდა-განვითარება არის ძირითადი მოთხოვნილება პედაგოგისა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორ შორს არის ჩამორჩენილი დღევანდელი სკოლის წეს-წყობილება პედაგოგის ამ დიადი დებულების შესრულებიდან!? დღევანდელი სკოლა მისდევს მხოლოდ მთელი კლასის, როგორც ერთიანის ბრბოს, გახსნას და არა ყოველი მისი წევრის პიროვნების განვითარებას...“ („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 10-13). „მოგზაურ“-ის

ამავე ნომერში მოათავსა „პედაგოგიური ეტიუდი (ვუძღვნი ახალ სახალხო სკოლას)“, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერდა: „... აღსდევ და მხნედ შეუდექ შენის მშობელის ხალხის და მის უმანკო ძეთა ჭეშმარიტ აღზრდას! ... იყავ თავისუფალ და დამოუკიდებელ! გეყო საუკუნოების მონობა და გლახაობა... დაუმტკიცე ქვეყანას, რომ მარტო შენ ხარ ნამდვილი და ჭეშმარიტი აღმზრდელი ხალხისა და მის ძეთა!.. იყავ დღეგრძელ და ნაყოფიერ!..“ („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 49).

და აი როცა ივანე როსტომაშვილი ასე გულმხურვალედ ჰქადაგებდა საზოგადოებისა და მოზარდი თაობის საკეთილდღეოდ, როცა სახალხო სკოლას განათლებისკენ მოუწოდებდა, გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1904 წ. იანვრის 1-ლ ნომერში (N2368) შექსპირის სიტყვით „ჭკუას ასწავლიდა“:

„ივან პავლოვიჩს:

„ჯერ ჭკუა უნდა გესწავლა და მერე დაბერებულიყავ“.

(„მეფე ლირი“).

ივ. როსტომაშვილის ეს აზრები იმ დროს განუხორციელებელ ოცნებად, წრეს გადასულ ფანტაზიორობად მიიჩნიეს. დღეს კი მთელი ჩვენი ქვეყანა სკოლებით მოიფინა უკვე და ნათლად გამოჩნდა, ივ. როსტომაშვილი რა შორს იყურებოდა...

მონინალმდეგებთან ივ. როსტომაშვილს მომხრენიც ჰყავდა. ტ. ართმელაძემ წერილში „დღევანდელ პედაგოგიაში აღძრულ კითხვის გამო“ გაარკვია სწავლა-განათლების მდგომარეობა ჩვენში, პასუხი გასცა ივ. როსტომაშვილის მოკამათებს და ამტკიცებს, რომ ივ. როსტომაშვილი საღ პედაგოგიურ, ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო გზას ადგაო...

„თუ კი ვინმეს შეუძლია სთქვას, რომ მე ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიღწვიო, ეს დღეს სწორეთ ბ. ივ. როსტომაშვილს შეუძლია სთქვას; მით უფრო, რომ მისი დღევანდელი მოქმედება-მიმართულება ხალხის ინტერესებთან მჭიდროთ არის შეკავშირებული. და თუმც ზოგიერთები მისს ასეთ მოქმედებას ხელს უშლიან უწმინდური ლანძღვა-გინებით და ოხუნჯობით, ამის შესახებ მათს საქციელს მომავალი დასდებს მსჯავრს“... („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 14-48; აგრეთვე ცალკე გამოცემული).

„ჭეშმარიტების მოყვარემ“ ის აზრი გაატარა (წერილში „ქართველი პედაგოგები და ქართული პედაგოგია“), რომ „უწინდელს ჩვენს მასწავლებლებს და აღმზრდელებს არ დაუტოვებიათ ჩვენთვის არავითარი გონივრული შემეცნებანი სწავლა-აღზრდაზე და არც მტკიცე გამოკვლევანი ბავშვების ფიზიკურ თუ სულიერ განვითარების შესახებ.

... „მარტო როსტომაშვილს ვეგებებით ჩვენ, როგორც პირველ ქართველს მოღვაწეს პედაგოგიის სამწერლო ასპარეზზე, რომელიც არ

კმაყოფილდება უცხო ლიტერატურიდგან გადმონერგილი პედაგოგიური იდეებით, არამედ დასძენს მათ თვისს-მიერ დამოუკიდებლად შემუშავებულ იდეებსაც. რასაკვირველია, დიდი წინდაუხედაობა და თავის-თავის მსასო-ებლობა იქნებოდა ვსჭვრეტდეთ ამაში დასაბამს ქართულ დამოუკიდებელ პედაგოგიკისას... .. მინც თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ როსტომაშვი-ლმა, ყოველ დაბრკოლებათა გარეშე, ფრიად ბევრი იღვანა მისთვის, რომ დაეჩქარებინა ეს დასაბამი... იგი არ არის მხოლოდ თეორეტიკი, არამედ მასთანვე პრაქტიკული მოღვაწეცაა...

„როსტომაშვილმა თითქმის უკვე დაუდვა დასაბამი ქართულ ნაციონა-ლურ პედაგოგიკას...“ („მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 723-726).

ასეა თუ არა, ამ საკითხს კიდევ შესწავლა ესაჭიროება.

\* \* \*

ცნობილია, რომ მეფის რუსეთსა და, მაშასადამე, საქართველოშიაც ხალხის სწავლა-განათლების საქმე დაბლა იდგა. ხალხის განათლებაზე თითქმის არავინ ფიქრობდა. არსებულ სასწავლებელთაგან ერთი რიგის სასწავლებლები – ე. წ. გიმნაზიები და პროგიმნაზიები – გაბატონებულ წო-დებას ემსახურებოდა, უმეტესად მოხელეთა გამოსაზრდელად; მეორე სა-ხის სასწავლებლები – სასულიერო სემინარიები სამღვდელოების მოსამზა-დებლად იღვწოდნენ, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების დაბალი სკოლები იმავე მიზანს, სოფლის სკოლები მხოლოდ იმდენ ცოდნას აძლე-ვდნენ მოწაფეებს, რომ წერა-კითხვა და საღმრთო სჯულის საფუძვლები სცოდნოდათ, მაგრამ არსებული სასწავლებლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ხალხის მოთხოვნილებას, დიდი უმრავლესობა სკოლისგარეთა რჩებოდა, სკოლაში შესვლა მხოლოდ ძლიერ მცირე გამონაკლისს ბედნიერთა ხვე-დრი იყო.

ამ სავალალო მდგომარეობას შეეხო, სხვათა შორის, ჩვენი ქვეყნის სი-ავკარგის ერთი ჭირისუფალთაგანი ანთიმოზ ჯუღელი („ივერია“, 1903 წ. N194), რომელმაც აღნიშნა ქუთაისის გუბერნიაში საკმაო სასწავლებლები არა გვაქვს, კანიკულები კიდევ ძველებურად გათავდა... კიდევ გაისმის საყოველთაო გლოვა-ტირილი: „მთელი მცხოვრების ¼% სწავლობს. ასე, რომ უსწავლელი რჩება 99¾%“-იო.

ივ. როსტომაშვილმა ეს წერილი თავის ჟურნალში („მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 163-170) გადმობეჭდა, მშვენიერი წერილიაო, „მაგრამ ვერც მა-შინ მოისპობა ეს ტირილი და გოდება ჩვენის მშობლებისა, ... როცა ქუთა-ისშიაც დაარსდება ერთი ჩვენი საშუალო სასწავლებელი... „ქვა-კუთხედად მთელი ჩვენი ერის განათლებისთვის უნდა დაიდვას ახალი სახალხო სკოლა

და ასეთი სკოლები დაარსებულ უნდა იქმნას ყველგან, სულ უკანასკნელ მიყრუებულს სოფელშიაც კი“-ო.

სწავლა-აღზრდის საკითხებს ივ. როსტომაშვილი სამარის კარამდე უტ-რიალებდა, დრო და დრო წერილებს უძღვნიდა ხოლმე... სხვათა შორის თავის ორ კაპეიკიან გაზეთ „სინათლე“-ში გამოსთქვა აზრი, რომ **„ნამდვილი სკოლის საფუძველი კურსი კი არ უნდა იყოს, არამედ საგნის კლასი“**... „სწავლა ინტეგრალური უნდა იყოს და არა ისეთი ცალმხრივი, როგორიც ახლაა, რომ ჩვენი მოვალეობაა **შევექმნათ ახალი – ასე ვთქვათ, ჯიში გაუკეთესებულის ადამიანებისა, რომელთაც ერთგვარად კარგათ შეეძლოთ თვისი ორივე ბუნების მოხმარება – სულიერისა და ფიზიკურისა, გულ-თავისა და ხელ-ფეხისა...**“ „მათემატიკა ფრთას ისხამს მარტო მაშინ, როცა მას ვრცლად ხმარობთ სამეურნეო-სამრეწველო სატეხნიკო საქმეებში... რატომ არ გინდათ გაიგოთ და იწამოთ, რომ ყოვლად ფუჭია ბუნების მეტყველებისა, პოლიტიკურ ეკონომიისა, ისტორია-გეოგრაფიისა და ფილოსოფიის შესწავლა მარტოდენ სკოლაში სამეურნეო-სამრეწველო სატეხნიკო საქმეთა გარეშე...“ („სინათლე“, 1911 წ. N58-59).

ივანე როსტომაშვილის სასწავლო-სააღმზრდელო მსოფლმხედველობა სავსებით გამოთქმულია მის მიერ შედგენილ „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“-ში (1920 წ.).

ამ წიგნში, რომელიც გამოცემულია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს საფასით, საკმაო პოპულიარობით და დალაგებით გადმოცემულია უშუალო დაკვირვებაზე დამყარებული აზრები, რასაც მასწავლებელთა და მშრობელთათვის ერთგვარი მნიშვნელობა ექნება, მით უფრო, რომ თუ სერიოზულ პედაგოგიურ შრომებზე არაფერს ვიტყვით, პოპულიარული ლიტერატურაც კი ამ საკითხისათვის სრულიად არ მოგვეპოება (პროფესორი შალვა ნუცუბიძე. 22 იანვარი, 1920 წ.).

ივ. როსტომაშვილის აზრით, პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის შესწავლა თითოეული მშობლისა და აღმზრდელისათვის უპირველესი მოვალეობაა, „მხოლოდ მონოდებით აღტყინებულ მასწავლებელს შეუძლიან იქონიოს იმედი, რომ იგი პირნათლათ შეასრულებს მასწავლებლის დიად დანიშნულებას... მასწავლებელი უნდა იყოს ყოვლად მომზადებული, ყოვლად მომნიფებული ... უნდა ჰქონდეს უკვე უწყებული, განმტკიცებული რწმენანი და შეხედულებანი, როგორც საზოგადოთ ჩვენი რესპუბლიკის ჭეშმარიტი მოქალაქისა, ისე, მეტადრე,“ მასწავლებლებლობისა... სწავლა უნდა იყოს საყოველთაო, რადგან „ამაოა საყოველთაო სწავლის გარეშე ყოველი ცდა საყოველთაო წინსვლისა და ბედნიერებისათვის“.. „ყოველი პირველ-დაწყებითი სწავლა-აღზრდა უთუოდ უნდა შეფერებული იყოს ბავშვთა ბუნე-

ბასთან, ... უთუოდ უნდა იყოს ყოვლად თვალსაჩინო და საგნური. ... სკოლამ უნდა მისცეს ბავშვებს არა მარტო ცოდნა და განვითარება, არამედ თან კარგი აღზრდა და ზნეხასიათებიც, რომ კარგი და სასარგებლო წევრნი გამოვიდნენ ოჯახისა და სამშობლოსათვის. **სწავლა სკოლებში უნდა დამყარებული იყოს უთუოდ ბავშვთა თვით-მოქმედებაზე**, რადგანაც სწავლა-აღზრდის მიზანია არა მარტო ცოდნის მიცემა, არამედ თან ბავშვთა მთელი არსების, მთელი მათი ნიჭების და ძალების განვითარება; ამიტომ, ჩვენ ისინი, სწავლის პირველ დღიდანვე უნდა შევაჩვიოთ თვით-მოქმედ საქმიანობას თუ შრომას, რადგანაც ბავშვთა შინაგანი ძალების გახსნა შეიძლება არ ცარიელი ცქერით და სმენით, არამედ მხოლოდ ნამდვილი საქმით და მოქმედებით“. ჩვენი ბრწყინვალე მომავალი მხოლოდ ჩვენი ბავშვების აღზრდის გონიერ დასაბამზეა დამოკიდებული და აღზრდის დასაბამი კი მხოლოდ საბავშვო ბაღია: აქ ყოველი ცოდნის ცენტრი უნდა იყოს ბუნება, – პირველ დაწყებითი სწავლა-აღზრდაში ყოველივე ბუნების და ცხოვრების შესწავლას უნდა ექვემდებარებოდეს... ჭეშმარიტი პირველდაწყებითი სწავლა-აღზრდის საღვთო მოვალეობაა, ყოველი საშუალებით გაუღვიძოს და აღუძრას ბავშვებს სიყვარული მათ გარშემო მყოფ ცხოვრება ბუნებისადმი, რომ ხელშეუშლელად შეეძლოთ თავისი შემოქმედებითი ნიჭიერების განხორციელება როგორც თვით უნდათ და არა ისე, როგორც ეს დიდებს უნდათ... „უპირველესი საგანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უნდა შეენიროს ყოველი მასწავლებელი და ყოველის ღონით ეცადოს მის აღორძინება-აყვავებისათვის, არის სამშობლო ენა“.

ასეთი იყო თეორიაში და რასაც თეორიულად ასწავლიდა, პრაქტიკულად, საქმითაც ისე ირჯებოდა. უფრო მეტიც: ვანოს სწამდა, თუ ბუნებით მონოდებული მასწავლებელი არა ხარ, აიღე შენი ბარგი ბარხანა და მოშორდი ბაღებს, ხოლო მოწაფე რომ რიგიანად აღზარდო, მის გულშიაც ადგილი უნდა ჰპოვო, ე. ი. მოწაფეს თავი შეაყვარო.

ივანე როსტომაშვილი კი ამ მხრივ იშვიათი პედაგოგი იყო.

აი, მის პრაქტიკული პედაგოგიურ მოღვაწეობიდან ერთი მისი მრავალთაგანი ნამონაფარი (საქართველოს მუზეუმის თანამშრომელი თამარ ნათიშვილი-იოსავასი) რას მოგვითხრობს:

„მიუხედავად იმისა, რომ თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა ინსტიტუტში უმრავლესობა ქართველობა სწავლობდა, ქართულ ენას უკანასკნელი ადგილი ჰქონდა დათმობილი, – ეს იყო მე-ნ-ე გაკვეთილი, როგორც ხატვა, სიმღერა და სხვა. თუ ჩვენში ღვიოდა ქართული ენის სიყვარული, ეს იყო ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის წყალობით, რომელმაც შეგვაყვარა სამშობლო ენა.“

ჩვენ ის გვიყვარდა არა როგორც მარტო მასწავლებელი, არამედ როგორც მამაც, – ის იყო ადამიანი გრძნობიერი ფაქიზი. მის შემოსვლას კლასში მონაფენი გულის ფანცქალით ველოდით. მაგრამ ჩვენი სასწავლებლის კედლები მას არ აძლევდა საშუალებას, რომ ჩვენი ცოდნა უფრო გაედრმავებინა.

ერთხელ ჩვენი დიდი თხოვნის შემდეგ, რომ ჩვენთვის გაეცნო საქართველოს ისტორია, მთელი კლასი სულ განაბული ვუსმენდით, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ამ დროს შემოვიდა ჩვენი კლასის დამრიგებელი პაპოვისა, რომელმაც დაცინვით მოგვმართა:

– „სულ ლაპარაკო, სულ ლაპარაკო“. – შემდეგ მიუბრუნდა ივ. როსტომაშვილს: „ბავშვებს ნუ სტვირთავთ ზედმეტი ლაპარაკითო“.

ივ. როსტომაშვილმა წყენით გვითხრა:

– აი, ხომ ხედამთ, საშუალებას არ მაძლევენ, გიამბოთ რამე... თქვენ კი სულ მუდამ მთხოვდით გვიამბეო.

და გულნატკენი გავიდა.

ჩემს ხსოვნაში მუდამ იცოცხლებს ივანე როსტომაშვილი, როგორც შესანიშნავი მასწავლებელი და აღმზრდელი“.

ასეთი იყო ივ. როსტომაშვილი პედაგოგიური მოღვაწეობის შუახანში. როგორი იყო მიწურულს?

ივ. როსტომაშვილი სამარის კარამდე ენთუზიასტ მასწავლებლად დარჩა.

აი, რას მოგვითხრობს პედაგოგიისგან სრულიად განზე მდგომი მწერალი დ. გაბრუაშვილი:

„1922 წ. თელავში ვიყავი. ნავედი მეფე ირაკლის სახლის დასათვალიერებლად, სადაც სკოლა იყო მოთავსებული ივანე როსტომაშვილის ხელმძღვანელობით.

„დამინახა თუ არა ივანემ, წინ მომეგება და მითხრა:

– მოდი, ნახე დღევანდელი ჩვენი სწავლა იმ წყეული წარსული დროისას არა ჰგავს. მაშინ ჩვენ დედა-ენაზე ლაპარაკსაც გვიშლიდნენ, არამც თუ ჩვენს ენაზედ სწავლასო“. და აქ ივანე როსტომაშვილმა მოიგონა წინანდელი ამბები, როცა საქართველოში ახლად დანიშნული ინსპექტორი ლევიტსკი თავისი მუნჯური მეთოდით ცდილობდა ქართველი ხალხის შვილები გაერუსებია და ჩვენს ენას ძაღლის ენას ეძახდა“-ო, – მაგრამ იმ სულელმა უფრო ბევრი დაკარგეს, ვიდრე მოიგეს. დღეს ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ თავისუფლება მივიღეთ და ჩირალდნით ხელში სწავლა-განათლების მონყურებულს ახალთაობას წინ ვუძღვით მშობლიური ენითაო.

აქ მონაფენი წამოდგნენ და ყველამ თითო ლექსი სთქვეს. მე ძლიერ კმაყოფილი დავრჩი ლექსების ლამაზად გამოთქმით“.

ივ. როსტომაშვილის პრაქტიკულ პედაგოგიურ და სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას დიდი სიყვარულით იგონებს, როგორც საუკეთესო პედაგოგის და მოღვაწისას, ჩვენი პოეტი იასამანი (იგივე მიხ. კინწურაშვილი – დამსახურებული მასწავლებელი და ლექტორი).

# VII

## პრაქტიკული კვლევა



წიგნის სწავლა ნათელია,  
უსწავლელობა ბნელია,  
ანბანს გასწავლი, ეცადე,  
მაგრამ მოჰკიდე ხელიო!..

**იოსებ დავითაშვილი**

ხალხის სწავლა-განათლებით ივანე როსტომაშვილი ისე იყო გატაცებული, რომ არა თუ სკოლის მონაფეხებს და ხალხს სკოლის გარეთ ასწავლიდა, არა თუ გაზეთებში სწერდა, ყველას სწავლა-განათლებისაკენ მოუწოდებდა და სწავლის ადვილად მიღების გზას უჩვენებდა, არამედ საკუთარი ჯიბიდან გაღებული წვლილითაც ეხმარებოდა.

აი, ერთი საბუთთაგანი:

„ივერიის“ რედაქციას.

„პატივი მაქვს განუცხადო პატივცემულ „ივერიის“ რედაქციას, რომ მე დიდის სიხარულით ვინატრი ვირიცხებოდე წევრათ (ხუთი მანეთი წილის ფულით წელიწადში) იმა საზოგადოებისა, რომელიც სდგება ჩვენში გიორგი რ. ერისთავის მეცადინეობით და რომელსაც თვის მიზნათ ექმნება ხელი შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბ ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავად-აზნაურებს, რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მიჰსცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებლებში.

ღმერთმან ხელი მოგვიმართოს.

კახის მასწავლებელი ი. პ. როსტომაშვილი

18 ნოემბერს 1877 წ. („ივერია“, 1877 წ. N41).

წერილში „ჩვენი შკოლა“ („ივერია“, 1878 წ. N29) აღტაცებით შეეგება თბილისში შემდგარ ამხანაგობას სკოლის გასახსნელად, ამავე დროს განაცხადა:

„არა სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენენ ამჟამად ჩვენს სამშობლოში მყოფი შკოლები! ვამბობ „არა სანუგეშო“, რადგანაც არც ერთი მათგანი არ

არის დაფუძნებული ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზედ, ასე რომ მათ შორის ვერც ერთს ვერ შეუძლიან გაბედვით უწოდოს თავის თავს „სახალხო შკოლა“... აწინდელი შკოლები მაგიერ ზნეობისა და სხეულის აღზრდისა და ქუა-გონების გახსნისა, სრულიად ამხოზენ და აკერპებენ ჩვენ ნორჩ შვილებს!“ და სხ. („ივერია“, 1878 წ. N29, გვ. 7). შემდეგ არკვევს რა სწავლა-აღზრდის საქმეში პედაგოგის მიზანს, ახლოდამ და ადვილიდამ – შორეულზე გადადის. კითხულობს: აბა, ერთი მითხარით, უახლოესი და უადვილესი სწავლა (პირველ დაწყებითი მაინც) **სხვა რა ენაზე შეიძლება, თუ არა სამშობლო ენაზე?** (ხაზი ჩვენი. ი. ი.). „მგონია ყველა დარწმუნებით მეტყვის, რომ სამშობლო ენაზე არამც თუ მარტო ძალიან ადვილი იქნებაო სწავლა, არამედ უფრო მარდი, უფრო ნაყოფიერი იქნებაო!“ – აქ მოჰყავს კომენსკის აზრი, შემდეგ განაგრძობს: „მაშ თუ ეგრეა, ჩვენ შკოლაში, ყოველი სწავლა უნდა მიდიოდეს სამშობლო ენაზე, იმ სამშობლო ენაზე, რომლის შესწავლითა და შემწეობითა, ჩვენ ძლიერ ადვილათ მივალწვეთ შორეულის, ძნელის (ე. ი. რუსულის ენის) შესწავლასაც“ და სხ. („ივერია“, 1878 წ. N29, გვ. 7-8).

ამას სწერდა ივ. როსტომაშვილი ჯერ კიდევ 1878 წ., 71 წლის წინად, ამავე აზრს იმეორებდა 1896 წ. საერთო კრებაზე (იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტფილისი, 1928 წ. ტ. 9, გვ. 286-287).

ვგონებ, საჭირო აღარაა ვამტკიცოდ, ივ. როსტომაშვილი სამშობლო ენის სწავლებას როგორ უყურებდა.

ივ. როსტომაშვილი ყველგან და ყოველ შემთხვევაში დამოუკიდებელი, თავისებური, ორიგინალური და მებრძოლი პედაგოგი იყო. ახალგაზრდობიდან მოხუცებულებამდე ამ რწმენისათვის არ გადაუხვევია. მას უყვარდა მიმდინარეობის წინააღმდეგ წასვლა, საკუთარი აზრის გამოთქმა, თავისებური მოქმედება, რითაც ხშირად მონინააღმდეგეთა აღშფოთებასაც კი იწვევდა.

1878 წ. სექტემბრის 28-მდე ქ. თბილისში მიმდინარეობდა „ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება“ სასკოლო საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად და სანიმუშო გაკვეთილების მისაცემად.

1878 წ. 15 სექტემბერს სხდომის დროს კამათი გაიმართა საღმთო წერილის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლების შესახებ. მასწავლებელთა უმეტესობა ამბობდა: „პირველს ნელში ჯერ ბავშმა უნდა გაიცნოს ღვთაება, რას ნიშნავს პირჯვარის წერა, რისთვის ვლოცულობთ, სად ვლოცულობთ და სხვ.“ („ივერია“, 1878 წ. N37). ივ. როსტომაშვილმა მათს წინააღმდეგ გაილაშქრა და მოითხოვა: რაკი ეს ასეა, მაშინ მონაფეებს განყენებულ ცნებების ნაცვლად ვასწავლოთ „იმ მონამეთა ცხოვრება, რომელნიც ჩვენს ხალხში პატივცე-

მულნი არიანო“, ე. ი. ამასთან დაკავშირებით მოწაფეთ ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოს ისტორია უნდა ვასწავლოთო.

ამავე წლის 15 სექტემბერს გაირჩა საკითხი: „რა წიგნი უნდა მივსცეთ ყმაწვილს საკითხავათ, რომ მან სამშობლო ენა შეისწავლოს რიგიანათო. მასწავლებლები, გარდა ივ. როსტომაშვილისა, ამბობდნენ: რადგანაც სხვა წიგნი არა გვაქვს გარდა „ბუნების კარისა“, ეს წიგნი უნდა ვიხმაროთო. მაგრამ უფ. როსტომაშვილი ამაზე არ თანხმდებოდა, რადგანაც „ნამდვილის“ ქართულის ლიტერატურის ენით არ არის დაწერილი „ბუნების კარიო“ („ივერია“, 1878 წ. N37).

ივ. როსტომაშვილის ამ განცხადებამ იმ დროს ისე გაიხმაურა, რომ მას შემდეგ დიდხანს არ ივინყებდნენ და ასეთს განცხადებას სასტიკ დანაშაულად, მკრეხელობად უთვლიდნენ. ივ. როსტომაშვილი კი წმინდა პრაქტიკული პედაგოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა და იმ საალმზრდელი რწმენით, რომ რასაც ასწავლი – რიგიანად და სწორედ უნდა ასწავლოო, ხოლო ივ. როსტომაშვილი რომ ქართულის ენის ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანი იყო, ამას მისი მტრებიც კი არ უარყოფდნენ.

20 სექტემბერს, იმავე კრებაზე განიხილეს: „ქვეყნის ცნობის (Мировѣдѣнiе), ხატვის, წერის, ანგარიშის და სხვა „წვლილმანის“ საგნების პროგრამა. პროგრამა წინათვე მომზადებული ჰქონდათ. ამას კითხულობდა უფ. დირექტორი, და ეკითხებოდა მასწავლებლებს, მოსწონთ თუ არა. ესენიც ეუბნებოდნენ: ძალიან კარგიაო. **ამათი თანახმა არ გახდა უფ. ვანო როსტომაშვილი**, მაგრამ ერთს კაცს ოც და ათ კაცთან რა მნიშვნელობა მიეცემოდა. ამის ხმა დარჩა ხმად ლაღადებასა უდაბნოსა შინა“ („ივერია“, 1878 წ. N38. ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ასეთი იყო ივ. როსტომაშვილი გუბერნიის მასწავლებელთა კრებაზე, 30 პედაგოგის შორის ერთად ერთი, თავისებური, ზოგჯერ აბუჩად აგდებული, მაგრამ რჩეული. აი, იგივე მემატიანე რას ამბობს:

„12 სექტემბერი. გაკვეთილებს დღეს ორი მასწავლებელი ასწავლის. უფ. ივანე როსტომაშვილი... და უფ. ყიასაშვილი. **როსტომაშვილი ეტყობა ბეჯითა და მუყაითი თავის საქმისა**. ეს იმან დღეს დაამტკიცა მაყურებლებთან. უნდა ვსთქვათ, რომ **როსტომაშვილი ეკუთვნის ეხლანდელის მასწავლებლების საუკეთესო რიცხვსა**. ამას ყველგან სოფელში შეუძლიან თავისი სიმუყაითე გამოიჩინოს და მით მოუტანოს სარგებლობა თავის თანამემამულეს (ხაზი ჩვენია. ი. ი.). მეორე მასწავლებელი უფ. ყიასაშვილი, რასაც ენით ლაპარაკობს, იმას საქმით ვერ ასრულებს“ („ივერია“, 1878 წ. N37).

მე მგონი განმარტება მეტია. ეს სტრიქონები დაწერილია 1878 წ. შედარებით შავ ბნელ ხანაში და სწორედ იმ კაცისაგან, რომელიც ივ. როსტომაშვილის პირველ გაკვეთილს გულცივად შეეგება (სხვებისა გააბათილა).

როგორც ცნობილია, ივ. როსტომაშვილმა ეს აზრი შემდეგში თავისი მოღვაწეობით გაამართლა.

ივ. როსტომაშვილმა თავისი პრაქტიკული პედაგოგობა და სწავლა-აღზრდაში ორიგინალობა, თავისებურება, სხვათა შორის ჯავახეთში მოღვაწეობის დროს გამოიჩინა და 1893 წ. წერილობით გამოამჟღავნა იმ დროის რუს ცნობილ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალში.\*

ამ ჟურნალში მოათავსა წერილი „კითხვა როგორც საძირკველი სწავლებისა და განათლებისა“ («Чтение как основа обучения и образования»), რომელსაც ეპიგრაფად წაუძღვარა პიროგოვის სიტყვები:

„შთაგონების გარეშე არაა ნება, ნების გარეშე არაა ბრძოლა, ბრძოლის გარეშე – მხოლოდ არარაობა და ძალადობა“ («Без вдохновения нет воли, без воли – нет борьбы, а без борьбы – только ничтожество и произвол». Н. И. Пирогов).

ამ სიტყვებში გამოიხატა ივ. როსტომაშვილი მთელი თავისი დაუცხრომელი საქმიანობით.

ზემოხსენებულ წერილებში ივ. როსტომაშვილი, სხვათა შორის, ამბობს:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ თანამედროვე სწავლა-განათლების წესი არა თუ არ აკმაყოფილებს განვითარების მოთხოვნილებას, მხედველობაშიც არა აქვს. თანამედროვე განათლების ნაკლი იმაშია, რომ თვისი არსებობის მიზანი ნათლად არა აქვს წარმოდგენილი და რაც მთავარია საუკუნედან საუკუნემდე მტკიცედ მისდევს ნეტარ ხსენებულ, დახავსებულ წარსულის სქოლასტიკურ სწავლების წესს. ამბობენ მე-18-ტე და 19-ტე საუკუნეებმა საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკა მოკლესო, მაგრამ ეს საეჭვოა: ეს ახლაც ცოცხლობს სრულის ძალით, თუმცა შესაძლოა უფრო ჰუმანიური ფორმით.

მსოფლიოს შესანიშნავი პედაგოგები ყოველთვის და ყოველგან ამტკიცებდნენ და ახლაც ამტკიცებენ ისეთი სწავლა-განათლება აუცილებელი, რომლის ძალითაც ადამიანს შეეძლოს შეგნებით და თავისუფლად აღასრულოს სიცოცხლის დანიშნულება, ცხოვრების ამოცანა. გარნა მიჩვენეთ სად, რომელი სკოლა მიისწრაფება აქეთკენ, რომელი სკოლა ხედავს ამაში თავის დანიშნულებას?

პირიქით, თანამედროვე განათლების წესი და დებულება ისეთია, რომ იგი ბოლოს კლავს ამ ყოველად შემძლე ყოველთა მიერ საძებარს, მაგრამ არვისგან მიგნებულს თვითმოქმედებას, ამ ყოველის დამამარცხებელ სიყვარულს და ჩვევას, დამოუკიდებელ მუყაით შრომას, ამ ამოუშრეტელ შთა-

---

\* Вестник воспитания. Научно-популярный журнал для родителей и воспитателей, издаваемый под редакцией Д-ра Е. А. Покровского, 1893 г. №8, стр. 77-108.

გონებას, რამაც შეიძლება სრულიად აღასრულოს თავისი გონივერი დანიშნულება“.\*

თუ როგორ უნდა მოწყობილიყო მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდა, ჩვენ უკვე საკმაოდ გავარკვიეთ ამ წიგნის სხვა განყოფილებებში და აქ აღარ გავიმეორებთ.

ჩვენ ვთქვით, რომ ზოგნი აბუჩად იღებდნენ ხოლმე ივანე როსტომაშვილის აზრსა და საქმიანობას. გონიერი და შორს მჭვრეტელი კაცი, ხალხის სწავლა-აღზრდით დაინტერესებული სულ სხვანაირად უყურებდა ამ თავის დროის მონინავე, მებრძოლ პედაგოგს.

აი, მაგ. სამშობლო ქვეყნის დიდი მოამაგე, ჩვენი ეროვნულ-რევოლიუციურ მოძრაობის მეთაური, პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, როგორ უყურებდა. იგიც მოითხოვდა: „როგორც ი. როსტომაშვილი და სხვები, რომ სამეურნეო სკოლები პირველ დანყებითი სასოფლო სკოლების ბაზაზე აგებულებდნენ, რომ მონაფეებს უკვე სამეურნეო სკოლაში შესვლამდე ჰქონოდათ ზოგადი განათლების მინიმუმი“ და სხ. (ილია ჭავჭავაძე. პედაგოგიური თხზულებანი. პროფ. გ. თავიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. 1938 წ. გვ. 55). ილია ჭავჭავაძე ყურადღებით მოეპყრო ივ. როსტომაშვილის 1881 წ. ილია წინამძღვრიშვილის სასკოლო გეგმის განხილვისას: „როგორც „დროებაშივე“ ამბობდა ბ. როსტომაშვილი, ვიდრე სხვადასხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებს სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო“ და სხ. (იქვე. აგრეთვე, იხ. ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. 7, 1928 წ. გვ. 309).

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

1896 წ. დეკემბრის 23-ს სათავადაზნაურო სკოლის თათბირზე ივანე როსტომაშვილმა გამოსთქვა აზრი სასურველი სკოლის ტიპის შესახებ. ამ აზრს ილია ჭავჭავაძემ „ძარღვიანი აზრი“ უწოდა. აი, მოვუსმინოთ:

„მინამ ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, – და რა სახის და პროგრამის უნდა იყოს ჩვენი სკოლაო, ბ-მა როსტომაშვილმა წარმოსთქვა, რომ თქვენ დღეს სკოლა არა გაქვთო. ეგ თქვენი სკოლა თავისად-კი არ არისო, მსახურია სხვისა სკოლისაო. თუ გნებავთ თქვენი საკუთარი სკოლა იქონიოთ, სხვის მოსაწონებლად კი არ უნდა იყოს, ჩვენი საკუთარი მოსაწონებელი უნდა იქმნესო, ჩვენ და მარტო ჩვენ უნდა გვახეიროს, მარტო ჩვენი გამოსადეგი, ჩვენი სვე-ბედის ამტანი და გამტანი უნდა იყოსო. თუ ასეთის თვალთ და-ვუნყებთ ყურებას ჩვენს სკოლას, ადვილად დავინახავთ, – რა სახისა და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის საჭიროო.

\* Вестник воспитания..., 1893 г. №8, стр. 78.

მართალია, თუ არა ბ-ნი როსტომაშვილი, ამის გამოძიება ჩემის ლექციის საქმე არ არის. ხოლო იმისი თქმული იმისთანაა, რომ ვისაც თვალნი აქვს ხედვად და ყურნი სმენად თვალიც უნდა აეხილნა და ყურებიდამაც ბამბა გამოედო. ჩემის ფიქრით, ცოდვება, ასე თუ ისე თვალი და ყური არ ათხოვოს კაცმა ამ ბ-ნ როსტომაშვილის მიერ გამოთქმულს დედა-აზრსა და თავისს სასწორზე არ ასწონ დასწონოს ან საჰოოდ, ან საარაოდ. ამისთანა ძარღვიანმა აზრმა განუკითხელად არ უნდა ჩაიაროს, თუ ჭკუა ჭკუობს და გული გულობს სადმე“ („ივერია“, 1896 წ. N22; ილია ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული. ტფილისი, 1928 წ. ტ. 9-რე, გვ. 286-287; აგრეთვე, მისივე, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. 1938 წ. გვ. 371).

ყველა ამის შემდეგ დიალაც მართებულად ირჯება პატივცემული პროფ. გ. თავზიშვილი, როდესაც ივ. როსტომაშვილს ილია ჭავჭავაძის სახელოვან პლეადაში (ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ივ. როსტომაშვილი, ნ. ცხვედაძე, ვ. მიქელაძე, გ. იოსელიანი, შემდეგ ლ. ბოცვაძე და სხ.) იხსენიებს (იხ. ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. 1938 წ. გვ. 81, 107).

ჩვენი ერის ბრწყინვალე მომავალი ივ. როსტომაშვილს ღრმად სწამდა, ოღონდ შესაფერი სწავლა განათლებით აღიჭურვეთო: ამიტომაც ყველგან და ყოველთვის ივ. როსტომაშვილი ხალხისათვის გამოსადეგი ცოდნის გავრცელებას ქადაგებდა. ერთ ერთ ადრეულ წერილში: „სასოფლო შკოლა და იმისი მნიშვნელობა“, „კვალი“, 1895 წ. N3, ნ. ივ. როსტომაშვილი, სხვათა შორის, წერდა: „... ლიტონი ძალ-ღონე მკლავისა და მამა-პაპური მცირე ცოდნა-გამოცდილება არ კმარა კეთილ-დღეობის მოსაპოებლათ... **საჭიროა გონებითი განვითარება და დროს შესაფერი ცოდნაც**“ („კვალი“, 1935 წ. N3, გვ. 25) (ხაზი ჩვენია. ი. ი.). „აუცილებლათ საჭიროა, რომ შკოლა იმავე დროს ამ ხალხის სამეურნეო და ტექნიკურს ცხოვრებას დაეხმაროს... **მიეცით ჩვენს ხალხსაც ტექნიკო-აგრონომიული ცოდნა** და მაშინ ნახავთ, თუ ამ ხალხმაც არ იწყოს სხვა-და-სხვა საჭირო იარაღების და მანქანების გამოგონება თავისი საქმის და ადგილის თვისებებზე გამოწყობილები, რომ ამით შეიმსუბუქოს ამდენი ჯაფა-წვალება!.. **რითი შეიძლება** ჩვენი ქვეყნის ამ დაცემული მეურნეობა-ხელოვნებათა და თვით ჩვენი თავის ალორძინება?“, – კითხულობს ივ. როსტომაშვილი და თვითვე უპასუხებს: „**ტექნიკურ-აგრონომიული ცოდნის მოფენითა ჩვენს ხალხში...** ქვეყანაზე არსებობს მხოლოდ ერთ-ერთი უტყუარი საშუალება ადამიანის და თვითონ მთელი ხალხის შველისა და ფეხზე წამოყენებისა. ეს საშუალება გახლავთ თვით-შველა, ე. ი. საკუთარივე მეცადინეობით, შეძლებით და თავის განირვით თავისი თა-

ვის გამოხსნა და განდიდება!“ („კვალი“, 1895 წ. N6, გვ. 12-13, აგრეთვე იხ. ა. ნა-ლის „სალიტერატურო შენიშვნები“, „მოამბე“, 1895 წ. N3, გვ. 153-154).

ამ აზრს იმეორებდა ივ. როსტომაშვილი ყოველ ნაბიჯზე, ყოველ გზაჯვარედინზე სიტყვით და წერით, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობით.

სწავლა-აღზრდის და საერთოდ, პრაქტიკული პედაგოგიის საკითხების შესახებ ივ. როსტომაშვილი მოხსენებასაც კითხულობდა ხოლმე, რომელთაგან რამდენიმე საქართველოს სალიტერატურო მუზეუმშია დაცული მის არქივში:

აი, ერთი მათგანი:

**„როგორ უნდა მოეწიოს სწავლა-განათლების საქმე დამოუკიდებელ საქართველოში?“**

ამ მოხსენებაში ამტკიცებს, რომ „რაც კი უძვირფასესია კაცთა ნათესავისათვის, ყველა ეს გაკეთებულა და კეთდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის თავისა (ტვინისა) და ხელის უნარით“... შემდეგ ჩამოთვლის, თუ რა უნდა იყოს ნამდვილი სწავლა-განათლების მიზანი, განაგრძობს: „ყველა ასეთ ხასიათებს და ღირსებებს კი, ანუ როგორც მეცნიერები ამბობენ, „დისციპლინებს“ მხოლოდ და მხოლოდ **მიზანშეწონილი სკოლა** აძლევს ადამიანს. ამტკიცებს, რომ ყველა მონინავე ქვეყანა მხოლოდ სწავლა-განათლებით დანიინაურდაო, აქედან გამოდის „ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ **საყოველთაო სწავლის გარეშე ამაოა ყოველი ცდა საყოველთაო წინსვლისათვის**, რომ ხალხის საყოველთაო კეთილდღეობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია არა მის ნივთიერ შეძლებაზე, არამედ ამ ხალხის საყოველთაო სწავლა-აღზრდაზე და იმაზედ, თუ რამდენად მეტს ყურადღებას აქცევენ ამ საქმეს ქვეყნის მმართველი წრეები და თითონ მშობლები“.\*

დღეს, როდესაც ჩვენში საყოველთაო სწავლა-განათლება დაკანონებულია, რა თქმა უნდა, ზემოხსენებული აზრების ქადაგება, მეტი რომ არა ვთქვათ, ღია კარებში ბრახუნს ნიშნავს, მაგრამ იმ დროს, როცა ივანე როსტომაშვილი ამას მოითხოვდა, – ეს იყო ერთ-ერთი რევოლუციურ-პროგრესიული მოთხოვნილება.

მეორე:

**„მიზანი და დანიშნულება ჩვენი თვით აღზრდა-განვითარების აკადემიისა“.**

სხვათა შორის ამბობს:

„ბევრი სკოლაა ქვეყანაზე დაარსებული – შრომის სკოლები, ტექნიკუმები, სამუსიკო, სასიმღერო, საცეკვაო, საბალოსნო, სახელოსნო და სხ. მაგრამ აღზრდის სკოლა კი არც ერთი არ მოიპოვება, საჭიროებით კი ფრიად

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7162.

საჭიროა ასეთი სკოლა, რადგანაც ცხოვრებაში საქმე თითონ ადამიანია, თითონ მისი კაცური კაცობა და არა ამა თუ იმ ხელობისა და თუნდ მეცნიერებათა შესწავლა, რადგანაც კაცობრიობის განახლება შეიძლება არა მარტო სამეცნიერო გზით, რომელსაც მივყევართ მხოლოდ ქვეყნის მეხანიკურ შემეცნებისადმი, არამედ ზნეობრივი ცდით და ცხოვრების შესწავლის საშუალებითაც. შემოქმედებითი ზნეობრივი და გონებრივი მისწრაფებანი, – აი, საფუძველი შეუყენებელი წინსვლისა და პროცესისა ცხოვრების ყველა დარგში“ და სხ.

წერა-კითხვის გავრცელებისა და სწავლების გაადვილების ახალ-ახალ გზებს ეძიებდა, ყოველ შედგენილ-გამოცემულ სახელმძღვანელოს ასწორებდა, აადვილებდა. მაგ. „ქართული სახალხო და საოჯახო ანბანი“, 1924 წ. შესწორებით გამოსცა, ამავე დროს შეადგინა პირველი ქართული მექანიკური ანბანი, რომელიც, ავტორის სიტყვით, „**ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა, ადვილად!** და ყოვლად შეგნებულად უწვალებლად ერთი კვირის განმავლობაში. ახადეთ ყუთს თავი და იქით გადააწვინეთ, ამისათვის თავს ზემოდამ საგანგებო ფეხი აქვს გაკეთებული. დაჰხედავთ ანბანს თუ არა, ხელად მიხვდებით რაშია საქმე და როგორ უნდა ასწავლოთ. ანბანი, როგორც ხედავთ, განყოფილია რიგზე (ალფაბეტზე) და თვითეულ ასოს მიჩენილი აქვს ოთხ-ოთხი ასო, ხოლო პირველი გაყოლება ციფრებია, რომლებსაც მოსწავლენი თითონ სწავლობენ შეუმჩნეველად.“\*\*

შემდეგ იწყება გაკვეთილი, ხსნის, თუ როგორ უნდა ასწავლონ მოსწავლეს. აქვე ნახევარ თაბახ ქალაღზე უჯრედებში ჩასმულია ციფრები 33-დე, ანბანი – ერთი და იგივე ასო ოთხჯერ, ბოლოზე სასვენი ნიშნები. ერთი წარწერიდან ჩანს, რომ ივ. როსტომაშვილს შედგენილი ჰქონდა „სომხური ანბანი“-ც.\*\*\*

ამ მექანიკური ანბანის შესახებ ვინმე „პედაგოგი“ გაზ. „ტრიბუნა“-ში (1923 წ. 16/III, N421) წერს:

„ივანე როსტომაშვილმა და მის ინჟინერ შვილს ნიკო როსტომაშვილს, გამოუგონიათ მექანიკური ანბანი, რომლითაც სულ ადვილად შეიძლება, როგორც ქართულ, ისე სხვა ყოველ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა. ანბანი ორ-ნაირია: 1) ღარებიანი და 2) უჯრედიანი. ორივე ანბანი გამართულია ცალ ცალკე სწორ ფიცარზე, სიგრძით სამი მეოთხედი და სიგანით ნახევარი არშინისა, იმ განსხვავებით, რომ პირველზე გაკეთებულია ზემოდან

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7159.

\*\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7121.

\*\*\* იქვე.

ქვევით და ქვემოდან ზევით ღარები, რომლებშიაც ჩასმულია მოძრავი ასოები; ხოლო, მეორე ფიცარზე გაკეთებულია უჯრედები და შიგ ჩასმულია აგრეთვე მოძრავი ასოები, იმ განსხვავებით, რომ პირველის ასოები არ ამოიღება ღარის ბუდიდან და მხოლოდ გაიწევა გამოიწევა აქეთ-იქით, რომ შეგეძლოთ სურვილისამებრ ამა თუ იმ სიტყვისა და მოკლე წინადადების შედგენა, ხოლო, უჯრედიანის ასოები შეგიძლიანთ ამოიღოთ ამავე მიზნით და დააწყით ფიცრის ქვემო ცარიელ ადგილზე აგრეთვე ამა თუ იმ სიტყვისა და წინადადების შესადგენათ.

ორივე ფიცარზე გარიგებულია მთელი ქართული ანბანის მოძრავი ასოები, ხუთ-ხუთი ცალი თითო ღარში და უჯრედში. ასოები გარიგებულია ალფავიტის რიგზე და გაყოფილია ორად: ერთი ნახევარი ასოებისა ზემოთ არის გარიგებული და მეორე ქვემოთ ღარებიანს ანბანს შუაზე დატოვებული აქვს ცარიელი ადგილი, აქ გამართულია ლიანდაგი, რომელზედაც მოსწავლე ადგენს სიტყვებს თუ წინადადებას ასოების ჩამოწევით და ამოწევით, ხოლო, უჯრედიანს ლიანდაგი არა აქვს და ასოები გაიწყობა პირდაპირ ფიცრის ქვემოცარიელ ადგილზე ამა თუ იმ სიტყვებისა და წინადადებების შესადგენად.

ანბანებს თან დართული აქვს განმარტება, როგორც უნდა ასწავლონ მისით ბავშვებს თუ დიდებს. ანბანები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე სრულიად შეუმჩნეველად და ბუნებრივად ეჩვევა ასოთა შეერთების პროცესს და შედგენას მათგან სიტყვებისას, ეს კი, როგორც ვიცით, პირველი და უმთავრესი საქმეა ამა თუ იმ ენის წერა-კითხვის სწავლებაში.

რადგანაც როსტომაშვილს არა აქვს შეძლება თვით მოაწყოს თავისი მეხანიკური ანბანის კეთების სახელოსნო, იგი აპირებს მიმართოს თხოვნით სახალხო განათლების კომისარს, რათა ეს საქმე თავს იდვას სახელმწიფო გამომცემლობამ.“

იგი მარად ცოდნისა და წიგნის სიყვარულისაკენ მოუწოდებდა ყველას. ერთ ერთ გაზეთის ნომერზე მიუწერია:

1. სინათლისაკენ, ბრძოლისაკენ, წიგნისაკენ;
2. ცოდნა დაამსხვრევს მონობის ბორკილებს;
3. სახლი, სადაც წიგნი არ მოიპოება, უდრის უსულო სხეულს;
4. წიგნი სწავლა-განათლების ერთგული მეგობარია.
5. Беречь книгу! она верный друг в нужде и в мирном труде.

მოზარდი თაობის აღზრდის, ცოდნის უადვილესი საშუალებით გავრცელებას ივ. როსტომაშვილი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, სხვათა შორის, ბოლო ხანებში მან განიზრახა საყმანვილო ჟურნალის გამოცემა სათაურით და გეგმით:

„მოსწავლე, ყოველკვირეული საცმანვილო წიგნი-ფურცელი, გამოვა კვირაში ერთხელ პატ[ა]რა პატარა წერილებით და სხვილი ასოებით დაბეჭდილი, რომლებიც საუკეთესოდ აღზრდიან მათ ზნეობრივად, გააცნობენ ცხოვრება-ბუნებასა და თან შეუმჩნეველად ასწავლიან ჩქარა კითხვასა და მჭერმეტყველურ ლაპარაკსა, როცა შემთხვევის დროს ეცდებიან სხვასაც უამბონ წაკითხული, ყოველი ნომერი იქნება სრულიად დამთავრებული, დამოუკიდებელი 16 გვერდიანი, შინაარსი აღნიშნული იქნება პირველსავე გვერდზე, ქალაქი მოსქო იქნება არჩეული, ასოები სხვილი, წერილები მოკლე-მოკლე და საჭიროებისამებრ დასურათებული, ფორმები მოგრძო და ვიწრო, კანი არ ექნება. ფასი წელიწადში 52 ნომრისა ორი მანათი, რომელიც შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს მსურველმა. ერთი მანეთი არა უგვიანეს პირველი მარტისა. წერილები უმთავრესად ზნეობრივი ხასიათის იქნება და ისეთის შინაარსის, რომ საუკეთესოდ გააცნონ ყმანვილებს მახლობელი ცხოვრება და ბუნება...“ (აკლია).\*

სწავლა-განათლების ადვილად გავრცელების მიზნით შეადგინა „წერა-კითხვის შესასწავლი მარტივი სახელმძღვანელო“ – ნახევარ გვერდზე მაღლა მოგრძო უჯრებია, შუაზე ნაწერი:

„ყუთი უნდა გაკეთდეს: პირველზე დაეკრას ყველა ხმოვანი ასო და უადვილესი უხმო ასოები. წერა, უმჯობესია, ისწავლოს კითხვის შესწავლის მერე წაკითხულის სიტყვების წერვით, ანბანის ბოლოში მოიყვანე რამდენიმე მარცვალი, სიტყვების შესადგენათ და კითხვაში გასაჯარჯიმებლად“.

ცხრილი

ა	ა	ა	ა	ა	ა
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
გ	გ	გ	გ	გ	გ
დ	დ	დ	დ	დ	დ
ე	ე	ე	ე	ე	ე
ვ	ვ	ვ	ვ	ვ	ვ
ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ
თ	თ	თ	თ	თ	თ
ი	ი	ი	ი	ი	ი

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი. გაზეთების ყდაში გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ. იანვრის 31, N406.

# VIII

## პედაგოგობა და აღზრდა



*სიკეთით სძლიე შენს მტერსა,  
ერიდე სისხლით ზღვევასა,  
სულგრძელობითა ძლევა სჯობს  
ვაჟკაცობითა ძლევასა.*

**ილია ჭავჭავაძე**

ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორად ყოფნისას (1889 წ. 1/IX-1894 წ. 1/IX-დე) ხუთი წლის განმავლობაში ივანე როსტომაშვილმა მთელი ამ კუთხის მცხოვრებთა დიდი ყურადღება, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა თავისი პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაკობით.

აი რას მოგვითხრობს მისი ერთი თანამსახურთაგანი, მასწავლებელი, ამ უამად შრომის გმირი ჯალალ ივანეს ძე ტერგრიგორიანი:

„პედაგოგი-ჰუმანისტი და დემოკრატი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი მონაფეებთან, მათს მშობლებთან და საერთოდ, ყველა იმასთან, ვისთანაც კი რამე ურთიერთობა ჰქონდა, მიუხედავად იმ დროის მოხელურ (ჩინოვნიკურ) და უსულგულო ბიუროკრატიზმისა, ყველასთან წმინდა ამხანაგურ დამოკიდებულებაში იყო.

ივანე როსტომაშვილი თავის სამასწავლებლო აღმზრდელობით პრაქტიკული მუშაობის დროს ხელმძღვანელობდა კომენსკის, რუსოს, პესტალოცის, უშინსკისა და სხ. სამეცნიერო პედაგოგიკის ფუძემდებელთა პროგრესიული იდეებით, მაგრამ ამავე დროს თავისი საკუთარი ორიგინალური თეორიაც შექმნა.

მაგ. უფროს კლასებში ენის და ლიტერატურის სწავლების დროს ჩვეულებრივ ქრისტომატიების მაგიერ საჭიროდ სცნობდა ლიტერატურულ-მხატვრულ და სამეცნიერო-პოპულარულის შინაარსის ბროშურების ხმარებას. ქრისტომატიებს არ შეუძლიან განსახილველ საკითხების შესახებ დასრუ-

ლებული და მთლიანი შემეცნება მოგვცენო. ამის გამო საჭიროა წინასწარ შედგენილი გეგმისა და სიის თანახმად, სკოლამ გამოიწეროს სათანადო ბროშურები, რომლებიც მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში უნდა დამუშავდეს ამა თუ იმ კლასში. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ამგვარად მთელ წელიწადში 20-30 ბროშურის გარჩევა და შესწავლა შეიძლებოდა. წერიტი სამუშაო და ყოველგვარი მეცადინეობის მასალა ამოიღებოდა შესასწავლი ბროშურიდან. ყოველ მონაფეს წიგნი უნდა მისცემოდა სამეცადინოდ.

ივ. როსტომაშვილმა თავისი ასეთი სწავლების შესახებ წერილიც დაბეჭდა იმ დროის ცნობილ ჟურნალ „ვესტნიკ ვოსპიტანია“-ში სათაურით „კითხვა“, როგორც საფუძველი სწავლების და განათლებისა.

ყველგან და ყველაფერში ივ. როსტომაშვილი თავისებური იყო, დამოუკიდებელი მოაზროვნე, თავისუფლად მსჯელი.

ამის გამო მაზრის ადმინისტრაციას და სამხედრო ხროვას არ უყვარდა ივანე როსტომაშვილი, რომელიც ყოველ მარჯვე შემთხვევაში, განსაკუთრებით სასკოლო ზეიმებზე თავის პროგრესიულ იდეებს გაბედვით ააშკარავებდა, ბნელეთის მოციქულებს არა თუ მოსწონდათ, ხშირად დასცინოდნენ კიდევც, ხოლო მაზრის უფროსი პოლკოვნიკი დიაჩკოვ-ტარასოვი წაეჩხუბა, რისთვისაც ივანე როსტომოვმა მასთან ყოველგვარი ურთი-ერთობა შესწყვიტა და მსგავს ადამიანებს მუდამ შორის უვლიდა. სამაგიეროდ ადგილობრივი საზოგადოება, განსაკუთრებით სომეხ-მასწავლებელთა საზოგადოებრივობა – ქალაქისა და მთელი მაზრის, ივანე როსტომაშვილს დიდს პატივს სცემდა, მათს წრეებში მიღებული იყო, როგორც თავისიანი, ამის მიზეზიცა ჰქონდა. ცნობილია, რომ მეფის მთავრობა სომეხთა სასწავლებლისადმი არავითარ უფლებას არა სცნობდა, მოითხოვდა, რომ ამ სასწავლებლებში კურსდამთავრებულს სამასწავლებლო ცენტრი მოეპოებინათ. ეს კი ძნელი იყო. ივანე როსტომაშვილი ხელს უწყობდა, მასწავლებლის ხარისხის მოსაპოებლად ყოველი კურსდამთავრებულს საქალაქო სკოლაში ჩაებარებინა გამოცდა.“

ამ ხანებში აქ ახალქალაქის საქალაქო სკოლაში ქართული ენა არ ისწავლებოდა, ივანე როსტომაშვილმა კავკასიის სამასწავლო სამმართველოს წინაშე რამდენჯერმე იშუამდგომლა ქართული ენის სწავლების შემოღების შესახებ, მაგრამ შუამდგომლობა მისი მუდამ უშედეგოდ რჩებოდა. მხოლოდ ივ. როსტომაშვილის წასვლიდან ხუთმეტი წლის შემდეგ, ამ სკოლის ახალი ინსპექტორის ჯ. ი. ტერგრიგორიანის მეცადინეობით განხორციელდა (1908 წ.) ივ. როსტომაშვილის მოთხოვნილება, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მოსახლეობის შორის.

დიად, ივანე როსტომაშვილი სამაგალითო მასწავლებელი იყო, სული და გული არა მხოლოდ მონაფეთა, არამედ მათი მშობლებისაც. იშვიათი სათნო, გულკეთილი, მიუდგომელი, თავდაბალი, არა ამპარტავანი, შთამაგონებელი და ხშირად – ურყევი ნდობით აღჭურვილიც.

მაგალითი:

გასული საუკუნის 90-იან წლებში ხოლვერობის დროს ჯავახეთში სომხებმა ძველი ხატი ჩამოატარეს, დიდძალი ხალხის თანდასწრებით: ჩვენი მე-4 საუკუნის ხატია, ვინც ემთხვევა ხოლვერა აღარ შეხვდებო.

ივანე როსტომაშვილმა გზა გადაუჭრა:

– აბა მიმიშვიტ, ვნახო მე გეტყვით რომელი საუკუნისააო.

მრგვალად შემოკრებილმა ხალხმა გზა უტია. ივანემ სათვალეები გაიკეთა, ხატს დახედა, წაიკითხა და საჯაროდ განაცხადა: – ეს ხატი ბაგრატ მეფეს შეუწირინია სომხის ეკლესიისათვის, – წარწერა ხუცურია და არა სომხური, მე-10 საუკუნისაა. მაგრამ ხორველისაგან არც ეს ხატი გიხსნით... ხორველისგან თავის მოვლა დაგიხსნით.

ხალხმა ერთხანს სული შეიგუბა, მაგრამ მერე შესძახა:

– რაკი ივანე პავლოვიჩი ბრძანებს, მართალიც იქნებო!..

ერთხელ პარიზიდან ქართველთაგან დამსახურებული მასწავლებლის სურათი მოითხოვეს. „ქ. შ. ნ. კ. გ. ს.“ გამგეობაში შეფიქრიანდნენ:

– ვინ დავასახელოთ?

– ივანე როსტომაშვილი!

მეორემ მიუგო:

– იაკობს ეწყინება.

– რაზე უნდა ეწყინოს, – იაკობი დრო გასულია, ივანე ახალი.

როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილსა და ივანე როსტომაშვილს სამნიგნობრო და საპედაგოგიო საკითხების გამო ურთიერთ შორის პოლემიკა ჰქონდათ, იაკობი გადაკიდებული ჰყავდა ივანეს: ეს გადაკიდება იქამდე გაძლიერდა, რომ იაკობმა ივანესაგან ძღვნათ მირთმეული (გაგზავნილი) ნიგნები უკან დაუბრუნა: „თქვენი ნიგნები არ მესაჭიროებო“. ივანემ ეს შეურაცხყოფა სულგრძელად გადაიტანა.

იაკობი ავად გახდა. ივანე ძლიერ შენუხდა: ნეტავი არაფერი დაემართოს, ჩვენი ქვეყნისათვის ჯერ კიდევ საჭიროაო და მეუღლე ლიზა გაუგზავნა მოსაკითხავად.

ლიზა ზაქარია ჭიჭინაძესთან ერთად ეახლა იაკობს, მოიკითხა და ანუგეშა:

– ბატონო იაკობ, ჯანსაღად იყავით. ვანომ მოკითხვა მოგახსენათ. თქვენი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნისათვის ჯერ კიდევ საჭიროაო!

იაკობს თვალს ცრემლი მოადგა და ძლივს უთხრა:

– ქ-ნო ლიზა, ჭემმარიტად სულგრძელი ბრძანებულხართ... მე თქვენ რამდენი განწყენინეთ, თქვენ კი ასეთი ადამიანობა გამოიჩინეთო.

ივ. როსტომაშვილი ერთხანს ოქრო ყანაში გაღებულ მცირენლოვან-დამნაშავეთა ახალშენის გამგეთ დანიშნეს. არ გასულა დიდი ხანი, რომ თბილისის გუბერნატორმა ბიკოვმა სამსახურიდან გადააყენა და ივ. როსტომაშვილი სიცხე-პაპანაქებაში, აგვისტოს შუა რიცხვებში ოქროყანიდან ცოლშვილით თბილისს გამოისტუმრა. შეწუხდა ვანო, მაგრამ რას იზამდა. მის ასეთ შეურაცხყოფაში თურმე ილია წინამძღვრიშვილიც ერია, როგორც ახალშენის გამგეობის წევრი.

– კაცო, ნუ თუ გუბერნატორს პასუხს არ მოთხოვ ასეთი შეურაცხყოფისათვის, – მიმართა მეუღლემ.

– რა პასუხი მოეთხოვება, – რაკი ასეთი ბოროტი და წინდაუხედავი ყოფილა თავის ადგილს დიდხანს ვერც ეგ შერჩებაო.

და მართლაც მოკლე ხანში გუბერნატორი ბიკოვიც გადააყენეს.

ამავე ხანებში ილია წინამძღვრიშვილმა ივანე როსტომაშვილს რალაც რუსული ხელნაწერი გადასცა გასასწორებლად. ვანო მუყაითად შეუდგა ხელნაწერის შესწორებას.

– კაცო, მაგის წყალობით ადგილი დაგაკარგვინეს და შენ კიდევ საქმეს უკეთებ? – უსაყვედურა ლიზამ.

– მერე რა, სისხლი სისხლით არ ჩამოიბანება...

რევოლუციის შემდეგ 1917 წ. ჯავახეთში გიმნაზია გაიხსნა, იქ, სადაც ოცდაათი ოდე წლის წინად საქალაქო სკოლაში ივანე როსტომაშვილი მსახურებდა ინსპექტორად. ამ გიმნაზიის დირექტორად ქართველებმა ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. სომეხთაგან მარქაროვმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც, სხვათა შორის, განაცხადა:

– ჩვენ სიამოვნებით უჭერთ მხარს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს, რადგან იგი ეროვნებას არ არჩევს და ჩვენც ისე ვუყვარვართ, როგორც ქართველი ან სხვებიო.

ჯავახეთის ახალქალაქის მცხოვრებთ მოციქულების პირით დიდის თხოვნით დაითანხმეს ივანე როსტომაშვილი და გაიწვიეს. ჯავახეთისაკენ გამგზავრების დროს ივანეს ხერთვისში დიდი შეხვედრა გაუმართეს, ღამით საგანგებო ნადიმზე მიიწვიეს, ხოლო მეორე დღეს ახალ-ქალაქიდან ეახლა ოცი ცხენოსანი საგანგებო ეტლით და დიდი ზეიმით წაიყვანეს. ახალქალაქის საზღვარს რომ უწიეს, აქ მოწაფეებმა მხრებზე შეისვეს ივანე, ბაღში მიიყვანეს, მაგიდაზე შეაყენეს და სთხოვეს:

– „გვითხარი რას ნიშნავს ახლანდელი ამბებიო!“

ივანემ აუხსნა რევოლუციით შექმნილი ახალი ვითარება და სოციალიზმის მნიშვნელობა.

აქ ივანე როსტომაშვილისა ყველა მაღლიერი იყო, გარდა დაშნაკლებისა, რომელთაც 1918 წ. თურქ-სომეხთა შეტაკების დროს ამ გიმნაზიას ცეცხლი წაუკიდეს, სადაც დაიღუპა ივანე როსტომაშვილის მრავალი ნაშრომი, ხოლო თვითონ კი ადგილობრივ სომეხთ, თურქთა და ქართველთა წყალობით ომის ცეცხლიდან მშვიდობიანათ გამოვიდა, თუმცა ეხვეწებოდნენ: დარჩით, თქვენ ხელს ვერავინ გახლებთ, დაშნაკელებს ჩვენ თითონ გავუსწორდებით და გიმნაზიისთვის ახალ შენობას ავაგებთო...

ჯავახეთიდან დაბრუნების ნახევარი წლის შემდეგ საქართველოს განათლების სამინისტრომ თელავის გიმნაზიის დირექტორად გაამწესა, მაგრამ არც აქ დარჩა დიდხანს სწავლა განათლების არსებულ შეუფერებელ პირობათა გამო, ისევ თბილისს გადმოვიდა და სამნიგნობრო მუშაობას უფრო დიდის ხალისით შეუდგა.

# IX

## მწიგნობრობა



*... თუ საძირკველი დანგრეულია,  
მაშინ კედლების აღშენებისთვის  
ყოველი შრომა დაკარგულია!..*

**გიორგი ჭალადიდელი**

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენს ქვეყანას შემოეპარა „მტერი ვით ტურა-მელაო“ და ნელი-ნელ, თანდათანობით დაიწყო ჩვენი თვითმყოფობის საძირკველის ნგრევა. თითქმის ნახევარი საუკუნე, ორმოცდა ათ სამოციან წლებამდე, გადასახლებით, დარბევით თუ სხვა ხრიკებით ანგრევდნენ ჩვენს საბუდარს, ორმოცდა ათ სამოციან წლებიდან, ამასთან ერთად სულიერად გადაგვარებაც დაგვიწყეს, მაგრამ სამაგიეროდ ჩაისახა თვითგამორკვევის დანგრეულ მშობლიურ ქერის გამაგრებისათვის ზრუნვა, – „გაზაფხულის მერცხლები“ – რუსეთში აღზრდილ სამოციანთა მონინავენი, „თერგდალეულნი“ მოფრინდნენ და მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის აშკარად განისმა ერის განახლების ხმები... ძილში მყოფთ იგრძნეს ილიას გოდების სიმწვავე:

„ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,  
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“.

აკაკის სანუგეშო სიმღერამ:

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს  
და ისევე გაიღვიძებს“...

დაძინებულთა გულს უნია და ერმა გაიღვიძა... ეს გაღვიძება პირველ ხანად თვალთა მოფშენებთა იყო, შემდეგ თვალებზე ხელის მოსმა და გახელა.

დაიწყო ჟურნალ გაზეთების გამომცემლობა, მაგრამ ძლიერ დიდი ჭაპან-წყვეტი. დროის დამახასიათებელია ი. დავითაშვილის საახალწლო მილოცვა პ. უმიკაშვილისადმი:

„პეტრემ სთქვა: ჩემსა გაზეთსა  
გლახთან არა აქვს ბინაო,  
მღვდელი ნუნუას უნდება,  
გლახს ნაუკითხავს ვინაო?  
ადგა და თავი ანება,  
მოსპო და დაიძინაო.  
ვბეჭდო და არვინ იკითხოს,  
მკითხამთ, სად გაგონილაო.“

(ი. დავითაშვილი. ლექსები. სახელგამი, 1927 წ. გვ. 371).

ეს გასული საუკუნის 70-80-იან წლების ამბავია, მაგრამ არც 90-95 წლებში იყო უკეთესი მდგომარეობა. კვირეული გაზეთი „კვალი“ – ქუთაისში ხუთიოდე წლიური ხელის მომწერლით ისაზღვრებოდა. და როდესაც დღეს ცნობილმა, ხოლო იმ დროს ახალგაზრდა მოღვაწე მიტროფანე ლაღიძემ 50 წლიური ხელის მომწერი იშოვა, – „კვალის“ რედაქტორისაგან საგანგებო დელეგაცია – აკაკი წერეთელი, სილოვან ხუნდაძე და თვით გიორგი წერეთელი ეწვია მადლობის გამოსაცხადებლად ასეთი „სასწაულთმოქმედებისათვის“.

გაზეთი იბეჭდებოდა ორას-სამას ცალობით, ასევე ჟურნალი და ისიც ვაინაჩრობით ვრცელდებოდა.

ასეთი ჭაპანწყვეტით იდგამდა ფეხს მნივნობრობა...

ნათესს მაინც საიმედო პირი უჩანდა.

ქართველობა წოდებრივად დანაწილებული იყო, ქონებრივად ერთი მეორის მონა, კულტურულად მაღალ-დაბალ საფეხურზე მდგომი... დიდი რუსთველის მეტყველება ხალხშიდა სულდგმულეებდა. ბრწყინვალე წოდება და ე. წ. ინტელიგენციის „ნაღები“ ჟურნალ „მოამბე“-სა და ერთად ერთ დღიურ გაზ. „ივერია“-ს თუ იწერდა, – მხოლოდ ფორმალური მამულიშვილობით ბევრს ოჯახში ჟურნალი „მოამბე“ წლიდან წლამდე, დაარსებიდან დასრულებამდე გაუჭრელად ეწყო ხოლმე, ხოლო დღიური გაზეთი შესავალ კარებიდან კი არ მოჰქონდა მეგაზეთეს, არამედ უკანა კარით სამზარეულოში მზარეულ-მოსამსახურეთა საკითხავად.

ქართული ენა აბუჩად იყო აგდებული, დანახლული.

ქართული ენის გასაძლიერებლად თუმცა, „ივერია“ (1896 წ. N7, ა. ხ-ის წერილი „ერთი საშუალებათაგანი ქართული ენის გასაძლიერებლად“) წერდა: „ქართველი საზოგადოების ნაციონალურ გზაზედ დაყენებისთვის საჭიროა“ უცხოეთის „საბელეტრისტო და სამეცნიერო ლიტერატურა“ სამშობლო ენაზე გადმოვიღოთ, როგორც რუსებმა ჩაიდინესო, საგამომცემლო

საქმე ისე განვავითაროდ, „რომ ქართული ენის წყალობით შესაძლებელ გახდეს განათლებული კაცი ევროპის სწავლა-განათლებას დაენაფოსო“, – გაზ. „ცნობის ფურცლი“-ს თანამშრომელმა მაინც ქართულად სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა არარაობად აღიარა, დაჰგმო, ზედმეტ ბარგად მიიჩნია.

აი, ასეთ ვითარებაში მუშაობდა ივ. როსტომაშვილი, როგორც მტკიცე იდეურად შერჩეულ სამეცნიერო-პოპულარული წიგნების გამომცემელი, ქართულ სამწერლო და საგამომცემლო ასპარეზზე ახალი გეზის გამვლები, – ამ საქმის პიონერი.

ბინდ-ბუნდი იკრიფებოდა, თენდებოდა, მეფის რუსეთის რეაქციის ყინული თანდათან ლხვებოდა, ამ ვეება ხალხთა საკანის ფანჯრები იზარებოდა, გაზაფხულის მზის სხივები ბნელეთის ჯურღმულს, თვითმპყრობელობის რუსეთს – შიგნი შიგან ეფინებოდა.

ყოველი ეროვნულის დევნამ – მშობლიური თეატრის, წიგნის, გაზეთის შევიწროვებამ გზის გაფართოება მოითხოვა, ფანჯრების გაღება და სუფთა ჰაერი, მშობელმა დედამ – შელახული ღირსების აღდგენა და პატივი.

თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებულმა სასტიკმა რეჟიმმა სასულიერო და საერო ხელისუფლებისათვის არასასურველი ნაყოფი გამოიღო: მონაფე სილიბისტრო ჯიბლაძემ სემინარიის რექტორი ჩუდეცკი გალახა, ფეხქვეშ ჩაიგდო და წვერი ააგლიჯა (1885 წ.), მეორე მონაფემ – იოსებ ლალიაშვილმა ამავე რექტორს ხანჯლით გული გაუგმირა (1886 წ. 24 მაისი). გაჩნდა პირველი ტერორი. საქართველოს სულთამხუთავს სამეულს: პავლე ექსარხოხს, სწავლა განათლების მესვეურს იანოვსკის და მთავარმართებულს დონდუკოვ-კორსაკოვს თავზარი დაეცათ, მაგრამ ჯალათობაზე ხელი არ აიღეს, – პირიქით, ვითომ ქრისტეს მოსავემ სულის მამამ პავლე ექსარხოხმა ჩუდეცკის მკვლელის შეჩვენებასთან ერთად დასწყევლა მრავალწამებული საქართველო, ღვანღმოსილი იმავე ერისა და ეკლესიისათვის, რომლის უზენაეს „სულის მამად“ პავლე იყო მეფისაგან მოვლენილი. ამ გარემოებამ, როგორც ცნობილია, შეარყია იმ დროს ქუთაისის თავადაზნაურთა მარშლის – ცნობილი საზოგადო მოღვაწე-მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის რუსთ მეფისადმი რწმენა: როგორ, სასულიერო პირმა, მღვდელმთავარმა ამბიონიდან საქართველო დაწყევლა, ის საქართველო, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე თვისი ეროვნება მეცხრამეტე საუკუნის კარამდე მოიტანა და რუსთა მეფეს ფეხქვეშ გაუშალაო... ინყინა მოხუცმა მონარქისტმა და მაცხოვრის ცრუ მოციქულს მუქარის სილა გააწნა, – „თუ შენ საქართველო დასწყევლე, გიჯობს, საქართველოდან გაბრძანდე, თუ არ გინდა შენც ისეთივე ხვედრი შეგხვდეს, როგორიც შენს მოციქულს“ – ჩუდეცკისო.

აილენა პავლე ექსარხოსი, მაგრამ სახლის კარიბჭეში დიმიტრი ყიფიანს მოთვინიერებული შეხვდა:

– „თქვენო აღმატებულებავ, ისეთი რა ვქენი, რომ მუქარის წერილი გამომიგზავნეთო“.

– შეცოდებისათვის წინასწარ პატიება ვითხოვე, მაგრამ ეს იცოდეთ, საქართველო არც თქვენის ლოცვით გაჩენილა, არც თქვენის წყევლით დაიღუპება. ბრალი მისი, ვინც საქართველოს აუგით მოეპყრობა: მან მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე უნდა იზრუნოსო...

ეს უფრო მაგრა იყო ნათქვამი, ვინემ მისივე მინაწერი.

დიმიტრის ასეთი გაბედული, ნამდვილი ყიფიანისებური, ნაბიჯი იმ დროის მამულიშვილ-ქართველებს მოეწონათ და ძლიერაც გაეხარდათ, მაგრამ შავრაზმელი „ბრწყინვალე“ ქართველები კი ჩაიფუფქნენ და იმავე საღამოთი კრებაზე რაინდ მოხუცს უსაყვედურეს:

– დიმიტრი ივანიჩ, აგეთი სიტყვა როგორ აკადრეთ არქიელს, ახლა ვინ იცის, რა დღე დაგვაყენოს? შენი თავი თუ არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე.

– რა ძალიან შეგეშინდათ და გული გაგისკდათ, – საქართველოს ვერავინ ვერაფერს დააკლებს: შვიდმა ვეშაპმა მოუნდომა გადაყლაპვა, პირში მოიგდეს, მაგრამ თვითონვე ყელში გაეჩხირა და კიდევ დაიხჩო. ეს მერვე ვეშაპია და საქართველოს უპატიურებას მეფე არავის აპატიებს... იმედია, ამასაც ყელში გაეჩხიროს.

რაინდი მოხუცის სიტყვა რამდენად კეთილშობილური იყო, ღრმა რწმენით აღსავსე, იმდენად მისდამი საქციელი ვერგაგებული. სიბნელის მოციქულმა პავლე ექსარხოსმა, მეფის მთავრობის დასტურით, ბერის ხელით თეთრწვერა მოხუცს შუბლი გაუხეთქა (სტავროპოლში 1887 წ. 24 ოქტომბერს).

მოთმინების ფიალა აღივსო, შხამი გადმოინთხა. ეს შეურაცხყოფა განსაკუთრებით მოზარდმა თაობამ იგრძნო. გოლა ჩიტაძის რევოლუციური აღტყინება, სემინარიელების „ბუნტები“ ლადო კეცხოველის აქტიური მონაწილეობით, ეგ. ნინოშვილის პირველი მარქსისტული ჯგუფი, მუშა-ხელოსნების წრეები, არა ლეგალური ხელნაწერი ჟურნალები, ერთი მეორეს მოჰყვა. ამ მოძრაობაში ჩაებნენ როგორც ე. წ. დიაკვნის შვილები, ხალხოსანი მოღვაწენი, ისევე წერილი ვაჭრებიდან თუ სხვა და სხვა უკმაყოფილო წრეებიდან გამოსული მუშა-ხელოსნები. და გასაოცარია ამათი რევოლუციურ-პროტესტანტული სულისკვეთება სწორედ იმათ გამოსთქვეს, რომელთაც მეფის მთავრობა მემამოხეთა სულის ჩაქრობისათვის ამზადებდა. ესენი იყვნენ: ს. ჯიბლაძე, დარჩი (ლადო დარჩიაშვილი) და სხ., რომელთაც უდროოდ

დალუპულ ეგ. ნინოშვილის სამარეზე ცეცხლოვან სიტყვათა კოცონი ააგიზგიზეს, ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის სამანი ჩაადგეს, მიმავალს წესი აუგეს, მომავალს გეგმა მოხაზეს და ამ სიტყვებმა იოსებ ლალიაშვილის ხანჯალზე ნაკლებ არ გაგმირეს ხალხის სულთამხუთავთა გული.

სილ. ჯიბლაძე, ლადო კეცხოველი, საშა ნულუკიძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანიას და სხვა ამ კოცონის ამგიზგიზებლად შეიქმნენ, ძველი ქვეყნის დამხობა მიზნით დაისახეს და მალე ეროვნულ-რევოლუციური ცეცხლი სოციალისტურ-პროლეტარულ კოცონად გადააქციეს...

ძველი გზა, გზა მეფისა და მის ხელისუფლებისადმი მორჩილებისა უარყოფილ იქმნა, აზროვნებამ ფრთა გაშალა, მოქმედებამ ფართე ასპარეზი მოითხოვა, – ხალხის თეორიული და პრაქტიკული თვითმოქმედების გზა – პრესა, სახალხო წიგნაკები, ხალხური თეატრი, საკვირაო სკოლები და სხვა.

ეს იყო გასული საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე.

ამ დროს ქართული წიგნის ბაზარს, რომლითაც მდებრივ ხალხს სარგებლობდა, უმთავრესად ჯერ კიდევ „ყარამანიანი“, „დავრიშიანი“, „ქალვაჟიანი“, „სიზმრის ახსნა“, „სამთვარიო“, „ეტლის წიგნი“, მდივანოვის კალენდარი სიზმრის ახსნით ავსებდა... და ამ ბაზრის მუშტარი ისე გაჯიუტებულიყო, რომ თუ კალენდარში „სიზმრის ახსნა“ არ იქნებოდა, არც ყიდულობდა. ამიტომაც მდივანოვს თავის კალენდრის სტერეოტიპი ჰქონდა, რამდენიმე ათეული წელიწადი ათი ათასობით ბეჭდავდა ხალხის გონების შესაბოჭად... ასეთ უვიც გამომცემლობას დაემატა ხალხში ცრუმორწმუნეობის შთამნერგველი წიგნთა გამომცემლობა, – იბეჭდებოდა შედარებით ლამაზად და იაფად სურათებით შემკული ე. წ. „წმინდანების“ ცხოვრება წამებანი: „შვიდთა ყრმათა“, „სვიმონ მესვეტის“, „პარასკევას ცხოვრება“, „თეკლესი“, „სოფიოსი“, „მარიამ ეგვიპტელის“ და მრ. სხ., რომელთაგან ზოგი რამდენჯერმე იცემოდა, უფრო მ. შარაძის სტამბის ძმოებისაგან. თითო-ოროლა წიგნაკი, რომელსაც ხალხში უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხების სული შეჰქონდა, – იდევნებოდა. მაგ. იმ დროს წიგნი ბაზრის ერთმა მებაირახტრემ, მეკალენდრე მდივანოვმა საცენზურო კომიტეტს აცნობა, „არსენას ლექსი“ ხალხს ყაჩაღობას ასწავლის, უნდა აღიკრძალოსო.

და მთავრობის ამ უჯამაგერო ფინია ჯაშუშის მოთხოვნა საცენზურო კომიტეტმა აღასრულა, სამაგიეროდ ფართე გზა გაეხსნა სიბნელისა და უვიცობის მომფენ წიგნაკებს.

ზ. ჭიჭინაძის, გრ. ჩარკვიანის, კ. თავართქილაძის, ამ სტრიქონების დამწერის, ბოლოს მ. გაჩეჩილაძის, ვ. გადილიას და სხ. მსგავსთა გამომცემანი ამ გემო გაფუჭებულ მკითხველის მსაზრდოებელ ავტორ-გამომცემელთ

ისე ძალუმად ვერ უმკლავდებოდი, მაგ. ზ. ჭიჭინაძე ქართულ კლასიკოსთა – გრ. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, მ. ხონელის, აგრეთვე სოციალისტურ ლიტერატურას ხშირად ერთი ხუთად დაკლებულ ფასით ჰყიდდა, ზოგჯერ უფასოდაც არიგებდა, მაინც მკითხველი აგრე რიგად არ ეტანებოდა, მაშინ, როდესაც ბაზრულ ნიგნაკებსა და ნიგნებში ერთი ორად მეტს ფასს აძლევდნენ. ამ ბაზარს ვერც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ებრძოდა, რადგან იგი, – ეს ნ. კ. საზ. თვისი მაღაზიით, სათავადაზნაურო ქარვასლის მეორე სართულში შეკეტილი, განსაკუთრებით „ინტელეგენტური“ თვალებით იყურებოდა, – ბაზრისკენ არ ჩამოდიოდა, წლიდან-წლამდე ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ბექდავდა მოგების მიზნით და ოლგა თადეოზის ასულის (ილიას მეუღლის) თავმჯდომარეობით ლატარია-ალეგრებს მართავდა, მისთვის სალატარიოდ შემოწირულ ნივთებს ითვლიდა... რა თქმა უნდა, იგიც ბექდავდა რიგიან ნიგნაკებს, მაგრამ ბაზარს ვერ უწევდა, მდაბიო მკითხველი მას თითქმის ვერ ხედავდა.

ასევე იყო „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა“, რომლის გამოცემანი (აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ყაზბეგის და სხ.), დიდი ფასისა და ბაზრიდან მოწყვეტის გამო წლიდან წლამდე თაროებზე ელაგა, ან საწყობში ღებებოდა...

აი, ამ დროს ჩამოსახლდა თბილისში ივანე როსტომაშვილი ცოლშვილით, პედაგოგიური გამოცდილებით აღჭურვილი და საზოგადო საქმიანობით გატაცებული. ჩამოსვლისთანავე შენიშნა რა ქართველი მდაბიო მკითხველის ბაზრული ნიგნებით გატაცება, ნიგნის ბაზრის კარგი ნიგნებით სილატაკე და „ქ. შ. ნ. კ. გ. ს.“ კარჩაკეტილობა, თითქმის უმოქმედობა, განიზრახა შერჩეული შინაარსიან ნიგნთა გამომცემლობა დაეწყო, რადგან სწამდა, რომ „მიღება ნიგნების კითხვით სწავლა-განათლებისა ადრე თუ გვიან, ფეხს გაიდგამდა მთელს ქვეყანაზე და რალა თქმა უნდა, ჩვენშიაც“. ამისათვის საჭირო იყო კარგი სახალხო ნიგნი, ქართული ნიგნი ბაზარზე კი თითქმის არ მოიპოვებოდა არც ერთი ისეთი ნიგნი, რომელიც მკითხველს თანადროულ ცხოვრების ამა თუ იმ საკითხის გარკვევაში (სამეურნეო, სამრეწველო, საეკონომიო, საქმთმართველო) თუ სხვა მხრივ გამოადგებოდა. ამიტომ საქვეყნოდ გამოაცხადა:

„ვაპირებთ გამოვცეთ შეუყენებლად თვეში არა ნაკლებ ორის ნიგნისა, რომელთაგან ერთი დანიშნული იქნება პატარებისათვის, ხოლო მეორე უფრო დიდებისათვის და ხალხისათვის“.

შემდეგ მოიხსენია, თუ როგორი ასოთი დაიბეჭდებოდა, როგორ ქალაქებზე (რადგან იმ ხანებში გამოცემანი საძაგელ ქალაქებზე მოძვე-

ლებული ასოთი იბეჭდებოდა. ი. ი.), ყველასათვის მისანვდომი ფასით (ავტორს ჯილდო მიეცემო, თითქმის ესეც ახალი ხილი იყო. ი. ი.): „გამოვცემთ იმისთანა წიგნებს, რომლებიც გახსნიან და განასპეტაკებენ ყმანვილისა და ხალხის გრძნობას, ხასიათს და განავითარებენ მათს საზოგადო რწმუნებას და შეხედულებას ცხოვრებაზე და ბუნებაზე“. – ჩამოთვლის რა გამოსაცემ წიგნებს, მიმართავს ქონებით შეძლებულთ, ამ საქმეში გაგვიამხანაგდითო, – „ეს იქნება უკეთესი ასპარეზი ჩვენის გონებითისა და ნივთიერ ქონების უკეთესად მოხმარებისათვისო“ („ივერია“, 1895 წ. N91, გვ. 2).

ამაზე ცოტა ადრე იქვე სწერდა: ამ ბოლო დროს ჩვენში ყველა ეკონომიურმა კითხვებმა გაიტაცა, ფუძნდება სხვა და სხვა საეკონომიო საზოგადოებანი, დეპო-ბანკები, „თვით წიგნების გამომცემელი საზოგადოებანიც უმთავრესად ამ მიზანს მისდევენ... მთელი ჩვენი უკეთეს მწერლების ნაწარმოებნი სულ ხელში ჩაიგდეს და რომ სულით-გულით გინდოდეს **იაფ ფასად გამოსცე სახალხოდ** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) რომელიმე მწერლის, თუნდა სულ პატარა, თხზულება, არა და არ შეგიძლიან... მონოპოლია მწერლობაში აი, რის შემოღებას და დამკვიდრებას მიესწრაფიან ეს საზოგადოებანიც-კი!.. დიად ნივთიერი და არა სულიერი ძალის მოკრება, აი დევიზი დღევანდელ ჩვენი კერძო და საზოგადო ცხოვრებისა! **ესეთი ერთმხრივი მიმართულება მე დიდად შემცდარ მიმართულებად მიმაჩნია** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) და დროა ხმა აღვამაღლოთ, რომ ჩვენი საზოგადოება თავისს დროზედ გონს მოვიდეს...“ („ივერია“, 1895 წ. N68, 69...).

აი, ყოველივე ამის შემდეგ ივ. როსტომაშვილი სამწერლო-საგამომცემლო გამალებულ მუშაობაში ჩაება.

თითქო მანამდე არსებულ მიმდინარეობას არ ეთანხმებო, ივანე როსტომაშვილმა გამომცემლობა ანბანიდან დაიწყო და ჩვენის კულტურულ-საზოგადოებრივ თუ ეკონომიურ-სამეურნეო ყოფის ყოველი მხარეს მისწვდა.

მისი კომპლექტური გამოცემანი შინაარსის სიახლით, გარეგნობით და სილამაზით ისე შემოიჭრა ჩვენს მწიგნობრობაში, როგორც ჰაერ-დახშულ ოთახში დილის სუფთა ჰაერი.

ივ. როსტომაშვილის დაწყებულმა გამომცემლობამ უცებ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, – ის, რაც დღემდე „საზოგადოებას“ და „ამხანაგობას“ ვერ მოეხერხებინა, – ერთმა კაცმა შეიძლო და შეიძლო ისე, რომ ყველას მიმზიდველი შეიქმნა, პატენტიან მწიგნობართ ძილი დაუფრთხო. ბიბლიოგრაფია მუდამ ქებით იხსენიებდა ხოლმე. სხვათა შორის, მაგ., აი, რას ვკითხულობთ „კვალში“ (1896 წ. N18, გვ. 300):

„ამ დღეებში რედაქციას მოუვიდა შემდეგი გამოცემანი: 1. „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლის სურათით. ადვილ-გასაგები ენით გადმოღებული გრიგოლ სოლორაშვილის მიერ, გვ. 165, ფ. 50 კ. და 2. ხტუნია ციყუნია ი. გომართელის მიერ, გვ. 29, ფ. 20 კ. ეს ნიგნები გამოცემულია ბ. ი. როსტომაშვილის მიერ. მიუთითებთ ჩვენ მკითხველებს პირველ ნიგნზე, ე. ი. ცივილ. ისტორიაზე ინგლისში. ეს მაღალი გონების ერთი უშესანიშნავესი ნაყოფი საკმარისათ გასაგები ენით გადმოუცია ბ. სოლორაშვილს... „... 3) „ცხენის წურბელა“, მოთხრ. ჩვენი გლეხების ცხოვრებიდან. კ. ხევის-უბნელისა, ივანე როსტომაშვილის გამოცემა, N11, გვ. 49, ფ. 15 კ. 4) მაჰმადი და მისი რჯული, დ. ზარაფაშვილისა, ივანე როსტომაშვილის გამოცემა, N12, გვ. 32, ფ. 15 კ. („კვალი“, 1896 წ. N25, გვ. 435).

„გამოვიდა ახალი ნიგნი „დარვინიზმი“ ე. ფერიერისა, თარგმ. ი. ფანცხავას მიერ, გამოცემა ივ. როსტომაშვილისა. **ფრიად სასიამოვნოა ამ გვარი თხზულებების თარგმნა და გამოცემა ჩვენს ენაზე**“. – შემდეგ აღნიშნავს რა, რომ ეს ნიგნი განთქმულია მთელ ევროპაში, მოკლედ გადმოსცემს მთელი დარვინის მოძღვრებას ძლიერ გასაგები ენითაც. აღწერს რა, რომ ღრმა და საინტერესოა, განაგრძობს: „ჩვენი მხრით დიდი მადლობა უნდა ვუძღვნათ ი. ფანცხავას გადმოთარგმნისთვის და ივ. როსტომაშვილს გამოცემისთვის... გადმოთარგმნილია გასაგები ენით.

**ნიგნი არის გამოცემული ძლიერ სუფთათ, როგორც საზოგადოთ ყველა გამოცემა პატივცემულ როსტომაშვილისა** („კვალი“, 1896 წ. N43, გვ. 774, ხაზი ჩვენია. ი. ი.).

„მივიღეთ ი. როსტომაშვილის გამოცემანი: 1. **აღზრდა შვილისა**, პედაგოგიური წერილები დედასთან, ერნესტ ბემესი, ალ. ნათაძის თარგმანი; ფასი 20 კ. 2. **„სიფრთხილეს თავი არ სტკივა“**, საქონლის ჭირის მოსპობაზე, რუსულიდან ი. ცისკარიშვილისა, ფ. 5 კ. და 3. **ქართული კედლის კალენდარი**, ფ. 20 კაპ. („კვალი“, 1896 წ. N47, გვ. 835).

„ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი ნიგნები: 1) სწავლა-განათლება და მისი ისტორია. შედგენილი გ. ბარნაბიშვილის მიერ.

2) ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარება, შედგენილი სალარაძის მიერ.

ეს ორივე ნიგნაკი გამოცემულია ივ. როსტომაშვილის მიერ სუფთათ და რიგიანათ, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე მისი გამოცემები („კვალი“, 1896 წ. N51, გვ. 907).

ყოველი თვითგანვითარების მიმდევარი აღტაცებით შეხვდა ივ. როსტომაშვილის გამოცემებს, საზოგადოებას მოეწონა, თუმცა შიგა და შიგ „წუნია პატარძლები“, უფრო შურიანობით, აღმაცერად თვალს ჭუტავდნენ.

ივანე როსტომაშვილის სახელი, როგორც პედაგოგის და მწერლის, მანდამდინაც ცნობილი იყო.

იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1874 წ. (როგორც თვით ი. პ. როსტომაშვილისაგან გამიგონია, ვგონებ, 0000 ფსევდონიმი, „დროება“, N430), თანამშრომლობდა თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში, წერდა სასწავლო-სააღმზრდელო, სამეურნეო, სამეცნიერო, სამკურნალო, საოჯახო, საისტორიო, საეთნოგრაფიო, საარქეოლოგიო, საგეოგრაფიო და საერთოდ ყოველგვარ გამოსადეგ ცოდნათა შესახებ წერილებს, მოთხრობებს, გამოკვლევებს, აგრეთვე სთარგმნიდა საყოველთაო გასაგები, სადა, მდაბიო ენით, რათა მეცნიერებათა და სწავლა-მოძღვრებათა შუქი ყველასათვის მისაწვდენი გაეხდინა, გამომცემლობამ კიდევ უფრო განუზრწყინა სახელი.

ივანე როსტომაშვილის მიერ პირველად შემოღებული შერჩეული სამეცნიერო-პოპულიარული წიგნების კომპლექტურად ხელის მონერით გამოცემის შესახებ „კვალი“ (1896 წ. N51) წერდა:

„ბ. როსტომაშვილს სულ 18 წიგნი გამოუცია წელს და ამითი თავდება მისი დაპირება; ახლა ხელის მომწერნი მხოლოდ ალბომს მიიღებენ“.

ივ. როსტომაშვილმა თავის მიერ გამოცემულ 18 წიგნი ან კომპლექტი შეიტანა როგორც ანბანი, პირველ დაწყებითი საბავშვო დასურათებული ანბანი, ისევე სამეცნიერო პოპულარული წიგნები („დარვინიზმი“, ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“...), აგრეთვე ბელეტრისტიკაც, მათ შორის ი. ჩიტაძის მოთხრობა „სოფლის მოღვაწენი“, რომელშიაც სოფლის იდეალური მასწავლებელი და ნაყოფიერი სწავლის შედეგია ნაჩვენები. ი. მ.-ანმა ამ მოთხრობას ზღაპარი უწოდა („ივერია“, 1896 წ. N6, გაკვრით), უფრო მეტიც: თვით გაზ. „ივერია“ არ იზიარებდა ივ. როსტომაშვილის სააღმზრდელო იდეებს: „სკოლა და ქადაგება იმ სასწავლს ვერ შექმნიან, რომელიც მოთხრობილია ბ. ჩიტაძის მოთხრობაში“ („ივერია“, 1896 წ. N15).

ამაზე ივ. როსტომაშვილმა უპასუხა:

„კერძო პირს სხვათა შორის იმით შეუძლიან ემსახუროს საზოგადოებას, რომ უწყებული იდეები დანერგოს და გაავრცელოს ხალხში... დღეს მეტად დაქვეითებულია ჩვენი სოფელი, მეტად უთავ-ბოლოდ მიდის მისი კერძო და საზოგადო ცხოვრება. ყველა შეგნებულის ვალია საზოგადო მსჯელობის და შესწავლის საგნად გახადოს იგი, რათა ახლო მომავალში, ერთს გარკვეულს გზას დაადგეს საზოგადოების და თვით კერძო პირთა აზრი“. ჩვენ ეს მოთხრობა იმიტომ გამოვეცით, რომ მისი დედა აზრია, „...რომ დედა-საფუძველი ცხოვრების პროგრესისა არის სწავლა, მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც: წინააღმდეგ დღევანდელი სახის სწავლისა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას, ჩვენ-მიერ

გამოცემულს მოთხრობაში დასურათებული სკოლის სწავლა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია საზოგადო სამსახურის იდეით, მოსწავლის ფართო განვითარებით. თქვენ ზღაპრად მიგაჩნიად ეს, მაგრამ მიიხედ-მოიხედეთ გარშემო, განსაკუთრებით შეისწავლეთ ჩვენი მეზობელი ხალხის სკოლების სული და გული და **დარწმუნდებით, რომ დიდად ადვილი საქმეა შეაგნებინოთ სოფლის მოზარდ თაობას, თუ რა არის კერძო და საზოგადო სიკეთე, კერძო და საზოგადო სარგებლობა...**“ მოთხრობის აზრია, რომ „**საზოგადოების განახლება მხოლოდ კერძო პირთა ცხოვრება-ხასიათების განახლებით შეიძლება** უპირველეს და სხვათა შორის სრული სიფხიზლის გონზე უნდა დააყენოთ საზოგადოების წევრნი, გონება-ფხიზელნი გახადოთ ისინი და მხოლოდ მას შემდეგ შეგეძლებათ თვითონ საერთო საქმის უკეთ და სავსებით წაყვანაც...“ ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებში ხალხის გამოფხიზლებისა და გარდაქმნის ასეთი აზრებიაო, „**სიკეთე ითესება ამ ქვეყნად სხვათა შორის საზოგადოების შეგუღიანებით და უწყებელი იდეების და შეხედულებათა დანერგვით და გავრცელებით**“... „ჩვენ კიდევ ბევრ სხვა თხზულებებს გამოვცემთ მის შესახებ, რათა უფრო ვრცლად და გარკვევით გავითვალისწინოთ ყველა ის კითხვები, რომლების გადაწყვეტა ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება ჩვენთვის საჭირ-ბოროტო“-ო („ივერია“, 1896 წ. N15).

ამავე წერილში ამბობს: „**მე იმ აზრის მიმდევარი ვარ, რომ სანამ თვით კერძო პირები არ ვიქნებით უფრო უკეთესნი, უფრო კეთილნი, უფრო მოტრფიალენი კერძო და საზოგადო საქმისა, იმ დრომდე ტყუილია, ვითომ თქვენ შეიძლოთ მთელი სოფლისა და საზოგადოების წინ წაწევა, ფეხზე დაყენება**“...

ვ. გუნიას „ცნობის ფურცელი“ თანაგრძნობით შეხვდა ივ. როსტომაშვილის საგამომცემლო საქმიანობას და პირველხანად ყოველ მის ნაბიჯს გაახშიანებდა ხოლმე. მაგ. 1896 წ. აცხადებდა: „**მომავალ 1897 წლისათვის იგივე პატივცემული მოღვაწე (ივ. როსტომაშვილი, ი. ი.) უქადის ქართველ საზოგადოებას მიაწოდოს „მეორე დიდი ალბომი აღწერით: საქართველოს შესანიშნავ(ნი) დაბა-ქალაქნი, ციხენი, ეკლესიანი, მონასტერნი და სხვა ისტორიულ(ნი) ნაშთნი**“. ფასი ხელის მომწერთათვის იქნება 4 მანათი. ამ წლის ალბომი მიუვათ ხელის მომწერთ 1 იანვრამდე“ („ცნობის ფურცელი“, 1896 წ. N50).

ასეთი გამომცემლობის საამხანაგოდ მსურველნიც გამოჩნდნენ. ერთერთ მათგანს, ბ-ნ რ. სოლოლაკელს, ივ. როსტომაშვილმა უპასუხა: „**თქვენი მოწოდება, რომ ქართული საყმანვილო, სახალხო და სამეცნიერო წიგნების გამოცემა, რომელსაც ამ ჟამათ მარტო მე ვანარმოვებ, საამხანაგო გახადო, – მე დიდი სიამოვნებით მიმიღია და ამიტომ ვთხოვ ყველას, ვისაც**

სურს გულ-წრფელი მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში, მომავალ კვირას, ე. ი. 27 დეკემბრისთვის, შუადღის 12 საათზე, მობრძანდენ ჩემ სადგომში (ტელეგრაფის კანტორასთან ჩასახვევ გრაფის ქუჩაზე, N5), რათა მოვილაპარაკოთ 1897 წლისათვის წიგნების გამოცემის საქმის ამხანაგობით მოწყობაზე.

ივანე როსტომაშვილი“ („კვალი“, 1896 წ. N44, გვ. 795).

ივ. როსტომაშვილის ამ წერილს გამოეხმაურა პ. პავლიძე:

„ვინც გონების თვალთ ჩაჰკვირვებია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, ... იმას უეჭველად შეუნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოებაში დიდი ხანია გაიზარდა და დამნიფდა გონებრივი საზრდოს მოთხოვნილება“... „ქართველი საზოგადოება გულ-ცივად ეკიდება საქმეს; წიგნები არ იყიდება; ვილუპებით“ – და სხვა... და ამავე დროს ქართველ ინტელიგენციის მეორე ნაწილი რამდენსამე გამომცემელ ამხანაგობებს აარსებს“ (იხ. „კვალი“, 1896 წ. N44, ბ. ი. როსტომაშვილის მოწოდება). მომავალი ამხანაგობები, თუ კერძო გამომცემლები... შეუცვლელ ჭეშმარიტებად დაუსახავთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ჯერ დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება გონებრივ სიბნელიდან გამოსვლისა... მას (ინტელიგენციას, ი. ი.) ჯერ ერთი სამეცნიერო წიგნაკიც არ მოუძღვნია საზოგადოებისათვის“-ო.

პ. პავლიძე ჩამოთვლის რა ჩვენს ხალხში არსებულ ცრუმორწმუნეობებს, კითხულობს: „როდის შეებრძოლა ამას ჩვენი ინტელიგენცია? დამისახელეთ ერთი წიგნაკიც არის, რომ რომელსამე ჩვენში არსებულ ამხანაგობას ან კერძო გამომცემელს მიეძღვნას მკითხველ საზოგადოებისათვის, რომელშიაც მეცნიერულად ყოფილიყოს ახსნილ-განმარტებული ეს უბრალო ბუნების მოვლენანი“-ო... „ინტელიგენციას ვერ შეუგნია მკითხველ საზოგადოების ნამდვილი მოთხოვნილება“-ო, ამათრახებს მხოლოდ ესთეტიკის მიმდევარ ინტელიგენციას და აღნიშნავს: „ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის შეცდომების გასასწორებლად, ინტელიგენციის მეორე ნაწილი გამოდის სამოქმედო ასპარეზზე და მოუწადინებია უმცროსი მოძმეების კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. **ჩვენ მოგახსენებთ... იმ მოსალოდნელ ამხანაგობაზე, რომლის დაარსებაც პატივცემულ ი. პ. როსტომაშვილს მოუწოდებია. კეთილშობილურია ეს სურვილი...** ამისათვის ერთადერთი გზა ის არის, რომ თვით მკითხველ საზოგადოებისაგან შევადგინოთ წიგნების გამომცემელი საზოგადოება, დავაარსოთ „მკითხველთა ასოციაცია“, მაგალითად, ისეთი წესით, როგორც ივ. როსტომაშვილი სცემსო... „ჩვენ აქ **ბ. როსტომაშვილი იმიტომ ავიღეთ მაგალითად, რომ ხელის მონერით წიგნების გამოცემა იმან შემოიღო ჩვენში...** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) ამხანაგობამ თვითონვე უნდა მიზნად დაისახოს ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერა-

ტურის შექმნა... თუ ვინმე მოისურვებს ამის განხორციელებას, მაშინ ვეცდებით დაწვრილებით შემუშავებული პროექტი მივანოდოთ..." („ცნობის ფურცელი“, 1896 წ. N50, 52, 53).

ივ. როსტომაშვილის მიერ გამოცემულ წიგნების შინაარსმა, სახალხო სამეცნიერო ხასიათმა და საგამომცემლო გეგმამ ისე მოხიბლა ახალგაზრდობა, რომ მათ მოინადინეს სათანადო ამხანაგობის შექმნა ივ. როსტომაშვილის ხელმძღვანელობით.

ივ. როსტომაშვილმა წერილითვე გასცა პასუხი: „**ფრიად მოხარული ვარ, რომ ქართულ წიგნების გამოცემის საქმე ნელ-ნელა საზოგადო ყურადღებას იზიდავს ჩვენში. მე სრული თანახმა ვარ თქვენი იმ აზრისა, რომ ქართული წიგნების გამოცემა დამყარებული თვით მკითხველებზე და ხელის-მომწერლებზე, ერთი უკეთესი საშუალებაა ამ საჭირო საქმის სასურველად მოსაწყობად, და ამიტომ გთხოვთ თქვენ-მიერ დაპირებული პროექტი წარმოგვიდგინოთ, შედეგს, რა თქმა უნდა, თავის დროზე ვაცნობებთ მკითხველ საზოგადოებას**“ („ცნობის ფურცელი“, 1896 წ. N57, ხაზი ჩვენია. ი. ი.).

1897 წ. გაზ. „ცნობის ფურცელში“ (N78) წერდა: „ბ. პავლიძემ არ დააყოვნა პროექტის წარმოდგენა და რამდენიმე კრების შემდეგ შევეთანხმდით, მოვანყოთ წიგნების გამოცემის საქმე სწორეთ ისე, როგორც მოხსენებულია ქვემოთ მოყვანილ პროექტში... ამასთანავე პატივი მაქვს ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ წარმოება ამ საქმისა ვიკისრე მე და ახლო მომავალში გამოვაცხადებ იმ წიგნებს, რომლებიც მოწონებულ იქნება და საბეჭდათ სარედაქციო კომისიისაგან...“

აქვე დაიბეჭდა „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის ხელშეკრულების პროექტი „ახალი მკითხველი“, რომლის შესავალში ვკითხულობთ:

„თანამედროვე ცხოვრებამ წარმოშობა მკითხველთა ახალი ტიპი, რომლის გონებრივ მოთხოვნილებას სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ქართული ლიტერატურა... ზემო-ხსენებული მკითხველი ეძებს არა გასართობ საგანს, არამედ მეცნიერულ ცოდნას – როგორც ბუნების მოვლენებისა, აგრედვე საზოგადოებრივ კითხვების შესახებ. ამიტომ, ამ ნაკლის შესავსებად, ჩვენ, ქვემოთ ამის ხელის მომწერთ, გადავწყვიტეთ დავაარსოთ ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა, სახელწოდებით: „ახალი მკითხველი“ – შემდეგის პირობებით:

1) ამხანაგობას მიზნად აქვს გამოსცეს სახალხო-სამეცნიერო წიგნები და აგრედვე ბელეტრისტიული და პოეტური ნაწარმოები...

2) ძირითადი თანხა ამხანაგობისა შესდგება ყოველ წლიურ ხელის მოწერით და ერთ დროებითის გადასახადით.

3) ამხანაგობის წევრებად ირიცხებიან ის პირნი, რომელთაც შემოაქვთ სამ-სამი მანათი ყოველ წლიურად, ანუ ოცი მანათი ერთდროებითად...

9) თვითეული წევრი წლის განმავლობაში იღებს ამხანაგობის ყოველ გამოცემებს "... და სხვა. – ეს წესდება შესდგება 25 მუხლისაგან („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N78).

ივ. როსტომაშვილი ამ ამხანაგობის საქმიანობას ბევრითად უძღვებოდა, ამავე დროს ალბომ „საქართველო სურათებში“ გამოცემას ამზადებდა.

„ახალი მკითხველი“-ს ამხანაგობის შექმნას [...] ი. გოგებაშვილი სიამოვნებით მიეგება:

... „დედა-აზრი ახალი საზოგადოებისა მეტად მარტივია, სალი, გამაადვილებელი საქმისა და გამამრავლებელი მკითხველისა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველა შეგნებული ქართველი სრული თანაგრძნობით მიეგება ამ საზოგადოებას, გახდება მისი წევრი და დაეხმარება მისს აღორძინებასა თავისა და ქვეყნის სასარგებლოდ... ჩვენ დიდის სიამოვნებით ვხდებით წევრი ამ საზოგადოებისა და მზათა ვართ აღმოვუჩინოთ ყოველ გვარი შემწეობა. ამასთანავე თანაგრძნობის და დახმარების ღირსია გამოცემა „საქართველო სურათებში“, რომელიც აღუთქვა ქართველებს ბატონმა ივანე როსტომაშვილმა და რომელსაც უთუოდ ჩინებულად შეასრულებს“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N89, გვ. 3. ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ასე ფიქრობდა არა მხოლოდ ი. გოგებაშვილი, არამედ სამშობლო ქვეყნის აღორძინების მონატრე ყველა გონიერი ქართველიც, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ვერც კი შეეგნოთ, ან არა სურდათ შეეგნოთ, რას წარმოადგენდა „საქართველო სურათებში“. ამიტომ ივ. როსტომაშვილმა „ცნობის ფურცელი“ 1897 წ. N116-ში დაბეჭდა:

„ახალ გამოცემის შესახებ „საქართველო სურათებში“

„თვალ-საჩინოდ გაცნობა სამშობლოსი, იგივე სიყვარულის აღძვრვა-აღფრთოვანებაა მისდამი“...

„ბევრნი გვთხოვენ ავუხსნათ – რა ალბომი იქნება „საქართველო სურათებში“, რომლის გამოცემა კარგა ხანია გამოვაცხადეთ ჩვენ...

„მოხსენებულ სათაურით ჩვენ სულ ხუთ ან ექვს ალბომს გამოვცემთ. ალბომი იქნება დიდი ფორმატისა; თითოში იქნება 250-300 გვერდი და ორას-ორასი სურათი საქართველოს ყოველ კუთხის შესანიშნავ ადგილებისა და ნაშთებისა, ვითარცა არიან: დაბა-ქალაქნი, ციხენი, ეკლესიანი, მონასტერნი და სხვ., აღწერით ქართულად და რუსულად. ერთი სიტყვით, ეს იქნება მეცხრამეტე საუკუნის ვახუშტი, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს

---

\* ფურცელი ამ ადგილას დაზიანებულია, არ იკითხება (რედ.).

გამოცემაში ვახუშტის გეოგრაფიაში მოხსენებული ყოველი შესანიშნავი ადგილი დასურათებული იქმნება და თვით ჩვენ-მიერ ნახულ შემონმებული.

საფოტოგრაფიო ხელოვნების თვით ჩვენ-მიერ ცოდნა და შეძენილი გამოცდილება სურათების შემზადება-დაბეჭდვაში, თავდება, რომ ნაკისრ საქმეს ცუდათ არ შევასრულებთ.

თუ [ღმერთმა ინება და] ხელის-მომწერთა რიცხვი ათასამდე ავიდა, რომ ალბომი უკეთესი გამოვიდეს, ჩვენ მას პეტერბურლს ან მოსკოვს დავბეჭდავთ და იქნება ქართულ-რუსულ ტექსტს ფრანგული მიუზმატოთ, რომ მით ჩვენი ქვეყნის და წინაპრების ნამაგდარი ევროპასაც გავაცნოთ.

ხოლო, რომ შევადლებინოთ ჩვენს საზოგადოებას და თვით ჩვენს თავსაც ამისთანა დიდი განძის შეძენა ოჯახისათვის და ქვეყნისათვის, ჩვენ გამოცემთ ყოველ წლობით მხოლოდ თითო ალბომს, მთლად საქართველოს დასურათებას ხუთს ანუ ექვს წელიწადში გავათავებთ.

... ვსთხოვთ ჩვენს საზოგადოებასაც, ხელი შეგვიწყოს დაწყებულს საქმეში ხელის-მომწერით... სამოცი უკეთესი სურათი ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ადგილებისა და ნაშთებისა უკვე იჭრება ქ. პეტერბურლში და დანარჩენებსაც ვამზადებთ.

ფასი ამ 1897 წლის ალბომისა („საქართველო სურათებში“) მშვენიერის ყდით და გაგ ზავნით არის ხუთი მანათი“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N116, გვ. 3).

ამას გარდა, ივ. როსტომაშვილმა განიზრახა „სურათ-კონა“-ს გამოცემა, რისთვისაც გამოაცხადა:

„ჩვენი მხატვრების საყურადღებოდ.

ვსთხოვთ ჩვენს მხატვრებს დახატონ და წარმოადგინონ „მოგზაურის“ „სურათ-კონაში“ დასაბეჭდათ სურათები ჩვენი ძველი და ახალი მწერლების ნაწერების შინაარსის და ისტორიულ ამბავთა ამხსნელი... (აქვე ახსნილი იყო ზომა. ი. ი.).

თვითეულს მოწონებულს სურათში დამხატველს მიეცემა ხუთი მანეთი“.

ამით ივ. როსტომაშვილი, ერთის მხრივ, თუ ჩვენის მწერლობის საუკეთესო ნიმუშთა პოპულარიზაციას ენეოდა, მეორეს მხრივ, მხატვრებს შემოქმედებითი გზას უჩვენებდა და სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავდა.

გაოცებას იწვევს ივ. როსტომაშვილის მწერლობისა და გამომცემლობის სიჭრელე, მრავალფერობა. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ მხარეს იტყვიოთ, კულტურის რომელს დარგს, რომ არ შეხებოდეს და ეხებოდა მუდამ დიდის ყურადღებით, გატაცებით, ენთუზიაზმით. არც ერთს წუთს უქმათ არ ჰკარგავს, მუდამ შრომაში გართული, პირად საოჯახო ცხოვრებაში შევიწროებული, მთელ თავის ძალღონეს, როგორც სულიე-

რ-ფიზიკურს, ისევე ნივთიერს მშობელ ხალხის – გლეხკაცობისა და მუშების გათვითცნობიერებას, გაჯანსაღებას, წარმატებას ახმარებდა...

ასევე ხალხით მუშაობდა „ახალი მკითხველის“ გამომცემლობაში.

მოგვყავს მისი პირველი ნაბიჯების შესახებ ცნობები: ეს ნათელ ჰყოფს, როგორც ჩვენი იმ დროის მწიგნობრობის მდგომარეობას, აგრეთვე ამ გამომცემლობის იდეიურობას.

„ახალი მკითხველი“-ს გამომცემანი.

„ახალი მკითხველის“ სარედაქციო კომისიამ გადასცა დასასტამბად დ. კუდრიავსკის ცნობილი წიგნი: **„როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად?“** რედაქციას მზადა აქვს აგრეთვე დასაბეჭდად მომზადებული შემდეგი წიგნები: 1) **„შრომა და კაპიტალი“** – სვიდერსკისა; 2) **„ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა“** – ი. კარნოსი; 3) **„როგორ წარმოსდგა ოჯახი და საკუთრება?“** – კ. კაუცკისა; 4) **„ოჯახის და საკუთრების წარმოდგომა და განვითარება“** – ხუთმეტი ლექცია მაქსიმე კავალევსკისა და სხვ. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ქართველ მწერლებს, მიაწოდონ მას თავიანთი კალმის ნაწარმოები, როგორც სამეცნიერო, ისე პოეტური და ბელეტრისტული თხზულებები (ნათარგმნი და ორიგინალური). სარედაქციო კომისია ამ მოკლე ხანში გამოაცხადებს მთარგმნელთა საყურადღებოდ უცხო ენაზე დასტამბულ წიგნების სიას, ისეთ წიგნებისას, რომელთა გამომცემას იკისრებს თვით ამხანაგობა. ორიგინალურ თხზულებების ავტორებს, თუ თხზულება ორს დასტამბულს თაბახს (64 გვერდი) არ აღემატება, გონორარად მიეცემა სტრიქონში თითო კაპიკი, თუ ორ თაბახზე მეტი გამოვიდა – ნახევარი კაპიკი. თარგმანში, თუ იგი ერთს ბეჭდურს თაბახს (32 გვერდს) არ აღემატება, ავტორს მიეცემა სტრიქონში თითო კაპიკი, ხოლო, თუ ერთს თაბახზე მეტი გამოვიდა – ნახევარი კაპიკი. მთარგმნელებს შეუძლიან წიგნი მოითხოვონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Графская ул. №5, «Новый читатель», Ивану Павловичу Ростомашвили“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N130).

საგამომცემლო საქმემ, მწერლობამ და, საერთოდ, მწიგნობრობის გამდიდრებამ ისე გაიტაცა ივ. როსტომაშვილი, რომ ყველას მწერლობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო რადგან ყველას ნაშრომის გამოცემა „ახალი მკითხველი“-ს ამხანაგობას არ შეეძლო თავის პროგრამით შეზღუდულობისა გამო, ივ. როსტომაშვილმა შექმნა „ქართული წიგნების გამომცემელი „მუამავალი“ („ივერია“, 1897 წ. N74).

აი, მოუსმინეთ:

„ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ყოველმა მცოდნე და განათლებულმა კაცმა უნდა რამე დასწეროს სამშობლო ენაზედ, ხოლო ყოველმა ცოტაოდნათ

შეძლებულმა გამოსცეს ერთი ანუ რამდენიმე წიგნი და ამგვარად თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის გონების სალაროში... ჩვენი ვალია, იმ ხარისხამდე მივიყვანოთ ქართულის წიგნების გამოცემის საქმე, რომ თითქმის არც ერთის საგნის შესახებ არ ვრჩებოდეთ უწიგნოდ...“ რადგან ამას სხვადასხვა გამომცემელი ვერ უძღვებოდა, ამიტომ წინადადებას ვაძლევ ხოლმე ავტორებს, ანუ სხვათ, გამოიღონ საჭირო სასყიდელი გამოცემისათვის, ხოლო თვით ჩვენ ვკისრულობთ ყოველ დანარჩენ შრომას და რედაქციას გამომცემისას...

... „ამ გვარად წიგნების გამოცემა დიდ საშუალებად მიგვაჩნია ჩვენი მწიგნობრობის გაცხოველებისათვის, რადგანაც თითო-ოროლა წიგნის გამოცემა ცოტაოდნადაც შეძლებულ კაცისათვის არავითარს სიძნელეს და შიშს (ნივთიერის ზარალის მხრით) არ წარმოადგენს“.

აქვე რამდენიმე წიგნის სათაური მოიხსენია, ამათი გამოცემით გამომცემელი არ იზარალებს, „ვსთხოვ ყველას, ვისაც სურს, გამოიღოს წვლილი რომელისამე ჩვენ მიერ დასახელებული წიგნის გამოსაცემად, მოგემართოსო ჩვენ“, – გამომცემელი წიგნი გამომცემლის იქნებაო. გამოსაცემ წიგნთ შორის, სხვათა შორის, დასახელებული ჰქონდა: „ჩვენ ქალებს“, შტარისა, „სიმართლის დაცვა“, ვიდამისა, „ჩვენი მგოსნები“, „ალექსანდრე მაკედონელი“, „მოგ ზაურობა მარიხზე ანუ სხვა პლანეტზე“, ლორესი, „ისტორია ძველის ეგვიპტისა, მცირე აზიისა, ინდოეთისა, მიდიისა, სპარსეთისა და საქართველოსი“, მასპეროს ისტორიიდან გადმოღებული ი. გომართელის მიერ, „ოსმალები“, „ისტორია და გეოგრაფია ეგვიპტისა“, „მთები და იქაური ბუნება“, ი. კაციტაძისა, „რისთვის იბრუვებს ხალხი თავს?“, ტოლსტოისა, „საბერძნეთი“, „ინგლისი და ინგლისელები“, „ჰოლანდია“, „ივანე გუსი“, დასურათებული „სიბრძნე-სიცრუე“, „ახალი წესი ვენახების გაშენებისა“ და სხ. აქვე საყმაწვილო წიგნაკები: „ჩვენი მამალი“, ვაჟა-ფშაველასი, „ნუკრის ამბავი“, მისივე, „მურია“, თ. რაზიკაშვილისა, „თინიას გიშერა“, ს. მგალობლიშვილისა, „ბატები“ და სხ.

ყველა წიგნს მოკლე რეცენზია ახლდა, თანვე მოხსენებული იყო, რომელი წიგნი რამდენი დაჯდებოდა, რა ფასად გაიყიდებოდა და სხ. „ყოველ წიგნს ჩვენ გამოვცემთ 1200 ცალს (შეიძლება მეტიც, თუ მოისურვა გამომცემელმა); აქედან ათასს ცალს მივცემთ გამომცემელს ან გადავცემთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მალაზიას გამომცემლის სასარგებლოდ გასასყიდად (25% დაკლებით თვით მალაზიის სასარგებლოდ); 100 ცალი გაეგზავნება ავტორს და 100 ცალსაც ჩვენ სასარგებლოდ დავინარჩუნებთ“ და სხ. („ივერია“, 1897, N74, ქართული წიგნების გამომცემელი ივანე როსტომაშვილი).

ამ გვარი ხერხით ივ. როსტომაშვილმა რამდენიმე წიგნი გამოსცა და სასარგებლო საქმე გააჩაღა კიდეც, მაგრამ აქ „ცნობის ფურცელი“ გადაეხიდა.

ივ. როსტომაშვილისა და მისი გამგებლობით წარმოებულ „ახალი მკითხველი“-ს გამოცემანი იმ დროს თუმცა უდაოდ პროგრესიული იყო, ახალ მკითხველის დამაკმაყოფილებელი პრესის ერთი ნაწილი მაინც ალმაცერად შეხვდა, – იმიტომ კი არა, რომ უშინაარსო წიგნებს ბეჭდავდა, არამედ ჩვენი ხალხისათვის შეუფერებელიაო („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. 20/4, N174, „სახალხო წიგნების გამოცემა“), აღნიშნავს რა, რომ კრებებზედ, კერძოდ თუ წერით, ბევრს ლაპარაკობენ ხალხის განათლებაზე, საქმით არ კეთდებაო, განაგრძობს:

„ჩვენებურნი წიგნის გამომცემელნი უფრო ზრუნავენ ინტელიგენციისთვის, ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილებისთვის, რომელთაც შეძლება აქვთ რუსულის ლიტერატურითაც დაიკმაყოფილონ სულიერი წყურვილი და ისინი-კი, ვინც მოკლებულნი არიან ამ სახსარს, ვინც დანდობილნი არიან მხოლოდ თავისს სამშობლო ენას, ესე იგი ჩვენის ხალხის უმრავლესობა, მოკლებულნი არიან განათლებულს ზრუნვას ჩვენის გამომცემლობისას“. „თითქმის ერთად ერთი“ ი. ს. გოგებაშვილი ბეჭდავს ნამდვილ ხალხურ წიგნებსო. „ამისი წიგნები: „იავნანამ რა ჰქმნა?“, „ხატის მიზეზი“, „ასპინძის ომი“, „თავდადებულნი ქართველნი“, როგორც შინაარსით, ისე ფასით“ მისაწვდენია ხალხისათვისო.

„სხვები-კი სახალხო წიგნების სახელით ჰბეჭდავენ: „შრომასა და კაპიტალს“, „სწავლა-განათლება და მისი ისტორია“, „უმთავრესნი საფუძველნი სალიტერატურო კრიტიკისა“, „ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში“ და სხვა ამისთანებს.

„ამ სხვებს ვერ შეუგნიათ კარგად თავიანთი მოწოდება, ვერ მიუგნიათ იმ საიდუმლოებისთვის, თუ რა საგანზედ სწერონ და რა რიგ სწერონ, რომ ხალხისთვის გასაგებარნი და გამოსადეგნი იყვნენ“. არ იციან, რაზე როგორ სწერონ, ამიტომ ირჯებიან კიდეც, – მათი გამოცემანი არ იყიდება და ღპება, ი. გოგებაშვილის წიგნები კი მეორე-მესამედ იცემაო! – რისთვის? – იმიტომ, რომ აქ გოგებაშვილის წიგნებში ქართველ მკითხველს ჰხვდება ერეკლე მეფე, ინგილო გოგო, პანია ქართველი, ხოლო იქ – ბოკლი, სპენსერი, პესტალოცი და სხვ. „რასაკვირველია, ჩვენს ინტელიგენციაზედაც ზრუნვა საჭიროა, ხოლო ნუ დავივიწყებთ, რომ მას ემსახურებიან ჩვენი ყურნალ-გაზეთები და მთლად რუსული ლიტერატურა. ჩვენი ხალხი-კი სრულებით მოკლებულია საშუალებას სწავლისა და ცოდნისას“-ო.

„ვერ მოიკიდა ფეხი, სულ ნახტომი ეშლება, ამ სარბიელზედ აგრეთვე დიდად პატივცემულმა ივანე პავლეს ძე როსტომაშვილმა. თავის დევიზად

გამომცემლობაში მან აღიარა ხალხის სამსახური: „ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“-ო და ხალხის სამსახურის ნაცვლად ინტელიგენციას დაუნყო მსახურობა.

„უმრავლესობა მისთა გამოცემათა არ ჩაითვლება სახალხო წიგნებად და აი მიზეზი, რომ მან ველარ შესძლო ამ ტვირთის ზიდვა და მოინწვია დამხმარედ „ახალი მკითხველი“.

...„ივერიის“ ფურცლებზედ სულ სხვა აზრს აცხადებს; აზრს, რომელსაც „ახალ მკითხველთან“ საერთო არა აქვს-რა.

„რა ფასისაა ეს ახალი აზრი პატივცემულის მოღვაწისა და გამოვა რამ აქედამაც თუ არა, – ამაზედ შემდეგ მოგახსენებთ“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N174).

ამას სწერდნენ მაშინ, როდესაც საქართველოში უკვე მესამე დასი გაჩენილიყო, მარქსისტული მიმდინარეობა ჩამოყალიბებული, მუშათა წრეებში აქა-იქ რევოლუციურ-განმანთავისუფლებელ იდეების თესლი ჩაბნეული, წარმოიშვა, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც საიმედო ახალი მკითხველი.

განათლებულმა ქართველმა რუსული იკითხოსო, ე. ი. ქართულად ასეთი ლიტერატურა არაა საჭიროო, რასაც რუსულის მცოდნე რუსულად გაეცნობა და ეს რომ სამეცნიერო-პოპულიარული ლიტერატურის ქართულად განვითარებას შეუძლებად ჰყოფდა, თითქო ანგარიშს არც კი უწევდნენ, – მხოლოდ ქართულის მცოდნე ასეთ ლიტერატურას სულაც არ უნდა დასწაფებოდა, – ხომ ნახეთ, როგორ დაისაჯენით, ასეთი შინაარსის წიგნი არ იყიდება, სანყოფნაში გილუბებათო... ასე სწერდნენ, იმას კი ივინყებდნენ, რომ ყოველი ახალი, ქვეყნის სასიკეთო იდეა ძნელად იკვლევს გზას და ა. ნულუკიძის თქმის არ იყოს, საბოლოოდ მაინც „იდეა იმარჯვებს!..“ და თუ ჩვენშიაც იმ თავიდანვე არ დაგვეწყო ნიადაგის მომზადება, შრომა და ბრძოლა, ხომ ვერც დღევანდელს მდგომარეობას მივალწევდით. ივ. როსტომაშვილი იყო ერთი მათგანი, ძლიერ მცირე ჯგუფის წევრთაგანი, რომელიც ღრმად დარწმუნებული იყო უკეთეს მერმისში და მუდამ წინ იცქირებოდა, სასურველ მომავალს ნარეკლიან გზას უკაფავდა... ელექტრის სისწრაფით მისწრაფებოდა, თავისი ხალისიანი შრომით თანამემამულეთაც ახალისებდა: წინ, წინ გასწითო!..

მაგრამ ასე არ ფიქრობდა „ცნობის ფურცელი“-ს ჭირისუფალი: „ჩვენ ... დიდი პატივის მცემელნი ვართ პირადად ბ-ნ როსტომაშვილისა და მისი მართლაც და უანგარო შრომის და იშვიათის მეცადინეობისა. ... ჯერ შარშან გამოსცა 18 წიგნი და ერთი ალბომი „ქართველთა ტომი“... განა შესაძლებელია მართებულად გაძლოდა და გაკეთება ამოდენა საქმისა?

...წლებით შეადგინა ახალი საზოგადოება წიგნების გამოცემისა სახელად „ახალი მკითხველი“... მან ამავე დროს გამოაცხადა და ხელის მონერაც გამართა: 1897 წ. დავბეჭდავ ახალს წიგნს ალბომს „საქართველო სურათებში“.

ამას ათი კეთილსინდისიერი კაციც ვერ აუვიდოდა. ბ. როსტომაშვილმა კი თავს იდგა ასეთის მძიმე საქმის შესრულება ერთის წლის განმავლობაში... პატივცემულ ივანე როსტომაშვილის ხელში საქმე ჩვეულებრივ კი არა, თითქოს ედისონის ელექტრონულ მანქანებით კეთდებო... რათა და რისთვის ასეთი აჩქარება. – რათა სწორავთ სიმართლეს საქმისას მისს ღირსებებს?..

... „ასეთს ელექტრონის სისწრაფით მიხტის მისი გონება, კალამი, საქმე იმთავითვე. მოიგონეთ: თელავის დეპო, კახის სკოლა, ძველად გამოცემული წიგნები, უშველებელი, ვგონებ, ათ-კარიანი ქართული ქრისტომატია, სასოფლო ფოსტა, ქალების სკოლა, გამსესხებელი კასსა, ჯავახეთის აღწერა, ფოტოგრაფიის შესწავლა და სხვა, და სხვა, და სხვა. ჩვენ აქ მეთაურობდა ვერ ჩამოვთვალეთ მის მიერ დაწყებული საქმეებისა. დაწყებულისაო... და აბა დამთავრებულები?

ივ. როსტომაშვილი არაჩვეულებრივი ნიჭისა და ფაქიზის სინდისის კაცია და სამწუხაროა, რომ ის ვერ დამყარებია ერთს საგანს, ერთს აზრს...

„ის არა თუ თავისს თავს ასე მიაზრებინებს, სხვასაც მათრახსა სცემს: ჩემსავით გაიქეციო“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N175).

ივ. როსტომაშვილს სწორედ იმას უსაყვედურებდა „ცნობის ფურცლის“ უსახელო ავტორი, დინჯი ქართველი, რითაც თავს იწონებს დღეს ყოველი შრომის გმირი, სოციალისტური მშენებლობის ყოველი დაუზარელი ენთუზიასტი მუშა.

დიად, ივ. როსტომაშვილი თავის დროისათვის ნამდვილ სოციალისტურ შრომის გმირად ჩაითვლება.

ივ. როსტომაშვილმა „ცნობის ფურცელი“-სადმი მიძღვნილ პასუხში ყოველი საყვედური დაარღვია და კიდევ ერთხელ გაარკვია თავისი გამომცემლობის გეგმა და იდეურობა: ამ პასუხით გამოაჩინა ზოგიერთ მწიგნობრის სიბეცე, ჩამორჩენილობა, ერთის მხრივ, ხოლო თავისი პროგრესიულობა და წინსვლისაკენ მისწრაფება, მეორეს მხრივ. წერილში „სახალხო წიგნების გამოცემის გამო“ („ცნობის ფურცელი, 1897 წ. N182) ამბობს:

„როდესაც ჩვენ ხელი მოვკიდეთ ქართულის წიგნების გამოცემას, გამოვაცხადეთ შემდეგი: **„ჩვენი მიზანია შევქმნათ ხეირიანი მწიგნობრობა, ანუ წიგნები... ისეთი მწიგნობრობა და წიგნები, რომლებშიაც ქართველი მკითხველი ჰპოვებდეს იდეალებს თვისის სიცოცხლისას, მეცნიერულს**

საფუძვლებს თავისს ამ ქვეყნად ცხოვრება-მოქმედებისას... (ხაზი ჩვენია. ი. ი.). ჩვენი მიზანია მივაჩვიოთ ქართველი მკითხველი ქართულის წიგნის კითხვას იმ აზრით, რომ სრულ ვყოთ მით (წიგნით) ჩვენი შეხედულებანი ქვეყანაზე და ცხოვრებაზე, სრულ ვყოთ თვით ჩვენი ცხოვრება“ და სხვ. (იხ. ჩვენი განცხადება 1895 წ. მეხუთე წიგნის ბოლოში).

„...სულ სხვა-და-სხვა გვარად გვესმის მე და შენიშვნების ავტორს ცხოვრება და ხალხი. შენიშვნების ავტორსა ჰგონია, რომ მხოლოდ ის წიგნია კარგი, რომელიც მეტი საღებია... სულ სხვა გვარად მესმის მე იგივე ცხოვრება და ხალხი, იგივე სამსახური ხალხისა. **ის წიგნები – კი არ უნდა გამოვცე, რომლებიც უფრო გასაღდება ხალხში... არამედ უნდა გამოვცე ისეთი წიგნები, რომლებიც მისცემენ ხალხს ნამდვილს ცოდნას, ნამდვილს შეხედულობას ცხოვრებაზე და ბუნებაზე** (ხაზი ჩვენია. ი. ი.). მართალია, ასეთი წიგნები ათასობით არ გაიყიდება წელიწადში, მაგრამ ეს მაინც ვერ მოგვაშლევინებს ჩვენ ამგვარი წიგნების გამოცემას, რადგანაც აქ ჩვენ ვემსახურებით ხეირიანი მწიგნობრობის შექმნას ხალხის იმ ნაწილისათვის, რომელიც ეძებს ამგვარ წიგნებს, თუნდაც სულ ათი და ოცი პირისაგან შესდგებოდეს ეს ნაწილი ხალხი. ეს ერთი. მეორე. – მთავარი ნასკვი ავტორისამიერ ქადაგებული მწერლობისა არის ზერე-ქვერული ვნების აღძვრა ხალხში სუბუქი ნაწერების კითხვით გონების ცოდნით განფართოების და განვითარების გარეთ. ასეთი მწერლობა მე მიმაჩნია დაბალ მწერლობად, უღირსად ნამდვილი მწერლობისა, მავნებლად, დამღუპავ კარ-ჩაკეტილობის სახსრად, ხალხის ჭკვა-გონების ფართოდ და დამოუკიდებლად განსხივების ბრავად (მდინარის სიღრმიდან ამოსულ კლდედ)... შენიშვნის ავტორი მიმდევარია მხოლოდ თვით კითხვის პროცესისა, მე-კი ვარ, ვიქნები მხოლოდ დიდებული ბოკლის იმ მოძღვრების მიმდევარი და თაყვანის-მცემელი, რომ გონებითი განვითარების გარეთ, რომელიც მხოლოდ ცოდნის შეძენით, ცოდნის ჩხრეკა-ძიებით მოიპოვება, ხალხს, კაცობრიობას ხსნა არა აქვს“... წინადაც გადაუკრავთ ჩემთვის შენიშვნებო, მაგრამ მწამს და მიწამია, რომ აჭია-ბაჭიაობის ხანა შესანიშნავის სისწრაფით უკან გვრჩება და დღეს თუ ხვალ ნამდვილმა ფაქტორებმა უნდა დაიჭირონ მთავარი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენც მისაკენ მივისწრაფვით და ადრე თუ გვიან ხელსაც მისცემთ ერთმანეთს, ისე ახლოა ეს დრო.

„მესამე. ... „ხალხად“ მას იგი მიაჩნია, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, და თუ იცის, ისე მცირედ, რომ მხოლოდ ზერე-ქველურად დაწერილი წიგნაკები შეუძლიან ნაიკითხოს. ... ამათთვის საჭიროა სკოლები, საჭიროა წერა-კითხვის და სხვა მეცნიერებათა დარგთა პირველ დაწყებითი შესწავლა... ეს უკეთესი საშუალებაა მათის საწიგნოდ მოსამზადებლად... წიგნის დანიშ-

ნულეა უფრო მაღალი და ფართოა: სრულის სავსებით იგი მხოლოდ პირველ დანყებით სწავლაში გავლილს გამოადგება, ან შეიძლება გამოიყენოს“.

... „სულ ნახტომი ეშლება ამ სარბიელზე, ... ხალხის სამსახურის ნაცვლად ინტელიგენციას დაუწყოს მსახურობა“... მე არც ნახტომი მეშლება და არც ხალხისათვის ამიქცევია გზა. ამას ამტკიცებს უმეტესი ნაწილი ჩემ გამოცემათა და მათ შორის ისეთი წიგნებისაც, როგორც არის ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“, „შრომა და სიმდიდრე“, „სწავლა-განათლება და მისი ისტორია“ და სხვ. ... **თქვენ ეს წიგნები სახალხოდ არ მიგაჩნიათ, მე-კი, პირიქით, სწორედ და მხოლოდ ასეთი წიგნები მიმაჩნია სახალხოდ**“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.). ამტკიცებს, რომ თვით ხალხმაც ასე მიიღო და მოჰყავს რამდენიმე მონაწერი მკითხველთა, იხსენიებს, მის მიერ გამოცემულმა წიგნებმა „დროა, გონს მოვიდეთ!“ (ლოთობის წინააღმდეგ), რა დიდი ნაყოფი გამოიღო, ჩემს მიერ გამოცემული წიგნები ვრცელდება, იყიდებაო.

„ახალი მკითხველის“ სახელით მონათლული წიგნების გამოცემა ჩემი ნახტომის შემლა-კი არ არის, პირიქით, საქმის განმტკიცება-გაუკეთესებაა“. ... მე სხვა საქმე ხომ არ დამიწყვია, წიგნების გამოცემას ვაფართოებო. „ახალ მკითხველს“ აქვს გარკვეული პროგრამა, რომელსაც დღესაც იკვლევს და შეავსებს. ეს პროგრამა არის გამოცემა სამეცნიერო წიგნებისა და სხ. ... „ივერიაში“ დაბეჭდილი ჩვენი წერილის თანახმად, გამოვცემთ ისეთ წიგნებს, რაც ახალი მკითხველის პროგრამის გარეშეა, მაგრამ ხალხისათვის მეტად საჭიროო; გარდა ამისა, შუამავლობას ვკისრულობთ ავტორს და გამომცემელს შორის, ამით მწერლებს შეძლებას ვაძლევთ, რომ თავისი შრომა უნაყოფოდ არ ედოს უჯრაში, ხოლო მწერლობის მოყვარულს – შეძლებულ კაცს საშუალებას ვაძლევთ, თავისი წვლილიც შეიტანოს ჩვენი კულტურის საქმეშიო, – ეს ნახტომის შემლა კი არ არის, არამედ „მე ვეძებ ყოველგვარ საშუალებას, რათა სრულგვყო ქართველი მწერლის ნაკალმევის გამოცემის საქმე“, – რაც შეეხება სტილს, მაგი „ჩვენ“ თუ „ჩვენს“, – ჩვენ განგებ ხალხურ გამოთქმას „ჩვენ“ ვხმარობთ და არა წიგნურს „ჩვენს“-ო.

„მე, მართლაც, ... აჩქარებული ხასიათისა ვარ, მაგრამ ... ვის რა გავუფუჭე ამით, ვის რა წავართვით, ვის რა ვანყენინეთ? ... თუ იტყვი, საქმეს ცუდად აკეთებო, ... რა უყოთ, ამაზე მეტის პატრონი არა ვარ და უბრალო მამაკვდავს ძალად ხომ ვერ გამხდით ჰენიოსად!!.. განა ის-კი კარგი იქმნებოდა, რომ გულზე ხელები დამეკრიბა და მელოდნა – აცა ვინ გამოჩნდება, რომ ჩემზე უკეთ გააკეთოსო!?!.. დეე, ისევ ისეთი ვიყო, როგორცა ვარ, აჩქარებული, ყოველ-დღე ახალის მწყურვალი, ახალის დამწყობი, რა ვუყოთ, რომ ყველაფერს კარგად ვერ გავაკეთებ, დანაკლისს შემდგომი შეასრულებს და გამოვა სრული“...

... „ქართველთა ტომი“ კარგი სურათებიანი ვერ არისო, ... ბ-ნმა ივ. ბ-ლმაც ესე გამკრა, ... „შექმენით თვით უკეთესი და მაშინ დამწიხლეთ“... მაშ, თქვენი შემეყურე და დამწუნე, ნულარას გამოცემით!?!.. მაგრამ ტყუილად არ ამბობს ცნობილი ილიკო (ილია ალხაზიშვილი): „ცხოვრება არავის უცდის, ბუნების ჩარხის ტრიალი არავისთვის შემდგარა“. მე, მართალია, გარეგნობით „ნახტომი თითქმის მეშლება“, მაგრამ... იგი აზრის და მიმართულების შემლა-კი არ არის, არამედ და მხოლოდ **ნივთიერ საშუალებათა ძებნა-გაძლიერება ქართული წიგნების მრავლად გამოსაცემად** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) და სხვა არაფერი. მაგრამ, განა დასაძრახისი ვარ, რომ მე, თვით ღარიბი კაცი, რომელსაც დღეს ამაზე მეტი საქმე სხვა არაფერი მაქვს, ყოველის მხრით ვცდილობ გამომცემლობითი საქმის გაძლიერებას? – მგონია, რომ არა. ... ყოველი შეგნებული მამულის-შვილის ვალია, ასპარეზზე გამოიყვანოს ქვეყნის მიძინებული ძალები და საშუალებანი მისსავე საკეთილდღეოდ და რად გეუცხოვებათ, როცა მე, **ხალხის გონებითი განვითარების მოთაყვანე, ვცდილობ** (ხაზი ჩვენია. ი. ი.) – რვა თუმანი თბილისელს გამოვალეზინო, ათი თუმანი ბათუმელს, შვიდი თუმანი ხონელს, ოცი თუმანი ახალ-ქალაქელს და სხვა და სხვ. მათა ქვეყნის სასარგებლო-სასახელოდ!? უმისოდ ხომ მიმალული იქნებოდა ეს ძალა და საშუალება!“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N182).

ეს გრძელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე, რომ უფრო ნათლად წარმომედგინა იმ დროის საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა და თვით ივ. როსტომაშვილის საგამომცემლო და პედაგოგიურ-სამწიგნობრო მრწამსი. აქედან ნათლად სჩანს, ივ. როსტომაშვილი რაოდენათ პროგრესიული იყო მომავლისაკენ მაცქერალი, უკეთესი მერმისის ღრმა მორწმუნე და თვისი დროის დამყაყებულ, მოძველებულ შეხედულებათა მონინაალმდეგე.

ამ საკითხის, ე. ი. „ქართული წიგნების გამომცემლობის შესახებ“ მეც დავწერე წერილი, რომლის დანიშნულება იყო „ახალი მკითხველისა“ და ივ. როსტომაშვილის საგამომცემლო გეგმისა და საქმიანობის ზურგის გამაგრება („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N183).

ივ. როსტომაშვილმა თვისი პასუხით უკვე იდეოლოგიური ზღვარი გაავლო თავისსა და მონინაალმდეგეთა ბანაკს შორის...

წიგნების გასავრცელებლად შემდეგ ხერხს მიმართა: „სადაც კი ორნი, სამნი და ათნი ნაცნობნი შეიყრებით, მოაგროვეთ თავიანთ შორის თითო-ოროლა შაურობით ფული და გამოუგზავნეთ იგი წიგნების გამომცემლებს ანუ მალაზიებს... დაუყოვნებლად გამოგიგზავნით დაბარებულს წიგნებს და თქვენც გნებავთ თქვენს შორის გაინანილეთ, გნებავთ და დაარიგებთ ხალხში და ოჯახებში მუქთად“ („გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა“. თბილისი, 1903 წ. კანის შიგნით).

მნიგნობრობის გაფართოებისა და წიგნების გამრავლების მიზნით, ჟურ. „მოგზაურთან“ შექმნა იაფ-ფასიანი წიგნების გამომცემლობა და საზოგადოება მოიხმო დასახმარებლად:

„რედაქციას გადანყვეტილი აქვს, მრავლად გამოსცეს საყოველთაოდ სასარგებლო იაფ-ფასიანი წიგნები. ყოველ წიგნს, რაც უნდა დიდი იყოს იგი, დაენიშნება ფასი არა უმეტეს ერთის შაურისა, ხოლო რადგანაც ამისათვის დიდი ფულია საჭირო და თვით გამოცემაც დანიშნულ ფასზე ძვირად უჯდება რედაქციას, ვსთხოვთ ყველას დაგვეხმარონ როგორც ამ გამოცემების გავრცელებით ხალხში, ისე ფულის მოკრეფით ჩვენის მნიგნობრობის მოყვარულთ შორისო.“

და ასეთ მოწოდებას მკითხველიც გამოეხმაურა. რედაქციას საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან უგზავნიდნენ რამდენიმე მანეთობით, წიგნებს იძენდნენ და უფასოდ ხალხში არიგებდნენ („მოგზაური“, 1903 წ. N3-4).

შექმნა გამოცემათა მთელი სერიები: 1) „სახალხო წიგნები, (გამოცემული) გამოსადეგ ცნობათა – ი. პ. როსტომაშვილისა“; 2) „იაფ ფასიანი გამოცემა სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის საფასით“ (გამოსცა რამდენიმე ათეული სახელწოდების წიგნაკი რამდენიმე ათასი ტირაჟით, პედაგოგის, მეურნეობის, მრეწველობის, ჰიგიენის და სხ. დარგებიდან) და სხ.

მნიგნობრობის გავრცელებით ხალხის გათვითცნობიერებისათვის, სხვათა შორის, დევიზათ ჰქონდა:

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“...  
ილ. ჭავჭავაძე

და

„ყოველი ნუთი თავისუფალი დროსი  
აღამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს“...  
კონფუცი.

ივ. როსტომაშვილი თვისს ერთხელ დაწერილ გამოცემულ წერილს მეორედ და მესამედ დროის მოთხოვნილების, ანუ საქმის საჭიროების და კვალად შეასწორებდა ხოლმე, – ზოგი წერილისთვის ნაუწერიო: „მშვენიერია, დაიბეჭდოს!“ და სტილისტურად გაუსწორებია კიდევ („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, „იმელი“-ის ფონდი). ასევე ასწორებდა სხვის წერილებს (იქვე), სთარგმნიდა, გადმოაკეთებდა ხოლმე, ასევე სხვას აწერიებდა, ათარგმნიებდა, ანუ გადმოაკეთებინებდა ისეთ ნაწარმოებთ, რომლებიც ხალხის გათვითცნობიერებისათვის, ცოდნით აღჭურვისათვის საჭიროდ მიაჩნდა.

აი, სანიმუშოდ მის მიერ დაწერილი, შედგენილი ან გამოცემულ წიგნაკთა სია. „მოგზაური“-ს ერთ ერთ ნომერში („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, ბოლო ფურცლები, გვ. 158-160) ვკითხულობთ:

„ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:“ (ჩამოთვლილია 40 წიგნაკი, თითო 5, 7, 10... კაპ., ი. ი.).

ეს მხოლოდ ნაწილია ივ. როსტომაშვილის მრავალფეროვანი სამწერლო მუშაკობისა, – დიდი უმეტესობა ამ წიგნაკებისა თვით ივ. როსტომაშვილის კალამს ეკუთვნის.

ყოველივე ამას აკეთებდა ერთი კაცი, რომელიც იყო მწერალიც, რედაქტორიც, კორექტორიც და სხ., მუშაობდა განუწყვეტლივ, დაულალავად ყველა დარგში, რომელთა გასაკეთებლად ჩვენს დროში შექმნილია სხვა და სხვა კომისარიატი, გამომცემლობა და სხვა.

ჩვენი დროის მკითხველს ზემორე ზომები საზღაპროდ მოეჩვენება, ვერც კი დაიჯერებს, რადგან – ჯერ ერთი: ჩვენში საყოველთაო სწავლა განათლების კანონით მთელი მოსახლეობა სწავლაშია ჩაბმული, მეორე – დღევანდელ მკითხველს 5-10 ათასიანი წიგნის ტირაჟი, თითო წიგნი 10-40 მანათიანი არ ჰყოფნის, იმ დროს კი ქართული წიგნის მკითხველი სანთლით საქებარი იყო, მითუმეტეს, მეცნიერული წიგნის ერთი ზავოდი (1000-1200) მთელი წლობით მტვრის კერძად იყო გადაქცეული, მესამე – ახლა სამეცნიერო წიგნაკებზე ვილა ილაპარაკებს, როდესაც ათეულობით სხვა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები გვაქვს საკუთარი ლიტერატურით, გამომცემლობით და სხ.

საერთოდ, ივ. როსტომაშვილი მდაბიოთა და ღარიბთა შორის წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა. ამ საკითხს 1911 წ. კვლავ დაუბრუნდა (გაზ. „სინათლე“, 1911 წ. N60), განიზრახა შეედგინა „იაფ-ფასიანი წიგნების და გაზეთების გამომცემელი ამხანაგობა რწმუნებაზე“, რომლის პირველ მუხლში ამბობს:

„ამხანაგობას აქვს მიზნათ გამოსცეს ხალხისათვის სახალხო იაფ ფასიანი წიგნები და უკვე არსებული გაზეთი „სინათლე“, არა უმეტეს ერთ და ორ კაპიკად ღირებული“.

დახმარების მაგიერ, არსებულ გაზეთების რედაქციებმა შეუტიეს, გაკიცხეს, რადგან ამაში ხედავდნენ, პირველ ყოვლისა, თავისს ქონებრივ ზარალს. ყველა ამათ იგივე ივ. როსტომაშვილი უპასუხებდა:

„გაიგეთ და შეიტყვეთ, ძველი გზით მავალნო, რომ „სინათლე“ საწყალი ხალხის გაზეთია, არა მარტო იმიტ, რომ იგი იაფია და ამათ უნდა წაიკითხონ, არამედ თითონ წერილებიც ამათ უნდა სწერონ“ („სინათლე“, 1911 წ. N64).

რა იყო გაზეთ „სინათლე“-ს დროშა? – „ეროვნება და ხალხის უმრავლესობა“.

და ივ. როსტომაშვილს მთელი თავისი ძალღონე ამ ხალხის უმრავლესობის განათლებისა და ამაღლებისთვის ქონდა გადადებული.

ქართული სახალხო-სამეცნიერო და პედაგოგიური წიგნების საგამომცემლო საქმის პიონერმა ივ. როსტომაშვილმა ქართული წიგნის გამოცემისა და გავრცელებისათვის არა ერთ საშუალებას მიმართა. სხვათა შორის, შეადგინა „ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის და ამხ. გამომცემლობა“. ეს ამხანაგობა 1913 წ. აცხადებდა:

„1914 წლისათვის მიიღება ხელის მოწერა შემდეგ წიგნებზე:

12 ქართული წიგნი 1 მანეთად გაგზავნით.

მიიღება ხელის მოწერა საოჯახო ბიბლიოთეკისათვის 12 წიგნზე სწავლა-აღზრდის იდეალთა და სხვა გამოსადეგ ცნობათა შესახებ. თვითეული წიგნი იქნება 16 გვერდი, საშუალო ზომისა და გამოვა თვეში არა ნაკლებ ერთი წიგნისა: 1) „საფუძვლები ზნეობრივის აღზრდისა ჩვენს დროში“, 2) „საფუძვლები გონებრივი აღზრდისა ჩვენს დროში“, 3) „საფუძვლები საოჯახო სწავლა აღზრდისა“, 4) „როგორ უნდა ვასწავლოთ წერა-კითხვა“, 5) „ახალი სკოლა ევროპასა და ამერიკაში“, 6) „როგორ არის მოწყობილი სწავლა-აღზრდის საქმე ბელგიაში“, 7) „ზაფხულის სკოლები დაბა-ქალაქებში“ და სხ. შიგა და შიგ წიგნებში დაბეჭდილი იქნება სხვა გამოსადეგი წერილებიც, მაგალითად: გლეხთა ქალთათვის სასიამოვნო დაწყობანი: ბლისა და ალუბლის მოშენება; ქუთურუშა და მისი წამლობა; საპნის კეთების და მოხარშვის ამხანაგობა და სხვა და სხვა. გამოვა პირველ იანვრისათვის 1914 წ. და მაშინვე დაურიგდება ხელის მომწერლებს. დანარჩენი წიგნებიც გამოვა არა უგვიანეს შემდეგ თვეთა. მოვიწვევთ სხვებსაც, მოგვანოდონ შესაფერი წერილები, ხელის მომწერთა სახელ-გვარს, როგორც უანგარო დამხმარებლისას ქართული წიგნების გამოცემის საქმეში. დრო გამოშვებით დავბეჭდავთ ჩვენი წიგნების ბოლოში. ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: В Тифлис, Тумановский пер. 24, Ивану Павловичу Ростомашвили.“

ეს მცირედი განცხადება კიდევ ერთხელ ნათელჰყოფს, ივ. როსტომაშვილი როგორი იყო როგორც პრაქტიკული პედაგოგი, ხალხის გათვითცნობიერებისათვის რა მიზნებს ისახავდა, წიგნების გამოცემისთვის რა საშუალებას სძებნიდა, რა მრავალფერ მუშაკობას მისდევდა.

იმავე განცხადების ბოლოზე ივ. როსტომაშვილი წერს:

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი, N7141.

„აქ საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ ქართველ საზოგადოებას მიზანი და სახე მოხსენებელი ამხანაგობისა.

ივ. პავლ. როსტომაშვილის და ამხ. გამომცემლობა.

1. ივ. პ. როსტომაშვილის და ამხ. გამომცემლობას აქვს მიზნად: აღორძინება ქართულის მნიგნობრობისა და სარგებლობა ამხანაგთაგან შემოტანილის ფულებისა“.

აქვე ჩამოთვლილია 15 მუხლად ამხანაგობის მოქმედებისა და ამხანაგობის უფლება-მოვალეობის და სხვა პირობანი.“

ამას გარდა, შეადგინა „წესდება ქართული წიგნების ვაჭრობისა და გავრცელების საზოგადოებისა“. I მუხლში სწერია: „საზოგადოებას აქვს მიზნათ: ხელი შეუწყოს ქართული წიგნების გასყიდვა-გავრცელებას ხალხში და მით თვით გამოცემების საქმესაც და სხ.“\*\*

წიგნებით მოზარდი თაობის აღზრდა-განვითარების საკითხს სიკვდილის წინა ხანებშიც დაუბრუნდა და ჭაბუკ ვაჟებს მიმართა: „ექვდეთ და შეიძენდეთ ახალ წიგნებსა: შეუძლებელია, რომ რომელიმე მათგანმა ერთი ასად და ათასად არ აგინაზღაუროთ ყოველი ხარჯი. გონებრივი დაკმაყოფილება და ცოდნა-განვითარება კიდევ სხვა იქნება...“ („ჭაბუკს ვაჟებს“, ტფილისი, 1924 წ.).

ივანე როსტომაშვილმა შეადგინა პირველი ანოტირებული კატალოგი, ე. წ. წიგნაქსი, რომელშიაც შესულია 200-მდე სახელწოდების წიგნის მოკლე შინაარსის, ავტორთა, გამოცემის წლისა და ფასის ჩვენებით. როგორც პატივცემული ბიბლიოგრაფი ამხ. ივანე ციციშვილიც ადასტურებს, ამ გამოცემამ წინ უსწრო რუსეთის ანალოგიურ გამოცემებს. ქართულ ენაზე სასოფლო-სამეურნეო წიგნების გამოცემისათვის, რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა საიმპერატორო საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების მეორე გამოფენამ ი. პ. როსტომაშვილს მიუსაჯა ქების ფურცელი. რუსულად ასეა ნათქვამი: «... Комитет экспертов 2<sup>ой</sup> Кавказской выставки продуктов садовых культур присудили:

Ростомову

за издание наставлений по сельскому хозяйству на Грузинском языке Похвальный лист».

Председ.: подпись

Секретарь: Кутателадзе.\*\*\*

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი, N7141.

\*\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7206.

\*\*\* ამოღებულია პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდიდან.

# X

## პროვზული მთლიანოზისათვის



ჰნახავ ჩვენ ბედშობას,  
ძველს ერთობას დაკარგულს...  
**ილია ჭავჭავაძე**

ჩონგური საქართველოა,  
სიმები ჩვენ ვართ ყველაო...  
**აკაკი**

ქართლ-კახეთი, იმერეთი,  
გურია და სამეგრელო,  
ყველა ჩემი სამშობლოა,  
საყვარელი საქართველო...  
**დუტუ მეგრელი**

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი ქვეყანა კუთხურ კარჩაკეტილობაში იყო ჩაფლული, ერთი-ერის, ქართველი-ერის – მოდგმის სხვა და სხვა გვარტომნი ერთმანეთისაგან განკერძოებულნი იყვნენ, მე-13-ტე საუკუნიდან სამთავრო სამეფოებათ დაყოფილნი, მე-19-ტე საუკუნეში ცარიზმის წყალობით, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებათ, ბათუმისა და ზაქათალის ოლქებად გარდაქმნილნი, მე-20-ე საუკუნის დასაწყისში ცალცალკე ხალხებად მონათლულნი.

როგორც ამას მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ვინმე გერცენშტეინი თვის კალენდარში აცხადებდა: ქართველები ამდენი, კახელები... იმერლები... გურულები... მეგრელები... და სხ. თითქო ყველა ესენი ქართველები, ერთი ერის შვილნი არ იყვნენ... ისტორიის უკუღმართ პირობათა გამო თვით სხვა და სხვა კუთხის ქართველებიც ურთი ერთს კუთხურად იხსენიებდნენ, მაგ. 1903 წ. გაზ. „ივერია“ წერდა:

„ჩვენებურ კაცს, ვინც უნდა იყოს ის, რომ შეჰხვდეთ და ჰკითხოთ, ვინა ხარ? გეტყვის, თუ კახელია, კახელი ვარ, – თუ ქიზიყელია, ქიზიყელი ვარ, – თუ იმერელია, იმერელიო, – თუ მეგრელია, მეგრელიო, თუ გურულია, გურულიო, თუ რაჭველია, რაჭველიო და სხვა ამ გვარად. სამარცხვინოა ჩვენთვის, რომ დღემდისაც ვერ შეგვიგნია, თუ ვინა ვართ. როდესაც ჩვენ, როგორც ერთი კაცი, ისე ყველა ვიტყვით, ჩვენ ქართველნი ვართ, მაშინ, მხოლოდ მაშინ მოგვენიჭება ჩვენ ღვთიური ძალა, მხოლოდ მაშინ იტყვის ჩვენი მტერი, რომ ჩვენც რამედ მისაჩნევი ვართ სხვა ერთა-შორის... თუ ჩვენ ქართველები ერთის აზრით განვიმსჭვალენით, თუ ერთი მეორის ტყვილი ვიტკინეთ და ბედნიერებით ვიხარენით, მაშინ ჩვენც ვიქნებით ბედნიერნი და მომავალიც გვექნება“ („ივერია“, 1903 წ. N194; „მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 163-167).

მეფის მთავრობას კარგად სწამდა ძველი რომაული თქმა: „Divide et impera!“ – განჰყავი და იუფლე, და ჩვენც გვანაწილებდა.

ამ დროს ჩვენთვის საჭირო იყო ჩვენი ქართველთა გვარტომობის ერთიანობის, ეროვნული მთლიანობის იდეის ხალხში გავრცელება... მაგრამ ეს საჭიროება ხერხიანობას, ე. წ. დიპლომატიას მოითხოვდა, ჩვენი ქვეყნის ხალხის გულშემატკივარნი ამ მიზანს თავთავისი ხერხით და გზით ემსახურებოდნენ, მათ შორის ივანე როსტომაშვილმაც უფრო ადრე თავისებური ხერხი ირჩია.

რა ხერხი იყო ეს ხერხი?

1896 წ. შეადგინა და გამოსცა ალბომი „ქართველთა ტომი“ – «Картвелъское племя» ქართულ-რუსული ტექსტით და სურათებით, რომლის დასაწყისში ივ. როსტომაშვილი მკითხველს აუწყებს:

„თქმა არ უნდა, რომ „ქართველთა ტომის“ ზოგიერთი განყოფილება სასურველად სრული არ არის, მაგრამ ამას იმედია, მოგვიტევენ მკითხველი, როგორც პირველს ნაბიჯს ამ გვარს გამოცემებში. ამის შემდეგ ჩვენ უფრო მეტის მხნეობით ვეცდებით ამ შრომის ყოველ მხრივ შეფასება-შემუშავებას და თავის დროზედ გაცილებით უფრო სრულიად და უკეთესად გამოვცემთ მას.

„ჩვენ ამით არ ვათავებთ ჩვენი ტურფა ქვეყნის დასურათებას და 1897 წელშიაც გამოვცემთ მეორე, ამაზედ გაცილებით უფრო დიდს, ალბომს – „საქართველო სურათებში“, რომელშიაც დახატული და აღწერილი იქნება, ქართულად და რუსულად, ორასი სურათი საქართველოს შესანიშნავი დაბა-ქალაქებისა, ციხეებისა, ეკლესიებისა და მონასტრებისა“ (იხ. „ქართველთა ტომი“, ტფილისი, 1896 წ.).

რას წარმოადგენს ალბომი „ქართველთა ტომი“?

ეს არის საქართველოს ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სოციალური, სტატისტიკური, სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და კულ-

ტურულ-ეკონომიური თაიგული. აქ არის წერილობით და წოდებათა ფოტო-სურათებით წარმოდგენილი ქართლი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი, მესხეთი (მთელი ჭოროხის და მტკვრის ზემო ხეობები), ჭანეთი ანუ ლაზისტანი (შავი ზღვის სამხრეთი კიდი მდებარე ქვეყანა ქ. ტრაპიზონამდე), როგორც ერთი ერის – ქართველთა – გვარტომნი, თითოეულ გვარტომის აღწერილობას მიწერილი აქვს „სარწმუნოებითა და ენითა ქართველთა თანაღმასრულებელი“, „სარწმუნოებით და ქართველთა მონათესავეს ენითა, ანუ ქართველთა მონათესავე ენითა, ხოლო სარწმუნოებით მაჰმადიანი“ და სხ.

ეს ალბომი ყველა ჩვენი დაქუცმაცებისა და დანაწილების მსურველთ, ჩვენი მთლიანობის დამრღვეველთ ეუბნებოდა: თუმცა ყოველი კუთხე-მხრის მცხოვრებთ განკერძოებული, კუთხური სახელი გვქვიან, მაგრამ მთლიანად ერთი გვარტომის ხალხი ვართ, მთლიან საქართველოს შვილები, ქართველი ერთი... ამ აზრს მარტო სიტყვიერად კი არ ჩაგვძახოდა, სურათ-ხატებითაც გვიჩვენებდა.

როგორ შეხვდა იმ დროს პრესა ივ. როსტომაშვილის ამ გამოცემას. აი, ერთი მხარე რას წერდა:

„ქართველთა ტომი“, ალბომი ი. როსტომაშვილისა. ჩვენ მივიღეთ ი. როსტომაშვილისაგან გამოცემული ალბომი, რომელშიაც მოთავსებულია ოთხმოც-და-ათამდე მოზრდილი სურათები საქართველოს ტომთა სხვა-და-სხვა კუთხიდან. ალბომი მშვენიერს ყდაშია ჩაკაზმული, სიგრძე ალბომისა მ გოჯია (ნახევარი არშინი) და სიგანე მ გოჯი, შეიცავს 60 გვერდს. ალბომში დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ენებზედ მოკლე შინაარსი და აღსნა სურათებისა. ალბომი ღირს ხუთ მანათად.

ექვთი არ არის, ამ ალბომს ყველა ქართველი იყიდის (ცოტათი ძვირი კია), რადგან ფრიად სასარგებლო გასართობია ყველა ოჯახისათვის“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N107, გვ. 2).

მეორე: „... ქართველთა ტომი“ საზოგადოებას არ მოსწონს, რის მიზეზათაც ასახელებენ, რომ „ჩვენის ქართველების სილამაზით მთელ ევროპისა და აზიის მოგზაურები განცვიფრებული არიან და განა ჩვენ-კი ვერ ვხედავთ ჩვენს თავსო და ბატონმა ივანემ თითქო განგებ აარჩია მახინჯები, ზოგი აისორსა ჰგავს, და ზოგი ბოშა ქალებსო, როდესაც საუკეთესო ტიპები უნდა აერჩიო“... და სხ. („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N210, გვ. 2).

ამ სიტყვების წაკითხვის დროს ივ. როსტომაშვილმა სევდიანათ ჩაიღიმა და თითქოს თავისთვის წარმოსთქვა: მიუტევეთ მათ, რამე თუ არა უწყიან, რას იქმონან... განა ჩვენი ერი მარტო ბრწყინვალე წოდებისაგან შესდგება და აქვე, მათს გვერდით მშრომელი გლეხობაც არ არის... ამ სილამაზესთან ბედისგან დაჩაგრული დამახინჯებული?

რეცენზენტების ასეთი გაორებული აზრის მიუხედავად, ალბომს დიდს ყურადღებით შეხვდნენ საპედაგოგო-სამეცნიერო და საზოგადოების შეგნებული წრეები. აი, სხვათა შორის, თბილისის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე საგანგებო ოფიციალური მინერილობით (1899 წ. 8 მარტს, N34) რა „ღრმა მაღლობას უცხადებს მის მაღალკეთილშობილებას, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს გიმნაზიის ბიბლიოთეკისათვის „ქართველთა ტომის“ შენირვისათვის, რადგან „ეს წიგნი („ქართველთა ტომი“) გიმნაზიისთვის მეტად სასარგებლო შენაძენს წარმოადგენს“ («Книга эта [«Картвельское племя»] составляет весьма полезное приобретение для гимназии»)\*.

ივანე როსტომაშვილის აზრი იყო, საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ყოველი მხრივ დასურათება, – ასეთ საეროვნო ომში იყო ჩაბმული, ხოლო ამ ომის გარეშე მდგომთ კი არ ესმოდათ, მოთხოვნილებას აზვიადებდნენ.

ივ. როსტომაშვილის ეროვნული მისწრაფება არა მყვირალა სიტყვებით, არამედ საქმით, აქ გამოჩნდა.

გარდა ამისა, ამ საკითხს უძღვნა რამდენიმე წერილი („მოგზაური“, 1903 წ. N11-12, გვ. 794-802; 1904 წ. N1-2, გვ. 10-13) სათაურით „აღზრდა ერისა და საზოგადოებისა. ურთიერთობის გრძნობის გახსნა ერში“, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს:

„ჩვენ დაჩვეულები ვართ, რომ მარტო ბალანებს უნდა სწავლა-აღზრდა და ამიტომ მოზრდილებისა და ცოლშვილიანების ანუ სხვანაირად ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის ფრიად მცირედს ვზრუნავთ, მაშინ როდესაც ამათს აღზრდასაც ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მოზარდი თაობისას, თუ არ მეტი. მკითხველს ეჭვი არ არის ხშირათ ექნება გაგონილი: „საქართველო დავარდნილია, საქართველო დაცემულია!“ – და იმას კი არ კითხულობენ, თუ რისგან არის იგი დაცემული და დავარდნილი, თუმცა ბუნების სიმდიდრით ბევრი მხარე არ შეედრება ჩვენს ქვეყანას. ძირითადი მიზეზი კი ჩვენის ტურფა სამშობლოს ასე დაცემისა და დავარდნისა იყო და არის სრული უზრუნველობა ჩვენის მხრით თვით ხალხისა და საზოგადოების აღზრდისათვის!... საჭიროა, რომ ჩვენმა ხალხმა ერთი გარკვეული და ნათელი აზრი და შეხედულება იქონიოს თავისი ყოფა-ცხოვრების გაუკეთესების პირობებზე და საშუალებებზე“, რადგან ჩვენი ყოველი საზოგადო საქმეები „ერთ სულ და ერთ ხორც“ იყოსო.

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7232.

# XI

## ლექსიკოგრაფია



*„რა ერთსა გცემენ ათასნი,  
ეგრეცა მოგერევიან“...*

*შოთა რუსთაველი*

ივანე როსტომაშვილმა კიდევ ერთი ახალი საქმის დაწყებით შეაჩოქ-ქოლა თავის დროის საზოგადოება. ეს არის „სალარო ცოდნისა“ – რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომლის შედგენა გამოცემის განცხადება მოათავსა 1897 წ. გაზ. „ცნობის ფურცელი“-ს N196-ში:

*„მიიღება ხელის-მონერა რუსულ-ქართულ სრულ ლექსიკონზე“.*

მოსხენებულს ლექსიკონში ჩვენ შევიტანთ ყოველ სიტყვას, რომელიც-კი მოიპოვება უკანასკნელს ხანებში გამოსულს რუსულს ენციკლოპედიურს ლექსიკონებში, იმ თვალ-საჩინო განსხვავებით, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ცნობები გაცილებით უფრო ვრცლად იქნება განმარტებული. ლექსიკონი გამოვა რამდენიმე წიგნად (დაახლოვებით ექვს წიგნად; ამათში ერთი უკანასკნელი, იქნება ქართულ რუსული, რომელშიაც ავხსნით თვით ჩვენს ლექსიკონში ნახმარ ქართულ სიტყვებს) და ელირება: ორ-ორი წიგნი ხუთი მანათი გაგზავნით (თითო წიგნი იქნება 400-500 გვერდი, ე. ი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ოდენა, რომელიც იყიდებოდა 3 მან. 60 კაპ.). პირველი წიგნი გამოვა ამ შემოდგომაზე; მსურველს შეუძლიან სამი მანათი ეხლა შემოიტანოს, ხოლო დანარჩენი ორი მანათი პირველი წიგნის მიღების შემდეგ. სანიმუშოდ ჩვენ უკვე დავებეჭდეთ პირველი ფორმა ამ ლექსიკონისა და შეგვიძლიან გავუგზავნოთ მუქთად ყველას, ვინც მოითხოვს. თუ ვინმე როდისმე ცდილა ქართული ტერმინების შემუშავებას, ვსთხოვთ თავიანთი შრომა გამოგვიგზავნონ და ჩვენც დიდის სიამოვნებით შევიტანთ მათ მოხსენებულს ლექსიკონში.

ჩვენი ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

ივანე როსტომაშვილი.“

(„ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N196, გვ. 1).

თითქო ყუმბარა გასკდაო, ამ განცხადებამ ისე გაიხმაურა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ლექსიკონთა შედგენის მსურველთა წრეში.

შიო დავითაშვილმა, რომელიც რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-გამოცემას აპირებდა, მესამე დღეს იმავე „ცნობის ფურცელში“ წერილი დაბეჭდა: „ენციკლოპედიურის ლექსიკონის გამოცემა ქართულს ენაზედ სრულიად საჭირო არ არის და მოუხერხებელიცაა“-ო („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N198).

„ივერია“ (1897 წ. N91) მოკლედ აღნუსხა (მე-4 გვ. „ახალი წიგნები“) ლექსიკონის გეგმა და სთქვა: „ეჭვი არ არის, ასეთი ენციკლოპედიური ლექსიკონი დიდ საჭიროებას შეადგენს ჩვენის მწერლობისათვის და თვალ-საჩინო სამსახურს გაუწევს როგორც მწერალს, აგრეთვე ყველას, ვისაც ანბანი უსწავლია და ცოტად თუ ბევრად კითხვა იცის“, – მაგრამო, ასეთი ლექსიკონის შედგენა მეტად ძნელია, „ეჭვი არ არის, ბ-ნი როსტომაშვილი შრომას არ დაიშურებს... სრული ლექსიკონი მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას... უფრო კარგი იქნება, რომ ბ-ნმა როსტომაშვილმა მოიწვიოს ჩვენის ქვეყნის კარგად მცოდნენი და იმათის დახმარებით შეადგინოს ხსენებული ლექსიკონი“ და სხ. („ივერია“, 1897 წ. N91, გვ. 4, „ახალი წიგნები“).

ი. იმ-დ-იმ წერილში „ლექსიკონების საჭიროება“ სასარგებლოდ აღიარა, ასეთი ლექსიკონის გამოცემას ხელი უნდა მოემართოს, – „როდესაც კაცს სხვის მანათიანი არ მოსწონს, თვითონ აბაზიანი მაინც უნდა უჩვენოს, თორემ უსაფუძვლოთ სხვის შრომის გაკიცხვა რა საკადრისია?!“-ო („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N201).

კ. დ. ყიფიანმა („ცნობის ფურცელი“ 1897 წ. N206) განაცხადა: მეც მაქვს რუსულ-ქართულ-ლათინური [ბოტანიკური] ლექსიკონი, დავუთმობო, „ლექსიკონის შედგენა, მეტადრე ქართულისა, ერთი კაცის ხელთ არ არის და არც უნდა იყვესო“.

თ. სახოკიამ მოითხოვა („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N223) – გაკეთებულს რომ ნდობა ჰქონდეს, ეს საქმე წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა იკისროსო და სხ.

აზრი და რჩევა კარგი იყო, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერი. საქმის დაწყება კი არა სჩანდა. ხოლო ივ. როსტომაშვილი ისეთი იყო, თუ რაიმეს გულში ამოიჭრიდა – საჭირო და სასარგებლო საქმეს ვაკეთებო, უკან ვერავითარი ძალა ველარ დაახვეწებდა. ყველა ამ კალმოსნებს სურდათ თუ არა, ივ. როსტომაშვილის გამოცემის გავრცელებას ხელი შეუშალეს, გაუძნელეს, თუმცა ივანე როსტომაშვილმა მაინც გამოსცა 1 ტ., 4 წიგნი სახელწოდებით: „სალარო ცოდნისა“ – რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი.

რას ნიშნავს ეს „სალარო ცოდნისა“ და რა მიზანს ისახავს? ვალაპარაკოთ თვით წიგნის რედაქტორი ივანე როსტომაშვილი:

„დღევანდლამდე ქართველი მკითხველი მოკლებული იყო საშუალებას, სულ უბრალო, მაგრამ საჭირო ცნობა რაიმე სამეცნიერო, საისტორიო თუ სხვა ამგვარ საგნის შესახებ, მოეძებნა და ეპოვნა ჩვენს ენაზედ უკვე არსებულს ლექსიკონებში. ეს თვალ-საჩინო ნაკლი დღეს აცილებულია წინ-მდებარე ლექსიკონის გამოცემით. ჯერ კიდევ 300 წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდე, განათლებული ნაწილი კაცობრიობისა არ კმაყოფილდებოდა ლიტონის ახსნით სიტყვისა და ითხოვდა თვით საგნის შინაარსის განმარტებას. ... მას აქეთ მიდის აი ორი ათასი წელიწადი და მხოლოდ დღეს გამოდის ჩვენს ენაზედ „სალარო ცოდნისა“, რომელშიაც უმეტესი ნაწილი სიტყვებისა განმარტებულია ენციკლოპედიურად. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ამ შრომას ცოტა ნაკლულევანება არ ექნება, მაგრამ ერთი გვიბძანეთ, სხვა რა არის ქვეყანაზე სრული და უნაკლული?! ჩვენის მხრით დაკმაყოფილებულად ვხედავთ ჩვენს თავს მარტო იმითაც, რომ „ცოდნის სალაროს“ გამოცემით შემთხვევა გვეძლევა თავი მოვუყაროთ და რიგზე დავანყოთ აქეთ-იქით გაფანტული ცნობანი ჩვენისა და უცხო ქვეყნების შესახებ და მით ხელ-მისაწდომი გავხადოთ იგი ყველასათვის. ... აქ საჭიროდ ვრაცხ ვაუნყო ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომ ბუნების მეტყველების ნაწილის შედგენა იკისრა ქართულის ენის და თვით ამ საგნის კარგად მცოდნემ ილია ალხაზიშვილმა, „ბუნება და ცხოვრება“ წიგნის ავტორმა, ხოლო სამეურნეო მცენარეთა მოვლა-მოყვანის აღწერა – აგრონომმა არჩილ დარეჯანაშვილმა.

„უცხო სიტყვათა და ამბავთა გარდა, ჩვენს ენციკლოპედიურს ლექსიკონში, როგორც თვით მკითხველი დაინახავს, შეტანილია ვრცელი ცნობანი ჩვენის ქვეყნის შესახებ, რის უქონლობაც შეადგენს უმთავრეს ნაკლს უცხო ლექსიკონებისას ჩვენთვის. მეორე წიგნად გამოვა ასო ნ-ბ და, რომ უფრო სრული გამოვიდეს იგი, ვსთხოვთ ყველას, მოგვანოდონ ცნობანი შესახებ ღირს-შესანიშნავ ქართველთა, გვართა, ციხე-დარბაზ-ქალაქთა, ტაძარ-მონასტერთა, დაბათა, მდინარეთა, ტბათა, მთა-მადანთა, ტყე-ველთა, მცენარეთა, ცხოველთა, ხალხთა, სამკურნალო წყალთა, საზოგადო დაწესებულებათა, ისტორიულ გარდმოცემათა და სხვ. ...“ (ხაზი ჩვენი. ი. ი.).

ასეთი მოწოდების შემდეგ, ლექსიკონს რაც უნდა ნაკლი ჰქონოდა, ყველა გულ-შემატკივარი ეცდებოდა შესაფერი მასალები მიენოდებინა, შემჩნეულ შეცდომებზე მიეთითებინა და საერთოდ, ხელი შეეწყო, რომ წიგნი უკეთესი გამოსულიყო, შეპარული შეცდომანი შემდეგ ტომებში გასწორებულიყო. პირიქით: ლექსიკონის სასიკვდილო განაჩენი დაწერილი იყო, – ივ. როსტომაშვილის იმედი გაცრუვდა, ველარც საკუთარმა რწმენამ უშველა:

მისი მოწოდება დარჩა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა. შურითა და ქიშპობით დაბრმავებულმა ამ დიდი საქმის საყოველთაო სარგებლობა (იმ დროისთვის მაინც) ვერ განჭვრიტეს და ყოველის ღონისძიებით ეცადნენ ამ ლექსიკონის გამოცემა არ დასრულებულიყო.

და მიზანსაც მიაღწიეს, – შთაბეჭდილება ისეთი იყო, გეგონებოდათ ამ ლექსიკონის წინააღმდეგ უფრო პირადი ანგარიშებით აღსდგნენ, ვიდრე საქმის დიდი სიყვარულითა.

**მე გახლავარმა** გაზ. „ივერია“-ში 1898 წ. N104, 105 ამ ლექსიკონის გამოცემას „უნაყოფო შრომა“ უწოდა და ყოველის მხრივ დააფოლა.

გაზ. „ივერია“-ს თანამშრომელმა **მე გახლავარმა** ისე გააბითურა ივ. როსტომაშვილის ეს თითქმის ოცის წლის ნაშრომი და როსტომაშვილი მკითხველთანაც დაასმინა, როგორც „დამნაშავე“. წერილმა იმ დროის მკითხველთა დიდს უმეტესობას შთააგონა, როსტომაშვილს ვითომც რალაც დიდი დანაშაული ჩაედინოს.

რაში გამოიხატა ეს „დანაშაული“ როსტომაშვილისა? მხოლოდ იმაში, რომ ივ. როსტომაშვილმა რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი უწოდა თავის ნაშრომს, განსამარტავი სიტყვები რუსულით და იქვე ქართულით აღნიშნა, ხოლო მთელი განმარტება – ქართულად. მაგ. АНАНУР – ანანური, გვ. 107 განმარტება ქართულად მისდევს, Бакрадзе Иосиф Зосимович – გვ. 217 სრულიად ქართულად და იქვე მოყვანილია ბაქრაძის მამულიშვილური ლექსი, რომელსაც იმ ხანად ქართველი ხალხის გათვითცნობიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. Вахтанг I – ვახტანგ 1-ლი გორგასლანი გვ. 438, – განმარტება ქართულად – Грузия – საქართველო, გვ. 802, – განმარტება საქართველოს ისტორიისა. მოკლედ ზუსტად, მდაბიოთ და მრ. სხ. ასეთია ლექსიკონში შეტანილი და განმარტებული სხვა და სხვა დარგის მრავალი სიტყვა... ეს ერთი, ხოლო მეორე – წყაროებს არ ასახელებსო და რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, – ისტორიულ მასალას როგორ ვენდოთ, როცა არ ვიცით, ვისიაო, ამით კი ლექსიკონის ავტორს სახელს აბრუს უტეხდა, არსად ნათქვამი არა აქვს, ესა თუ ის სიტყვა სისწორითაა განმარტებული, თუ შეცდომით.

წერილს ივ. როსტომაშვილმა იმავე 1898 წ. „ივერია“-ში პასუხი გასცა. მომყავს ნაწყვეტები:

„ნავიკითხე თქვენი წერილი ჩემის ლექსიკონის შესახებ და უნდა გამოგიტყდე, რომ ცარიელი რიხიანობის მეტი ვერაფერი ვნახე შიგა. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც, რა წამსაც მწერალი გადავა „პირადობაზედ“, ის უკვე „საზოგადოს“ აღარ ეკუთვნის, ის უკვე ჩვეულებრივი მომაკვდავია და ამიტომ მისი ნაწერიც ჰკარგავს იმ ღვთაებრივ სიმარტივეს და ჭეშმარიტე-

ბას, რომლითაც მჭევრობს სიმართლის მიმდევარი მწერალი. თქვენ მიკი-ჟინებთ: „... შარშანაც ვაფრთხილებდითო, მაგრამ არ დაგვიჯერა და მაინც გამოსცა თავისი ლექსიკონიო“... რატომ წინათვე არ იცოდით, რომ ივანე როსტომაშვილი „აზიელის“ რჩევასა და დარიგებას თავს არ დაუდებს... და თვისსა წმიდათა-წმიდას ისე ადვილად ვერ უღალატებს!“... შემდეგ კრიტიკოსის მოვალეობას არკვევს ივ. როსტომაშვილი, აღნიშნავს, რომ ქართველები დიპლომატები არ ვართ, სხვის განზრახვას ვერ მივხვდებითო, „თქვენ ვერ გაუგეთ აზრი და საარჩული ჩემს შრომასა, ვერ ჩაჰსწვდით მის სიღრმესა და ვერც ჩასწვდებოდით მასა, თუნდა კიდევაც რომ მოგესურვათ, რადგანაც, თქვენ იმავე თავითვე დაჩვეული ხართ ყველაფერს ზერე-ქვერულათ შეეხით... თქვენ რომ საქმისა ღრმად ჩახედვა გცოდნოდათ, დაინახავდით, რომ ჩვენს დღევანდელს ყოფაში, ჩვენის ლექსიკოგრაფიის დღევანდელს მდგომარეობაში, ყოვლად შეუძლებელია ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-გამოცემა; დაინახავდით, რომ ეს ფრიად დიდი საქმე დღეს შეიძლება განხორციელებულ იქმნას მხოლოდ და მხოლოდ რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-გამოცემის შემდეგ... ეს, თქვენ-მიერ წოდებული „უნაყოფო შრომა“ არის საძირკველი იმ დიადის შენობისა, რომელზედაც, ამ ლექსიკონის დასრულების შემდეგ, უნდა აიგოს ყოვლად სრულის ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-შემუშავება. დამიმტკიცეთ, რომ ჩვენს დღევანდელს ყოფაში, ჩვენის ლექსიკოგრაფიის დღევანდელს მდგომარეობაში, რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის (...) გარეთაც ... ადვილ-შესაძლებელია ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის შედგენა-გამოცემა... უვიცობა და ცოდნის შექდნის უსაშვალ-ლონობა, აი მთავარი მიზეზი ჩვენის დ[ს]ქვეითებისა და განვითარების ერთს წერტილზედ გაჩერებისა!.. ენციკლოპედიური ლექსიკონი უკეთესთაგანი იარაღია ამ უვიცობის აღმოფხვრისა და ხალხის განვითარების შეუჩერებლად წინ სვლისა, და რად ელობებით წინ ამ უებარის საშუალების განხორციელებას, თუ თქვენ უანგარო მოსამსახურე ხართ იმ საზოგადოებისა, რომელსაც ასეთის გულის-მტკივნეულობით უძღვნით თქვენს წერილებსა ჩემის ლექსიკონის შესახებ!“ – შემდეგ იხსენიებს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ღირსებას, დამსახურებასა და ნაკლს, განმარტავს, რომ ცნებათა არსის განმარტებაა საჭირო, რაც აქამდე არსებულ ლექსიკონებს აკლია და განაგრძობს: „აი ასეთი ლექსიკონი, ანუ როგორც ჩვენ ვუნოდეთ „სალარო ცოდნისა“ გვაკლდა ქართველებსა; მე შევეუდექი მის შედგენასა, შემუშავებასა, გამოცემასა და ხელის შეწყობის მაგივრათ... თქვენ გამოდიხართ და ქართველს საზოგადოებას ამხედრებთ ჩემის შრომის წინააღმდეგ...“ – აქ მოჰყავს **პროვინციელის** წერილი, რომე-

ლიც „კვალ“ -ს საპასუხოდ საჭიროდ სცნობს ივ. როსტომაშვილის ასეთს ლექსიკონს და ბოლოს დასძენს: „რაც შეეხება თქვენს იერემიადას და დრტინვას წყაროების უჩვენებლობაზედ, სცდებით: რუსული ლექსიკონის შესახებ გამოცხადებული მქონდა მე შარშანდელს ჩემს განცხადებაში, ხოლო, რაც შეეხება ჩვენის ქვეყნის შესახებ ცნობების წყაროებსა, გადაფურცლეთ ჩემი ლექსიკონი და დარწმუნდებით, რომ სადაც-კი საჭირო იყო ეს, ყველგან დასახელებულია თხზულება ან ავტორი“. აქ ივ. როსტომაშვილს მოჰყავს მაგალითები, უარჰყოფს ისეთი სიტყვების შეტანას, რომელიც ადამიანს ცოდნას არ მისცემს და შემდეგ განაგრძობს: „ჩემის ლექსიკონის მიზანია: 1) განმარტოს ენციკლოპედიურად ის სიტყვები, რომლებიც რითიმე გამოსადეგნი არიან ადამიანისთვის და 2) ახსნას ის უცხო სიტყვები, რომელთა გაგება ტექსტში აზრით, განუმარტებლად ყოვლად შეუძლებელია“... ტყუილში ამხილა: „ვითომ „Акула“-სთვის ჩვენ დაგვედოს საკუთარ სახელად „დიდი თევზი“, მტკნარი ტყუილია; თუ არა გვერათ, გადაშალეთ 58 გვერდი ჩემის ლექსიკონისა და საკუთარის თვალთ დარწმუნდებით... ჩემის ლექსიკონის შედგენა-გამოცემისათვის სრულიად საჭირო არ არის რალაცა განსაკუთრებული ავტორიტეტი, რადგანაც, როგორც თვით თქვენა ბრძანებთ: – **„იგი თარგმნილია ბროკჰაუზიდგან და რომ ბ-ნ როსტომაშვილს თარგმნა რუსულიდგან შეუძლიანო, ამისი ეჭვი ჩვენ თავის დღეში არა გვექონიაო“**, და აქვე მაგალითები მოჰყავს იმისა, რომ **„თქვენ მიერ სათაყვანებელი ავტორიტეტი“** გასინჯოთ **„და ნაიკითხოთ მათ-მიერ შედგენილი ლექსიკონების ცნობები: Абнась-Тумань (?) въ Кутаисск. губ. (?) нлизъ Ахалцыха (?)**. როგორ მოგწონთ? მეორე: Бахтріонахъ (?), село Ахалцыхскаго (?) уѣзда Тифлис. губ. на лѣвом берегу рѣки Алазани. დასტკბით, ბატონო „მე გახლავარ“, თქვენ მიერ სათაყვანებელის ავტორიტეტის კალმის ნაწარმოებებით!

... „როცა თქვენ, კვეხნით არ ვამბობ, ჩემს ბუმბერაზულს შრომას „უნაყოფოს“ ეძახით, ალბათ ჰხედავთ ცხადს ნიშნებს ჩვენის მწიგნობრობის ისეთს წარმატებისას, რომ მის შორის ჩემი ორას გვერდიანი შრომა, „კვალისა“ არ იყოს, მხოლოდ ერთი უჩინარი წიგნაკია. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ასე იყოს, მაგრამ, ვაი რომ ეგ მხოლოდ საკუთარის თავის მოტყუებაა და ჩვენი საწყალი მწიგნობრობა თქვენისთანა კრიტიკოსების წყალობით კუს ნაბიჯით ძლივს მიაჩანჩალებს ფეხებსა.

დამრჩენია ერთი: ვინუგეშო იმ საზოგადო მოვლენითა, რომ სხვა რომელი საზოგადო მუშაკი გადარჩენილა თქვენისთანების კიცხვა-გამობასა, რომ მე გადავრჩენილიყავ: ქვეყნისათვის თავდადებული მუშაკობა (ეს სიტყვაც ხომ სალანძღავი გახდა ამას იქით) წინათაც ბევრჯელ გათელილა

ჩვენში და მემკვიდრეობით ახლაც ითელება. „მამაო! მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ („ივერია“, 1898 წ. N123, 124).

ასეთი იყო ივ. როსტომაშვილი – ენციკლოპედისტი, ლექსიკოგრაფი, პოლემისტი...

„კვალმა“ (1898 წ. N19, გვ. 326) და „ცნობის ფურცელმაც“ გაილაშქრა ივ. როსტომაშვილის ამ ნაშრომის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროდ ივ. როსტომაშვილსაც ჰყავდნენ მომხრენი და მისი შრომის პატივისმცემელნი, უმთავრესად მიუდგომელ მკითხველ საზოგადოებაში, ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო ნაშრომიაო („ივერია“, 1898 წ. N123, წერილში „მე გახლავარს“).

ასეთი იყო ივ. როსტომაშვილის თანამგრძნობთა აზრი, მაგრამ მაინც მოწინააღმდეგეთა ბანაკმა გაიმარჯვა: ხალხს ისე აუცრუეს გული ივ. როსტომაშვილის შრომაზე, რომ ძლივას ოთხი წიგნი გამოსცა, 1-ლი ტომი, მოზრდილი, 831 გვ. დასაბეჭდი სალექსიკონო მასალა რომ მხოლოდ თვით ივ. როსტომაშვილს დაეგროვებინა, საჭირო იყო ქალაქი, სტამბის ხარჯი და სხვა, ესენი კი ღარიბ პედაგოგ-მწიგნობარს არ გააჩნდა, თუ რამე ჰქონდა, სულ გამომცემლობაში ჩაჰყარა და შემდეგი წიგნების გამოცემა ვეღარ შეძლო, – მოწინააღმდეგეთაგან დარჩა მხოლოდ... ჰეროსტრატეს სახელი (რომელმაც ძველად საბერძნეთში ეფესის დიდებული ტაძარი დასწვა) და გაზეთებში გაბნეული შხამიანი წერილები, ხოლო ივ. როსტომაშვილისაგან – ქართულ-რუსულ-ენციკლოპედიური ლექსიკონის 1-ლი ტომი 4 წიგნად, გვ. 831. ეს იყო ამ ორმოცდაათი წლის წინად, 1898-99 წწ.

დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და უკვე ვგრძნობთ, რა დიდი ნაკლია მისი დაუსრულებლობა. ორმოცდა ათი წელიწადი გავიდა, ამ დარგის წიგნი არა თუ არ დაბეჭდილა, არც შეუდგენიათ. მიუხედავად იმ ნაკლისა, რომელიც ამ პირველ წიგნს მოეპოვება, ამ დარგში ივ. როსტომაშვილის ღვაწლი დიდია და იგი დარჩება ქართული ენციკლოპედიის პიონერად, მოიხსენიება, როგორც ენციკლოპედისტი, ქართულ ენციკლოპედიის მამა-მთავარი...

კიდევ რას გვიჩვენებს ივ. როსტომაშვილის „სალარო ცოდნისა“ და სხვა ნაწარმოებნი?

ყოველმა ჩვენთაგანმა რომ ბეჯითად იშრომოს და ის გააკეთოს, რაც შეუძლიან, ჩვენი ცხოვრება ერთი ასად უფრო წინ იქნებოდა წასული.

სამწუხაროდ, ჩვენში ბევრი არა თუ ასე არა ფიქრობს – ვინც ასე ფიქრობს და იღწვის, მასაც ყოველნაირად ხელს უშლიან, როგორც ივ. როსტომაშვილს უშლიდნენ ხელს.

ჩვენებური ჟურნალ-გაზეთების ხელმძღვანელნი და ეგრედ წოდებულნი კრიტიკოსები თითქმის მუდამ ირიბი სათვალეებით იყვნენ აღჭურვილნი,

ხშირად თეთრს შავად, შავს თეთრად უჩვენებდნენ, ზოგჯერ პირადი მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, ზოგჯერ ტურგენევის იმ გმირივით, რომელიც თვისი სირეგვის დასაფარავად ბრალიანისა და უბრალოს სხვათა ნაწარმოებს ერთის ხელის დაკვრით აფოლებდა ხოლმე...

ასეთმა უკუღმართობამ დაასამარა „სალარო ცოდნისა“ და სხვა გამოცემანი, – ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წიგნის გამოსვლამდე წინასწარ წესი აუგეს, გზა ნარ-ეკლით მოუფინეს...

# XII

## ჟურნალისტობა



გასწიე, ხარო, გასწიე,  
საცაა გათენდებაო...

**ხალხური**

დაე, იცვალოს გარემოება,  
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი,  
დასდეგ, გამაგრდი, მოვა დროება,  
გიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.

**მამია გურიელი**

ჯავახეთში სამსახურისა და ამ კუთხის შესწავლის დროს ივანე როსტომაშვილი კიდევ უფრო დარწმუნდა, რომ საჭიროა ისტორიული ძეგლები, ძველი ნაშთები, ზეპირგადმოცემანი და ხალხური შემოქმედების ნიმუშები მთელი ჩვენის ქვეყნისა დროით შეიკრიბოს და აღიბეჭდოს, თორემ უამთა სვლა ყოველივე ამას სამუდამოდ შთანთქავს, ისიც შეიგნო, რომ ამ დიდ საქმეს ერთი და ორი კაცი ვერ გააკეთებს, – საჭიროა საერთო მუშაობა, და, აი, სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად 1901 წლიდან გამოსცა:

სურათებიანი ისტორიულ-არქეოლოგიური და  
გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ყოველთვიური ჟურნალი „მოგზაური“

დიდება შენის ქვეყნისა,  
იგივ შენი დიდებაა...

წელიწადი პირველი

N1

იანვარი 1901 წ.

„გამოვა ყოველის თვის პირველს რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა, წლით ხუთი მანეთი. ნახევარის წლით – სამი მანეთი. ნაწილ-ნაწილად: პირველად ორი მანეთი, დანარჩენი თუნდა თითო მანეთობით თვეში“.

„ჟურნალს „მოგზაურს“ აქვს მიზნად: ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ადგილი, ნაშთი, საგანი, პირი, ცხოვრება და გააცნოს იგი ჩვენს ხალხსა და უცხო ერთა. ჟურნალში დაიბეჭდება: მეთაური წერილები, მოგზაურობანი, აღწერილობანი, მოთხრობები, პოემები, ლეგენდები, ზღაპრები, ბიბლიოგრაფიული წერილები და სხვა ყოველ-გვარი სტატიები ისტორიულ-არქეოლოგიურისა და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიულის შინაარსისა“.

„ავტორთა საყურადღებოდ.

რედაქცია „მოგზაურისა“ სთხოვს ქართულის ისტორია-არქეოლოგიისა და გეოგრაფია-ეტნოგრაფიის მოყვარეთ, უგზავნონ რედაქციას საზოგადო შინაარსის სტატიები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის და ეტნოგრაფიის შესახებ. სტატიები დაწერილი უნდა იყოს ადვილ გასაგების ენით და ყოველის კითხვის შესახებ ცალკე. საგნად შეიძლება აღებულ იქმნას სურვილისამებრ: უძველესნი ცნობანი საქართველოსა და მის მკვიდრთა შესახებ. ქვისა და ბრინჯაო-რკინის საუკუნეები. უმთავრესი ხანები საქართველოს ისტორიისა და მათი დახასიათება მოკლედ. ცალკ-ცალკე სტატიები ამ ხანათა შესახებ. საქართველოს ბუნების გავლენა ქართველ ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და თვით ხალხისა ბუნებაზე. ოჯახი, მონობა და ბატონ-ყმობა საქართველოში. რას წარმოადგენდა საქართველო ერთ-სამეფოს დაარსებამდე? ქართველების რჯული ქრისტიანობის მიღებამდე, ღმერთნი და ტაძრები იმ დროისა. ერთ-სამეფოს დაარსება საქართველოში და მოკლე განხილვა და დახასიათება საქართველოს ყველა სამეფო გვარისა. ცალკ-ცალკე სტატიები ამ სამეფო გვართა შესახებ. ცალკ-ცალკე სტატიები არაბთა, მონგოლთა, სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვა ხალხებთან დამოკიდებულების შესახებ საქართველოსი და ამისი ნიშნები და ნაშთნი ჩვენს ქვეყანაში და ბრძოლა ქართველი ხალხისა და მეფეებისა მათ წინააღმდეგ. რამ შეუწყო ხელი საქართველოს დანაწილებას რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ და, რომ დანაწილდნენ, რას უნდა ცდილიყვნენ? მნიშვნელობა და დახასიათება საქართველოს ისტორიის შესანიშნავ პირთა და ამბავთა. უმაღლესი გამგეობა, ხელის-უფალნი, ნოდებანი, მწერლობა, ენა, სწავლა-განათლება, სამართალი, სასჯელნი, აღებ-მიცემობა, მეურნეობა, მრეწველობა, სოფელი, ქალაქი, ხუროთ-მო-

ძღვრება, ფულები თავისი წარწერებით, ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ჯარი, ისტორია ჩვენის ცივილიზაციისა, ეკონომიურ მდგომარეობის სხვა და სხვა დრო და სხვ.

... „შესანიშნავ ნაშთთა აღწერას თან სურათებიც რომ ჰქონდეს, უკეთესი აღარ იქნება“ („მოგზაური“, 1901 წ. N1).

მკითხველის მიმართ რედაქტორ-გამომცემელი (ივ. როსტომაშვილი) სწერს: „დიდება შენის ქვეყნისა, იგივე შენი დიდებაა...“

აურიცხველნი „საქმენი საგმირონი“ მოუღვაწნია ჩვენთა წინაპართა. ვამბობ ამას არა ხოტობით. ტრაბახობა კარგი არ არის, განსაკუთრებით სამშობლოს ღირსებათა შესახებ... ჩვენს ღირსებაზე და მნიშვნელობაზე ლაპარაკი, როგორც ერზე, უნდა სხვებს დავეუთმოთ, მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც სხვებს ჩვენთვის იმდენად არა სცალიანთ და, თუნდაც რომ სცალიოდეთ, არც იმდენად მცოდნენი არიან ჩვენის წარსულისა და ენისა, რომ პირუთვნელად შეეძლოთ სჯა-ბაასი. უცხო მწერლებს ეპატიებათ კიდევ ყოველი ეს, მაგრამ არ გვეპატივება თვით ჩვენა, რომ ხელს არ ვანძრევთ ჩვენის წარსულისა და აწმყოთა წვლილთა კვლევა-ძიებისა, შესწავლისა და დასურათებისათვის...

... „გაიხსენეთ შესანიშნავი ღვაწლნი ჩვენთა გამოჩენილ მამულის შვილთა, მათი საარაკო გამბედაობა, თავ-დადება, მოთმინება, ქედ-მოუხრელობა, პატიოსნება და გვიბრძანეთ: საჭირო და ღირსი არის თუ არა, რომ ყოველი ეს გამოკვლეულ და განცხადებულ იქმნას მათ სადიდებლად და ჩვენთა, მათ შთამომავალთა კვლავ გმირებად აღსაზრდელად... დიახ რომ საჭირო და ღირსია და აი „მოგზაურიც“ ეცდება ნათელი მოჰფინოს ჩვენის წარსულის ყოველთა წვლილთა და გააცნოს იგი ხალხსა...

... დაგეთანხმებით, რომ უცხოეთში, ევროპაში, ცხოვრება უფრო განათლებული, წესიერი და წარმატებულია, მაგრამ იგი ჩვენ მაინც ვერ გავვათბობს, ვერ დაგვიხსნის წარწყმედისაგან, თუ ჩვენისა არაფერი გავგეგება, არაფერი გვეცოდინება, თუ ჩვენ ჩვენისადმი სიყვარული არ გვიღვივის გულში, თუ არ ვეცდებით სამშობლოსადმი წმიდა სიყვარულის, სამშობლოს საკეთილ-დღეოდ მარად და ყოველთვის უანგაროდ მოქმედების და თავ-დადების დანერგვასა... ეს კი შეიძლება მხოლოდ გამუდმებულის ზრუნვით და ჩიჩინით, გამუდმებულის და შეუყენებელის სწავლით მშობლიურისა ყოველთა წვლილთა, რაიცა მარად ცენტრი უნდა იყოს ყოველის სწავლისა...

... დროა ჩვენც საქმით ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას. გვახსოვდეს: **„ძილი და მცონარეობა – უკანსვლაა, სიმხნე – წინსვლაა“** („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 1-7. მომყავს ზოგი ადგილი. ხაზი ჩვენია. ი. ი.).

ამ ვრცელი ამონაწერიდან ყველა დაინახავს და გაიცნობს, თუ ივ. როსტომაშვილი „მოგზაური“-ს გამოცემით რა დედა აზრით ხელმძღვანელობდა, რა იყო მისი მრწამსი იმ წლიდან, როდესაც საქართველოს ბრწყინვალე წოდება და გარუსებული ქართველი ინტელიგენციის 9/10 ე. წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების (ყოფილი მონარქიული რუსეთის მიერ საქართველოს უხეშათ დაპყრობას) რა ზემოთ დღესასწაულობდა...

ეს მრწამსი ივ. როსტომაშვილმა ამ ჟურნალის პირველი ნომრიდან, 1901 წლის იანვრიდან 1905 წ. იანვრის პირველამდე ნათელჰყო და ჟურნალში ბევრი საყურადღებო მასალა გამოაქვეყნა, – სხვათა შორის, სწავლა-აღზრდის შესახებაც, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

ჟურნალის პირველ ნომერში 9 წერილი თვით ივანე როსტომაშვილს ეკუთვნის (ხელმოწერა: ივანე როსტომაშვილი), მასვე ეკუთვნის „სახალხო ისტორია საქართველოსი“ (დამატებად, ცალკე ნუმერაციით, სხვილის ასოთი). ამის გარდა, ამ ნომერში მოთავსებულია ნ. ურბნელის წერილი „ხმალში გატანება“ – ქართული დუელი, ზ. ჭ. „სამხრეთ საქართველო – სომხეთი“, მ. გობეჩიას ისტორიული სურათები „ფარნაოზი“, კ. გვარამაძის „გურია“ (ეთნოგრაფიული აღწერა), ხალხური ნაწარმოებები, ისტორიული ძეგლები სათანადო აღწერით, ფოტო სურათები და სხ.

რედაქციის (ე. ი. რედაქტორის ივ. როსტომაშვილის) დამოკიდებულება თანამშრომლებთან მეტის მეტად საქმიანი და თავაზიანი იყო. რაიმე მასალა რომ არ მოსწონებოდა, უარს ისეთი კილოთი შეუთვლიდა (ბეჭდვით), რომ მასალის გამომგზავნსაც გული არ სტკენოდა, სამწერლო მუშაკობაზე ხელი არ აელო. აი, მაგალითად:

„მოგზაური“-ს ფოსტა (1901 წ. N2):

ა. მ-ძეს. თქვენ მიერ გამოგზავნილი აღწერა ჯვარცმის ეკლესიისა დაიბეჭდება, ველით მხოლოდ მის საზოგადო სახის სურათს.

ა. მ-ძეს (აღბად მასვე): ლექსი თუმცა კარგია, „მოგზაურში“ მაინც არ დაიბეჭდება, რადგანაც მისს პროგრამის გარეშეა.

დ. ოზურგეთელს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება მოხსენებულისავე მიზეზით. „მოგზაურში“ შეიძლება დაიბეჭდოს მხოლოდ ისტორიულ-არქეოლოგიურ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული შინაარსის სტატიები და ლექსები.

შიგა და შიგ ივ. როსტომაშვილი ჟურნალში მოთავსებულ ზოგიერთ სურათს, ძველი წარწერისას და წერილებს რუსულადაც მარტავდა ძლიერ შემოკლებით.

წელიწადში 12 ნიგნი გამოდიოდა, ზოგჯერ ორი თვის ნომერი ერთ ნიგნად. აქ დაბეჭდილია მრავალი ხასიათის წერილები (ბიბლიოგრაფია იხილეთ ბოლოზე).

ჟურნალის გეგმა, მიზანდასახულობა ისეთი იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა გულშემმატიკივარს უნდა ხელი შეეწყოს: თუ ჟურნალში სუსტ მასალას ამჩნევდა (უეჭველია, იყო კიდევც), უკეთესი მასალა მიენოდებინა... ამას თხოვლობდა რედაქტორიც, მაგრამ ამის მაგიერ მხოლოდ ქირდვნა შეახვედრეს.

ჟურნალს ჩვენი პრესა არა თუ თანაგრძნობით შეხვდა, მის წინააღმდეგ გაილაშქრა კიდევ.

ჩიორამ „ივერია“-ში (1901 წ. N175) ნკიპურტი გაჰკრა „მოგზაურში“ მოთავსებულ მ. გ. ლასურდიძის პოემას „დავით აღმაშენებელი“ („მოგზაური“, 1901 წ. N5, გვ. 427-450; N6-7, გვ. 594-605; N8-9, გვ. 771-783), მ. გობეჩიას პოემებს – „ფარნაოზი“ („მოგზაური“, 1901, N1, გვ. 73-80; N2, გვ. 137-144), „ამირანი“ („მოგზაური“, 1901 წ. N6-7, გვ. 545-552) და სხ. დაუნუნა. ივ. როსტომაშვილმა ჩიორასადმი პასუხით გამოამჟღავნა თავისი სამწერლო მრწამსი და სხვათა შორის, წერდა:

„დროა შევიგნოთ, ბატონებო, რომ მწერლობის მთავარი აზრი ცოდნის მოფენაა ხალხში და ამ ცოდნის სიავ-კარგით ხალხის სულისა და გრძნობის ადამიანურად აღზრდა-განვითარება და არა ჩიორას „ივერიის“ მსგავსად „გველისა ეკალზედ გადაკიდება“ („მოგზაური“, 1901 წ. N8-9, გვ. 918-920).

პრესის გამოლაშქრებამ „მოგზაურს“ აბრე გაუტეხა და მით ნივთიერი ზარალიც დიდი მიაყენა, რის გამოც ივ. როსტომაშვილი 1902 წ. წერდა: თუმცა დიდად გვიჭირდა, მაინც ჟურნალი არ შეგვიჩერებია, მკითხველებთან პირნათელი გამოვედითო. ხელის მომწერთა სიმცირე პროგრამის სივიწროვით ახსნა და 1902 წ. ყოველმხრივ თავდასხმის მიუხედავათ, ივ. როსტომაშვილმა ჟურ. „მოგზაური“-ს პროგრამა გააფართოვა, დაუმატა: პედაგოგია, მეურნეობა-მრეწველობა, სამეცნიერო ნარევი და ამავე დროს მკითხველს აცნობდა, „თუ რამდენად საჭიროა ჩვენის ქვეყნისათვის ასეთი შინაარსის ჟურნალი, ამის გადანყვეტა ჩვენი ხალხის შეგნებული ნაწილისათვის მიგვიჩვენია“, ასეთი შინაარსის გამო ბევრი წიგნი შეემატა ჩვენს ხალხსო და მოითხოვდა: ხელის მონერით დაგვეხმარეთო, მასწავლებელთა და ღარიბ დაწესებულებათათვის ფასიც დაუკლო (5 მან. მაგიერ 4 მან. წლიურად), „რომ თვით ღარიბნი არ ვიყვნეთ, სულაც მუქთად დაუგზავნიდით ჟურნალს უკანასკნელებს, მაგრამ რა ვქნათ, რომ თვითონაც მუშა მარჯვენის მეტი სხვა არაფერი გვაბადია რა“-ო. მაგრამ დღიურ და კვირეულ პრესისაგან გამოლაშქრება იმდენად ძლიერი იყო, რომ ჟურნალი მაინც და მაინც ფართოდ ვერ ვრცელდებოდა. „მაღალი სტილის“ მაძიებელნი, ხშირად მხოლოდ სხვისი ნაშრომის გაკილვით სახელის შექცნისათვის მეზრძოლნი, დახმარების მაგიერ სისხლს უმღვრევდნენ, იუმორისტული ლექსებით თუ ფელეტონებით თავს ესხმოდნენ.

ასე ჩაამწარეს ივ. როსტომაშვილს 1903 წ. „ახალი წელი“ (რომელიც ძველად იშვიათ სიამე-სიტკბოების დღესასწაულად იყო მიჩნეული), მაგრამ ეს

მარტო მორალური ჩამწარება არ იყო, არამედ ნივთიერიც, რადგან სწორედ ამ თვის (იანვრის) პირველიდან იწყებოდა ყველა ჟურნალ-გაზეთზე ხელის მონერა, ხოლო ვინც „ივერია“-ს და „კვალს“ (რომელიც იმ დროს პოპულიარული იყო) წაიკითხავდა, „მოგზაურს“ ვიღა გამოინერდა?! ამ ხანად არა თუ „მოგზაურის“ გამოწერას, წაკითხვასაც კი მეტ ბარგად უთვლიდნენ ხალხს: ვისთვის რა საჭიროა რალაც ძველი ციხე-მონასტრების წარწერების წაკითხვა, ხალხური აჭია-ბაჭიაო და სხ. არა თუ ეს, თვით „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველთაც წყალ-წალბულებად სთვლიდნენ... რევოლუცია ახლოვდებოდა, თვითმპყრობელობაზე შესატყვად ემზადებოდნენ და ამ დროს ყოველი რედაქცია რევოლუციის ცეცხლის ქურად უნდა გადაქცეულიყო, ივ. როსტომაშვილი კი „ძველ-ძველებს გადაჰყოლიაო“, ხოლო თვით ივ. როსტომაშვილი სწორედ ამ ჩვენი ისტორიული ძეგლ-წამთების აღწერას ესწრაფებოდა.

ისმენდა ივ. როსტომაშვილი თავდამსხმელთაგან (დუტუ მეგრელი. „ივერია“, 1903 წ. N1; „რიგოლეთი“. „კვალი“, 1903 წ. N1 და სხ.) მწვავე წამოძახილებს და მაინც მკერდ მიშვერილი მუხლ ჩაუკეცავად ეწეოდა უმძიმეს ჭაპანს იმ მაღალის აზრით და რწმენით გასულდგმულებული, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მრავალ ჭირგამოვლილმა მგოსანმა დ. გურამიშვილმა (1705-1792) გვიმოდღვრა:

„ან ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია,  
ცხოვრებდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;  
ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,  
და ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“.

ივ. როსტომაშვილი ჟურნალ „მოგზაურს“ იმ დროს სცემდა, როდესაც ხალხის განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტალღები თანდათან ძლიერდებოდა: მუშათა მოძრაობა ფართოვდებოდა, გლეხობა „ერთობას“ გასძახოდა, ძირს ხელმწიფეო და მებატონეთა და თვითმპყრობელობის დამხობას მოითხოვდა. თვითმპყრობელობის დღეები ითვლებოდა, რამდენადაც რევოლუციური გამოსვლები მატულობდა, იმდენად თვითმპყრობელობის დარაჯნი ხალხის გამოფხიზლების იარაღს ბეჭდვით სიტყვას სწურთავდნენ, ამუხრუჭებდნენ და მართებლობის საწინააღმდეგო გამოცემებს აგრე რიგად გზას არ უხსნიდნენ, გამოცემის მთხოვნელს ბორკავდნენ. გამოღვიძებულ ხალხის წყურვილს მარტო არსებული ჟურნალ-გაზეთობა ვერ აკმაყოფილებდა, ზოგჯერ არალეგალური ფურცლებიც ვერ აუდიოდა. ამ დროს მებრძოლი სოციალდემოკრატიული პარტია ლეგალურ ორგანოს მოკლებული იყო, რადგან „კვალი“ 1903 წლის გასულს დაიხურა.

1904 წ. მიწურულს, როცა რევოლუციურმა მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო და აშკარა ბეჭდვით სიტყვა – ჟურნალი ანუ გაზეთი აუცილებელი შეიქნა, სოციალ დემოკრატთა ერთი ჯგუფი შეიკრიბა კონსტანტინე (კონია) იოსების ძის ჯაფარიძის ბინაზე ლეგალური გაზეთის გამოცემისათვის მოსალაპარაკებლად. ამ ჯგუფის კრებას დაესწრნენ: თვით მასპინძელი კ. ჯაფარიძე, ალექსანდრე (საშა) ნულუკიძე, ნიკო ელიავა, შალვა შარაშიძე (თაგუნა) და ვარლამ ჭიჭინაძე.

1905 წ. კარზე იყო მომდგარი, ამ დროს გაჩუმება, უმოქმედობა, ბეჭდვით სიტყვის უმეტყველება უდიდეს დანაშაულს უდრიდა, ხოლო სათანადო ნებართვის აღება იმ ხანში არც ისე ადვილი იყო, – სანდო კაცი რომ ეშოვათ კიდევ ნებართვის მიღებას მაინც ვერ მოასწრებდნენ, რადგან ნებართვის მიღებას ორი თვე მაინც უნდოდა. საჭირო იყო რომელიმე არსებული ჟურნალის ან გაზეთის ხელში ჩაგდება.

ვარლამ ჭიჭინაძემ ურჩია:

– ამხანაგებო, მოდით იჯარით ავიღოთ ივანე როსტომაშვილის ყოველ კვირეული გაზეთი „მოგზაური“, იაფიც იქნება, სწრაფიც.

ეს აზრი ამხანაგებმა მოიწონეს და საქმის საჩქაროდ მოსაგვარებლად, წინადადების შემოტანით, ვარლამ ჭიჭინაძე და კონია ჯაფარიძე ივანე როსტომაშვილისაკენ გაქანდნენ.

იმავე საღამოს ივანე როსტომაშვილი თავის ბინაზე (ბოჭორიშვილის შეს. N24) საახალწლო ნომრის კორექტურის გასწორებასა და მასალების შერჩევაში იყო გართული: რევოლუციურ ტალღების აზვირთებამ აიძულა თვიური ჟურნალი კვირეულ გაზეთად გადაეკეთებინა და უფრო ცოცხალი, დროის შესაფერი მასალები ებეჭდნა. მართალია, ჟურნალის გამოცემა ძლიერ მძიმე ტვირთად ეწვა, – ცოლშვილის უკანასკნელ ლუკმას გამომცემლობას ახმარებდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა, – ჯიუტი, მოუდრეკელი ივანე როსტომაშვილი ახალის რწმენით შეჰყურებდა მომავალს.

იქნებოდა ღამის ათი საათი, როცა კ. ჯაფარიძემ და ვ. ჭიჭინაძემ მისი სამუშაო კაბინეტის კარი შეაღეს, მიესალმნენ და ამხანაგების დავალება გადასცეს.

– გაზეთი უნდა დაგვიტომოთ, სამაგიეროთ, რამდენიც გსურთ, ფული მიიღეთ.

ივანე როსტომაშვილი ამ დროს თუმცა უკვე ნახევარი საუკუნის გადაცილებული იყო, მაინც მომავლისკენ იყურებოდა, ვიდრე წარსულისაკენ. ახალგაზრდების აზრი სიამოვნებით მოისმინა, მაგრამ ფულის შეძლევა კი იუკადრისა:

– მედუქნე ვაჭარი ხომ არა ვარ, – მიუგო ცოტა არ იყოს წყენით, შემდეგ შუბლ გახსნით განაგრძო: მე ყოველთვის თანაფუგრძობდი ახალგაზრდებს

და, რადგანაც თქვენ გინდათ ამ საქმეს ხელი მოჰკიდოთ, გაზეთს გითმობთ მხოლოდ იმ პირობით, რომ 1905 წ. 1-ლ იანვარს გამოვიდეს ნომერი ერთი ჩემი რედაქტორობით, მეორე თქვენი... შემდეგისათვის კი თქვენ გამოცემით, ხოლო პასუხისმგებელ რედაქტორად მევე ვიქნები.

ახლა ვალაპარაკოთ თვით კ. ი. ჯაფარიძე (რომელმაც იქვე მეორე მოგონება ჩვენის თხოვნით დასწერა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ):

„ვერ წარმოიდგენთ ამხანაგების სიხარულს, როდესაც ეს ამბავი მოვიტანეთ, ეს იყო 1904 წლის 29 დეკემბერს.

„ივანე როსტომაშვილთან მეორე დღესვე დაიდო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოვანერეთ – ერთის მხრივ – როსტომაშვილმა, ხოლო მეორეს მხრივ – მე და ნიკო ელიავამ. თანახმად ამ ხელშეკრულებისა, ჩვენ უხდიდით როსტომაშვილს 40 მანეთს თვეში.

„იმავე დღეს ჩვენს ბინაზე თავი მოვიყარეთ, ეს სასიხარულო ამბავი სტამბის მუშებს შევატყობინეთ და შრომა გავინაწილეთ. მეთაურის დაწერა იკისრა ამხ. საშა ნულუკიძემ, შინაური მიმოხილვა – ელიავამ, უცხოეთის ამბები და მ. გორკის «Песнь о Буревестнике» („სიმღერა ქარიშხალზე“) გადმოთარგმნა – მე, ხოლო ფელეტონი – შ. შარაშიძემ (თავუნა) და ნ. კალანდაძემ (ემმაკი). ჩვენ მიერ დამზადებული მასალა მუშებმა სტამბაში წაიღეს, დაბეჭდეს და 2000 ცალი ჩემს ბინაზე მოიტანეს. ნაწილი გაიგზავნა ქუთაისში, ბათუმში, ბაქოში, ჭიათურაში, ხონში და სხვაგან, ნაწილი დავიტოვეთ თბილისისათვის, ჩვენვე დავარიგეთ.

„მაღე მივიღეთ ყოველ მხრიდან თანაგრძნობის წერილები და „მოგზაურ“-ს ტირაჟი საგრძნობლად გაიზარდა. ცხადი იყო, რომ რედაქციისათვის მუდმივად ჩემი ბინა არ გამოდგებოდა, ამიტომ დავიქირავეთ სხვა ბინა ნიკოლოზის (ან კალინინის) ქუჩა N. ცხადი იყო აგრეთვე ისიც, რომ საჭირო იყო მუდმივი ფაქტიური რედაქტორი და ჩვენც მივმართედ ამხ. ფ. მახარაძეს, რომელმაც სიამოვნებით იკისრა ეს მოვალეობა, რასაც ამ გაზეთის მოსპობამდე პირნათლად ასრულებდა.

„მეფური რეჟიმის ბევრი სანინალმდეგო წერილი დაიბეჭდა „მოგზაურში“, მაგრამ არ მახსოვს, რომ როსტომაშვილს, რომელიც იყო „მოგზაურის“ ოფიციალური რედაქტორი, რაიმე საყვედური ეთქვა ჩვენთვის“.

ასე ათავებს თავის მოგონებას კ. ჯაფარიძე.

„მოგზაური“ 1905 წ. იანვრიდან „საყოველკვირაო გაზეთად“ გადაკეთდა. ამ წლის პირველ ნომერში (N1) პირადათ ივ. როსტომაშვილის რედაქციით და თანამშრომლობით გამოვიდა, შემდეგი – ფ. მახარაძისა. პირველი ნომრის მეთაურ წერილში ივ. როსტომაშვილი „თემი და ერი“, წერდა:

„მოგილოცავ, მკითხველო, ახალწელს, ახალ ცხოვრებას, ახალ იმედებს, ახალ საქმეებს, ახალ გაზეთს „მოგზაურს“. კარგად ვიცი, რომ დღეს შენი

ყოველი იმედი სულ ამ ახალ ცხოვრებისაკენ არის მიპყრობილი და, აი, „მოგზაურიც“, შეძლებისა-კვალად, ეცდება თვალ-საჩინოდ გაგაცნოს ამ ახალ ცხოვრებას და მისკენ მიმავალ მახლობელ გზებსა...”

იმავე ნომრის მე-17-ე გვ. წერილში „ახალი საყმანვილო ჟურნალი „ნაკადული“, იხილავს რა ამ ჟურნალს სწერს:

„ძნელად გასაგები და ბუნდოვანია ლექსი „ნაკადული“, მძიმეთ დაწერილია და ყმანვილი ბევრიც რომ ეცადოს, ვერ გაიგებს, რა არის ნაკადული. სურათებიც კარგია, მაგრამ განა საქართველოში არ არის ჩვენებური ჯიშის ღორები, რომ რუსული ღორები დაუხატოთ. ... მგელიც რუსული მგელია. ნახატებიანმა ჟურნალმა სურათები თავისი შინაური ცხოვრება უნდა ჩაუტოროს, გარდა გადმოთარგმნილი მასალისა“.

1905 წ. ნოემბრის 20 კვირის N41 იყო გამოცხადებული (რედაქციისაგან):

„დღეიდან, ე. ი. 20 ნოემბრიდან, „მოგზაური“ იმ რედაქციით, რა რედაქციითაც იგი 1905 წ. 16 იანვრიდან (N2) გამოდიოდა, – აღარ გამოვა.

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული მომავალ 1906 წლის პირველ იანვრამდე აქვთ გადახდილი, „მოგზაურის“ ნაცვლათ აღნიშნულ ვადამდე, გაეგზავნებათ ახალი ყოველდღიური გაზეთი „სხივი“, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოვა“.

1905 წ. 30 ოქტომბრიდან „მოგზაურს“ (N38) ზევიდან წაენერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ (მსხვილი ასოთი).

რამდენადაც გვახსოვს, ამ ლოზუნგის ლეგალურად წარწერა პირველი შემთხვევა იყო.

შემდეგ ამავე ლოზუნგით გამოვიდა გაზ. „სხივი“.

ამგვარად, ისტორიულ-არქეოლოგიურ და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიულ მიზნით დაარსებული პედაგოგიურ განხრის ჟურნალი პარტიულ-პოლიტიკურ ორგანოდ გარდაიქცა და 1905 წ. რევოლუციურ ცეცხლის აგიზგიზების მთავარი მესვეური შეიქმნა. „მოგზაურმა“ თავისი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი როლი სასახელოდ შეასრულა.

ამის გამო ივ. როსტომაშვილს ხიფათი მოელოდა, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია, ხოლო როცა „მოგზაურში“ ილია ჭავჭავაძეს უდიერად შეეხნენ, ივ. როსტომაშვილმა მოსთხოვა:

– ჩემი სახელით ილიას ნუ ლანძღავთ, თორემ რედაქტორობას თავს დავანებებო.

# XIII

## საყმაწვილო მწერლობა



საყმაწვილო წიგნების გამოცემას ივანე როსტომაშვილი თავიდანვე ყურადღებით ეკიდებოდა. სხვათა შორის, ი. გოგებაშვილის რედაქციით გამოცემულ „პატარა ბიბლიოთეკა“-ს შესახებ ბიბლიოგრაფიაში („ივერია“, 1878 წ. N30, გვ. 9) წერდა:

„ამ დღეებში ტფილისში გამოვიდა ერთი პატარა, მაგრამ ფრიად სასარგებლო წიგნი, სათაურით „პატარა ბიბლიოთეკა“... გამომცემელს ჰსურს, შემდეგში, თუ გარემოებამ ხელი მოუმართა, „პატარა ბიბლიოთეკა“ გარდააქციოს საყმაწვილო თვიურ ჟურნალად. თქმა აღარ უნდა, რომ ეს მოვლინება და ეს პირველი დაწყება უფ. გოგებაშვილისა, ძრიელ კეთილი დაწყება და განძრახვაა ჩვენში, ამიტომ ქართველ საზოგადოებას ვალი ედება, ამ დაწყებას მხარი მიჰსცეს და ხელი მოუმართოს ამ ახლად დაბადებულს „პატარა ბიბლიოთეკას“, რადგანაც ყველა ეს ისევე ჩვენის შვილების საკეთილ-დღეოთ მომართულია“-ო, შემდეგ ხსნის წიგნის მნიშვნელობას:

... „წიგნის კითხვას ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთი ის, რომ მიჰსცეს მკითხველს სხვა და სხვა ცნობა, რომლითაც მისი ჭკუა-გონება გახსნილ და განვითარებულ უნდა იქმნეს; მეორე – ის, რომ აღუძრას მკითხველს მაღალი ზნეობითი გრძნობანი“. აქვე არკვევს რა და რა შინაარსის უნდა იყოს წიგნი, რომ მკითხველი წაახალისოს და გაანვითაროს: „ნათლად უნდა აღწერილ იყოს კაცისა და ბუნების შორის ურთიერთობა, კაცის განუწყვეტელი ბრძოლა ბუნებასთან და ადამიანის ცხოვრება, რომელიც დაერთვის ამ ბრძოლას“, ნაწერი სურათებით უნდა შეიმკოსო, „მოთხრობებში სრულიად არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ გვარ მოვლენას, რომელიც არასოდეს არ არსებობს ბუნებაში“ ისტორიული ამბები სისწორით აღინეროს, ზღაპრები, იგავები და სხ. შერჩევით იბეჭდებოდეს. ყმაწვილი მკითხველი უნდა „ცრემლებსა ჰღვრიდეს არა მგრძნობიარე სიტყვების გამო (...), არამედ თვით მომხდარის მაგალითის შემადრწუნებელის ხასიათით“. არც უცხო სიტყვების ხმარებაა საჭირო, ყმაწვილი უნდა კითხულობდეს გაგებით და და-

კვირვებით... „ავღძრათ ყმანვილობაში სიყვარული კითხვისადმი არა მხოლოდ კითხვისათვის, არამედ სხვის შეუწევნელად ცნობის შექმნისათვის“-ო („ივერია“, 1878 წ. N30, გვ. 9-12).

თავგამოდებით მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის დარგშიც. საკუთარი მოთხრობების გარდა, სცემდა საუცხოოდ დასურათებულ, მშვენიერი ასოთი აწყობილს თავისებურად გარდაქმნილ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებსაც პატარებისთვის, ე. ი. სკოლამდელთათვის. მაგ. ივ. როსტომაშვილმა შეადგინა და გამოსცა, როგორც უკვე მოვიხსენიეთ: 1. ქართული ანბანი 18 სურათით. ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი, 15 კაპ. ტფილისი, 1895 წ.; 2. „მოდის ვნახოთ ვენახი“, 9 სურათით, ფ. 10 კაპ., და 3. „რწყილი და ჭიანჭველა“, ზღაპარი, 11 სურათით, ტფილისი, 1895 წ.

„რწყილი და ჭიანჭველა“ ივანე როსტომაშვილს ისეთის პედაგოგიურის ოსტატობით აქვს გაკეთებული, რომ ბავშვი თავიდანვე ეცნობა მასში ყოველი მომქმედი არსების თავისებურებას. მაგ.:

**ხალხური სიტყვიერება:**

ღორმა უთხრა  
მუხამ უთხრა  
ყვავმა უთხრა  
კრუხმა უთხრა  
ორმომ უთხრა  
თავგმა უთხრა  
კატამ უთხრა  
ძროხამ უთხრა\*

**ივ. როსტომაშვილის სიტყვიერება:**

ღორმა შეჰღრუტუნა  
მუხამ შესჭრიალა  
ყვავმა შესჩხავლა  
კრუხმა შეჰკუტკუცა  
ორმომ ამოსძახა  
თავგმა შესწრუნუნა  
კატამ შეჰკნავლა  
ძროხამ შეჰბლავლა\*\*

ანნა ღვინიაშვილი საბავშვო ლიტერატურის გარჩევის დროს საბავშვო წიგნების შემდგენელთა (ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ან. ჯუღელი და სხ.) შორის ივ. როსტომაშვილსაც იხსენიებს და, სხვათა შორის, ამბობს: „მნიშვნელოვანი წიგნი არის ივ. როსტომაშვილის მიერ გამოცემული ზღაპარი: „რწყილი და ჭიანჭველა“, 11 სურათით. ეს წიგნი შეიძლება ჩაითვალოს პირველ დასურათებულ წიგნად სკოლის ასაკამდის ბავშვებისათვის. შრიფტი აქვს საუცხოოვ და დასურათებულია კარგად“...\*\*\*

\* ქს. სიხარულიძე, ქართული საბავშვო ფოლკლორი. თბ. 1938 წ. გვ. 123-128.

\*\* ივ. როსტომაშვილის გამოცემა „რწყილი და ჭიანჭველა“, 1895 წ.

\*\*\* ან. ღვინიაშვილი, ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმოხილვა 1883-1917. ტფილისი, 1934 წ. გვ. 51. ივ. როსტომაშვილის პედაგოგიური და ხალხური შემოქმედების თავისებურება გარჩეული აქვს ან. ღვინიაშვილს თავის „საბავშვო ლიტერატურის კონსპექტურ მიმოხილვაში“.

ამავე საბავშვო წიგნების რიგს ეკუთვნის საკუთრივ ივ. როსტომაშვილის ზღაპარი „მეფე ლამზა“, 6 სურათით, თბ. 1903 წ. მსხვილი ასოთი აწყობილი, ნითელ ხაზოვან არშიაში ჩასმულ გვერდებით.

გარდა ამისა, ივ. როსტომაშვილი მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურ. „ნაკადულისა“, სადაც ათავსებდა სამეცნიერო და ისტორიულ ნარკვევებს, აგრეთვე პატარ-პატარა მოთხრობებსა და სხ. სწერდა მარტივად, მკაფიოდ, სუფთა ქართულით. აღსანიშნავია მისი „მეფე ლამზა“, ტფილისი, 1903 წ., „კურდღლის ბაჭია“ და „ციყუნია“ („ნაკადული“, მც. წლ. 1912 წ. N24), „ცხენი და ვირის ამბავი“ (იქვე, 1913 წ. N2), „ზაზუნა“ (იქვე, N5), „ბატკანი და მგელი“ (იქვე, N8), „ფარნაოზ მეფე“, ისტორიული მოთხრობა („ნაკადული“, მოზრდ. 1913 წ. N5, 6, 7), „ირინეს მარგალიტი“ („ნაკადული“, მც. წლ. 1914 წ. N12, 13) და სხ. (იხ. სია ამ წიგნის ბოლოზე „ივანე როსტომაშვილის ნაწერი და ნაშრომები“).

რევოლუციის შემდეგ, 1919 წ. ოქტომბრის 18 საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილეს (ალექსანდრე მდივანს) წერდა:

„დიდად პატივცემულო ბ-ნო ალექსანდრე! საყმანვილო წიგნების გამოცემის საქმეს მე მსურს მოვახმარო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლები... დღეს, [ღვთით], ჩვენი სამშობლო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველი შრომა, რომელიც კი მიმართული იქნება ჩვენი ძმებისა და დების გონებრივად განვითარებისაკენ, ღირსეულად იქნება დაფასებული... ავტორებს სტრიქონზე 50 კაპ. უნდა მიეცეს, რომ წიგნი მალე გავრცელდეს, საქართველოს ერობათა და კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირებთან დავდოთ ხელშეკრულება, დაიკვეთონ ჩვენი გამოცემანი 40% დაკლებით, რომ იმათაც დაუკლონ 10% და სხ.“ „მე თანახმა ვარ მოგანოდოთ გამოსაცემად თვითეული კვირისათვის თითო თხზულება საყმანვილო თუ სახალხო წიგნების.“

აი, ასე დაუცხრომლად ზრუნავდა ივ. როსტომაშვილი საყმანვილო წიგნების შესადგენად, გამოსაცემად და გასავრცელებლად.

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7119.

\*\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7120.

# XIV

## საზოგადოებრივი საქმიანობა



*სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე არა რას არგებს მამულსა...*

**გრ. ორბელიანი**

*ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსა....*

**შოთა რუსთაველი**

რუსეთის დიდი რევოლუციის გენერალური რეპეტიცია – 1905 წ. განმანთავისუფლებელი მოძრაობა – ყველა ცოცხალი, მომქმედ მოაზროვნე ადამიანს გულიგულში ითრევდა, – მთელი მშრომელი ხალხი გასძახოდა: – „ძირს ნიკოლოზი! გაუმარჯოს ერთობას!“

და ვერც ივანე როსტომაშვილი დარჩებოდა გარეშე მოთვალსიერე მაყურებლად, მით უმეტეს, როცა მისი იდეალებიც ფრთას ისხავდა. მაგრამ დაინყო რეაქცია. საჭირო იყო დროის შესაფერი მოქმედება.

და აი, 1906 წ. ოჯახობით თელავს გადავიდა მასწავლებლად.

აქედან მონაწილეობა მიიღო სოფ. გულგულაში ივანე კოლეღიშვილის (1860-1930 წწ.) მიერ კომუნის (ერთობის) დაარსებაში. ამ დროს ვანოს მეუღლე ლიზაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა კომუნის საქმიანობაში. თავისი საკუთარი საკერავი მანქანით კომუნის წევრებს ტანისამოსს უკერავდა, ხოლო მის მიერ თელავიდან მოწვეული ხარაზი – ფეხსაცმელებს.

კომუნაში გაერთიანებული იყვნენ ღარიბი გლეხები ივ. კოლეღიშვილის მეთაურობით, რომელმაც თავისი საუცხოო მამულიც კომუნაში შეიტანა. ამ კომუნის დაარსების წინასწარ მოლაპარაკებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არჩილ ჯორჯაძე, ვანო პაატაშვილი (დავინწყებული). თვით ივანე კოლეღიშვილი ფრიად განვითარებული, მომზადებული, თავისებური კაცი იყო, წმინდა ადამიანად მიჩნეული (იკვებებოდა მხოლოდ ვაშლით და ხორბლით).

კომუნა იზრდებოდა, ვითარდებოდა.

სოფლის ბობოლებს (ანინდელი წოდებით კულაკებს) თავზარი დაეცათ, – თავიანთი ფართე მამულების დასამუშავებლად მუშა-ხელს ველარ შოვუ-ლობდნენ. საჭირო იყო კომუნის მოსპობა, – მისი სულის ჩამდგმელის მოკვლა, თოფი ესროლეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, ოდნავ გაკანრეს. ამის შემდეგ კომუნას მოუკლეს წევრი – კომუნარი გლეხი, ვინმე მიტრო.

კომუნარ მიტროს დაკრძალვამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო. დაკრძალვის პროცესიას ხელმძღვანელობდა ციმბირიდან ახლად გამოქცეული ივანე როსტომაშვილის უფროსი ვაჟი, ხოლო კუბოს გადაფარებული ჰქონდა თვით ლიზას მიერ რევოლუციურ ლოზუნგებით ამოქარგული გადასაფარი.

მიცვალებული დაკრძალეს უმღვდლოთ, წითელი დროშებით.

ამან უარესად გააბრაზა სოფლის ბობოლები და ახლა მიზანში ამოიღეს არა მხოლოდ კომუნა, – კომუნარ გლეხთა კოლექტივი, – არამედ მათი სულის ჩამდგმელნი და მთავრობას აცნობეს.

სოფ. გულგულას დაეცა პოლიცია მაზრის უფროს ანტონოვის მეთაურობით 60 ყაზახით, იმ დროს, როცა ივანე კოლელიშვილი კომუნის წევრებს შემოსავალს უნანილებდა.

ივ. როსტომაშვილი თავისი მეუღლითურთ ივანე კოლელიშვილს ეხმარებოდა.

მაზრის უფროსმა ანტონოვმა რომ ივანე კოლელიშვილი დააპატიმრა, იქვე შენიშნა თავისი ყოფილი მასწავლებელი ივ. როსტომაშვილი. მაზრის უფროსს არ ეჭაშნიკა ვანოს აქ შეხვედრა, მაგრამ ვერაფერი შეჰბედა, მხოლოდ ცივად შეეკითხა:

– А вы тут почему?

ლიზამ ჩვეულებრივი გაბედვით ფეხი გადმოდგა წინ და მიუგო:

– მაშ ჩვენს მასაზრდოებელ გლეხებს არ უნდა მიხვდოთ, რომელთაც თქვენ ასე აწიოკებთ?

მაზრის უფროსმა ანტონოვმა გორიზად შეხედა, მაგრამ სიტყვა ველარ შეუბრუნა.

სწორედ ამ დროს ლიზას კაბის ქვეშ ამოკრული ქონდა მოკლულ კომუნარის კუბოს გადასაფარი, თვით ლიზასგან რევოლუციურ ლოზუნგებით ამოქარგული, რომელიც ლიზამ ყაზახების დანახვისთანავე კაბის ქვეშ ამოიკრა.

დააპატიმრეს ივანე კოლელიშვილი, ააწიოკეს კომუნა, აიკლეს დაგროვილი დოვლათი.

ყოველივე ეს თითონ ჩაიგდეს ხელში. მაზრის უფროსმა ანტონოვმა ჯიბიდან ფული ამოიღო და სოფლის ბობოლა (კულაკთა) შვილებს გადაუყარა:

ასეთ ამბებს უფრო ფხიზლად ადევნეთ თვალყური, დროით მაცნობეთ ხოლმეო, ხოლო ივანე კოლელიშვილს დაცინვით მიმართა:

– Это вы корчите из себя Иисуса Христа?

და კაზაკებ-შემორტყმული ივ. კოლელიშვილი ფეხით თელავის გზას გაუყენა ციხეში ჩასამწყვდევლად.

ივანე როსტომაშვილიც აედევნა.

მაზრის უფროსი ანტონოვი ისე ეზიზღებოდა, მასთან არც კი მისულა. თელავის მონინავე მოქალაქენი შეკრიბა და გამოუცხადა:

– ხალხო, ისეთი რა დააშავა კოლელიშვილმა, რომ იჭერენ. განა ის დანაშაულია, რომ ღარიბი გლეხები შეაკავშირა, ერთობა შექმნა და მათი ცხოვრება გააუმჯობესა... რას გავჩერებულვართ. განა ანტონოვი იქამდე უნდა მიუშვათ, რომ კისერზე წამოგვაჯდეს?

– რა ვქნათ?

– რა და ავირჩიოთ კაცები და მივგზავნოთ გენერალ-გუბერნატორთან... ვანოს მოთხოვნით აირჩიეს მონინავე მოქალაქენი, მათ შორის, თვით ვანოც და გენერალ-გუბერნატორთან გაგზავნეს.

ამ დროს დროებით გენერალ-გუბერნატორი იყო გენერალი ჯაიანი.

არჩეულები, როდესაც გენერალ-გუბერნატორს ეახლნენ, ყველაზე უკან ვანო იყო ჩამომდგარი. ილაპარაკა ყველამ ისეთი შემარიგებელი კილოთი, რომ არც მწვადი დასწევს და არც შამფური.

გენერალ-გუბერნატორმა გადახედა სულ ბოლოზე ჩამომდგარ ივ. როსტომაშვილს და გაიფიქრა: „ნეტა ამ პატარა კაცს რაღა უნდაო?“ (ეს შევეტყვეთ შემდეგში, როცა ჯაიანი ვანოთი თავის განცვიფრებას კერძო წრეში ნაცნობთ მოუთხრობდა).

ივ. როსტომაშვილი სწრაფად წარუდგა, მშვენიერი რუსულის ენით დაუსაბუთა ივ. კოლელიშვილის უსამართლოდ შეპყრობა, მისი კომუნის აკლება, გლეხკაცთა შევიწროება და სხ. ამასთან დაუმატა:

– ასეთი კომუნის შექმნა ხომ წესდებითაც არის გათვალისწინებულიო.

– რომელი წესდებით? – შეეკითხა ანტონოვი.

– აი, ამ წესდებით! – მიუგო ვანომ, უბიდან ამოიღო და წარუდგინა არტილის წესდება.

– ვინ მოგცა? – თითქმის შეღრიალა ცეცხლმოდებულმა ანტონოვმა.

– ხაზინიდან გამოვიტანე.

თურმე ამ წესდებას ხაზინაში საიდუმლოდ ინახავდნენ. ვანომ ხელში ჩაიგდო.

ვანომ თავისი დალაგებული და გაბედული სიტყვით ისე მოხიზლა გენერალი ჯაიანი, რომ ჯაიანმა კოლელიშვილი იქვე გაანთავისუფლა. აქვე

უნდა აღვნიშნოთ, რომ გენერალ-გუბერნატორი ჯაიანი განმანთავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა და საიდუმლოდ რევოლუციონერთ მფარველობდა, რის გამოც არა ერთხელ დაასმინეს, მაგრამ უმაღლეს დანესებულებაში მფარველობის გამო უზიანოდ რჩებოდა.

როსტომაშვილებმა კოლელიშვილი იმავე ღამეს დილიწინით თბილისს ჩამოიყვანეს, მაგრამ კოლელიშვილი მეორე დღეს სასახლის წინ მიმავალი შეიპყრეს და ჟანდარმერიას გადასცეს. თურმე თელავიდან დეპეშა დაედევნებინათ.

ივ. როსტომაშვილმა იმდენი იმეცადინა, რომ კოლელიშვილი, ვითომ წყალობის ნიშნად, საზღვარგარეთ გააძევეს.

ამ ივ. კოლელიშვილმა თავისი სახლ-კარი და მამული გლეხებს უანდერძა, მაგრამ შემდეგ ეს ანდერძი დაიხა.

რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა. რევოლუციური გლეხები ჯგუფ-ჯგუფათ ტყეში გავიდნენ და „ტყის ძმების“ სახელით კომუნისა და საერთოდ რევოლუციური მოძრაობის ხელის შემშლელ შავრაზმელებსა და ბობოლებს (კულაკებს) თავზარსა სცემდნენ, მაგრამ მარტო ამით არ შეიძლებოდა ღარიბ-ღატაკი ხალხის წყლულთა მოშუშება.

ამ დროს, 1907-08 წლებში, ივანე როსტომაშვილი თელავში ცხოვრობდა. აქ ხედავდა: მოულოდნელი უბედურება, – ოჯახის წევრის სიკვდილი რა გაჭირვებაში აგდებდა ოჯახის წევრთ, მიცვალებულის დასაკრძალავად ხშირად რა უზომო ვალებში ცვივდებოდნენ, უკიდურეს შემთხვევაში სამარხი ხარჯების მოსაკრებად კარი-კარ ხელგაშვერილი ჩამოივლიდნენ, გროშობით ფულს აგროვებდნენ ხოლმე.

ივ. როსტომაშვილმა ასეთი ღარიბი ხალხის ურთი-ერთ დასახმარებლად „სამარხი სალაროები“ დააარსა, შემდეგ ორსულობის, გათხოვების და სხვა. გაიძვერა ვაჭრუკანებმა ეს რომ შეიტყვეს, ივ. როსტომაშვილის გულუბრყვილობით ისარგებლეს: ვისაც ღრმა მოხუცი და სასიკვდილოთ განწირული ჰყავდა, ან მკვდარი სული, სამარხი სალაროს წევრად ჩაწერა. როცა ეს მოხუცებულნი ზედი-ზედ დაიხოცნენ, ჭირისუფლებმა ფული გაიტაცეს, ზოგი თანხა სარევოლუციო საქმიანობას გახმარდა, ყველა დაზღვევის კუთვნილი თანხა ვისაც არ შეხვდა, ალიაქოთი გამოიწვია. იუმორისტული პრესის ერთმა ნაწილმა, ვითომ სოციალისტებმა და სხ. განგაში ასტეხეს და ისედაც ძალიან შერყეულ სალაროებს ძირი გამოუთხარეს. რა თქმა უნდა, ბევრმა არ იცოდა, რომ ამ სალაროს ძირითადი თანხის სარგებელი რევოლუციონერთ ხმარდებოდა. ამ საქმეში ვანოს ეხმარებოდა მეუღლე ლიზა (ელისაბედი), რომელიც, ნებსით თუ უნებლიეთ, მხურვალე მონაწილე იყო თავისი ქმრისა და შვილების საზოგადოებრივ რევოლუციურ მუშაკობისა.

იმ ხანებში კახეთიდან 30 კაცი გადასახლა მთავრობამ, თითქმის ყველანი შიშველ-ტიტველნი იყვნენ. საჭირო იყო მათი შემოსვა ნაბდებით, ფეხსამოსით, საცვლებით და სხ. ვანომ, სიკო მეტრეველმა და ლიზამ მოილაპარაკეს, სალაროს თანხიდან 800 მან. აიღეს, სალამოთი ლიზამ და სიკომ ჩამოუარეს თელავის ვაჭრებს, ფული შესთავაზეს და სთხოვეს, ვისაც რა შეეძლო ემოვნა მათთვის: – ნაბდები, ფეხსამოსი – ჩექმები, წინდები და სხ. ზოგმა ფული არ გამოართვა. საჭირო ტანისამოს-ფეხსაცმელი შეაგროვეს. ახლა საჭირო იყო მათი ციხეში შეგზავნა.

ეს იკისრეს ლიზამ და სიკო მეტრეველმა. ლიზამ გლეხი დედაკაცის ტანისამოსი გადაიცვა და ნაშუალამევს 2-3 საათზე თელავის ციხეს მიადგნენ, გამოიხმეს მცველი და ლიზამ უთხრა:

– შვილო, აგრემც დედას შერჩები, რაც გინდა გამომართვი და ეს ტანისამოსი ეტაპის ბიჭებს გადაეცი.

მცველმა ჯერ იუარა, მაგრამ მერე მორბილდა. სამი მცველი იდგა, ერთი მათგანი თურმე, რევოლუციონერი ყოფილიყო, ფულის გამორთმევაც არ უნდოდა, მაგრამ ლიზამ ძალით გადასცა 200 მან. და მთელი ტანისამოსი სამ გზად შეაზიდვინა.

გათენებისას ეტაპი რომ გამოატარეს, ყველანი ნაბდებითა და ჩექმებით იყვნენ შემოსილნი, ლიზა უკვე საკუთარ ტანისამოსით სხვებთან ერთად გაციმბირებულთ ათვალიერებდა.

ამ დროს მაზრის უფროსმა (დიდი გვარის ქართველი იყო, ერისთავი თუ ორბელიანი) ლიზას უთხრა:

– შეხეთ, როგორ მორთულან, ვილაც დედაკაცს შეუგზავნია ტანისამოსი.

– მაგას ვინ გაბედავდა? – მიუგო ლიზამ. – ალბად თქვენ სანყენად მოჭორეს.

ამავე დროს ივ. როსტომაშვილის ოჯახი თელავში არა ლეგალურად მცხოვრებთა და დევნილთა თავშესაფარი იყო: ბევრისთვის შეუნყვიათ ხელი, არა ერთი და ორი დევნილი შეუფარებიათ, გზაზე დაუყენებიათ, გადურჩენიათ, რითაც კი შეეძლოთ დაპატიმრებულთა თუ გადასახლებულთა ეხმარებოდნენ.

სხვათა შორის, სოფ. წინანდლის დევნილი გლეხი ბოლშევიკი სიკო მეზვრიშვილი ჯერ კარგა ხანს ჰმალეს, შემდეგ ყოვლისფრით გამოაწყეს და კახეთიდან გააპარეს (რომელიც გზაში შეიპყრეს და სამუდამოდ გადასახლება მიუსაჯეს. ბაქოს ციხეში გარდაიცვალა).

ერთხელ საქალაქო არჩევნების დროს თელავის მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა მოინდომა ქალაქის თავად ივ. როსტომაშვილის არჩევა. როსტომაშვილის მომხრე ამრჩევლებმა წინა საარჩევნო თათბირზე ივანეც მიიწვიეს. ამ თათბირზე ივ. როსტომაშვილმა, სხვათა შორის, განაცხადა:

– კახეთი უმთავრესად მეღვინეობის ქვეყანაა... უნდა ვეცადოთ, ღვინო ნაკლები გამოვიდეს, ყურძნისაგან სხვა ნაწარმი გავაკეთოთ: ჩამიჩი, ჩურჩხელა, ყურძნის წვენი და სხვა ასეთი...

იქვე დამსწრე ამომრჩეველთაგან ერთმა მიკიტანმა გვერდზე მჯდომს გადაუჩურჩულა: „გესმის, რა ამბობს, თავში ანუელი ხომ არ არის“-ო.

ივანემ განაგრძო:

– გარდა ამისა, ზაფხულობით დიდი გოლგებისაგან ვენახ-ბოსტნები რომ გვიფუჭდება, ამის ასაცილებლად მთებზე საგუბარ წყალ-საცავები მოვანწყოთ, ზამთარ-ზაფხულობით ნაწვიმ-ნიაღვართა წყალი დავაგროვოთ, რომ გოლგებში გამოვიყენოთ...

– არა, ძმაო, ეს კაცი ნამდვილად შეშლილია, რას გადასც-გადმოსცემს...

– უფრო ხმა მაღლა ჩაულაპარაკა იმავე მიკიტანმა მეზობელს და ივ. როსტომაშვილის კანდიდატურაც მოიხსნა.

ივ. როსტომაშვილმა ვეღარ შესძლო ერთ ადგილას უმოქმედოდ ყოფნა, აიბარგა და ისევ თბილისს გადმოსახლდა ჟანდარმებისაგან ანიოკებულ დანგრეულ თავის სახლში, სხვასთან გაბარებული შვილები დაიბრუნა და კვლავ სამწიგნობრო შრომას მიჰყო ხელი.

მაგრამ ამაზე ქვემოდ.

---

\* მიაშო ცნობილ საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე სოლომონის ძე როინაშვილის (1852-1898) ძმისწულმა, თელავის ფოტოგრაფმა ვასილ როინაშვილმა.

# XV

## სიმაართლის ლალაღვიწასთვის გასაგართლება



*... სანთელივით თვით დაიწვას  
და სხვას გზას უნათებდეს!..*

*მიყვარს, როდესაც ხატის წინ  
ანთია წმინდა სანთელი,  
და საიდუმლო პარპარით  
ბნელს ფანტავს მისი ნათელი!..*

**აკაკი**

საზოგადოებრივი სულიერი დაცემის დროს ივ. როსტომაშვილი ისევ თბილისს დაუბრუნდა, ეს იყო სულთამხუთავობის ხანა.

1906 წლიდან გაძლიერებული რეაქცია უმაღლეს ნერტილს უწევდა, ქვეყანა ნადგურდებოდა: სარჩობელა განუწყვეტლივ მუშაობდა, ციხეები პოლიტიკურ პატიმართ ველარ იტევდა, ციმიბირი და კატორგები ჩვენთა შვილთა მეზობლთა ძვლებით გაივსო, შინ დარჩენილთაგან კაცი კაცს ველარ ენდობოდა, ცოცხალი აზროვნება გამქრალიყო, თავისუფალი სიტყვის მეტყველი ბაგე დადუმებულიყო, შავრაზმელები ზეიმობდნენ, თვითმპყრობელის უხეში ძალა პარპაშებდა.

და აი, ასეთ მძაფრ ხანაში, ივანე როსტომაშვილმა თავისი რედაქტორობით გამოსცა ყოველდღიური ორკაპეიკიანი ხალხური გაზეთი „სინათლე“, მაშინ, როდესაც სხვა დღიური გაზეთები თითო 5 კაპ. ღირდა. პირველი ნომერი გამოსცა 1910 წ. 30 დეკემბერს, ხუთშაბათ დღეს. ნომერში მოთავსებულია: მეთაური (ორი), ახალი ამბები, „სინათლე“-ს მკითხველებს, უცხოეთი, ლექსი დ. კ-ძეს, პროვინცია, შესანიშნავი მწერლები (ზოგიერთი ადგილი ჩერნიშევსკის თხზულებიდან „რა ვაკეთოთ?“), ფელეტონი – დ. კასარაძის რომანი „როსკიპი“ (დასაწყისი), რუსეთი, ნარევი, განცხადებანი.

პირველ ნომრის მეთაურში, თბილისი, 30 დეკემბერი (რ), იგივე ივ. როსტომაშვილი წერდა:

„დღეიდან ჩვენი გაზეთის რიცხვს კიდევ ერთი ემატება. სახელი ამ ახალის გაზეთისა არის „სინათლე“. ჩვენ ტყუილათ არ ავარჩიეთ ასეთი სახელი: 35 წელიწადია მას აქეთ, რაც დ. ქართველიშვილმა გამოსცა წიგნაკი: „საქართველო დავარდნილია“ და ის დღეა და სხვა ათასი, რომ ეს ცნება თავიდან აღარ გვშორდება ქართველებსა. „საქართველო დავარდნილია!“ მას ეჭირვება შველა, აღდგენა, წარმატება, დამკვიდრება, რითი და როგორა? ...

... სადღეისოთ, უპირველეს პირობად ჩვენის წინ-სვლისა და აღორძინებისათვის, ჩვენ მიგვაჩნია „სინათლე“-გაზეთის გამოცემა. ეს იმიტომა, რომ მისით ჩვენ გვეძლევა საუკეთესო საშუალება მოვფინოთ სინათლე ყველა იმ უტყუარ პირობებსა, რომლებიც დიდი ხანია აღიარებულია მეცნიერებისაგან ჭეშმარიტ საფუძვლებად ხალხის უეჭველ წინ-სვლისა და აღორძინებისათვის...

(ეს სხვა სტატიაა: „სინათლე“ გაზეთის მკითხველებს)

„გაზეთი „სინათლე“ უიაფესი გაზეთია ჩვენს ქვეყანაში. ეს პირველი მაგალითია, რომ ჩვენში ასე იაფათ გამოეცეს ვისმე ქართული გაზეთი და ისიც ყოველდღიური.

დიდი, მეტად დიდი საქმეა გაზეთის მიწოდება ყველგან, სულ უკანასკნელ მიყრუებულ სოფელშიაც: ეს იგივეა, რომ ყოველს ჩვენთაგანს მიჩენილი ჰყვანდეს ყოველის ცოდნით აღჭურვილი მასწავლებელი. ეს იგივეა, რომ ჩვენს ოჯახს მარტო ორ-კაპეიკად უჯდებოდეს დღეში თვისი წევრების განვითარება... ამაზე უკეთესს საშუალებას ამისთვის თქვენ სხვა მეორეს ვერ დაგვისახელებთ... ხოლო, რომ გაზეთს სავსებით შეეძლოს სარგებლობის მოტანა, აუცილებლათ საჭიროა, რომ თქვენ გაზეთს უთუოდ სისტემატიურად კითხულობდეთ...“ ყურადღება-დაკვირვებითო.. („სინათლე“, 1910 წ. 30 დეკემბერი, N1).

ამ გაზეთში თანამშრომლობდნენ იმ დროს ცნობილი, აგრეთვე სრულიად ახალგაზრდა მწერლები, რომელთაგან ბევრმა სამწერლო ნათლობა ივ. როსტომაშვილისაგან მიიღო.

მისი თანამშრომელნი იყვნენ (ანბანთ რიგზე): არაგვისპირელი შ., ახალციხელი გ., გიორგაძე გ., დარეჯანაშვილი არ., ეკალაძე ია, ერთანმინდელი ს., თოიძე გ., იოსელიანი ე., კასრაძე დ., კლდიაშვილი სერ., ლეონიძე გ., ლუკაშვილი დ., მოსაშვილი ილო, ნასარიძე გ., ნასიძე მ., სამადაშვილი სტ., ტყავაძე კ., ქიაჩელი ლეო, ქუჩიშვილი გ., ქსნელი მიხ. (ცაგარელი), შინატყეხელი გ., ჩხიკვაძე ნ., ხეჩუაშვილი გ., ჯანაშვილი მ. და სხ.

აქ მრავალი წერილი დაიბეჭდა, გაზეთი სწრაფად გავრცელდა. გამოდიოდა 2000 ც., ხან მეტიც, რაც იმ დროს დიდი ტირაჟი იყო.

ხალხის წრიდან გამოსული მწერლები თავის ლექსებს, წერილებსა თუ მოთხრობებში უმთავრესად ხალხის ტკივილებსა და საჭიროებაზე სწერდნენ, გამოფხიზლებისა და გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ, მომავლის რწმენას უწერგავდნენ, რეაქციის სიმძაფრეს უტევდნენ...

შაურიანი გაზეთის რედაქციებს კბილის ჭიად გაუჩნდათ „სინათლე“ და ყოველის ღონისძიებით სცდილობდნენ ამ გაზეთის მოსაპოვას. „სახალხო გაზეთმა“ 1911 წ. N აშკარად გაილაშქრა მის წინააღმდეგ, რასაც ივ. როსტომაშვილმა ასეთი პასუხი გასცა: „ჯერ ერთი კვირისა ძლივს იქნებოდა ჩვენი გაზეთი, რომ ვითომცა და „სახალხო გაზეთმა“ – უკვე ერთი ვაი უშველებელი ასტეხა და მთელი ლაშქრობა გამართა ჩვენს წინააღმდეგ... ჯერ ერთი, ... არც ჩვენ დაგვიბეჭდა „სახალხო გაზეთმა“ განცხადება „სინათლის“ გამოცემაზედ [იმ დროს გაზეთებს შორის ურთი-ერთ განცხადების დაბეჭვდა ზნეობრივ მოვალეობად იყო მიჩნეული. ი. ი.] და მეორე ახლა მეთაური წერილებით სცდილობს სახელი გაუტეხოს ჩვენ გაზეთს. ... საქვეყნოდ გამოაცხადეს: „ჩვენ მას დღეგრძელობა-სიცოცხლეს ვერ ვუსურვებთ!“-ო („სინათლე“, 1911 წ. N18), მაგრამ მოწინააღმდეგეებმა (ფედერალისტებმა) ეს არ იკმარეს და 1911 წ. თებერვლის 8 გამოსცეს ორ კაპიკიანი გაზეთი „ხალხი“ შაქრო საფაროვის ფიქტიური რედაქტორობით, – გაზეთს „ხალხი“ კი ერქო, მაგრამ იმ დროისთვის მასში სახალხოდ გასაგები ბევრი არაფერი იყო. „სინათლე“ თავისი ნაკლით და ღირსებით უმთავრეს თანამშრომლებით ახალი, ნორჩი ცოცხალი გაზეთი იყო, „ხალხი“ „სახალხო საქმეს“ სტერეოტიპიური განმეორება. „ხალხმა“ გაჩენისთანავე „სინათლე“ ამოიღო მიზანში და მე-2 ნომრიდან ასეთი ისარი ჰკრა: „ორ-კაპიკიან გაზეთ „სინათლე“-ში დაბეჭდილია ვილაც გიორგი ლეონიძის ლექსი „მცხეთა“, რომლის ერთი მუხლიც აქ მოგვყავს:

„ამაყად ამართულია

დიდი ტაძარი ბებერი,

დაბერდა, დაჩაჩანაკდა,

დაბერდა კოხტა ბებერი“.

კომენტარიები მეტია“ („ხალხი“, 1911 წ. N2).

აქ ხსენებული „ვილაც გიორგი ლეონიძე“, დღეს ცნობილი ორდენოსანი, ნიჭიერი მგოსანი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ქართული მწერლობის მუყაითი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწეა. იმ დროს 10-11 წლის თუ იქნებოდა, როცა ზემოხსენებული ლექსი „მცხეთა“ გამოაქვეყნა.

ივ. როსტომაშვილს რომ ეს ლექსი არ დაებეჭდა და მით ახალგაზრდა დამნეები მწერალი არ წაექეზებინა, ვინ იცის ჩვენის მწერლობის ცაზე გ. ლეონიძე სულაც არ გამოჩენილიყო.

სწორედ ასეთი პედაგოგიური ალლოთი იცნო ივ. როსტომაშვილმა მომავალი ნიჭიერი ახალგაზრდა.

ივ. როსტომაშვილი გამოექომაგა დამნეებ პოეტს: „თქვენ არ იცით, იმისგან რა ნიჭიერი მწერალი გამოვაო, ისეთი, რომ თქვენ ღირსიც არ იქნებით ამას ქალმის თასმები შეუკრათო...“ („სინათლე“, 1911 წ.).

ასეთი გულსხმიერი იყო ახალგაზრდებისადმი ივ. როსტომაშვილი.

აქაც მართლაც კომენტარიები მეტია.

„სინათლე“-ს ყოველ ნომერს თვით ივ. როსტომაშვილი დღიურ საჭირ-ბოროტო საკითხის შესახებ წერილები ახლდა, ასეთივე საქმიანი, იმ დროის მოვლენათა და უკუდმართ მდგომარეობის ამსახველი იყო, როგორც სხვათა წერილები, ისევე მთელი რიგი მგოსან მოლექსეთა ლექსები. მაგალითად: გაზ. „სინათლე“-ში გ. ხეჩუაშვილი ნატრობდა:

„ღმერთო, შეჰქმენ ისეთი მზე,  
რომ დღეს აღარ გვიღამებდეს:  
ზამთარ-ზაფხულ დიდ-პატარას  
ერთნაირად გვინათებდეს...“  
(„სინათლე“, 1911 წ. N47).

**გოგია (ხალხურ კილოზე):**

„ბატონისა მუცელი  
ადლი და ნახევარია,  
ხოლო სანყალი გლეხისა  
არც ამის ნახევარია...“

**სეზმან ერთანმინდელი:**

„უძნელდება არსებობა  
ყოველ სულდგმულს, ადამიანს  
და ელიან მოუთმენლად  
თბილსა დღეებს, მცხუნავ-მზიანს.  
მაშ, მო ჩქარა, გაზაფხულო,  
გელოდებით, მოგვეშველე,  
მზევ ცხოველო, გაგვინათე,  
აგვიყვავე მინდორ-მდელო...“  
(„სინათლე“, 1911 წ. N50).

**ილო მოსაშვილი:**

„იქნება, ხალხო, გული გაგიტყდათ,  
რომ სინათლესა დასძლევს წყვდიადი  
და ქვეყანაზე მთლად გამეფდება  
შური და მტრობა ფრიად დიადი!..  
სრულებით არა, ეგ ტყუილია,  
სინათლე დასძლევს წყვდიადს ყველგანა,  
და მის სხივებით მოიფინება  
ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქვეყანა...“  
(„სინათლე“, 1911 წ. N52).

**გიორგი შინატყეხელი:**

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,  
ნათქვამი არის ძველათა  
ან თავს შევაკლამ ჯალათებს,  
ან გავიმარჯვებთ სრულადა.  
(„სინათლე“, 1911 წ. N53).

დიად, ასეთი ჰანგები ისმოდა თითქმის ყოველ დღე „სინათლე“-ში, ხოლო გაზ. „ხალხში“ აი, როგორ მღეროდნენ:

**იოსებ მჭედლიშვილი:** „რად ვწერ ლექსსა“.

„... რომელი ნაიკითხავს:  
მოძმე, სატრფო, თუ მშობელი?  
არც ერთი მყავს, არც მეორე, –  
მდედინაცვალობს ცრუ სოფელი...  
მე სხვისაგან კარგი არ მწამს...  
და მეც ლექსსა მიტომა ვწერ,  
რომ გულს – სევდა მოაკლდება“-ო.  
(„ხალხი“, 1911 წ. N5).

და იქვე დაბეჭდილ ნათარგმნ „სიყვარულის ისტორია“-ში:

„როდესაც გხედავთ და თქვენს თვალებს ვაცქერდები, მინდა ვსტკბე-  
ბოდე სიყვარულით, მხურვალე აღერსით, ქალურის აღერსით“.

ეს იმ დროს, როდესაც ჩვენში სარჩობელა შეუჩერებელი მუშაობდა, აქტი-  
ური რევოლუციონერები, გლეხები, მუშები, რჩეული ახალგაზრდა ინტელი-  
გენტები ტყეებში გაცვივნულიყვნენ, სისხლის რუები დიოდა, ალიხანოვ-ავა-  
რსკის მიერ გადამწვარი სოფლების ხრჩოლვა ჯერ არ ჩამქრალიყო, მთელი  
მშრომელი ხალხი შიშისაგან თავზარდაცემული გაოგნებულიყო...

რეაქციით ჩახშობილ რევოლიუციურ სულისკვეთებას უფრო აქტიური ჰანგები ეჭირვებოდა, რასაც ისე თამამად „სინათლე“ სჭექდა.

გაზ. „სინათლე“-მ გამოსვლისთანავე (N2) დაბეჭდა: „ვსთხოვთ სოფელში მცხოვრებ მწერლებს მოგვანოდონ ახალ-ახალი მოკლე ცნობები“.

რედაქციამ შემოიკრიბა ახალგაზრდა მწერლები, მუშები, გლეხები და გამალებით, დაუცხრომლად მუშაობდა. „სინათლე“ მრავალნაირი მასალით, სიცოცხლით მფეთქავ ძარღვს წარმოადგენდა: დღიური ამბები, კორესპონდენციები, სახელმძღვანელო წერილები, გასართობები, ლექსები, მოთხრობები, – უმეტეს მდაბიო, პოპულიარული ენით გაზეთს სახალისოს ხდიდა, მკითხველი ენაფებოდა, მაგრამ შემოსავალი მაინც გასავალს ვერ ფარავდა.

ივ. როსტომაშვილი დღე-ღამე შეუჩერებლად მუშაობდა: სწერდა, სხვისას ასწორებდა, კორექტურას კითხულობდა, საბეჭდ დაზგას დასტრიალებდა, ხშირად თითონვე ურიგებდა გაზეთს გამყიდველებს, მაგრამ ეს ხომ არ ეყოფოდა...

სხვა არა იყოს, ოდნავი საზრდოობაც უნდოდა, მშვიერ ცოლშვილს მიხედვა.

ერთ დღეს, გაზეთის გამოსვლის შემდეგ, სახლში დაბრუნებულ მოქანცულ ივანეს ლიზამ მიმართა:

– მე არაფერსა გთხოვ, ჭამას გადავეჩვიე, მაგრამ ამ ბაღებს პური უნდა თუ არა?!

ივანემ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ერთი მუჭა კაპიკიანები მაგიდაზე დაუყარა, თან ჩაილაპარაკა:

– ნაილე, გაზეთი შეჩერდება...

ლიზამ სინანული იგრძნო, „გაზეთი შეჩერდება“-ო, ეს რა მომივიდაო და კაპიკიანები ჯიბეში ჩაუყარა...

– ნაილე, სულ ერთია, ეს ერთ ნომერსაც ვერ გამოსცემს...

ლიზამ უკანასკნელ ნივთს ხელი დაატანა და ლომბარდში გაარბენინა. ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა, დაგირავებული ნივთით ნაშოვნი ფული – ორიოდე მანათი შუა გაყო: „შეიხმარე, ვიდრე შემოსავალი გამოგიჩნდება“-ო, უთხრა და დამშეულ ბავშვებს მიუბრუნდა.

ივ. როსტომაშვილი სარედაქციო მუშაობას ჩაუჯდა, – გაზეთის შეჩერების თავიდან ასაცილებლად გაზეთში გამოაქვეყნა შემდეგი:

„უკანასკნელი საშუალება.“

„ორ-კაპეიკიანი გაზეთი „ხალხი“ მიიკეტა, ასევე მიიკეტა ორ-კაპეიკიანი გაზეთი სომხურ ენაზე... მიზეზი უსახსრობა იყო... რომ ეს მართალია, გა-

ზეთი „სინათლე“-ს გამოცემით ნათლად დავრწმუნდით. თუმცა ჩვენი გაზეთი უკვე ორი ათასზე მეტ ცალს მისი შემოსავალი (კაპიკზე ნაკლებია თითოეულ ნომერზე) მაინც ვერა და ვერ ჰფარავს ხარჯს, ყოველ დღე ჩვენ გვიხდება სამი და ხშირად ხუთი მანეთის დამატება ჩვენი ღარიბი ჯიბიდან, რაცა თხოულობს აუარებელს ტანჯვა-წვალებას... ასეთი გარემოება დიდხანს ვერ გასტანს და მაშასადამე, ჩვენი გაზეთიც უნდა მიიკეტოს...

მაგრამ ჩვენ კვლავაც გვწყურია მუშაობა და ქვეყნის სამსახური და ამიტომ გვსურს კიდევ ერთი საშუალება ვცადოთ, რომ ორ-კაპიკიანმა გაზეთმა არა თუ იარსებოს ჩვენს ენაზედ, რათა დააკმაყოფილოს ღარიბი მკითხველი, არამედ, შეძლებისა-კვლად გაადიდოს, გააიაფოს, გააუმჯობესოს კიდევ. ამისათვის ჩვენ შემდეგ წინადადებას ვაძლევთ ჩვენს ყველა თანამშრომლებს, რომლებიც ასე მრავლად გვანვდიან მასალას გაზეთში დასაბეჭდათ. ეჭვი არ არის, რომ ყოველი თანამშრომელი არის ის უანგარო მუშაკი, რომელსაც სურს ემსახუროს თავის მხარეს და ქვეყანას კალმით, ჰსურს ამ უებარი საშუალებით გაავრცელოს ხალხში თავისი შეხედულებანი და აზრები. რა კი ეს ასეა, იმედია, არც იმ რამოდენიმე კაპიკს დაიშურებთ, რომლებსაც გთხოვთ თქვენ გამოიღოთ თქვენივე წერილის აღსაბეჭდათ, სახელდობრ, წერილთან ერთად გამოგზავნეთ ხელზე წერილის თვითეულ სტრიქონზე თითო კაპიკი... ჩვენ იგი ისეთ დახმარებას გაგვინევს, რომ იქნება საშუალება მოგვეცეს, არა თუ მარტო გავადიდოთ, არამედ გავხადოთ იგი კაპიკიან გაზეთად და მით განვახორციელოდ ბევრი ის დიადი აზრი და ოცნება, რომ ქართულს ენაზეც გვექონდეს კაპიკიანი გაზეთი... მაშ, ხელი ხელს, „სინათლის“ თანამშრომელნო! დღეიდან გაზეთი ყველა თქვენგანის იქნება არა მარტო ნაკალმევი მოწოდებით, არამედ ნივთიერ შემწეობითაც... გთხოვთ, მხოლოდ რომ წერილები – მოთხრობები ანუ ლექსები რაც შეიძლება მოკლე იყოს ხოლმე...“ („სინათლე“, 1911 წ. N52).

დახმარების მაგიერ გაზ. „ახალი საქმე“-მ, „ზაკავკაზსკოე რეჩ“-მა და სხ. მის წინააღმდეგ გაილაშქრეს: „ეს უკვე პრესის გათახსირების გზაზე დადგომაა, აქედან ბეჭვდით სიტყვას საფრთხე მოეღისო“, რაზედაც ივ. როსტომაშვილმა უპასუხა:

„ეს გათახსირება კი არ არის, საერთო ძალით საქმის წარმოებაა, რომლის უებარ სარგებლობაზე, იმედია, წინააღმდეგს ვერავინ ვერაფერს იტყვის... ჩვენ ვფიქრობთ, არც ის იქნებოდა ურიგო, რომ თვით მკითხველისთვისაც მიგვეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო საყვარელ გაზეთის საქმის წარმოებაში არა მარტო მისი გამოწერით და წაკითხვით, არამედ მის გამოცემაშიც პირდაპირი მონაწილეობის მიღებით...“ („სინათლე“, 1911 წ. N54).

გიგო თოიძემ მკითხველთ მოუწოდა:

„ყველა, ვინც კი ცოტა ოდნატაც დაინტერესებულია მასის გათვითცნობიერებაში, ზნეობრივად მოვალეა ხელი შეუწყოს ამ სიმპატიური საქმის მოთავეს და მით საშუალება მისცეს გაზეთ „სინათლე“-ს ფართოდ მოსაფენათ“ („სინათლე“, 1911 წ. N56).

გლეხი ვანო („სინათლე“, 1911 წ. N57), იწონებს ივ. როსტომაშვილის აზრს, „რადგან საერთო ძალით და მკვიდრი კავშირით საქმის წარმოება ყოველთვის სასურველ ფესვებს გაიდგამს“, მაგრამ ეს უნდა მოხდეს „არა სტრიქონზედ კაპეიკის გადახდით“, რადგან „სინათლე“-ს ბევრი ისეთი თანამშრომელი ჰყავს, რომ დღიურად ძლივს-ძლივობით გამოდის და თუ გადასახადი დანესდა, ისინი იძულებულნი იქნებიან მიანებონ თავი გაზეთის ფურცლებზედ თავიანთი ჭირ-ვარამის გამოთქმას. გაზეთი „სინათლე“ დღეს ძვირფასია სოფლის გლეხისათვის, რადგან იაფიც არის და მდაბიო ენითაც გამოდის იგი. დღევანდელი სხვა ქართული გაზეთები გლეხისათვის უსარგებლოა, რადგან უცხო ლექსიკონით არის გადაქცეული. ერთდროულად ან თვიურად დავეხმაროთ. სოფელელმა თანამშრომლებმა გლეხებში გაავრცელონ და სხ.

ყოველგვარი გაჭირვების, გაკილვისა და ხელის შემშლელ გარემოებათა მიუხედავად, ივანე როსტომაშვილი გატაცებით განაგრძობდა შრომას, სხვებსაც ამ შრომაში ჩაბმისკენ მოუწოდებდა. აი, რას წერს ვანო მცირე ნათქვამში „განთიად“-ში:

„მეგობარო, ამხანაგო! გაიღვიძე, თენდება: ადე, ადე, ვიმუშავოთ, დიდს, აღფრთოვანებულს მუშაობას თხოულობს დღეს ჩვენგან ჩვენი ქვეყანა!

იმუშავეთ, ძმებო, ვისაც რით შეგიძლიანთ – ხელებით, ფეხებით, ჭკუით, იმუშავეთ დღით და ღამით შეუსვენებლად...

ნუ გეშინიანთ იმისა, რომ ვითომც თქვენი ეგ მუშაობა უკვალოდ გაქრებოდეს, რომ თქვენს ნაფიქრსა და ნააზრევს ქვეყანა ველარ გაიგებს... არა, ოღონდ იმუშავეთ ხალხისადმი სიყვარულით გამსჭვალულმა, უჩვენეთ მას ნამდვილი გზები წინსვლისა და ცხოვრება მოქმედებისა!..“

ამას წერდა უკვე 60 წლის მოხუცი, ნივთიერად გაჭირვებული, ოჯახური მდგომარეობით (შვილის კატორგაში გაგზავნით სხვა შვილთა დევნით) გამწარებული.

მისი გაზეთი „სინათლე“ ჰქადაგებდა, რომ „ეროვნებისა და ურთიერთ სოლიდარობის და შეთანხმების გარეშე არა და არ შეიძლება რისამე, დიდი თუ პატარა საქმის გაკეთება და მეტადრე მუშათა და მუშაობათა ბრძნულად მონყობა“, ცდილობდა ხალხის თვითმოქმედება აღეძრა... მისი მოღვაწეობის ძირითადი დებულება იყო: გულწრფელობა, პირუთვნელობა, მორიდებლობა, სიმართლის დარაჯობა, ყოველთვის საზოგადოებრივ თვა-

ლსაზრისით ხელმძღვანელობა, ყოველგვარ ნათლიმამობის გარეშე დგომა, ჩვენის დაბეჩავებული ერის სამსახური, ერის უმრავლესობის, გლეხობის, მუშათა, ხელოსანთა, წვრილ ვაჭართა მხარის დაჭერა, ღრმად სწამდა ბედნიერი მომავალი ჩვენის ერისა, მისი კულტურული აყვავება. ყველა სხვა ერსა და ჯგუფს პატივის ცემით ეპყრობოდა, ამასვე მოითხოვდა მათგან, – მისი დროშა იყო: „ეროვნება და ხალხის უმრავლესობა“.

გაზეთის ფართედ გავრცელებამ მტრები გაუჩინა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: შაურიან გაზეთებს მუშტარი დააკლდა, მკვდარ სულთა საბუდარს შეუჩინჩხილა, რეაქციის მოციქული ძილი დაუფრთხო, – ძვირი რომ იყოს, ხალხი არ წაიკითხავს, ეს კი ორ კაპიკიანია, მასთან მემამოხე სულისა... შაურიანი გაზეთების წარმომადგენლებმა განგაში ასტეხეს, საზოგადო კრება დანიშნეს და თვით ივანე როსტომაშვილიც მოინვიეს, მაგრამ ივანეს უქმ კრებებისათვის – „ლაყე ლაპარაკისათვის“ არა სცალოდა და ლიზას ეუბნება:

– უეჭველია, ჩემი ლანძღვა იქნება, მე ვერ მოვიცლი, თუ გინდა შენ წადი. ლიზა კრებაზე წავიდა და კუთხეში მიჯდა.

ორატორებმა დაიწყეს ივ. როსტომაშვილის სასტიკი კიცხვა და ლანძღვა...

– გაგონილა ასეთი „სამარცხვინო“ ამბავი, რომ ქართულად ორ კაპიკიანი გაზეთი გამოდის. ეს ხომ ჩვენი ეროვნული „შეურაცხყოფაა“, – როგორ გაბედა ივანე როსტომაშვილმა ასეთი „სამარცხვინო“ საქმე... განა ორ კაპიკზე მეტი არ გვემეტება გაზეთისათვის!..

– ეგ კიდევ რაა, თურმე კაპიკიანად აპირებს გამოსცეს...

– სირცხვილი, სირცხვილი... ეს პრესის სახელის გატეხვაა, გათახსირებაა!..

– უნდა მოისპოს... მოისპოს...

შესძახეს.

ამ დროს უკანა რიგებიდან წამოდგა ახალგაზრდა პოეტი გ. ქუჩიშვილი და „შეურაცხყოფილ“ ორატორებს შესძახა:

– ხალხო, თქვენ რა განუხებთ?! ივანე როსტომაშვილი თქვენთვის ხომ არა ბეჭდავს გაზეთს. მუშა ხალხისათვისა სცემს იაფად, რომ შეძენა და წაკითხვა ყველას შეეძლოს და განა ეს სამარცხვინო ან სამწუხაროა...“

მაგრამ ორ კაპიკიან გაზეთ „სინათლე“-ს წინააღმდეგ აღელვება იქამდე მივიდა, რომ ცარიზმის მოციქულებმა მისი („სინათლე“-ს) რედაქტორ-გამომცემელი ივანე როსტომაშვილი, როგორც არსებულ წესწყობილების დამაქცევარი და დამამხობელი, პასუხისგებაში მისცეს.

ივ. როსტომაშვილმა სასამართლოში გამოცხადებამდე კიდევ ერთი ნომერი გამოსცა, რომელშიაც დაჰგმო ცენზურისა და საერთოდ, მთავრობის მოხელეთა უკუღმართობა და... მაგრამ თვით მოუსმინოთ:

„მკითხველს:

„ეს ნომერი (N86, ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1911 წ.) უკანასკნელი ნომერი იქნება ჩვენი რედაქციით გამოცემული. 26 აპრილს ჩვენ წარვსდგებით სასამართლოში როგორც ერთი „უდიდესი დამნაშავე“, სახელდობრ, როგორც ვითომც, არსებული წეს-წყობილების დამაქცევარი და დამამხოველი. რამდენად სამართლიანი იყო ასეთი განაჩენის დადება ცენზურისაგან ჩვენს ნაკალმევეზე, ამას იმედია, ნათლად გამოარკვევს სამართალი, ვიტყვით მხოლოდ და ამას თვით სამართალშიაც გავიმეორებთ, რომ ჩვენი წერილები „ერთობის“ შესახებ არავითარს სარევეოლუციო ელემენტს არ შეიცავდნენ, რომ პირიქით, ჩვენი გაზეთი ამ მხრივ ერთად-ერთი გაზეთი იყო, რომელმაც არა თუ გაბედა, პირდაპირ აშკარად დაჰგმო საზოგადოების ლეშავით დაშლა-გახრწნა და იმ მდგომარეობამდე მისვლა, სადაც ძმა-ძმას და მეზობელი მეზობელს აღარ ინდობს და თავიანთ ერთად ერთ საარსებო საგნად ისლა გაუჩნდათ, რომ მხეცური თავ-დასხმით, აშკარად თუ ფარულად, ერთმანეთი ამოჭამონ და მოსპონ. ჩვენ ჩვენი ყოველი ძალით და ღონით ვცდილობთ დაგვემტკიცებინა და აგვეხსნა ყველასათვის ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ „ერთობასა“ და „ურთი-ერთ სოლიდარობის და შეთანხმების გარეშე“ არა და არ შეიძლება რისამე დიდი თუ პატარა საქმის გაკეთება და მეტადრე მუშათა და თვით მუშაობათა ბრძნულად მოწყობის გარეშე და აი, ეს უბრალო ჭეშმარიტება ჩავგითვალეს ჩვენ არსებული წეს-წყობილების დამაქცევრად და დამამხოვლად.

„კვირიდან 24 აპრილიდან, გაზეთ „სინათლე“ გამოსცემს მთელი ჯგუფი ცნობილი მწერლებისა და მოღვაწეთა და იმედი გვაქვს, რომ ესენი იხმარებენ ყოველ ღონეს, დაიცვან გაზეთის უმთავრესი მიმართულება, ხალხის თვითმოქმედების აღძვრა. ჩვენთვის არა ერთს განუცხადებია ის სიამოვნება, რომ გაზეთ „სინათლე“-ში ფართო ადგილი ეკავა თვით მდაბიოთა ნაკალმევს.

„ჩვენ მართლაც ხშირად, ისე მაღლა ვაყენებდით მათს ნააზრევსა და ნაგრძნობსა, რომ ჩვენი ნაკალმევი უკან დაგვიყენებია და მათთვის კი ადგილი მიგვიცია, – ბევრს იქნება არ მოსწონდა ეს, მაგრამ ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით ამას. დღესაც იმ აზრისა ვართ, რომ ყოველი რედაქცია, რომელიც მართლაც ხალხს ემსახურება, სწორედ ასე უნდა მოიქცეს.

„იმედია, „სინათლის“ ახალი რედაქცია რამოდენადმე მაინც დაიცავს მის ამ მთავარ მიმართულებას“ („სინათლე“, 1911 წ. 21 აპრილი, N86).

გაზეთის 19 ნომერი (87-105) სოფ. მაგალობლიშვილის ხელმძღვანელობით და ცნობილ მწერალთა ჯგუფის მონაწილეობით გამოვიდა, ოდნავ ფერიც იცვალა, მაგრამ გასამართლების შემდეგ გაზეთ სინათლე“-ს N106-დან

ფაქტიურად ისევ ივ. როსტომაშვილი ჩაუდგა სათავეში, რის გამო 1911 წ. 2 სექტემბერს მკითხველს ასეთი წერილით მიმართა:

„გაზეთი „სინათლე“ კვლავ იწყობს გამოსვლას და კვლავაც ჩვენი რედაქცია-გამომცემლობით. მთავარი ძარღვი გაზეთის მიმართულებისა კვლავაც ის დარჩება, რაც პირველ ხანებში იყო. მხოლოდ ერთი დიდად აღსანიშნავი ცვლილება შეგვაქვს: ეს გახლავთ დასურათება ყველა იმ წერილებისა, რომლების გაგება უიმისოდ ძნელი და მოუხერხებელია. მკითხველი მიგვიხვდება, რომ ასეთი ცვლილება ჩვენ შეგვაქვს გაზეთში ერთად ერთის აზრით: **გავაადვილოთ და გავაფართოვოთ გზა ცოდნის შეძენისა და სინათლის მოფენისა ისეთს საგნებზედაც კი, რომლებზედაც წერა და სჯა-ბაასი დღევანდლამდე ჩვენი ხალხის სვე-ბედის მატარებლებს სიზმრადაც არ ჰმანებიათ...**“ (ხაზი ჩვენი. ი. ი.) („სინათლე“, 1911 წ. N106).

გლახებისგან მოწერილ წერილების საფუძველზე გაზეთი (მეთაურში) კითხულობდა: „როდის იქნება თავიდან მოგვაშოროთ საერობო უფროსები? როდის იქნება, რომ ჩვენი მამასახლისები ემსახურებოდნენ ხალხს და არა მარტო თავიანთ უფროსებს ელაქუცებოდნენ? როდის მოგვაშორებენ ურიადნიკებს? როდის მოსპობენ სავოლისტო სასამართლოებს და როდის შემოიღებენ საყოველწოდებრივოს? როდის შემოიღებენ საერობო მცირე ერთეულებს? როდის ვიქნებით ჩვენ ყველანი კეთილ საიმედონი და სრულწლოვანნი? როდის იქნება, რომ გაუსამართლებლად არ გვაპატიმრებდნენ? როდის მოისპობა, რომ ბევრს გვპირდებიან და არაფერს კი არ გვაძლევენ“ და სხ. („სინათლე“, 1911 წ. N121).

ასეთი იყო ერთის თვალის გადავლებით „სინათლე“ და მისი რედაქტორის, ივ. როსტომაშვილის მეგაზეთობა, რიხი და გამბედაობა ნიკოლოზ მე-II-ის შავ-ბნელ ხანაში.

ასეთი გამბედაობა შავრაზმელთა და მოქიშპეთა წყალობით ძვირად დაუფდა ივანე როსტომაშვილს და როგორც ვთქვით, გაასამართლეს.

### **რისთვის გაასამართლეს ივანე როსტომაშვილი?**

საბრალდებულო ოქმი მოგვითხრობს:

სინათლე N3 წერდა:

„1-ლი იანვარი.

გუშინ – ნავიდა, უკვე განქრა...

გუშინდელი დღით თრთოდა ხალხი, ხალხი კვნესოდა და მიბნედილ სახით, უნდობის სასოებით მოელოდა დღეისის განთიადს, ახალ მზის ამოშუქებას! ... გუშინ – ეს ძვირად დამჯდარი დღეა, რომელმაც შეინირა მრავალ საუკეთესო შვილი ჩვენის უმეცრების გამოსასყიდლად!

„მაშ გამოდით, თქვენ, დამარცხებულნი, გარიყულნი, მწირნი მაშ-ვრალნი! აღივსეთ ახალის წყურვილით, რომ მომწიფდეთ მართლაც ჭეშმარიტ ახალი წელის შესაგებებლად! გამოვედ, ყველა და განაცხადეთ თქვენი თავი, თქვენი პიროვნება, არა ვითარცა ბრბომ, როგორც რომ ფარამ, არამედ ვით შეჰფერის კაცსა კაცობა! ... გამოვედთ. ყველა ჩრდილს ქვეშიდანი! გამოვედთ! – დაე ხმა აღიმალლოს, თვით უმცირესმა ატომმაც კი თავის თავის გამოსაცხადებლად...“ („სინათლე“, 1911 წ. 1/1, შაფათი, N3. წერილი ქასარელის ხელმოწერით).

წერილში (N6) – „ერთობა ღვთაებაა, თაყვანი ეცით მას!“.

„დააკვირდით ცხოვრებას, დღევანდელსა თუ ყოფილსა და დაინახავთ, რომ რაც კი გაკეთებულა ამ ქვეყნად საკეთილო თუ საბოროტო, ყველაფერი უთუოდ ადამიანთა შეკავშირებული, მოწესრიგებული ძალ-ღონით გაკეთებულა...“

„შენყობილი-შეთანხმებული კავშირია ის ერთად-ერთი ძალა, რომელიც ჰქმნის და ანვითარებს ყველაფერს ყველგანა და მარად...“

„... შეერთდით, შეთანხმდით, შეკავშირდით დიდ თუ პატარა **„ერთობე-ბად“** და თქვენც ისეთ ძალებად შეიქმნებით, რომ თქვენი სურვილისამებრ დაატრიალებთ მთელ საკაცობრიო საქმეებსა... დიახ, მხოლოდ ერთობაა ყოვლად-შემძლებელი, ღვთაებრივი ძალა, მეტს ვიტყვი, თვით ღვთაებაა, თაყვანი ეცით მას!..“

„მარტო იგია ნამდვილი ღვთაებრივი ძალა და ჩვენც სხვა ამაზე უკეთესი საშუალება არ მოგვეპოვება ხალხის დასახსნელად მის დღევანდელ გაჭირება-უბადრუკობიდან“ („სინათლე“, 1911 წ. 6/1 ხუთშაბათი, N6, რ. [ივ. როსტომაშვილი]).

N7 წერილში – „დღეს დაქსაქსულნი ვართ!“, რ-ს ხელმოწერით წერდა:

„... ვის რაც გესიამოვნოთ ის აკეთეთ და ის იყავით, მაგრამ იმავე დროს ერთისა და განუყოფელის „ერთობის“ წევრი კი იყავით ყველანი და ყოველ-თვის, განურჩევლად ნოდებისა...“

„უპირველესი კი აქ ის არის, რომ წევრობა და ერთობა-კავშირისა უთუოდ ყოველმა იტვირთოდ, კაცმა და ქალმა, დიდმა და პატარამ და იყოთ ერთგული თქვენი „ერთობა-კავშირისა“, ვიდრე პირში სული გედგებოდესთ, ე. ი. სიკვდილამდის“ („სინათლე“, 1911 წ. 8/1, შაბათი, N7).

აი, ამ ზემოხსენებული წერილების გამო ივ. როსტომაშვილი თბილისის სასამართლო პალატამ პასუხისგებაში მისცა.

„დანაშაულობის“ შემცველი წერილთაგან ორი თვით ივანე როსტომაშვილის კალამს ეკუთვნოდა, დანარჩენები – სხვას (მიხ. ცაგარელს), მაგრამ ივანე როსტომაშვილმა პირს კლიტე დაიდო – არც ერთი „თანადამნაშავე-თაგანი“ არ გაუცია, მთელი პასუხისმგებლობა თვით იკისრა.

ამ საქმის გამო პირველად გაამართლეს, – მეორედ ბრალმდებლის გამო ციმბირს გადასახლება მიუსაჯეს, მერმედ ერთი წლის ციხე...

ამ გასამართლებამ და სასჯელმა იმ დროის რევოლუციურ წრეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მეორედ გასამართლებისთანავე 60 წლის მოხუცი ივანე შეიპყრეს და წაიყვანეს...

ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მისი პატიმრობის ადგილი ვერ მიიკვლიეს: პირველ ორ ღამეს სამძებროში („სისკნოიში“) იწვა, უქვეშსაგებოდ, ცემენტის იატაკზე, შემდეგ ციხეში და მახლობლებმა ძლივს მიაგნეს.

განაჩენის გამოსაცხადებლად ივ. როსტომიშვილი სასამართლოში ტუსაღის ტანისამოსით, უკვე ბორკილგაყრილი მოიყვანეს. ისე იყო გამოცვლილი, რომ ცოლშვილმა ვეღარ იცნო. როცა შვილის შვილმა მიუთითა, აგერა პაპაჩემო, ლიზამ მაშინ შენიშნა, თავი შეიკავა, მაგრამ მის ქალიშვილს მაროს კი გული შეუღონდა, რაც შეიქნა მისი დაავადების მიზეზი.

დამსწრე საზოგადოება, ვინც კი ვანოს სანახავად მოსულიყო, ქვითინებდა.

ქუჩაზე დაირაზმნენ ივანეს ნამონაფრები და გადაწყვიტეს ჯარისკაცებს მისცვივნოდნენ და პატიმარი თავისი საყვარელი ნამასწავლებლარი გამოეტაცნათ, მაგრამ უფროსებმა შეიმაგრეს: თავს წაიხდნენ, მოხუცსაც დალუპავთო.

ამ ამბის გამო ახმაურდა რუსეთის პრესა, საქმეში ჩაერია მუშა ხალხი.

ქართულმა პრესამ უყურადღებოდ არ დასტოვა ეს გასამართლება („სინათლე“, 1911 წ. N33, 34, 89, „თემი“, 1912 წ. N62, „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. N542 და სხ.).

უფრო ვრცლად ამ ცნობას ოფიციალური გაზეთი «Кавказ»-ი გადმოგვცემს:

«Кавказ», 1912 г. 19/IX-№212. Судебная хроника. Литературное дело.

«Вчера в особом присутствии судебной палаты слушалось дважды кассированное правительствующим сенатом дело бывшего инспектора городского училища кол. сов. И. П. Ростомова, обвиняемого по 129 ст. уголовного уложения. Подсудимому вменялось в вину помещение в редактируемом им грузинском журнале «Синатле» статей преступного характера. При первом разборе настоящего дела особое присутствие судебной палаты признало Ростомова невиновным и вынесло ему оправдательный вердикт. Правительствующий сенат по протесту прокурора, отменил этот приговор и предложил заслушать дело при новом составе палаты. 4<sup>то</sup> марта дело было заслушано второй раз. Резолюцией особаго присутствия палата признала Ростомова виновным и приговорила к лишению

всех прав состоянии и к ссылке на поселение. Прис. пов. кн. Андроников и О. О. Грузенберг обжаловали приговор в сенат. Сенат вторично отменил этот приговор. Вчера дело слушалось в третий раз. Особое присутствие признало Ростомова виновным по 2 п. 129 ст. уголов. улож. и приговорило к заключению в крепость на один год с зачетом времени предварительного заключения с 5-марта по 21-е июня.»

მეორედ გასამართლების შემდეგ, ციმბირ-მისჯილი მეტეხის ციხეში რომ მოიყვანეს (იმ დროს მე აქ 4 წლის საკატორგო სასჯელს ვიხდიდი პოლიტიკურ საქმის გამო), ივანე როსტომაშვილს საკუთარი ტანისამოსი (ჩვეულებრივ შავ სერთუკს იცვამდა ხოლმე, დამსახურებულ ყოველგვარ ჩინ-ორდენტა გარეშე) გააძრეს და სისხლის დამნაშავის მაზარა და შარვალი ჩააცვეს, ამისივე ქერის ქუდი დაახურეს.

ეს იყო თავზარდამცემი საშინელება. ივ. როსტომაშვილი პირველ დღეებში წუთით სულიერად დაეცა. ვანოს ციხეში გამოუჩნდა ერთი ნაცნობთაგანი, პატიმარი, როგორც შემდეგში გამოიჩინა ცნობილი პროვოკატორი დიმიტრი ჯაში. ეს ვითომდა კეთილის მყოფი პატიმარი ივანეს შეუჩინეს, „მეფეს პატიება სთხოვე“-ო. ეს პრავაკატორი იქამდე გაკადნიერდა, რომ არზაც კი თითონ დაუწერა, თუმცა ასეთი გზა ივანეს აშკარად არ მოწონდა, რადგან იმ ხანებში პოლიტიკურისაგან პატიების თხოვნა სამოქალაქო თვითმკვლელობას ნიშნავდა. ივ. როსტომაშვილის მეუღლემ ლიზამ ამ არზის ამბავი რომ შეიტყო, ცეცხლი მოეკიდა: მე პატიებას კი არ ვნატრობ, არამედ უფლებასო, და პეტერბურგს გაქანდა, სადაც სენატში საქმე დაარღვივნა და ხელახლად გასარჩევად დაანიშვნინა. საქმე მესამედ გაირჩა და სასჯელი შეუმსუბუქდა. როგორც იმ დროს შევიტყეთ, ლიზამ მაშინდელ პეტერბურგის უმაღლეს წრეებში თვით მეფის სასახლეშიც თვისი ქართული ჩიხტა-კოპით, ხოლო წმინდა რუსული ლაპარაკით დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ციხეში შემოყვანილი ივანე მეორე თუ მესამე დღეს, თვისის თხოვნისამებრ ჩემს საკანში გადმოიყვანეს (მტკვრის ნაპირას ფრიალო კლდეზე ძველი ციხის მეორე სართულის მე-11 ოთახში (ნომერს თუ არა ვსცდები). ციხეში არც ერთ წუთს უქმად არ ჰკარგავდა: კითხულობდა, წერდა... აქ დანერილი ერთი წიგნაკი რუსულად გამოსცა კიდევ.

იმ დროს იგი 60 წლის იყო, მაგრამ ხალისიანობით 20-25 წლის ენერგიულ ჭაბუკს მოგაგონებდათ. პატიმართა შორის იშვიათი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ აქ ნათელი მოგონება დარჩა.

# XVI

## სოციალიზმი



*თვალთ ვხედავ –  
არა მჯერა...*

**იეთიმ გურჯი**

ივანე როსტომაშვილი მოესწრო მეფის რუსეთის – ამ ხალხთა საპყრობილის – კედლების დარღვევას, ბორკილთა მსხვრევას და თვითმპყრობელობის დამხობას.

მშრომელი ხალხი წელში გაიშალა, – აღსდგა მუშა და გლეხი, სამფეროვანი დროშის მაგიერ წითელი დროშა აფრიალდა, ძმობისა და ერთობის დროშა, პროლეტარიატის ბატონობის დროშა, სოციალიზმის დროშა... მაგრამ ივანე როსტომაშვილმა ეს სოციალიზმი ვერ დაინახა, – თითქოს აღსრულდა ის წინასწარი ეჭვიანობა, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წ. ბაქოში ჩვენმა ხალხურმა მგოსანმა იეთიმ გურჯიმ, რევოლუციის დღეებში, თვის მიერ აფრიალებულ წითელ დროშას დაანერა: „თვალთ ვხედავ, არა მჯერა...“ და იეთიმ გურჯი ამ თავის ეჭვიანობაში მალე დარწმუნდა, როცა კვლავ მეფის ჯალათები ამუშავდნენ.

ივანე როსტომაშვილსაც 1917 წ. რევოლუციის მოხდენის შემდეგ ნანატრის შესრულებაში ეჭვი შეეპარა: სოციალიზმისათვის ბრძოლის მაგიერ, თვით რევოლუციონერთა შორისაც კი მხოლოდ ვიწრო პარტიულ-ჯგუფურ განხეთქილებას ხედავდა სოციალისტურ წითელი დროშის ფრიალით სოციალიზმის გაყალბებასა და აი, 1920 წ. თებერვლის 1-ლი-დან გამოსცა ახალი ყოველკვირეული ხალხური გაზეთი: „შეისწავლეთ სოციალიზმი“, რომელმაც მკითხველთ მოუწოდა:

„შეისწავლეთ სოციალიზმი ყველამ, განურჩევლად მდგომარეობისა და მიმართულებისა! იგი განავითარებს თქვენს გონებას, განანათლებს თქვენს გულსა, გაგახსენებს ახალ გზებსა და საშუალებებს კერძო თუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობისას, შეგძინთ ახალ აზრებსა, ახალ იდეებსა!

„ნუ გგონიათ, რომ მარტო საქმეა ამ ქვეყნად ძალა! არა: როგორც მკვდარია სარწმუნოება უსაქმოდ, სწორედ ასევე მკვდარია თვით საქმეცა უიდეოოდ. მკვდარია, თუ საქმეს წინ იდგა არ მიუძღვის! მაშ შეისწავლეთ სოციალიზმი ყველამ!..

„იყო დრო, როცა სოციალიზმი წარმოადგენდა სარწმუნოებას სულ მცირე ჯგუფისას, ახლა კი მასზე ლაპარაკობს მთელი ქვეყანა! ეს ცოტაა: თან საშინლად ეშინიანთ მისი, ძრწიან მისგან! მაგრამ შეისწავლეთ იგი და ნახავთ, რომ საშიშო აქ არაფერია, იგიც ისეთივე ბუნებრივი მოსავლენია, როგორც მზის ყოველდღიური ჩასვლა და ამოსვლა!

ივ. პ. როსტომაშვილი. („შეისწავლეთ სოციალიზმი“, 1920 წ. N1, გვ. 1).

ამ 1-ლი ნომრის წინასიტყვაობაში წერდა:

„მიზანი ჩვენი გაზეთისა, როგორც თითონ სახელიც მონიშნავს, არის: მივანოდოთ ქართველ მკითხველს სისტემატიური წერილები იმის შესახებ – თუ რა არის სოციალიზმი, ვის ენოდება სოციალისტები, რა სწადიანთ მათ, რაზე ამყარებენ ისინი თავიანთ სწავლას თუ იდეალებს და რა საშუალებით ფიქრობენ მათს განხორციელებას.

„ქართველო ხალხო! ეს მეორე წელიწადია, რაც მივალწიეთ ჩვენი ტურფა სამშობლოს დამოუკიდებლობას, მივალწიეთ მის განთავისუფლებას 117 წლის ტყვეობიდან, მაგრამ სამწუხაროდ, სწორედ მაშინ დადუმდა ჩვენი ენა და კალამი, როცა უფრო საჭიროა გაორკეცებული მუშაობა ხალხისა და დემოკრატიის გაცნობიერებისათვის!

„... სხვა რომელ სწავლას და მეცნიერებას შეუძლიან დაანახვოს ხალხს და საზოგადოებას ქვეყნის ყველა იარები და მისი წამლები, როგორც სოციალისტურს მეცნიერებას შეუძლიან ეს?!.

„... სრულ სოციალიზმამდის მისასვლელად საჭიროა ორი პირობა: ერთი, რომ ყველა ერს, რომელსაც კი გაუვლია კულტურის პირველი საფეხურები, უთუოდ უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და რომ ამის გარეშე შეუძლებელია წინ-სვლა და წარმატება ადამიანთა ცხოვრებისა და, მეორე, რომ სახელმწიფო უნდა იყოს უთუოდ სოციალისტური, ჩვენებურად „საყოველთაო“, ე. ი. ისეთი სახელმწიფო, რომელიც ერთნაირად ზრუნავს ყველასათვის, მაგრამ უფრო კი ხალხის დაბალი ნაწილისათვის, როგორც უფრო ჩამორჩენილისათვის ისტორიულ ვითარებათა გამო, რომ წელში გაამაგროს იგიც და შეაძლებინოს საკუთარი უნარით ადამიანებში გარევისა და სახელმწიფოსათვის სასარგებლო წევრად გახდომისა“.

(გაზ. „შეისწავლეთ სოციალიზმი“, 1920 წ. N1, გვ. 1-2).

შემდეგ ამავე ნომრიდან დაიწყო სოციალიზმის საკითხების გარკვევა თავისებური მდაბიო ხალხური ენით. და შემდეგ დასძინა: „ამის შემდეგ გამოვა „შეისწავლეთ პოლიტიკური ეკონომია“.

# XVII

## მრწამსი, მოძღვრება, შრომა



ვინც რა უნდა თქვას –  
წისქვილმა კი ფქვას!..

**ხალხური**

*კლდეს გახვრეტს წვეთი, თუ მუდამ ერთ ადგილს დაედინების!..*  
**ალექსანდრე ყაზბეგი**

ივ. როსტომაშვილის მრწამსი და მოძღვრება, ე. ი. უმაღლესი რწმენა როგორც პედაგოგის, მწერლის და მოქალაქის ყოველს მის საქმიანობაში გამოხატული, – მისი საქმე და სიტყვა ერთმანეთს არ სცილდებოდა, – ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, ყველაში თვითმოქმედებისა და თვითგანვითარების უნარი აღედგრა.

ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში მან სთარგმნა ინგლისელი მწერლის სმაილსის „თვითმოქმედება“ (გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1885 წ.), რომლის წინასიტყვაობაში ივ. როსტომაშვილი წერს:

„თვით-მოქმედება“ არის იმ გვარი მოქმედება, ანუ საქმიანობა, რომელიც წარმოსდგება თვით ადამიანის საკუთარის ნება-ყოფლობისაგან, საკუთარი შინაგანი ძალებისაგან...

„ეს წიგნი დაარწმუნებს ამ უკანასკნელებს, რომ მხოლოდ თვითმოქმედება, მხოლოდ კერძო პირების მუდმივ, დაუღალავ, შეურყეველ და ხანგრძლივ თვით-მოქმედ შრომაზე და ენერჯიაზე არის დამოკიდებული ყველა საქმის წარმატებით წარმოება“... („თვით-მოქმედება“, თბ. 1885 წ. გვ. 1-2).

მანვე სთარგმნა ამავე ავტორის „თვით-განვითარება“ (თფილისი. 1887 წ.), რომელმაც არა ნაკლები სამსახური გაუწია ჩვენს ხალხს.

ივ. როსტომაშვილი სხვებს რომ უმოძღვრებდა მუყაით შრომას, თვითონაც ცხადი მაგალითი იყო შეუჩერებელი, მუყაითი შრომის: კითხულობდა, წერდა, ხელსაქმობდა, სხვას ასწავლიდა, რაც არ იცოდა სწავლობდა, ჩვე-

ნის ცხოვრების ყოველ მხარეს უკვირდებოდა, ყოველ მოვლენას ეხმაურებოდა...

ჩვენი ქვეყნის დანიშნულებისათვის უმთავრესად მოითხოვდა ყოველი მოქალაქის, მოსწავლის, გლეხისა თუ მუშისაგან თვით უნარიანობის გამოჩენას, რადგან სწამდა: „სასარგებლო და ნაყოფიერია მხოლოდ ის შემნეობა, რომელიც თვით ადამიანის საკუთარი ძალიდან გამომდინარეობს, რომელიც საკუთარის ცდის ნაყოფი შედეგი-ნარეწავია... ღირსება და წარმატება რომელიმე ერისა უფრო კერძო პირების საკუთარს თვისებებზეა დამოკიდებული, თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“ („მეურნეობა და ახალი სკოლა“, 1902 წ. გვ. 1-4).

„ადამიანი თუ არის მეფე ბუნებისა, მარტო მაშინ არის, როცა იგი მოქმედებს და იღწვის ჩემთან, შენთან და ყველა სხვებთან ერთად, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ერთი სიტყვით, როცა სუფევს ერთობა და არა ძალ-მგლური მტრობა...“ („სინათლე“, 1911 წ. N42).

დაბოლოს:

„რაშია საბოლოო მიზანი მსოფლიო სიცოცხლისა, რაშია სიმართლე და ჭეშმარიტება ამ ქვეყნად? პასუხი ერთია: საყოველთაო ბედნიერება-ნეტარებაში, საყოველთაო სრულ-ყოფასა და ჰარმონიაში“... („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 2).

იყო თავისებური პრინციპის კაცი, – საკუთარ რწმენას არასოდეს არ უღალატებდა: ერთხელვე გულში ამოჭრილ აზრს არ გადაუხვევდა, მისი გამარჯვება უეჭველად სწამდა. სხვათა შორის იგი ღვინოს არა სვამდა, – იშვიათად თითო ჭიქას, ისიც წყალნარევს თუ დალევდა; არც პაპიროსს სწევდა, ამაში ორგვარ ბოროტებას ხედავდა: როგორც მავნებლობასა და როგორც შეუფერებლობას, – განსაკუთრებით მასწავლებელ-აღმზრდელისათვის: თუ გინდა მოზარდი თაობა მუდამ გენდოს და შენი ნამოძღვარი შეითვისოს, ნურასოდეს ნუ აჩვენებ იმას, რაც დასაძრახია და მავნებელი: რასაც სიტყვით ჰქადაგებ, საქმითაც ის უჩვენეო. სასკოლო ასპარეზზე მაღალ-ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მთავრობამ სტანისლავისა და ანნას ორდენებით დააჯილდოვა, მაგრამ ეს ორდენები ივანეს არასოდეს გულზე არ გაუკეთებია. 1887 წ. მეფე ალექსანდრე III თელავს ჩავიდა. ამ დღისათვის ყველა მოხელეს მუნდირი უნდა სცმოდა. თანახმად ბრძანებისა, ვანო-მაც შეაკერვინა მუნდირი, რომელიც მხოლოდ ორი საათით ეცვა, მას შემდეგ კი არასოდეს არ ჩაუცვამს, – სკივრში ედო დაკეცილი.

# XVIII

## ჯანსაღობა



სამშობლო ქვეყნის მრავალ მხრივ მცოდნე ივ. როსტომაშვილი ყოველ ნუთს ფიქრობდა და ზრუნავდა თუ რა გზით შეენყო ხელი მამულის წარსულის ნაშთთა დაცვისა და შესაფერი ცოდნით აღჭურვისათვის, რათა მომავალი ბრწყინვალე გვექონოდა, იმავე დროს ზრუნავდა ხალხის ჯანმრთელობაზე.

1894 წ. გაზეთ „ივერია“-ში (N192, გვ. 1) მოათავსა წერილი „საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრის დაფუძნების საჭიროება ტფილისში“, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერდა: „... დროც არის და საჭიროც, რათა მთელი ჩვენი ქვეყანა მაზრა-მაზრა აინეროს და ყველა ეს, შემუშავებული და გამოცემული იყოს ერთი წრის ზედამხედველობის ქვეშ... დღეს ტფილისში, ჩვენ ქართველებს გვყავს უკვე იმდენი მცოდნე კაცი, რომ მათ ადვილად შეუძლიათ შეადგინონ საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრე. ... ეს წრე, სხვათა შორის, მოახერხებდა შეეძინა რამოდენიმე ცალი ფოტოგრაფიის მონყობილობისა, რომლითაც ნაშთების და წარწერების გადაღების შესწავლა მინაზედ სულ რამოდენიმე საათის საქმეა... ეს საშუალება ნებას მოგვცემდა სულ ათიოდე წელში მთელი საქართველო აგვეწერა და დაგვეურათებინა, რომლის ნაშთები, რაც დრო მიდის, სულ უფრო და უფრო ძველდება, ინგრევა და ზოგი მათგანი მინასთანაც სწორდება მტრის ხელით. სულ სხვა იქნება, როცა ნაშთს ქალაღზედ გადავიღებთ: ათასი წლებიც გავა და ის, მაინც, არ დაიკარგება და შთამომავლობას უწყებულს სახე, მაინც, დარჩება წინაპართა ხელოვნება-მოქმედებისა“ („ივერია“, 1894 წ. N192, გვ. 1).

ივ. როსტომაშვილს ღრმად სწამდა, რომ ერის ჯანსაღობისათვის მის წევრთა ჯანსაღობაა საჭიროო, ავადმყოფობათა მიზეზებს აღწერდა, რამდენადაც სალი და ბუნებრივი იქნება სასმელ-საჭმელი, იმდენადვე სალი იქნება სისხლი და თვით ჩვენი სხეული, და თუ გვსურს, ადამიანი საერთოდ ჯანსაღი იყოს, მცენარეულთა ნაყოფით, ბოსტნეულით და ხილით უნდა იკვე-

ბოს... „ხორცის ქამა უდროოდ აბერებს და აუძღურებს ადამიანს, ხშირად ასნეულებს და უდროვოდაც ჰკლავს მას“... ვინც მცენარეულის ნაყოფით იკვებება, უფრო ჯანსაღი და ლამაზიაო.

ჯანმრთელობის შესახებ წერდა ჟურნალი „მოგზაური“ (1904 წ. N5-6, გვ. 311-312, N7-8, გვ. 566-584) და ცალკე ნიგნებსაც ბეჭდავდა. მაგ.: „რისგან სნეულდებიან და იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები“ და სხ. სნეულე-ბათა ასაცილებლად მოითხოვდა ბინათმშენებლობის ისე განვითარებას, რომ არც ერთი ადამიანი, თვით კაციც და ქალიც კი უკუღმართ პირობებში უჭაეროთ, უმზეოდ, ნესტიან და ბნელ ბინაში არა სცხოვრობდესო. ჩვენი დედაქალაქის თბილისის გაჯანსაღებას ეხებოდა ნაწილობრივ წერილში „რითი და როგორ ვუშველოთ ტფილისის რიყეს“ („ივერია“, 1899 წ. N231, 233), რომელშიაც მოითხოვა, ავლაბრის ორ ხიდს შორის მტკვრის კალა-პოტი გავაგანიეროთ და არაგვი მახათის გორის უკან გადავუშვათ, რითაც ურწყავ ადგილებს წყალს გაუჩენთ თბილისს სასმელს და ორხევ-ვაზიანის შორის მოსახლეობის დასახლებას ხელს შევუწყობთ, სადაც მწირი ადგი-ლები ნაყოფიერად გარდაიქცევა, ბალჩა-ბალ-ბოსტნები გაჩაღდება. მეორე მხრივ თბილისს ყოველ წლივ წალეკას ავარიდებთ, სენის გაჩენას შევზღუ-დავთო. არაგვის გადაადგებისათვის მიმართულების შესასწავლად ფეხით მოიარა მთელი ავჭალა-მახათის მიდამოები და ინჟენერებს გაუთვალისწინა არხს საით უნდა გაეცლო.

ხალხის გაჯანსაღების მიზნით ეხებოდა მის ეკონომიურად ამაღლებას. მაგ. წერდა: „საგლეხო მეურნეობა და სესხის საქმე რუსეთში“ („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 50-52; N3-4, გვ. 210-218), „ქალაქი და სოფელი“ („მოგზა-ური“, 1904 წ. N1-2, გვ. 111-124) და სხ. საკითხთა შესახებ.

ხალხის გამრავლებისა და ღარიბ მშრომელთა შემწეობის მიზნით, სხვათა შორის გამოაქვეყნა წერილი „მშობიარეთა და ახლად-შობილ ბავ-შეთა სამზრუნველო საზოგადოებანი“, რომელშიაც აღწერს, საფრანგეთმა ასეთი საზოგადოებათა შექმნით რა დიდ შედეგს მიაღწია, როგორაა იქ ეს საქმე დაყენებული და მოითხოვა:

„რადგანაც ჩვენში გაცილებით უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფე-ბიან მშობიარენი და ახლად-შობილნი, რომელთაგან ნახევარზედ მეტი სი-ცოცხლის პირველსავე წელიწადს ესაღმება ამ ნათელს ქვეყანას, ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენშიაც დავაარსებდეთ ასეთს საზოგადოე-ბებს, ჯერჯერობით ქალაქებსა და დიდს დაბებში მაინცა“-ო („მოგზაური“, 1904 წ. N5-6, გვ. 307-309).

მაგრამ ივ. როსტომაშვილი ხალხის ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის მარტო ამით არ გამოირჩეოდა თავის დროს. მან შეადგინა და გამოსცა „სა-

უნჯე ავანტიურებისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავანტიურობათა“ (ტფილისი, 1903 წ.), რომელმაც არა თუ გააოცა ექიმები და განსაკუთრებით, პროვიზორები, უმთავრესად ოფიციალი მკურნალები გააბრაზა კიდევ. პროვიზორმა ილია ალხაზიშვილმა (1853-1921) უძღვნა ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიაც გააკრიტიკა ზემოხსენებული „საუნჯე“ და მინაწერში განაცხადა: „სიმართლე მოითხოვს ისიც ვსთქვათ. – ჩვენს სამკურნალო ლიტერატურას პატრონი რომ ჰყვანდეს, როსტომაშვილები აღარ გაერეოდნენ სხვითა საქმეში და არც ეს „საუნჯე“ იხილავდა ქვეყანას. მაშასადამე ჩვენი ქართველი სწავლული ექიმები უფრო მეტად დანაშაულნი არიან ამ პროფანაციაში ვიდრე თვით ბ. როსტომაშვილი“ („მოამბე“, 1903 წ. N12, გვ. 45-58, ხაზი ყველგან ჩვენია. ი. ი.).

ივ. როსტომაშვილმა ამაზე უპასუხა („პროვიზორი“ ი. ალხაზიშვილს. „მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 300-302) და უკიჟინა, ვინრო სპეციალობას პროვიზორობას შენთვის ხარაზული დალი დაუსვამსო და განაგრძო: „ახლა კი მესმის, რატომ ასე დაუნებით თხოულობს პედაგოგია, რომ სწავლა-აღზრდის უპირველესი ვალი იმაშია, რომ მან თანაბრათ გახსნას ადამიანში ყოველი მისი ნიჭი, რათა მით ააცდინოს მას ვინრო ხარაზული მომაკვდავი შეხედულობა და მიმართულება!-ო...“ (ხაზი ჩვენია. ი. ი.).

შემდეგ:

„ჩვენ მაინც კვლავაც არ მოვიშლით ჩვენს შრომას, თუნდაც რომ ათასი სხვა შეცდომაც ჰქონდეს მას, რადგანაც მხოლოდ ასეთის შთომით და შეცდომებით იბადება სისრულე, ხოლო თქვენ? – ბძანდებოდეთ მძიმედ სპეციალ საგნის უნაყოფოდ შემეყურე!..“

იმ ხანად ივ. როსტომაშვილი მართალი იყო. მისი ზემოხსენებული წიგნი სასწრაფოდ გავრცელდა ხალხში და თვით მკურნალობას დიდი სამსახური გაუნია, ბევრს შემთხვევაში ოჯახები ამ წიგნის სამკურნალო მითითებით იოლად მიდიოდნენ. დღეს ეს წიგნი სანთლითაც ვერ იპოვება, ამავე წიგნმა დააჩქარა ჩვენს სამშობლო ენაზე საჰიგიენო-სამკურნალო წიგნაკების დაბეჭდვა, ჩვენი ძველი კარაბადინების მოძებნა და გამოცემა, ივ. გომართელის მიერ ახალი კარაბადინის შედგენა და სხ.

ივ. როსტომაშვილი დიდს ყურადღებას აქცევდა ხალხურს მკურნალობას და რასაც კი ყურს მოჰკრავდა ამა თუ იმ სატიკერის საშუალებას, იმავე წუთს, რაზედაც უნდა მოხვედროდა, ჩაინერდა ხოლმე.

ჩვენს ხელთ არის ერთი ფოტო-სურათი (წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის საავადმყოფოს შენობისა), რომლის უკან (აღბად უქალაქობის გამო) აი საკუთარის ხელით რა ჩაუნერია ივ. როსტომაშვილს:

„ციებ-ცხელების წამალი: აიღეთ ერთი სტაქანი სასმელი არაყი, აადუღეთ, რომ ცეცხლი არ მოეკიდოს ფრთხილად, ჩაყარეთ მერე შიგ ერთი

მისხალი ქინა, მოუმატეთ ერთი ბოთლი იმისთანავე სასმელი არაყი, გახსენით შიგ ერთი უმი კვერცხის ცილა, ერთი ლიმონი ჩაანურეთ შიგ, ჩაასხით 14 წვეთი (регарное масло) რეგარის ზეთი, მიუმატეთ ერთი მისხალი დანაყილი გაცრილი საბრი, კიდევ ერთი მისხალი რევანდი და ერთი მისხალიც ნიშადური, აურიეთ ყველა ეს კარგად და სვით დღეში ორჯელ-სამჯერ, თითო ჯერზე ნახევარი რიუმკა. ციებ-ცხელება სამ-ოთხ დღეში სრულიად დაიკარგება, მაგრამ ავადმყოფმა წამალი კი უნდა გაათავოს, რომ სენი აღარ მოუბრუნდეს, მოერიდოს მჟავე საჭმელს და ხილს, აგრეთვე მლაშე საჭმელს – თევზს, ვიჩინას და მისთანებს. ნათქვამია ვასილ სიმონის ძე თედეშვილისგან. წამლის მიღებამდე კარგია ავადმყოფმა მიიღოს ერთხელ ან ორჯერ სასაქმებელი ზეთი.

ცხვირიდან სისხლის დენის დროს იხმარეთ ცეცხლში დამწვარი შაბი, წმინდა ჩაის შაქარი თანატოლად დანაყეთ და თავდაღმა ცხვირში ჩაიყარეთ დღეში ორჯერ, მხოლოდ ნახევარი საათი უნდა იწვეს თავდაღმა. უებარი წამალია. მისავე.

გაჭრილის უებარი წამალი: თხის ქონი, შაქარი და წმინდა სანთლის ცვილი თანატოლად ერთად აადუღეთ და ასე მომზადებული მალამო უსვით ჭრილობას დღეში ორჯელ და ძალიან ჩქარა მოარჩენს. მისივე“ (მომყავს მართლწერის დაცვით, ი. ი.).

საექიმო საკითხებით ივ. როსტომაშვილი ადრევე იყო დაინტერესებული, სხვათა შორის 1895 წ. დასწერა და გამოსცა: „ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში“ და სხ.

# XIX

## კომუნალური მეურნეობა



ყველა ზემოხსენებულთან ერთად ივანე როსტომაშვილი დიდს ყურადღებას აქცევდა ქალაქის და სოფლის კეთილმოწყობას.

აი, მაგ. მან შეადგინა „სოფელ ლალისყურის გამამშვენიერებელი ამხანაგობა“-ს წესდება:

„ამხანაგობაში ეწერება ყველა მეკომური სოფელ ლალისყურისა.

1. ამხანაგობა ჰპატრონობს და უვლის ლალისყურის ყველა ქუჩებსა, გზებსა, მეიდნებსა, ცარიელ ადგილებსა, უპატრონო შენობებსა, სასაფლაოებსა, ხიდებსა, ბოგირებსა, არხებსა, რუვებსა, ცდილობს გუბეების მოსპობას, სოფლის განათებისა და სასმელი თუ სარწყავი წყლების რიგიანად მოწყობაზედ და სხვა.

2. ჰმოსავს სოფლის ყოველ კუნჭულსა სხვა და სხვა სასარგებლო და თვალისთვის სასიამოვნო ხეებითა თუ ყვავილებითა და საზოგადოთ ცდილობს გამამშვენიეროს-გაასამოთხოს და გააჯანსაღოს სოფელი.

3. ყურს უგდებს, რომ ლალისყურის ყველა მეკომური კვირა დღისათვის და სხვა უქმეებისათვის უთუოდ ჰგვიდნენ და ასუფთავებდნენ თავ-თავიანთ ეზოებსა და მამულის წინ მდებარე ქუჩებსა თუ მეიდნებსა, ხოლო ნაგავს თუ ნეხვს გაიტანდნენ თავიანთსავე ბოსტნებში და მამულებში.

4. ყურს უგდებს, რომ ცარიელი ადგილები და უპატრონო შენობები თუ ისტორიული ნაშთები მარად სუფთად და შნოიანად ინახებოდეს-იცვებოდეს.

5. აწყობს სათამაშო მეიდანს (რიყეზე თავისუფალ ადგილას), ასუფთავებს და ყურს უგდებს სოფელში დღევანდლამდე კარგად შენახულს ნიშს, ტალის ციხესა და სხვა და სხვა.

6. ყველა ამ საქმეების მოსაწყობად და სისრულეში მოსაყვანად, თვითეული მეკომური მოვალეა შეანიოს ამხანაგობას კვირაობით სადილის მერე თითო საათი მუშაობა, რომელი იარაღითაც იქნება საჭირო, სახელდობრ: ბარით, თოხით, გუთნით, ურმით, ცხენით.“

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7150.

ეს დასწერა ივ. როსტომაშვილმა რამდენიმე ათეული წლის წინად, იმ დროს, როცა სოფელზე კი არა თვით ქალაქებზედაც არავინ ზრუნავდა. განა დღეს კია რომელსამე სოფლები ამისი ნასახი, განა დღეს კი ყველა სოფლისათვის ეს გეგმიანი მუშაობა არაა?

დაახლოებით ასეთივე გეგმით აპირებდა „თამარი“-ს უბანის“ (თბილისის მეცხრე ნაწილი თავისი სახლებიანათ, განათებით, ქუჩებით და მცხოვრებლებით, რომელიც მდებარეობს რკინის გზის სამხრეთით, ვიდრე ჩერქეზიშვილის ქუჩამდე ლიუტერანთა ქუჩიდან არსენალის ქუჩის დასაწყისამდე) კეთილმოწყობას, რომლის წესდება შეადგინა („წესდება თამარის უბანში მცხოვრებთა ურთიერთ დახმარებისა და თვით უბნის გამშვენიერების სამეზობლო კავშირისა“), რომელიც უფრო ფართე პროგრამას ისახავდა მიზნათ: შეიცავდა უბნის კეთილმოწყობასა და ამ უბანში მცხოვრებთა ყოველმხრივ მომსახურების ვალდებულებათ.\*

ყველა ამის გარდა, ივანე როსტომაშვილმა განიზრახა სრულიად ახალი აგარაკის, ინტელიგენტთა მოსახლეობით დასახლებულ უბნის ავჭალის საყარაულოს (იგივე სამზეურის) შექმნა-მოწყობა. ამ მიზნით მოელაპარაკა და დაითანხმა ავჭალის ერთი მემამულეთაგანი ანა დავ. ბარათაშვილისა, რომლის მოწოდებით ივ. პავ. როსტომაშვილი როგორც „გამგე სამზეურის მოაგარაკეთა საქმეთა“ აწარმოებდა საჭირო ნევრთა შექმნას მინის საბინაო ნაკვეთებად დაყოფას, დაგეგმვას, მინის ღირებულების შეკრებასა და სხ. ამ ახალ მიწაზე წინასწარ მოისაზრა ქუჩები, გამზირები (რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ნიკო ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას და სხ.), სკვერები, საზოგადოებრივი ხასიათის შენობები და სხ.

საყარაულოს N რუსთაველისა და ბარათაშვილის ქუჩების მარცხენა კუთხის ორას ორმოცდა ათ (250) ოთხ-კუთხ საყენის მიწაში (ანუ რამდენიც აღმოჩნდება), საყენი ოთხმოც კაპეიკად“ და სხ. მინის ფასი მეტ ნაკლები იყო ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგ. სხვა ნაკვეთი შეფასებულია საყენი 60 კაპ.

ივ. როსტომაშვილმა ყველა ნევრს თავ-თავისი ნაკვეთი მიუჩინა, შეკრებილი ფული მემამულეს ჩააბარა, მაგრამ მემამულემ მამული ვეღარ დაუმტკიცა, რის გამოც შეტანილი ფულები უკან უნდა გაცემულიყო. ერთ ერთ ბარათში (N76 უკან წანაწერებში) ვკითხულობთ: „N39 ავჭალის ნაჭერ მიწაში მივიღეთ უკანვე მე, გიორგი და ნატალია გაბაშვილებმა რვა თუმანი (80 მ.) ივანე როსტომაშვილისაგან და უფლება აქვს ამას იქით, ვიზედაც ნებავს გაჰყიდოს. ნატ. გაბაევისა, გიორგი გაბაევი. 24 აგვისტოს 1916 წ. ქ. თბილისი“.

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7140.

ივ. როსტომაშვილმა ამ „ავჭალის საყარაულოს, იგივე „სამზეურის“ მოაგარაკეთა სია შეადგინა. 5 ენკენ. 1920 წ. სულ 44 მოაგარაკე ირიცხებოდა, თითოეულს მიზომილი ჰქონდა 250-2000 საყნამდე, მაგრამ ეს დიდი განზრახვა ივანე როსტომაშვილისაგან სრულიად დამოუკიდებელ მომხდარ დიდ ცვლილებათა და სხ. მიზეზთა გამო, ველარ დაგვირგვინდა. ამით გული არ გაიტეხა და 1920 წ. ღვინობისთვის 15-ს „საქართველოს რესპუბლიკის მინად-მოქმედების მინისტრს“ მისცა განცხადება, რომელშიაც მოითხოვდა ურწყავ ადგილებზე „სამეურნეო აგარაკებსა“ და „ტყეთა აგარაკების“ მონყობას, ჩამონერილი აქვს 20 მუხლამდე, რა როგორი გეგმით უნდა მოეწყოს და სხ.\*

ქ. თბილისის გაჯანსაღებისა და მისი ბოსტნეულ სანოვაგით მომარაგებას ეხებოდა ერთ-ერთი თვის წერილში გასულ საუკუნის მიწურულს.\*\*

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7233.

\*\* ივ. როსტომაშვილი, რით და როგორ უნდა უშველოთ ტფილისის რიყეს („ივერია“, 1899 წ. N231, 233).

# XX

## გრამატიკა



ყველა ასეთ პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმული ადგენდა გრამატიკას, ივანე როსტომაშვილის საგრამატიკო ნაშრომი ორი რვეულის სახით დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში.

ივ. როსტომაშვილი წერს: „ყველაზე უნინ შევისწავლოთ ქართული მართლწერისა და ლაპარაკის უმთავრესი კანონები, რათა თავიდანვე ვწეროთ, ვილაპარაკოთ კანონიერათ“; „ეცადეთ, რომ წერასა და ლაპარაკში არ იხმართ ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რომლებიც წმინდა ქართული არ არის, უცხო სიტყვებიდამ მარტო ის სიტყვები უნდა იხმართ, რომლებიც ესმის უმრავლესობას. ერიდეთ არხაიზმებს... ერიდეთ ნეოლოგიზმებს... ერიდეთ ბარბარიზმებს... ერიდეთ პროვინციალიზმებს... ერიდეთ პლეონაზმებს... ერიდეთ ტავტოლოგიებს... ერიდეთ პარალელიზმებს“ და სხ. და აქვე ხსნის ყველა ამ უცხო სიტყვის, აღწერს რა ალამაზებს ენას, რა ჰმატებს ლაზათს, რაშია კეთილხმოვანება ენისა და სხ.\*

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი NN7155, 7156.

# XXI

## დრამატურგია



თითქმის არავის ეცოდინება, რომ ივ. როსტომაშვილი დრამატურგიის დარგშიაც მუშაობდა. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია მისი დრამატიული თხზულებანი:

1. „დიადილოგი“, ქართველთ დასაბამის და პირველხანად მთა ადგილებში დასახლების შესახებ, რომლის უეჭველი ნიშნებიც დღესაც მრავალია ჩვენში“. ავტორი სქოლიოში აღნიშნავს, სიტყვა კავკასი ნარმომდგარია კავისაგანო.

2. „ბრძოლა ბედნიერებისათვის“ თანამედროვე ცხოვრებიდან, დაწერილია 1913 წ. 1 დეკემბერს.\*

3. **ქართლოსი** – ისტორიული დრამა სამ მოქმედებად.

მომქმედნი პირნი:

თარგამმარი – ქართლოსის მამა

ქართლოსი – ქართლის მამამთავარი

მცხეთოსი – ქართლოსის უფროსი შვილი

თინა მზე – ქალიშვილი

ჰეროსი და ეგროსი – ძმები

კედა – მგოსანი, მომღერალი, თინამზის დანიშნული.

ქალები, ვაჟები, კაცები, ბალები, დედაკაცები, მონადირენი, მოჩივარნი, ცისარტყელა, ცისარტყელისანი, აპოთეოზი.

მოქმედება სწარმოებს: პირველი – არარატის მთის ძირში, მეორე – მცხეთაში, როდესაც იქ ჯერ კიდევ არ იყო სოფელი და მესამე – ქართლოსის ციხე-ქალაქში, ახლანდელი არმაზის-წყლის სათავეში, მცხეთის სადგურის ახლო.

სურათები ჰერეთ-კახეთისა, ქართლისა და ეგრ-იმერეთის-შავი ზღვისა.

ამ დრამის წინასიტყვაობაში ავტორი წერს:

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7153.

„ვგონებ ურიგო არ იქნებოდა შეგვექმნა მთელი რიგი ისტორიულ დრამა-ტრაგედიებისა, რომლებიც ზედ-მინვენით გააცნობდნენ ჩვენს ხალხს მის წარსულსა და სხვათა შორის, თვით მის სამშობლოსაც, მის მიწა-წყალსა და ბუნებასა. ცოდნის ამ დარგიდგან დღეს დიდძალ და უღვეველ მასალას იღებს კინემატოგრაფია და, როგორც ვიცით, დიდძალ მაყურებელსაც იზიდავს მით. მგონია, ცუდი არ იქნებოდა ჩვენს თეატრშიაც შეგვეტანა სამშობლოს ისტორია-გეოგრაფია დრამა-ტრაგედიების სახით, როგორც საუკეთესო საშუალება ხალხისა და თვით თეატრის გამოცოცხლება-განვითარებისათვის. ჩვენ უმიზნოდ არ ავირჩიეთ საპირველხანოდ დრამა „ქართლოსი“. მან თვალ-ნათლივ უნდა გააცნოს ჩვენი ხალხი (დეკორაციებისა და წარმოდგენების საშუალებით) თავის ყოფილ და ახლანდელ სამშობლოს შესანიშნავ ადგილებს, დაატკბოს მისი თვალი მათი სიტურფით, განამტკიცოს მათში სამშობლოს სიყვარული და დასასრულ, გაახსენოს თვისი ვინაობა და ის წამები, როცა ქართლოსი, ეს მისი, დღეს ზღაპრად მიჩნეული წინაპარი, დიდს დარდსა და საგონებელში იყო ჩავარდნილი იმაზე, თუ რით და როგორ დაეყენებინა თვისი ერი (თემი) ახალი ცხოვრების გზაზე, სახელდობრ, სამუდამო ბინადრობაზე, სად და როგორ მოეთავსებინა იგი საბოლოოვოდ?!“ აქვე ეხება თეატრის მნიშვნელობას: „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ თეატრმა თანასწორ დიად ცოდნათა და იდეათა, თან საღი გასართობიც უნდა მიაწოდოს ხალხს. ეს კი ყველაზე უკეთ შეიძლება ხალხისავე გართობებით – თამაშით, სიმღერით, მუსიკით, ადათებით, ნადირობით და სხვა. როგორც თვით მკითხველიც დაინახავს, ეს ელემენტიც შეტანილია ჩვენს დრამაში. მისით ჩვენ ერთ და იმავე დროს ორს მიზანს მივალწევთ: ერთი, რომ ჩვენ ხალხს მოვიზიდავთ და, მეორე, რომ მით დავიცავთ და აღვადგენთ-გავავრცელებთ ჩვენი ხალხის საუკეთესო გასართობებს, საუკეთესო ხელოვნებებს.“

ეს პიესა დაიწერა იმ დროს, როცა 1905 წ. რევოლუციის ჩახშობით მეფის მთავრობა ეროვნებათა და რევოლუციონერთა სისხლით და მშრომელთა ნაოფლით ვერ გამძღარიყო, მცირე ერნი მძიმე უღლის ქვეშ ეწამებოდნენ, ჩვენი ერი ფეხქვეშ იქელებოდა, მსოფლიო ომი საერთაშორისო შემუსვრის ცეცხლს აგიზგიზებდა.

ეს უკანასკნელი პიესა მაინც, როგორც მასალა, მადლიანი რეჟისორის ყურადღებასა და უნარიანობას ელის.

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N7169.

# XXII

## პრაქტიკული საქმიანობა



როგორც ცნობილსა და ხალხის საკეთილდღეოდ მზრუნველს ივანე როსტომაშვილს, ყველა კუთხის მცხოვრებთან მინერ-მონერა ჰქონდა, ხშირად ისეთ უბრალო პრაქტიკულ საკითხების შესახებ, რომ კაცი გაოცდება.

სხვათა შორის, 1899 წ. დეკემბრის 8 ნიკოლოზ ახმეტელოვი სწერს: „საქართველოს მზრუნველო და სახსოვრათ საგონებელო საშვილიშვილოდ უფალო ივანეე როსტომოვ... გენაცვა საყვარელო ქართველთ მამულისშვილების აღმზრდელო და აკვნის მშენებელო, მამა და დედა ნებას არ მაძლევენ ქალაქს ან სიღნაღს წავიდე, – ცხოვრება დამელუპებაო... კურკო დავთესე, მინდოდა ტყე ამეშენებინა და ვერ ავაშენე... წელს ჭია დავიჭირე, მაგრამ თესლის გულისთვის იმოდენა ჩემი ნაშრომი სულ იმათ წაიღეს... ჭიანჭველამაც დიდი ზარალი მომცა, ამის წამალი არ ვიცი“...

მრავალი სამწერლო-საზოგადო საქმიანობით დატვირთული, ივ. როსტომაშვილი მაინც დროს პოულობს და ამ სოფლის გლეხს შესაფერ რჩევა დარიგებას აძლევს, წიგნებს უგზავნის და სხ.\*

იგივე ნიკო ახმეტელაშვილი მეორე წერილში სწერს:

„მის კეთილშობილებას უფალს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.

უბედური გავბედნიერდი მთელს ქვეყანაში და მეც ბედნიერება მივიღე და სხვაც შევიძინე 4 ყმანვილი კაცი, მეხუთე მე გახლავართ...

ეს ზემოხსენებული წიგნი ვიკითხე საზოგადო ხალხში სამი დღე და ჩავაბარე სოფლის მასწავლებელს უჩიტელნიცას.

მოვახსენებ თქვენს კეთილშობილებას მიპასუხებენ ყმანვილი კაცები, რომ ეს ორი კვირა, რაც არ დაგვიღვენიაო და ისე ვართ, როგორც ფრინველებიო, რომელიც გვქონდა თვალეები დაშუპებული და თავის ტკივილიო და დიდი სენიო, რომ კაპლს არა სომენ.\*\*

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N12877.

\*\* იქვე.

ჩვენო ნუგეშო, ჩვენო გამღვიძებლო, ბნელს სამარეში ვყრივართ და ვერ ამოვსულვართ. და ვთხოვ თქვენს კეთილშობილებას გაგვანთავისუფლო ამ ბნელის უფსკრულიდან და პასუხი მალე გვიბოძოთ, როცა ნათელ ქვეყანას მივახწიოთ...

... დიდი ხათაბალა ხდება სოფლებში, ქურდობა. მთვრალობის დროს მეტადრე სიკვდილი... ხალხმა ძალიან იზიანა შეუძლებლობის გამო და უსწავლელობის გამო ვალს იღებენ და ღვინოს კი არ მოიკლებენ და სხ.\*

აი რა ვითარებაში მოქმედებდა ივ. როსტომაშვილი, სხვათა შორის, ვისთან ჰქონდა საქმე.

და იგიც მოწოდებით პედაგოგი, პროფესიით მწიგნობარი მიმდინარე საქმეებს გვერდზე გადადებდა ხოლმე, სასოფლო-სამეურნეო წიგნაკების გამოსადეგ ცნობათა ბეჭდვას იწყებდა. ეს იყო მისი არა თუ დაქუცმაცება, – ტრაგედიაც, ასეთი მოვლენა დამახასიათებელი იყო იმ დროის ყველა მონინავე ქართველი მოღვაწისა... საქმე ბევრი იყო, გამკეთებელი არავინ, ან ძლიერ მცირე, და ერთი და იგივე მუშაკი ხშირად ერთსა და იმავე დროს ათას გვარ წვრილმან საქმიანობას ებლაუჭებოდა, ხურდავდებოდა... ასეთი დახურდავება რამდენადაც მოღვაწისათვის მაზარალებელი იყო, იმდენად მასისთვის საჭირო და სასარგებლო.

ასეთმა მოღვაწეობამ შორს გაუთქვა სახელი და ერთნი თუ ამცირებდნენ, მეორენი – მრავალი მრავალნი ადიდებდნენ, აბუმბერაზებდნენ.

ერთხელ პროვინციიდან ჩამოვიდა დიდად დამსახურებული მასწავლებელი გ. ბ-ძე და ვანოს ბინის კარი დაარაკუნა.

– ვინა გნებავთ?

– ივანე როსტომაშვილი.

– მე გახლავართ, – მიუგო ვანომ.

– თქვენა?! – თვალი შეაჭყიტა სტუმარმა. – ივანე როსტომაშვილი და თქვენა?! – კვლავ გაცეცებით შეათვალა იერა.

– განა არ გჯერათ?

– ისეთ გოლიათად მყვანდით წარმოდგენილი, თქვენ კი, ასეთი პატარა ტანის კაცი და იმოდენა საქმეთა მკეთებელი, ისეთი მეზრძოლი... ასეთი ტანის ადამიანი ნეტა იმოდენა ბრძოლასა და შრომას როგორ იტანთ?

ეს იყო საერთო აზრი.

---

\* საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის არქივი N12877.

# XXIII

## ოჯახი



ნიშავ, ნიკორას გაუნი,  
გული ნუ შეგიშინდება...  
**ხალხური**

ივანე როსტომაშვილის მთელი სიცოცხლე, ცხოვრება და მოღვაწეობა იყო გაუთავებელი ბრძოლა, – ბრძოლა გაჭირვებასთან, სიმშვილ-სიცივესთან, მძიმე შრომასთან, გარშემოხვეულ უსამართლობასთან, დაუნდობელ მონინალმდეგეებთან და მაინც თავისი რწმენა, რწმენა ხალხში სინათლის მოფენისა, უსამართლობის, ორპირობისა და ფლიდობის დაგმობისა სამართლის კარამდე მიჰყვამ.

ამ უთანასწორო ბრძოლას, შრომასა და ცხოვრებაში მისი განუხრელი თანამებრძოლი იყო მეუღლე მისი ელისაბედი (ლიზა).

ჯავახეთიდან 1891 წ. თბილისს გადმოსახლებული ივანე როსტომაშვილი, როგორც უკვე ზემორე გავარკვევით, სრულიად სამწერლო-საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაება, რასაც შეახმარა მეუღლის მზითვევი და თავისი პენსია. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

მრავალ შვილიან ივანეს მხოლოდ ცხოვრების სახსარი კი არა უჭირდა, ბინის დაქირავებაც. სახლის პატრონები როცა გაიგებდნენ, ბევრი წვრილი შვილი ჰყავსო, სახლში არც კი უშვებდნენ, რის გამო ლიზა შვილებს ღამ-ღამით ჩუმად შეაპარებდა ხოლმე ან დროებით სხვაგან მიაბარებდა. ხშირი იყო ისეთი დღეები, როცა პურიც კი არა ჰქონიათ საჭმელად. ამ დროს ლიზა ბავშვებს ჩურჩხელებით იოკებდა (რაც კახეთიდან ძმისგან მუდამ ბლომად ეგზავნებოდა).

და ასეთ მძიმე პირობებში ივანე როსტომაშვილი მაინც გამალებით მუშაობდა როგორც მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მებრძოლი.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობა უცებ არ ჩასახულა, – ცხრაასიანი, განსაკუთრებით 1903-1904 წწ. თანდათან ღრმავდებოდა. საჭირო იყო

არალეგალური მუშაობის გაძლიერება, საამისოდ შესაფერი ბინის მოპოვება.

და, აი, ივანე როსტომაშვილმა, ბანკის საშუალებით თვის მეუღლესთან ერთად, მეკრამიტე მუშისაგან ძლივს იყიდა ერთი ბუდრუგანა ქალაქის განაპირას, მუშა მეკრამიტეების უბანში, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად.

ეს სახლი ახლაც მთელია, ყოფ. თუმანოვის, ან ბოჭორიშვილის შეს. N24. ამ სახლში ივანემ სოციალ-დემოკრატებს გადასცა ჟურნალი „მოგზაური“ 1904 წ. გასულს.

ამ სახლს კარგად იცნობდნენ მონინავე ბოლშევიკები.

ლიზა მოგვითხრობს:

„თუ არა ვცდები, ამხანაგმა სტალინმა, მაშინ კობას სახელით ცნობილმა, თავისი ერთი თუ ორი ამხანაგით ჩვენსკენ შემოიარა. რკინისგზის დეპოში თუ ნაძალადევეში დემონსტრაცია მოუხდენიათ. ზოგმა ჩვენსა შემოაფარა თავი მემანვნის, კინტოს და სხვა ტანისამოსით. ზოგი სხვა სანდო ოჯახებში შევიდა. აქედან ბაზარში განჩნდნენ და იქ მოახდინეს მუშების გამოსვლა“.

ამ სახლში ბევრი არალეგალური საქმე გაკეთებულა. აქ იყო იარაღის და ყუმბარების საწყობი, არალეგალური სტამბა, უმთავრესად ბოლშევიკებისა და ანარქო-კომუნისტებისა.

თვით ივანე როსტომაშვილი მხოლოდ კომუნისტებს თანაუგრძნობდა. მისი უფროსი ვაჟი ანარქისტი-კომუნისტი იყო, რომელსაც რეაქციის შემდეგ ბათუმში სამხედრო-საველე სასამართლომ დარჩომა გადაუნყვიტა, შემდეგ კატორგად შეუცვალეს.

იმ დღის შემდეგ, როცა ივანემ თავისი ჟურნალი სოციალ-დემოკრატებს გადასცა, ამ სახლს ჟანდარმერია ყოველ კვირა თუ არა, ყოველ თვე მაინც ჩხრეკავდა, ოჯახს აწიოვებდა. მთელი ოჯახი რევოლუციონერებათ იყო ცნობილი.

უფროსი ვაჟი დავითი 1906 წ. უკვე კატორგაში იყო გაგზავნილი, უმცროსი ნიკო 15 წლისა, პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილი, ძლივს გამოგლიჯეს ჯალათებს, განკურნეს და საზღვარ გარეთ გააპარეს, რომ ამას მაინც ესწავლნა. ქალთაგან უფროსი ბაბო სამსახიობო სკოლას ამთავრებდა (შემდეგში სათეატრო ასპარეზზე დაიწყო მოღვაწეობა), მეორე, ტასო – თავისი ძუძუთა ბავშვით მასწავლებლად წავიდა ქიზიყის სოფ. ზემო-მაჩხაანსა და მირზაანს (ამ ჟამად სათეატრო მუზეუმის თანამშრომელი), მესამე ქალი – 15 წლის გოგონა ნინო ოჯახის წამებულნი ცხოვრების, ხშირად აწიოვებასა და ძმის გაციმბირებისა გამო გულგახეთქილი, ქლექმა იმსხვერპლა, სახლში დარჩენილი ვაჟი ვახტანგი და ქალი მარო სასწავლებ-

ლიდან გამოურეკეს, როგორც რევოლუციურ ოჯახის შვილნი (ამ ჟამად ვახტანგი სამნერლო უნარს იჩენს, – „ოქტომბრელ“-ში თანამშრომლობს, მარო თავიდანვე რევოლუციური განწყობილებისა, ექთანი, მსოფლიო ომის დროს ომში წაიყვანეს მონყალების დად, მაგრამ მოითხოვა, ოფიცრებს ვერ მოუვლიო ჯარის კაცებთან გამგზავნეთო. ამ ჟამად მეუღლე ექიმ ჯაფარიძისა)... თვით ივანე იძულებული ჰყვეს ქართული ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლობისათვის თავი გაენებებინა.

ასეთ მძიმე განსაცდელის ჟამს ივანე როსტომაშვილი მაინც სულით არ დაეცა, ხელი მიჰყო საბავშვო მოთხრობების წერას ჟურნ. „ნაკადულ“-ში.

ზევით უკვე მოვიხსენიეთ გაზ. „სინათლე“-ს რედაქტორობისა და არსებული ნყობილების განსჯისათვის რა ბედი ეწვია.

ივანე როსტომაშვილი ციმბირს იგზავნებოდა. ლიზას ყელში ბოღმა მონვა: 60 წლის მოხუცი განა ციმბირს უწევს, – არა, ეს გზაშივე მოკვდება, უნდა ვილონო რამეო და პეტროგრადის (ლენინგრადის) ცნობილ ვექილს, ივანე როსტომაშვილის ნამონაფარის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის წყალობით, ციმბირს გადაარჩინა და მალე ციხიდანაც დაიხსნა, რისთვისაც პეტროგრადასაც უნია დიდის გაჭირვებით.

პეტროგრადიდან დაბრუნებულმა ლიზამ თბილისში ქუჩაზე მიმავალი აკაკი შენიშნა, გზა აუქცია – არ შევანუხოო.

აკაკიმ შეაჩერა:

– მოიცა, მოიცა, სად მიხვალ? მოდი, ხელზე გაკოცო, რომ ასე ყოჩაღად მოიქეცი და ვანო ციმბირში გადალუპვისგან დაიხსენი.

– მე კი არა, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა დაიხსნა.

– არა, შენ რომ არ წასულიყავ, მაინც არ ეშველებოდა, – მიუგო აკაკიმ.

აი, ამას ჰქვიან ნამდვილი მეუღლეობა...

# XXIV

## სინათლე, გეჰი სინათლე!..



*ვერ დაიჭირავს სიკვდილსა*

*გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი...*

*შოთა რუსთაველი*

1924 წ. ზაფხულის მეორე ნახევარში საშინელი სიცხის ბული იდგა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩემი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს საღამო უნდა გამართულიყო ბორჯომში. აქ ხელოვნების შესახებ მოხსენება უნდა გამეკეთებინა და ვემზადებოდი.

გამგზავრების ორი საათით ადრე ზაქარია ჭიჭინაძემ მომწერა: ვანო ძლიერ ავადაა, შენს ნახვას ნდომობსო.

გავიქეცი.

ქუჩის პირას ოთახში ფანჯარასთან ახლო სანოლში იწვა, თითქმის ოთხად მოკეცილი, ბურთს დამგვანებოდა.

საბან ქვეშიდან შემომხედა, მიცნო და იამა, თითქო მოიხედა კიდეც.

– შენ ვინა და ასე ლოგინად ჩავარდნა, – ყოჩაღად იყავ, ვანო, ყოჩაღად!

– ეჰ, ჩემო იოსებ, ხეს რომ ჭია გაუჩნდება, წასულია მისი საქმე. სამარის კარს მივდგომივარ... ვიცი, დღეს არა, ხვალ მოვკვდები... გული იმაზე მეთანალრება, რომ ჯერ კიდეც ბევრი რამ დამრჩა გასაკეთებელი.

– კიდეც 30 შვილის გაჩენა განა?! – გავეხუმრე, რადგან გაგონილი მქონდა, რომ ივანემ ორმოციოდე წლის წინად ინგილოელთ აღუთქვა, 38 შვილს გავაჩენ თქვენი შურის საძიებლადო, როცა ინგილოელთაგან მთავრობამ 38 კაცი გადაასახლა.

– უფრო მეტიც, – მომიგო სევდიანი ღიმილით. – ხუმრობა იქით იყოს, საჭიროა ქართველთა გამრავლება... ნიჭიერი ხალხია. ჯერ კიდეც, ვინ იცის, რამდენ ნიჭს წარმოშობს ჩვენი ხალხი... ჰო, გულს ის მიკლავს, რომ ამ ახალგაზრდობის ფერხულში მე აღარ ვიქნები და რაც მინდოდა იმას ველარ გავაკეთებ...

– განა ცოტა გაგიკეთებია?! ნეტავი შენი ნაშრომის ნახევარი სხვამ შეიძლოს.

– უფრო მეტს შეიძლებენ, ჩემო იოსებ... მოვლენ ახალი მუშაკები, სწავლა-განათლების სხივები ჩვენს ქვეყანას მოეფინება, წინანი ჩამოდგებიან, უკანანი წამოიწ...  
– კარგი, დაწყნარდი! – უთხრა ლიზამ და საბანი გაუსწორა...

– წამოინევიან... იმათ ჩვენსავით ნარ-ეკალი არ ექნებათ გასაკაფი... შიშველი ხელით ეკლის გლეჯა არ მოუხდებათ... ცხოვრება განახლება... მზე დიდებული აღმობრწყინდება, მზე კომუნიზმისა...

ამ დროს სახეზე შუქი მოადგა, ლიზამ ფანჯრის დარაბა ოდნავ მიხურა, რომ ვანოს სხივისთვის შუქი აერიდებინა, ვანომ თვალები მიაპყრო და უთხრა:

– რას ხურავ, გააღე, სინათლე შემოვიდეს... სინათლე, მეტი სინათლე! სიბნელე იქ სამარეშიც მეყოფა... იოსებ ჩემო, გამადლობ ნახვისთვის, იცოცხლე... შენ ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლებ, შრომა არ შეანელო... ეცადე ჩვენს ხალხში სინათლე ჰფინო, მეტი სინათლე... ყურნალი არ შეაჩერო... ეგ დიდი იარაღია ხალხის აღზრდისა...

– როგორ უყურებ, ვანო, ჩვენი ხალხის მომავალს?

– დიდი რწმენით... ჩვენი ქვეყანა აღსდგება, გარდაიქმნება, სოციალიზმი დამყარდება... კომუნიზმი გაიმარჯვებს და ხალხიც სრულ სიტკბობას მხოლოდ მაშინ იგრძნობს.

ჯანსაღობა უსურვე და გამოვემშვიდობე...

უკანასკნელმა სენმა – კუჭის კიბომ, იერიში მიიტანა და ვანომ 1924 წელს აგვისტოს 27 საუკუნოთ თვალი დახუჭა. ეს ამბავი გაზეთებში ამოვიკითხე ბორჯომში.

გაზ. „კომუნისტმა“ 1924 წ. აგვისტოს 28 N195 (1050) ქრონიკაში გამოაცხადა:

„ი. როსტომაშვილის გარდაცვალება. გუშინ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი საზოგადო მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი“.

გაზ. „მუშა“ (1924 წ. 29 აგვისტო, N531): „ივ. როსტომაშვილის გარდაცვალება. 27 აგვისტოს, შუადღის შემდეგ ორნახევარ საათზე ტფილისში თავის სახლში, გარდაიცვალა დამსახურებული მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი“.

გაზ. „კომუნისტი“-ს 1924 წ. 30 აგვისტოს N197 (1052) სამგლოვიარო განცხადება:

„ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს მათ ძვირფას მეგობრის ივანე პავლეს ძე როსტომაშვილის გარდაცვალებას“.

აქვე იყო ოჯახის განცხადება.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ამხ. ფ. მახარაძის სახით, ივ. როსტომაშვილის დასაკრძალავად 300 მან. გადასდო, ხოლო მის ოჯახობას პერსონალური პენსია დაუნიშნა.

დაიკრძალა 31 აგვისტოს დიდუბის პანთეონში. სამარესთან სიტყვები წარმოსთქვეს ზაქარია ჭიჭინაძემ და პროლეტ მწერალმა – მუშა-ასოთ ამწყობმა კოლა გულიაშვილმა, რომელმაც, სხვათა შორის, ივ. როსტომაშვილს უთხრა: „შენ, იმდენად გიყვარდა მუშები, რომ ციხიდან გამოსვლისთანავე, სახლში მისვლამდე, ჩვენთან, მუშებთან სტამბაში მოხვედი და ჩვენი შრომის ვალი გადაგვიხადე: თქვენი ვალის გამო ციხეში მუდამ ვნუხდით, მაპატიეთ, რომ ჩემს უნებლიედ ვალი აქამდე ვერ გადაგიხადეთ“.

ნ თვის თავზე იოსებ არიმათიელის ფსევდონიმით ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ში (1925 წ. N5) ვუძღვენი წერილი „შრომის სიმბოლო“, რომელშიაც, სხვათა შორის, ვწერდი: „მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე – 1874 წ.-1924 წ. – ეს ტანით პატარა, სულით მთლიანი ადამიანი, სულის ამოსვლამდე, კაცთადმი უაღრესი რწმენით აღსავსე, ჭაბუკურის გატაცებით აზროვნებდა, მუშაობდა – სწერდა, საქმიანობდა.

– „მეტი სინათლე ხალხს, ცოდნა ყველას ყველასი, ურთიერთი სიყვარული და შეუჩერებელი, პატიოსანი შრომა ადამიანთა საბედნიეროდ!“ – აი მისი მცნება“ („თეატრი და ცხოვრება“, 1925 წ. N5, გვ. 12).

სამარეზე მეტად ორიგინალური ძეგლი უდგას: მთლიანი ქვისაგან გამოკვეთილი, მთელი დასტა წიგნებისა სანერ-კალამით.

უკეთეს ნივთიერ ძეგლსაც ვერ შეუთხზავდნენ ვანოს, მაგრამ იგი უფრო უკვდავია იმ დიდი მადლიანი შრომით, რომელიც ჩვენს ქვეყანას დასდო სამნიგნობრო, სამასწავლებლო და საზოგადოებრივ მუშაობით.

ერთი მასწავლებლის თქმის არ იყოს, ივანე როსტომაშვილი ნამდვილი რევოლუციონერი მასწავლებელი იყო, ხოლო მასწავლებლობიდან თვითონ მივიდა სოციალიზმის შეგნებამდე...

სამშობლო ქვეყანას გაუწია მრავალმხრივი სამსახური.

ყველა საზოგადო მუშაობის გარდა, დასტოვა შთამომავლობა 20 სულამდე.

ჭეშმარიტად, როგორც ილია იტყვის: „აღასრულა მან თვისი ვალი“.

და არც მკვდრათ იხსენიება, რადგან იმავე დიდი ილიას სიტყვით:

„მკვდრათ იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია!..“

1939 წ. 7 დეკემბერი.

### ივ. როსტომაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა

ივ. როსტომაშვილის ნაშრომ-ნაწერი, ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული და ცალკე გამოცემულნი, ორასზე გაცილებით მეტია (სია დართული აქვს ამავე წიგნის ავტორს – იოსებ იმედაშვილის მიერ საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმში ხელნაწერად წარდგენილი ივ. როსტომაშვილის მონოგრაფიას. იქვეა ივ. როსტომაშვილის წინააღმდეგ, ანუ შესახებ ნაწერთა სია გამოცემათა აღნიშვნით, გასამართლების განაჩენი, ხოლო არქივი დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

ივ. როსტომაშვილის ფსევდონიმთა და ხელმოწერათაგან ჯერ-ჯერობით ცნობილია:

ივანე როსტომაშვილი უმეტესად სრული სახელ-გვარით სწერდა, მაგრამ ფსევდონიმსა და შემოკლებით მინაწერებსაც ხმარობდა:

კახთ კახოსი („დროება“, 1882-84 წწ.)

ვანო, თქვენი ვანო („ივერია“, 1877-78 წწ.)

დიზრაელი, X, XX („მოგზაური“ 1903-04 წწ.)

რ., ივ. როსტ. („სინათლე“-ში) და სხ.

### ივანე პავლეს ქი როსტომაშვილის ნაშრომ-ნაწერები

1. „დროების“ კორრესპონდენცია („დროება“, 1875 წ. N110).
2. „დროების“ კორრესპონდენცია. კახი, იანვრის 25-ს. („დროება“, 1876 წ. N12).
3. არითმეტიკული გამოცანები. სახალხო შკოლებისთვის და მშობლებისთვის დამატებით ბუნების მეცნიერებებამ. თბ. 1876 წ. 48 გვ., 10 კ. გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან.
4. კახის შკოლა საინგილოში („დროება“, 1877 წ. N27-28).
5. „ივერიის“ რედაქციას („ივერია“, 1877 წ. N41, გვ. 16).
6. კახის კვირის შკოლა („სასოფლო გაზეთი“, 1877, N23, გვ. 4-5).
7. კახის უჩასტკა (ზაქათალის მაზრაში) („ივერია“, 1878 წ. N11, გვ. 3-5; N12, გვ. 5-7).
8. კახის უჩასტკიდან („ივერია“, 1878 წ. N14, გვ. 4-5).
9. კახიდან („ივერია“, 1878 წ. N14, გვ. 7-8).
10. ზაქათალის მაზრა („ივერია“, 1878 წ. N16, გვ. 4-5).
11. კახის უჩასტკა („ივერია“, 1878 წ. N16, გვ. 7-8).

12. ერთი დღე კახის საკვირაო შკოლაში („ივერია“, 1878 წ. N19, გვ. 2-3).
13. ალიბეგლოს შკოლა (კახის უჩასტკაში) („ივერია“, 1878 წ. N20, გვ. 4-5).
14. კახი („ივერია“, 1878, N21, გვ. 1-3).
15. ჩვენი შკოლა („ივერია“, 1878 წ. N29, გვ. 6-9).
16. ორიოდ სიტყვა ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურაზე („ივერია“, 1878 წ. N30, გვ. 9-12).
17. გამომშვიდობება და ჩემი ანდერძი („დროება“, 1878 წ. N170-172).
18. როგორი სწავლა ანუ როგორი ცოდნა გვეჭირება ჩვენ? (ვუძღვნი საქართველოში წერა-კითხვის გავრცელების საზოგადოებას („დროება“, 1879 წ. N47, N49).
19. ცოდნანი თავის თავის თვით-შენახვისათვის („დროება“, 1879 წ. N48).
20. ერთი საყურადღებო საქმე (მეურნეობის გავრცელება ხალხში) („დროება“, 1879 წ. N89).
21. ორიოდ სიტყვა ი. ი. წინამძღვრის-შვილის სკოლაზე („დროება“, 1881 წ. N3).
22. ტფილისელ ქართველების მიმართ („დროება“, 1883 წ. N38).
23. სოფლის ფოსტა თელავის მაზრაში („დროება“, 1884 წ. N10).
24. „დროების“ კორრესპონდენცია. კახეთი. („დროება“, 1884 წ. N38).
25. სმაილსი. თვით-მოქმედება. თარგმანი ივ. როსტომაშვილისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. თფილისი, 1885 წ. გვ. 89; მეორე გამოცემა, ტფილისი, 1910 წ.
26. სმაილსი. თვით-განვითარება. თარგმანი ივანე როსტომაშვილისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, თფილისი, 1887 წ.
27. შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება, ტფილისი, 1893 წ., ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, 36 გვ., ფ. 5 კ.
28. Чтение как основа обучения и развития («Вестник воспитания», Москва, 1893 г. №8, стр. 77-108, Ив. Ростомовъ-ის ხელმოწერით).
29. საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრის დაფუძნების საჭიროება თბილისში („ივერია“, 1894 წ. N192, შეცდომით აწერია N191).
30. სასოფლო შკოლა და იმისი მნიშვნელობა („კვალი“, 1895 წ. N3, გვ. 2).
31. სასოფლო შკოლა უნდა იყოს სახალხო („კვალი“, 1895 წ. N6, გვ. 11-13).

32. განცხადება ქართული წიგნების გამოცემაზე („კვალი“, 1895 წ. N36, გვ. 16).
33. როგორ უნდა მოეწყოს სასოფლო სკოლები („ივერია“, 1895 წ. N23-N24).
34. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და იმისი დანიშნულება („ივერია“, 1895 წ. N68-N69).
35. ახალი სხივი სწავლა-განათლებაში („ივერია“, 1895 წ. N91).
36. ქართული ანბანი. 18 სურათით. ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი. N1. ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად. ტფილისი, 1895 წ. 32 გვ.
37. „სოფლის მოღვაწენის“ რეცენზეტს („ივერია“, 1896 წ. N15).
38. ბ-ნ რ. სოლოლაკელს („კვალი“, 1896 წ. N44, გვ. 795).
39. ქართულის წიგნების გამომცემელი „შუამავალი“ („ივერია“, 1897 წ. N74).
40. სახალხო წიგნების გამოცემის გამო („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N182).
41. სალარო ცოდნისა. რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი ივ. როსტომაშვილის რედაქციით. ა, ბ, გ, ვ, 831 გვ., თბ., 1898 წ.-1899 წ.
42. მე გახლავარს („ივერია“, 1898 წ. N123-124).
43. სამელიორაციო ბანკი თუ საერო ბანკები? („ივერია“, 1899 წ. N21).
44. რით და როგორ უშველოთ ტფილისის რიყეს? („ივერია“, 1899 წ. N231, 233).
45. [მკითხველს] („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 1-8).
46. ფუძე ქართლისა – ციხე ქართლოსისა, არმაზისა („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 12-19).
47. ჯაჭვის წმ. ჯვრის მონასტერი („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 19-26).
48. სოფელი ბარაღეთი („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 26-31).
49. მურჯახეთისა და განძის სვეტები („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 31-34).
50. ბელტის ციხე („მოგზაური“, 1901 წ. N1, გვ. 34-35).
51. სახალხო ისტორია საქართველოსი („მოგზაური“, 1901 წ. N1-4, 8-9 – 1902 წ. N1, 5, 7-8).
52. შეუსაბამო ცნობანი ისტორიაში („მოგზაური“, 1901 წ. N2, გვ. 95-99).
53. სოფ. კუმურდო და მისი დიდებული ნაშთი („მოგზაური“, 1901 წ. N2, გვ. 100-114).

54. გლაუბერის მარილის ქარხანა („მოგზაური“, 1901 წ. N2, გვ. 115-119).
55. გზა და გზა: თბილისიდან საგარეჯომდის („მოგზაური“, 1901 წ. N2, გვ. 120-127).
56. სასიამოვნო ამბავი („მოგზაური“, 1901 წ. N3, გვ. 197-199).
57. სიონის ტაძარი თბილისში, ს.-ა. მხრიდან („მოგზაური“, 1901 წ. N3, გვ. 200-208).
58. სოფელ ყაურმის საყდარი („მოგზაური“, 1901 წ. N3, გვ. 209-211).
59. სოფელი უჯარმა, უჯარმო („მოგზაური“, 1901 წ. N3, გვ. 212-216).
60. გორგასლანის ციხე-დარბაზი („მოგზაური“, 1901 წ. N3, გვ. 217-220).
61. ქ. თბილისი („მოგზაური“, 1901 წ. N4, გვ. 295-308).
62. სოფ. ფოკა და მისი ნაშთი („მოგზაური“, 1901 წ. N4, გვ. 311-316).
63. ქსნის-მტკვრის ციხე („მოგზაური“, 1901 წ. N5, გვ. 399-402).
64. სოფელი საერო და მისი ნაშთი („მოგზაური“, 1901 წ. N5, გვ. 403-406).
65. პატარა კახი (მერე ირაკლი ახალ-გაზდობაში) („მოგზაური“, 1901 წ. N6-7, გვ. 525-527).
66. სოფ. ნინო-წმინდა და მისი ნაშთი („მოგზაური“, 1901 წ. N6-7, გვ. 529-532).
67. ვარძიის მონასტერი მესხეთში (ახალციხის მაზრაში) („მოგზაური“, 1901 წ. N6-7, გვ. 533-536).
68. დარიალი ანუ დარიალის ხეობა („მოგზაური“, 1901 წ. N8-9, გვ. 733-735).
69. ჯავახეთი („მოგზაური“, 1901 წ. N8-9, გვ. 736-739).
70. მცხეთა და მისი ნაშთი („მოგზაური“, 1901 წ. N10, გვ. 925-933).
71. კოჭრის-ციხე. ვერანას-ციხე („მოგზაური“, 1901 წ. N11, გვ. 1015-1017).
72. ლაფის ვულკანები ანუ ახტალა სოფელ გურჯაანში („მოგზაური“, 1901 წ. N11, გვ. 1018-1019).
73. ას-წლოვანი ნაკერჩხლის ქვეშ სოფელ ბაკურციხეში (კახეთში) („მოგზაური“, 1901 წ. N11, გვ. 1019-1021).
74. არარატის მთა („მოგზაური“, 1901 წ. N12, გვ. 1112-1116).
75. კავკასი, კავკასის მთები, კავკასიის მთაგრეხილი, ქედი („მოგზაური“, 1901 წ. N12, გვ. 1117-1123).
76. ვერის ხევი ანუ სკვირეთისა („მოგზაური“, 1902 წ. N1, გვ. 4-17).
77. საკვირაო გაზეთს „კვალს“ („მოგზაური“, 1902 წ. N1, გვ. 73).

78. ამერიკის სიძველენი („მოგზაური“, 1902 წ. N2, გვ. 79-80).
79. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, თბ., 1902 წ. გვ. 16, ფ. 5 კ.
80. სოფელი მეტეხი და მისი ნაშთი („მოგზაური“, 1902 წ. N9-10, გვ. 683-686).
81. რისგან სნეულდებიან და იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები (დ-რის ფიშერისა) („მოგზაური“, 1902 წ. N11-12, გვ. 762-781).
82. რისგან იხოცებიან და სნეულდებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები. თარგმანი ივანე პ. როსტომაშვილისა. თბილისი, 1902 წ. 22 გვ. 5 კაპ.
83. ნერგი ანუ ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი. ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად, თბ. 1902 წ. 50 გვ. დასურათებული. იგივე – ნელინადი მეორე, ხალხური ზღაპრებით, იგავ-არაკებით და უმეტეს ხალხური ლექსებით, 41-90 გვ., იგივე ქართული წერა-კითხვის შესასწავლად სრული სახელმძღვანელო სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის. ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა, ადვილად და საფუძვლიანად. მესამე წლის წიგნი. თბ. 1906 წ. გვ. 93-160.
84. მეურნეობა და ახალი სკოლა. თბილისი, 1902 წ. გვ. 44, ფ. 5 კაპ.
85. პურის ბოსტანი. მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით. თბილისი, 1902 წ. 50 გვ., 7 კაპ.
86. რა არის გონებითი გახსნა-განვითარება. თბილისი, 1902, 16 გვ., 5 კაპ.
87. გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა (ეტტელის, ელაგინის, პოპოვის და სხვათა წიგნებიდან შედგენილი) ივ. როსტომაშვილის მიერ. 1903 წ. 50 გვ. 15 კაპ. სურათებით.
88. რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? (დ-რის ფიშერის წიგნიდამ). ივ. როსტომაშვილის თარგმანი. 1903 წ. 24 გვ. 5 კაპ.
89. სულით ავათმყოფი მოსწავლენი (დ-რ ნელლერისა და უფერის წერილებიდან). ივ. როსტომაშვილის თარგმანი. 1903 წ. 21 გვ. 5 კაპ.
90. პურის ბოსტანი. მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 49-76).
91. გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 77-124).
92. რა არის დოსტაქრობა ანუ როგორ არჩენენ ადამიანებს დანით? (დ-რის ფიშერის წიგნიდამ) („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 159-175).

93. მეურნეობა და ახალი სკოლა („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 3-37).
94. ორი დღე ბაქოში („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 25-28).
95. ბიბლიოგრაფია („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 45-55).
96. ჩემი სიტყვა 14-ს იანვარს ყოფილს კრებაზედ თქმული კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში („მოგზაური“, 1903 წ. N1-2, გვ. 56-64).
97. სულით ავათმყოფი მოსწავლენი (დ-რ ნელლერისა და უფერის წერილებიდან) („მოგზაური“, 1903 წ. N3-4, გვ. 183-201).
98. სახალხო სკოლა ჩვენში და სწავლა-განათლების მოწყობა მასში („მოგზაური“, 1903 წ. N7-8, გვ. 498-509).
99. ჩამორჩენილი მოსწავლენი („მოგზაური“, 1903 წ. N7-8, გვ. 510-513).
100. რა სახისა უნდა იყოს საზოგადოდ სახალხო სკოლა და როგორ უნდა მოეწყოს იგი ჩვენში თუ („მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 604-614, „ივერია“, 1903 წ. N133).
101. მძინარა პედაგოგს („ივერია“, 1903 წ. N179; „მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 699-707).
102. ძველი სკოლის და მისი არარაობის ერთგულს დამცველს ბ-ნს ლ. ბოცვაძეს („მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 708-712).
103. ბ-ნთ სიტყვას, გოგებაშვილს და სხვათ („მოგზაური“, 1903 წ. N9-10, გვ. 712-722).
104. აღზრდა ერისა და საზოგადოებისა: ურთიერთობის გრძნობის აღზრდა ერში („მოგზაური“, 1903 წ. N11-12, გვ. 794-802).
105. მეფე ლამზა, ზღაპარი (სურათებით), თბ. 1903 წ., 32 გვ., 7 კ.
106. Новая народная школа и основа ея развития и существования, Тифл. 1903 г. 23 с., ц. 10 к.
107. გრძნობათა და ნერვების აღზრდა („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 3-5).
108. აღზრდა ერისა და საზოგადოებისა. პიროვნების (ინდივიდუალობის) გახსნა ერში („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 10-13).
109. პედაგოგიური ეტიუდი („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 49).
110. ქალაქი და სოფელი („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 111-124).
111. საგლეხო მეურნეობა და სესხის საქმე რუსეთში. თარგ. („მოგზაური“, 1904 წ. N1-2, გვ. 50-52; N3-4, გვ. 210-218). შენიშვნა [ანთიმოზ ჯუღელის წერილის გამო სკოლის შესახებ] („მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 167-170).
112. პროვიზორს ი. ალხაზიშვილს („მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 300-302).

113. მშობიარეთა და ახლად-შობილ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებანი („მოგზაური“, 1904 წ. N5-6, გვ. 307-309).
114. მოსწავლეთა მოქანცვა („მოგზაური“, 1904 წ. N5-6, გვ. 309-311).
115. ღვთისა და კაცთა ნათესავის გულისათვის („მოგზაური“, 1904 წ. N5-6, გვ. 311-312).
116. სიტყვა, თქმული ივანე როსტომაშვილის-მიერ 27 ენკენისთვეს 1904 წ. სტეფანე კონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს („მოგზაური“, 1904 წ. N7-8).
117. სახალხო მოღვაწენი ანუ თვით-ნასწავლები ჩვენში და რუსეთში („მოგზაური“, 1904 წ. N7-8, გვ. 488-503).
118. დიდი ნათელი ძველის ქვეყნისა. სოკრათი („მოგზაური“, 1904 წ. N7-8, გვ. 539-562).
119. ახალი მიმართულება სამკურნალო მეცნიერებაში („მოგზაური“, 1904 წ. N7-8, გვ. 566-584).
120. ჩვენი მწერლები და მწერლობა („მოგზაური“, 1904 წ. N7-8, გვ. 585-598).
121. თემი და ერი („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 1).
122. ერი და კაცობრიობა („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 2-3).
123. ისტორია მუშათა კითხვისა (მ. სობოლევის წერილიდამ) („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 3-7).
124. დედაენა, როგორც წარმართობის დამწერგველი ჩვენს მოზარდთაობასა და ხალხში („მოგზაური“, 1905 წ. N1, გვ. 12-14).
125. ბუდდა და მისი სწავლა ცხოვრება – სიცოცხლეზედა. ბუნებრივი რჯული. თბილისი, 1905 წ. 30 გვ. [ფ. ა.].
126. შინაური საქონელის და მეწველი ძროხის მოვლა-მოშენება-მონველა, თბ. 1910 წ. 32 გვ. ფ. 10 კაპ.
127. თბილისი, 30 დეკემბერი („სინათლე“-ს მეთაური) („სინათლე“, 1910 წ. N1).
128. „სინათლე“ გაზეთის მკითხველებს („სინათლე“, 1910 წ. N1).
129. ურთი-ერთობა („სინათლე“, 1910 წ. N2).
130. თბილისი, 1 იანვარი („სინათლე“, 1911 წ. N3).
131. ერთ-სახელობა და მრავალსახეობა („სინათლე“, 1911 წ. N3).
132. საქართველოს ბუნების და მიწა-წყალს ჯერ კიდევ ბევრი უკლია სისრულემდის („სინათლე“, 1911 წ. N4).
133. საზოგადოების ისტორია შრომისა და მუშის ისტორია არის („სინათლე“, 1911 წ. N5).
134. ერთობა ღვთაებაა, თავყვანი ეცით მას („სინათლე“, 1911 წ. N6).

135. დღეს დაქსაქსულნი ვართ („სინათლე“, 1911 წ. N7).
136. „ერთობა-კავშირის“ დანიშნულება-მოქმედება („სინათლე“, 1911 წ. N8).
137. ძირითადი საშუალება („სინათლე“, 1911 წ. N9).
138. სამეურნეო-სამრეწველო აგარაკნი („სინათლე“, 1911 წ. N10).
139. ნადული წყლის უებრობა-სარგებლობა („სინათლე“, 1911 წ. N10-11).
140. ქართველებს გიორგიანებს გვეძახიან („სინათლე“, 1911 წ. N11).
141. რითა სურთ უშველონ რუსეთსა? („სინათლე“, 1911 წ. N12).
142. გლესს მარტო მინა არა სჭირია?! („სინათლე“, 1911 წ. N13).
143. ახალი ცხოვრება-მოქმედების მონესრიგება („სინათლე“, 1911 წ. N14).
144. მეცნიერები და მოღვაწენი („სინათლე“, 1911 წ. N15).
145. საფუძველი („სინათლე“, 1911 წ. N16).
146. თავისუფალი დრო ანუ მოცლა (?) („სინათლე“, 1911 წ. N17).
147. „სახალხო გაზეთი“ და „სინათლე“ („სინათლე“, 1911 წ. N18).
148. ფული და ერთმანეთის დამხმარე კავშირები („სინათლე“, 1911 წ. N19).
149. რით და როგორა? („სინათლე“, 1911 წ. N20).
150. სესხი და მისი უარყოფითი ღირებანი („სინათლე“, 1911 წ. N21).
151. ძველი ხალხების იდეალი იყო ფულით ესარგებლად („სინათლე“, 1911 წ. N22).
152. გასესხება („სინათლე“, 1911 წ. N23).
153. ფული და ადამიანი („სინათლე“, 1911 წ. N23).
154. კვლავ ფული და ადამიანი („სინათლე“, 1911 წ. N25).
155. ურთიერთ დახმარება, ურთიერთ შემწეობა („სინათლე“, 1911 წ. N26).
156. მეცნიერება და ურთიერთ დახმარება („სინათლე“, 1911 წ. N27).
157. კვლავ ურთიერთ დახმარება („სინათლე“, 1911 წ. N28).
158. კაპიტალისტური წარმოება და შრომის განაწილება („სინათლე“, 1911 წ. N29).
159. დიდი და მცირე მწარმოებელნი („სინათლე“, 1911 წ. N30).
160. ურთიერთ დამხმარე კავშირის მოწყობა („სინათლე“, 1911 წ. N31).
161. როგორ დავიღუპე თვით მე? („სინათლე“, 1911 წ. N32).
162. რას ამბობენ ჩვენი შემწე კლასების წინააღმდეგ? („სინათლე“, 1911 წ. N33).
163. ღარიბები ისევ ღარიბებად დარჩებიანო! („სინათლე“, 1911 წ. N34).

164. მშობლიური ენის სკოლები, როგორც პირველი საფეხურის სკოლები სწავლისა („სინათლე“, 1911 წ. N40-42).
165. თბილისი, 19 თებერვალი („სინათლე“, 1911 წ. N42).
166. იაფად დამუშავება მიწისა ივანე ოვსინსკის წესით, რომელიც იძლევა მოუცდენელ მოსავალს („სინათლე“, 1911 წ. N43).
167. ვაჭრობა („სინათლე“, 1911 წ. N46).
168. ნამდვილი ვაჭრობის დანიშნულება („სინათლე“, 1911 წ. N47).
169. მეცნიერება და ვაჭრობა („სინათლე“, 1911 წ. N48).
170. მწარმოებელთა და მომხმარებელთა შემაკავშირებელი ვაჭრობაში იგივე ფულია („სინათლე“, 1911 წ. N49).
171. ჩვენი პროექტი ვაჭრობის მონესრიგებისა („სინათლე“, 1911 წ. N50).
172. სხვა ყოველნაირი ვაჭრობაც ასევე უნდა მოეწყოს („სინათლე“, 1911 წ. N51).
173. უკანასკნელი საშუალება („სინათლე“, 1911 წ. N52-53).
174. „ახალი საქმეს“ (პასუხი) („სინათლე“, 1911 წ. N54).
175. ახალი სკოლა („სინათლე“, 1911 წ. N54, 57-59).
176. ერთობის ძლიერება („სინათლე“, 1911 წ. N55).
177. კვლავ ერთობა, შეკავშირების ძლიერებაზე („სინათლე“, 1911 წ. N56).
178. განთიადი („სინათლე“, 1911 წ. N59).
179. იაფ-ფასიანი ნიშნების და გაზეთების გამომცემო ამხანაგობა რწმუნებაზე („სინათლე“, 1911 წ. N60).
180. დიდ-მნიშვნელოვანი დანყობილება („სინათლე“, 1911 წ. N64).
181. ჩვენს ქალებს („სინათლე“, 1911 წ. N67).
182. ორიოდ სიტყვა ჩვენს ორ ახალ ამხ. საზოგადოებაზე („სინათლე“, 1911 წ. N68).
183. აგრიკულტ („სინათლე“, 1911 წ. N74).
184. კიდევ ერთხელ („სინათლე“, 1911 წ. N80-84).
185. ბიბლიოგრაფია (ივ. ელიაშვილისა) („სინათლე“, 1911 წ. N85).
186. მკითხველს („სინათლე“, 1911 წ. N86).
187. ორიოდ სიტყვა ბ-ნ რ. ლიახველს („სინათლე“, 1911 წ. N98).
188. ცოტა რამ ისტორიიდან („სინათლე“, 1911 წ. N100).
189. პროფესორთა მომზადება („სინათლე“, 1911 წ. N104).
190. თბილისი, 2 სექტემბერი, 1911 წ. მკითხველს („სინათლე“, 1911 წ. N106). „რედაქტორობის განახლება, ახალი გეგმა“.
191. თბილისი, 3 სექტემბერი, 1911 წ. ხალხთა ურთიერთობისთვის („სინათლე“, 1911 წ. N107).

192. თბილისი, 4 სექტემბერი, 1911 წ. იმავე საკითხზე („სინათლე“, 1911 წ. N108).
193. თბილისი, 6 სექტემბერი, 1911 წ. რკინისგზის შესახებ („სინათლე“, 1911 წ. N109).
194. თბილისი, 7 სექტემბერი, 1911 წ. რკინიგზების შესახებ („სინათლე“, 1911 წ. N110).
195. თბილისი, 8 სექტემბერი, 1911 წ. რკინიგზების შესახებ („სინათლე“, 1911 წ. N111).
196. თბილისი, 10 სექტემბერი, 1911 წ. საზღვაო მიმოსვლა („სინათლე“, 1911 წ. N112).
197. თბილისი, 13 სექტემბერი, 1911 წ. საზღვაო და სამდინარო მიმოსვლა („სინათლე“, 1911 წ. N113).
198. თბილისი, 14 სექტემბერი, 1911 წ. ფოსტა-ტელეგრაფის შესახებ („სინათლე“, 1911 წ. N114).
199. თბილისი, 16 სექტემბერი, 1911 წ. რკინიგზის ორთქმავალი, ტელეგრაფი („სინათლე“, 1911 წ. N115).
200. თბილისი, 17 სექტემბერი, 1911 წ. საერთაშორისოება („სინათლე“, 1911 წ. N116).
201. თბილისი, 20 სექტემბერი, 1911 წ. ჩვენი ქვეყნის სხვებთან ურთიერთობის შესახებ („სინათლე“, 1911 წ. N118).
202. თბილისი, 21 სექტემბერი, 1911 წ. რას იწერებიან თვით გლეხები თავიანთ საჭიროებებზედ? („სინათლე“, 1911 წ. N119, 120).
203. თბილისი, 23 სექტემბერი, 1911 წ. გლეხების უნეგეშობაზე („სინათლე“, 1911 წ. N121, 122).
204. კურდღლის ბაჭია და ციყვუნია (თარგ.) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1912 წ. N24, გვ. 19-24).
205. ცხენი და ვირის ამბავი (თარგ.) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1913 წ. N2, გვ. 16-21).
206. ზაზუნა (თარგ.) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1913 წ. N5, გვ. 17-24).
207. ბატკანი და მგელი (გადმოკეთებული) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1913 წ. N8, გვ. 16-19).
208. ფარნაოზ მეფე. ისტორიული მოთხრობა („ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1913 წ. N5, გვ. 16-26; N6, გვ. 6-14; N7, გვ. 5-15).
209. ელექტრონის სასწაულები („ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1913 წ. N9, გვ. 44-55; 1914 წ. N1, გვ. 51-63).
210. ფილოსოფოსი სოკრატე და მისი ფილოსოფია ადამიანის ცხოვრებაზე, თბილისი, 1914 წ. ფ. 10 კ.

211. შრომა და სიმდიდრე, თბილისი, 1914 წ. 16 გვ., ფ. 10 კ.
212. თავისთვის თუ სხვისთვის? [ტფილისი], 1914 წ. გვ. 16, გვ. 10 კაპ.
213. გრძნეული. ზღაპარი (თარგ.) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1914 წ. N9, გვ. 19-23).
214. გარეული ღორები („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1914 წ. N11, გვ. 20-21).
215. ირინეს მარგალიტი. ზღაპარი (თარგ.) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1914 წ. N12, გვ. 19-22; N13, გვ. 16-21).
216. ბუნება და ცხოვრება. ყვავილნარი („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1914 წ. N15, გვ. 21-22).
217. ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან („ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1914 წ. N7-12, 1915 წ. N1-12).
218. როგორ არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე ბოლგარი-აში, 1914 წ. 31 გვ., ფ. 10 კაპ.
219. საფუძვლები ზნეობრივის აღზრდისა ჩვენს დროში. [სახალხო წიგნები გამოსადეგ ცნობათა ივ. პავ. როსტომაშვილისა, N1, [1914]. 16 გვ. ფ. 10 კაპ.
220. ღორის მოვლა და მოშენება. პროფ. კ. კულეშოვის წიგნიდამ. [ტფილისი], [1914], 32 გვ. ფ. 20 კაპ.
221. გონიერი და იაფი მიწად-მოქმედება-მეურნეობა. როგორ უნდა ხვნა-თესვა და ხეხილის თუ ვაზის მოშენება. [თბილისი], [1914], 16 გვ., ფ. 10 კაპ.
222. ქრისტიანობა კოლუმბი. თბილისი, [1914], 16 გვ., ფ. 5 კაპ.
223. სამკურნალო ხელოვნება და სახელგანთქმული მკურნალები („ნაკადული“, მოზრდილთათვის, 1916 წ. N1-5).
224. სამი გამოცდა (უნგრეთული ზღაპარი) („ნაკადული“, საყმანვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის, 1916 წ. N12, გვ. 13-22).
225. მიწის სოციალიზაციის გამო (ცოტა უკან მიიხედეთ, ისტორია გაიხსენეთ!) ჯარის კაცი. სამხედრო პირთა გაზეთი, თბ., 1917, 11 ივნისი, N6, გვ. 2-3.
226. შევერთდეთო! („საქართველო“, 1917 წ. N62, 66).
227. შინა-გიმნაზია და უნივერსიტეტი. შინა-სწავლის სახელმძღვანელო ჟურნალი. 1917 წ. N1, 2, 3, 4, ფასი წლის დამლევამდე 5 მან.
228. სიძვირის გამო (საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს საყურადღებოდ) („სახალხო საქმე“, 1918 წ. N313).
229. „მომავალი სოფლისა“-ს გამო („სახალხო საქმე“, 1919 წ. N518).

230. საყოველთაო სწავლა („სახალხო საქმე“, 1919 წ. N536).
231. სხეულის კულტი და ქისა და წყალი, როგორც უებარი საშუალება სრული გაჯანმრთელებისა და ყოველგვარ ავთიმყოფობის მორჩენისა და აცილებისა. თბ., 1920 წ. 29 გვ. ფ. 30 მან.
232. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია. პრაქტიკული სახელმძღვანელო. შედგენილი ივ. პ. როსტომაშვილის მიერ, ტფილისი, 1920 წ. 96 გვ.
233. წერილები სოფლიდან. წვიმის გავლენა ვენახის მოსავალზე და ღვინის სიკარგეზე; აბრასტოლი და გოგირდი („ტრიბუნა“, 1923 წ. 31/I, N406).
234. წერილები სოფლიდან. კარტოფილის შესახებ („ტრიბუნა“, 1923 წ. 7/III, N411).
235. წერილები სოფლიდან. პამიდორისა და ხილის შენახვა („ტრიბუნა“, 1923 წ. 14/III, N417).
236. მეტი მოგზაურობა, მეტი გაცნობა სამშობლოსი („ტრიბუნა“, 1923 წ. 15/III, N420).
237. ჰიგიენა სოფლად („ტრიბუნა“, 1923 წ. 17/III, N422).
238. წერილები სოფლიდან. წყალი და სისუფთავე სოფლად („ტრიბუნა“, 1923 წ. 30/III, N433).
239. წერილები სოფლიდან. უდიდესი მტერი („ტრიბუნა“, 1923 წ. 3/IV, N436).
240. წერილები სოფლიდან. სულ მცირე გამოცდილებაც არ უნდა დარჩეს ალუნიშენელი მეცნიერებისათვის („ტრიბუნა“, 1923 წ. 6/IV, N439).
241. საუბარი გლეხთან: მრენველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან. წვრილი მრენველობა გერმანიაში („ტრიბუნა“, 1923 წ. 4/VII, N512).
242. საუბარი გლეხთან. შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოშენება („ტრიბუნა“, 1923 წ. 18/VIII, N549).
243. ს. ლალისყური („ტრიბუნა“, 1923 წ. 1/XII, N635).
244. ქართული სახალხო და საოჯახო ანბანი, ასწავლის წერა-კითხვას ჩქარა და ადვილად. თბ. 1924 წ. 16 გვ. ფ. 15 კაპ.
245. მოსწავლე ახალგაზრდობას. ტფილისი, 1924 წ. 16 გვ. ფ. 20 კაპ.
246. ჭაბუკ ვაჟებს. ტფილისი, 1924 წ. 8 გვ.
247. ელექტრონისკენ! ელექტრონი სოფლად და მეურნეობაში, შედგენილი ვ. პლესკოვის და სხვა წიგნებიდან და წერილებიდან ინჟ. ნ. როსტომაშვილის დახმარებით, ტფილისი, 1924 წ. გვ. 20, ფ. 20 კაპ.

248. ქართული წიგნები და მათი მნიშვნელობა-სარგებლობა, როგორ გამდიდრდნენ საფრანგეთის გლეხები? ტფილისი, 1924 წ. 8 გვ., ფ. 10 კაპ.
249. სქესობრივი საკითხი და ცოლ-ქმრობა, ტფილისი, 1924 წ. გვ. 8, ფ. 10 კ.
250. ჭაბუკ ქალებს. ტფილისი, 1924 წ. 8 გვ., ფ. 10 კ.
251. ქართული წიგნები და მათი მნიშვნელობა-სარგებლობა; 2) როგორ გამდიდრდნენ საფრანგეთის გლეხები? ტფილისი, 1924 წ. 8 გვ. ფ. 10 კ.
252. Самоучитель Грузинского языка для знающих русский язык. Тифлис, 1924 г. 15 стр. ц. 20 к.

## ივანე როსტომაშვილის შესახებ

1. ინგილო ჯანაშვილი. საინგილოდან, 15 აგვისტოს („დროება“, 1875 წ. N95).
2. ს. მესხი. ყურადღების ღირსი ჰაზრი („დროება“, 1875 წ. N110).
3. ს. მესხი. უფ. ი. როსტომაშვილისთვის („დროება“, 1875 წ. N111).
4. ა. ო. ორიოდე სიტყვა კახის მასწავლებელს (1876 წ. N111).
5. მასწ. პირველ-დანწყებითს სწავლაზედ (წერილი მასწავლებლისა) („დროება“, 1877 წ. N36-37).
6. ა. ნ-ძე. ორიოდე სიტყვა სოფლის მასწავლებელზე („დროება“. 1877 წ. N43).
7. ინგილოელი. „დროების“ კორრესპონდენცია. („დროება“, 1878 წ. N54).
8. ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება ქ. ტფილისში („ივერია“, 1878 წ. N35-36).
9. ნ. მთვარელიშვილი. პასუხი ბ-ნს კახთ-კახოსს („დროება“, 1882 წ. N144, 146, 147).
10. დამსწრე. „დროების“ კორრესპონდენცია. [აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში, ვანო როსტომაშვილის სიტყვა, აკ. წერეთლის სიტყვა, თქმული 20 მარიამობისთვის ქ. თელავში – 1882 წ.] „დროება“, N181, გვ. 2-4.
11. საინგილოდამ გვწერენ („დროება“, 1883 წ. N251).
12. მალაროელი. თბილისიდან თელავამდე („დროება“, 1885 წ. N149).
13. ნაცნობი. უცნაური თავის გამართლება [ი. როსტომაშვილის წინააღმდეგ] („ივერია“, 1895 წ. N140, 141).
14. NN. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. ქართული ანბანი 18 სურათით. ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი, შედ. ი. როსტომაშვილის მიერ („კვალი“, 1895 წ. N48, გვ. 14-15).
15. ა. ნა-ლი. სალიტერატურო შენიშვნები. ი. როსტომაშვილის წერილები („მოამბე“, 1895 წ. NIII, გვ. 153-154).
16. პ-რე ს-ძე. ბიბლიოგრაფია. ქართული ანბანი 18 სურათით. ოჯახში, სკოლაში და ხალხში სახმარებელი. შედ. ი. როსტომაშვილის მიერ („კვალი“, 1896 წ. N5, გვ. 78-79).
17. ი. მ-ანი. გაკვრით („ივერია“, 1896 წ. N6).
18. NN. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა. „მოდის ვნახოთ ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „მეთევზის შვილი“ [განხილვა] („კვალი“, 1896 წ. N14, გვ. 235-236).
19. ბიბლიოგრაფია [„დარვინიზმი“, გამოცემა ი. როსტომაშვილისა] („კვალი“, 1896 წ. N43, გვ. 774).

20. იაკობ გოგებაშვილი. „ახალი მკითხველის“ შესახებ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N89).
21. სახალხო წიგნების გამოცემა („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N174-175, 178).
22. შიო დავითაშვილი („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N198).
23. ი. იმ-დ-ი. ლექსიკონების საჭიროება („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N201).
24. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი. ფრიად მძიმე საქმე და მისი შესრულება („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N206).
25. სპ. ჭელიძე. ვინ უნდა გამოსცეს ლექსიკონი? („ცნობის ფურცელი“, 1897 წ. N210).
26. ახალი წიგნები („ივერია“, 1897 წ. N91).
27. ივანე როსტომაშვილი. წერილები რედაქციის მიმართ („ივერია“, 1897 წ. N91).
28. ი. როსტომაშვილი. წერილი რედაქციის მიმართ („ივერია“, 1897 წ. N264).
29. ილია ალხაზიშვილი. ბუნება და ცხოვრება, თბილისი, 1897 წ. გვ. 57, 69.
30. Е. С. Такайшвили, Замѣтка. Сборник материалов для описания местностей и пл. Кавказа, вып. 25, Тифл. 1898 г., გვ. 134-136.
31. Л. Г. Лопатинский. Предисловіе, съ указателемъ предметовъ (мотивовъ сказокъ) и именъ. Сборник материалов для описания местностей и пл. Кавказа, вып. 25, Тифл. 1898 г., გვ. I-XVIII.
32. მე გახლავარ. უნაყოფო შრომა. „სალარო ცოდნისა“, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ივ. როსტომაშვილის რედაქციით. წიგნი I-ლი. Русско-грузинскій энциклопедическій словарь, подъ редакціей Ив. П. Ростомашвили, т. I-ый („ივერია“, 1898 წ. N104-105).
33. პეტრე მირიანაშვილი. ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი (წერილი ნაცნობისა) („ივერია“, 1901 წ. N2-3).
34. ჩიორა. ნკიპურტი („ივერია“, 1901 წ. N175).
35. რიგოლეთო. საახალწლო „ვიზიტები“ („კვალი“, 1902 წ. N1, გვ. 4-6).
36. ისარი. საახალწლო ნაპერწკლები. („კვალი“, 1902 წ. N1, გვ. 6).
37. დუტუ მეგრელი. საახალწლო ნობათები („ივერია“, 1903 წ. N1).
38. სამეურნეო საზოგადოების კრება („ივერია“, 1903 წ. N12).
39. მონინავე სტატია („ივერია“, 1903 წ. N15).
40. შურდული (საკვირაო გაზეთი) („ივერია“, 1903 წ. N146).

41. მძინარა პედაგოგი. საარაკო გადათქმა (ვუძღვნი ყოველ სიმართლის მოყვარეს) („ივერია“, 1903 წ. N150-151).
42. ლ. ბოცვაძე. საუბარი სახალხო სკოლებზე (ბ-ნის ივანე როსტომაშვილის წერილის გამო) („ივერია“, 1903 წ. N182, 187-189).
43. ე. იოსელიანი. პასუხად ბ-ნ როსტომაშვილს („ივერია“, 1903 წ. N190).
44. იაკობ გოგებაშვილი. ცოცხალი ტყუილი (პასუხად ბ-ნ ივ. როსტომაშვილს) („ივერია“, 1903 წ. N195).
45. დავით პავლიაშვილი. მცირე შენიშვნა დიად საქმეზე („მოგზაური“, 1903 წ. N3-4, გვ. 254-255).
46. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში („ცნობის ფურცელი“, 1903 წ. N2042).
47. ილია ალხაზიშვილი. საუნჯე ავანტიურებისა ანუ აღწერა და წამლობა ყოველგვარ ავანტიურებათა. დოქტორ ა. ი. ფედოროვისა, თარგმანი ი. როსტომაშვილისა, 1903 წ. ქ. თბილისი. იაფ-ფასიანი გამოცემა სტეფანე კონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის საფასით, N18, 101 გვ. ფ. 15 კაპ. 101 გვ. („მომბე“, 1903 წ. N12, ბიბლიოგრაფია. გვ. 45-58).
48. სიტყვა. პატარა ამბები (საკვირაო ფელეტონი) („ცნობის ფურცელი“, 1903 წ. N2258, 2264, 2304).
49. სახალწლო მილოცვა შექსპირისა („ცნობის ფურცელი“, 1904 წ. N2368).
50. ტ. ართმელაძე. რამდენ მილიონ მანეთს ჰკარგავს მარტო იმერეთი, ყოველ წლობით, რომ სახალხო სწავლა-განათლება და მეურნეობა-მრეწველობა დროს შესაფერად არა აქვს მონყობილი? თბ., 1904, 48 გვ., 5 კ.  
განვრთნა და განათლება გვაკლია. ნაკითხულისა და გაგონილის გამო. ბერიკაცის წერილები („მოგზაური“, 1904 წ. N3-4, გვ. 186-203).
51. ლ. ბოცვაძე. ჟურნალ „მოგზაურის“ პედაგოგიური ნაწილი („ივერია“, 1904 წ. N206, 209, 211-215, 223, 228, 233).
52. პედაგოგი. მექანიკური ანბანი („ტრიბუნა“, 1923 წ. N421).
53. ზ. ჭ. ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი. ნეკროლოგი („მუშა“, 1924 წ. N531).
54. იოსებ არიმათიელი. შრომის სიმბოლო (ივანე როსტომაშვილის ხსოვნას. მისი გარდაცვალებიდან 6 თ. შესრულების გამო) („თეატრი და ცხოვრება“, 1925 წ. N5. გვ. 12, სურათი კანის პირველ გვერდზე).

# ღამატიუბა

## ჩამი ზომბრაფია\*

დავიბადე 25 დეკემბერს 1852 წ. სოფელ კურდღელაურში, რომელიც სა-  
ვსეა ბალ-ვენახებით და ისეა გადაბმული თელავთან, რომ ვერ გაარჩევ, სად  
ინყება სოფელი და სად მთავრდება ქალაქი.

მამაჩემი, პავლე, იყო იოსებ მღვდლის შვილი, იღებდა მონაწილეობას  
ლეკებთან ომებში, დაიმსახურა ობერ-აფიცრობა, შემდეგ დასახლდა ს. კუ-  
რდღელაურში მამისაგან მიცემულ პატარა ერთ დღიურ ბალ-ვენახში. ბალი  
სავსე იყო ბლით, ჭანჭურისა და ატმის ხეხილით, ვენახი – ვაზით. მთელს  
დღეს მამაჩემი ამ ბალ-ვენახში მუშაობდა და, რამდენადაც მახსოვს, სანამ  
სკოლაში მიმბარებდნენ, ხშირად, მაგალითად, ვენახში ქვების აკრეფაში  
და გადატანაში მეც მიშველიებდა. დედაჩემი, ბარბარე, იყო თელაველი  
ქალი, ზაქარია კურდღელაშვილის ასული, წყნარი და გამრჯე ადამიანი.  
ჰყვანდათ ხუთი შვილი, მათში ერთი ქალი და დანარჩენი – ვაჟები, რო-  
მელთაგან ერთი, სახელად დავითი, სულ ადრე მოუკვდათ. მე მეორე ვიყავ,  
უფროსი კი და, მაიკო იყო.

სწავლა დავიწყე თელავის სამაზრო სკოლაში, მაგრამ იქ დიდ ხანს არ  
მისწავლია და არც მახსოვს, რას და როგორ მასწავლიდნენ. მალე ჩემმა  
მშობლებმა მიიღეს ქალაქი, რომ მიღებული ვარ სახელმწიფო ხარჯზე  
თუქურ-მიშის (იგივე დედოფლის-წყარო, სიღნაღის მაზრაში) სამხედრო  
სკოლაში. მახსოვს, როგორ გაუხარდა დედაჩემს, როცა ვილაც მოხელემ ქა-  
ლაქი ჩამოუტანა თელავიდან ჩემს მიღებაზე. ამ დროს მე, დაახლოვებით,  
აღბად 10-11 წლის ვიქნებოდი. მამაჩემმა იშოვნა სადღაც ცხენი, შეკაზმა,  
შემომისო უკან და დილა ადრიან, ღამიანი, გაუდექით გზას, საით, არა-  
ფერი ვიცოდი, გარდა იმისა, რომ სკოლაში მივყვანდი მისაბარებლად. სიბ-  
ნელის გამო, გზაზე მამაჩემს ცხენი ჩაგვეფლა სადღაც არხში და მე კინაღამ  
გადმოვარდი, მაგრამ მამამ შემეკავა.

მეორე თუ მესამე დღეს, როცა ის იყო მივუახლოვდით თუქურმიშას,  
მამაჩემმა მოისურვა ცხენის შესვენება, ჩამოვხტით და მიუშვა იქვე გზის  
პირად ბალახის მოსაძოვნად. მაგრამ უეცრად გაჩნდა საიდანღაც რუსის სა-  
ლდათი, წაავლო ცხენს ხელი სადავეში და უნდა წაეყვანა. მამაჩემი გაუძა-  
ლიანდა სალდათს და ზოგი დამტვრეული რუსულით და ზოგიც ქართული  
ლაპარაკით ძლივს გააგდებინა სალდათს ცხენი ხელიდან, მაგრამ აღვირი

---

\* საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო  
მუზეუმი, ივანე როსტომაშვილის არქივი N7137.

მინც წაგვართვა და წაიღო. ამ ამბავმა დიდად გააბოროტა ჩემი გული და მხოლოდ რუსებს შორის დიდი ხნის ცხოვრებამ თუქურმიშის სამხედრო სკოლაში, რომლის ინტერნატში, სადაც მოსამსახურეებად სალდათები იყვნენ, გაანელა იგი.

სკოლაში მისვლისას, მამაჩემმა წარუდგინა სკოლის უფროსს, მიხეილ გრიგოლის ძე ჩიჩულის ქალაქი ჩემს მიღებაზე, უფროსმა წაიკითხა ქალაქი, წაგვიყვანა სადღაც გრძელ, გრძელ საძილო ოთახში, სადაც გამწვანებული იდგა ქვეშაგის გაშლილი და სატფობად გადაფარებული მრავალზე მრავალი კრაოტი, ხელი დაადო ერთს და სთქვა რუსულად: ეს იქნება შენი დასაძინებელი ადგილიო. მე იჩიცი არ ვიცოდი რუსულისა...

სრულიად ვერ აკმაყოფილებდნენ პედაგოგის მოთხოვნილებას: ხელის თუთებზე ცემით ხის სახაზავით იყო მათი საშუალება ჩვენი მორჯულებისა. და განა მართო ეს? პატარა შეგირდებს მოსვენება არ გვექონდა დიდებისაგან, დაკეტილნი სასწავლებელში, ესე ქალების ადგილას გვაყენებდნენ ჩვენ და ვინც კი ცოტათი ლამაზი და სუსტი ხასიათის იყო, გარყვნილების მორევში აცურებდნენ. წრეს გადასული იყო მათი ქცევა, მეტადრე ლამით [არ იკითხება]. ბუნებით მე დიდად მეჯავრებოდა მათი ასეთი ქცევა და გულ-ჩაკეტილი შორს ვიდექი.

ჩიჩულის სკოლა აღმოჩნდა ყოველად ანტიპედაგოგიური: იმის გარდა, რომ სრულიად ადგილი არ ჰქონდა სამშობლო ენის სწავლებას, თვით მასწავლებელი უვიცი იყო. წერა-კითხვის არ მცოდნე სალდათები ხშირად მთხოვდნენ წამეკითხა მათთვის სახარება. მეც სიამოვნებით ვუსრულებდი მათ ამ თხოვნას.

ამ სასწავლებლის გათავებისას ფეხ-მოუცლელად ვიყავი ექვსი წელიწადი, რადგანაც მშობლები დამეხოცა, წამყვანი არავინ მყვანდა, მე სრულიად აღარ ვიცოდი ქართული. სკოლაში არა თუ არ ასწავლიდნენ სამშობლო ენას, პირიქით, მიღებული იყო ყოველი საშუალება, რომ სრულიად დაგვინყებოდა ქართული ლაპარაკი. ასეთი იყო, მაგალითად, უსადილობის ფირფიტა, რომელსაც სწრიდნენ ხელში ყველას, ვინც გაბედავდა სამშობლო ენაზე დალაპარაკებას.

ჩემი მეზობელი ვახვანიშვილები, როცა მოახლოვდა ზაფხულის არდადეგები, მათმა მშობლებმა, მამაჩემის თხოვნით, თავიანთ შეილებთან ერთად, მეც წამომიყვანეს სახლში და ამ რიგად კვლავ გამახსენეს სამშობლო. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი ნახვა ჩემგან მშობლების. ამ ზაფხულს იყო, რომ გარდაიცვალა ჩემი ძმა დათიკო და მას მიჰყვა დედაჩემი, ხოლო შემდეგ მას, როცა მე უკვე სკოლაში ვიყავი, გარდაიცვალა მამაჩემი. მახსოვს, ბევრი ვიტირე, როცა მითხრეს, რომ მამა მოგკვდომიაო... რა დაემართათ ჩემს და-ძმებს, ვინ უვლიდა და ინახავდა მათ, არაფერი არ ვიცი,

ვიცი მხოლოდ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნათესავებს გაეთხოვებინათ ჩემი და მაიკო სოფელ შალაურში მცხოვრებ აზნაურ ილიკო გველესიანზე, მისთვისვე გადაეცათ მამაჩემის ბალ-ვენახი და სახლი და დაევალებინათ, რომ ბაღლებისთვისაც ყური ეგდო და შეენახა. რამდენად პირი ნათლად შეასრულ სიძემ ეს დავალება, არ ვიცი, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი თუ ჩემი დის მეცადინეობით, იმავე სკოლაში, სადაც მე ვიყავი მიღებული და უკვე ვსწავლობდი, მიიღეს ჩემი მეორე ძმაც, შაქრო. იგი ჩამოიყვანა თუქურმიშას თვით სიძემ და მაშინ ვნახე იგი პირველად. ამ გვარად, სიძის შესანახი ახლა დარჩა მხოლოდ ჩვენი მესამე ძმა, გიორგი...

ერთად-ერთი ღირსება ჩიჩულინის სკოლისა იყო ის, რომ ზაფხულის არდადეგებში ნებას გვაძლევდა, გვევლო შეგირდებს მახლობლად მდებარე ტყეში, წმიდა ელიას გორისკენ, ან ყოფილ ხორნაბუჯის ქალაქის ნანგრევებისკენ, სადაც ვპოულობდით ხშირად გაველურებულ ყურძენს, ლელვს, ბროწეულებს და თან შეუგნებლად ვსწავლობდით და ვსტკბებოდით ქალაქისა და მისი მიუდგომელი ციხის ნაშთებით.\* თუქურმიშის მიდამოები სავსეა გველებითა, მაგრამ [არ იკითხება] შემდეგ თუქურმიშის სამხედრო სასწავლებელი გადააკეთეს ეგრედ-წოდებულ ნორმალურ სკოლად და გადაიყვანეს კახეთის გაუქმებულ საცხენისის ციხეში, გადაგვიყვანეს ჩვენც (შეგირდები). გადაყვანა მოხდა ზაფხულს. აი, დაუდეს „პოვოზკებზე“ სკოლის ყოველი ბარგი-ბარხანა თუ სანოვაგე და გაუდექით ფეხით შეგირდები გზას. გზა მეტის-მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ვნახეთ ის, რაც თავის დღეში არ გვენახა: მდინარე ალაზანი და მასზე გამართული უშველებელი ხიდი, ჭიაურის მშვენიერი ტყე, ლაგოდახი თავისი მშვენიერი მიდამოებით და კავკასიის მთებიდამ გამომდინარე ხეები – კაბალისა და სხვა.

საცხენისში მე დავყავი ერთ წელიწადს, სწავლა გავათავე, მაგრამ რადგანაც შინ წამყვანი არავინა მყვანდა, ჯერ ჯერობით კვლავ სასწავლებელში ვიყავი. სხვა შეგირდებთან ერთად საზაფხულოდ მეც წამიყვანეს ლაგოდახში, იქ ვცხოვრობდი. აქ მე შევიტყე, რომ სოფელ ოჟიოში მცხოვრები აბელიშვილები არიან აქაურ ჯარში, შევიტყე ისიც, რომ ესენი „პავოზკებს“ გზავნიან ოჟიოში. ვიახელ მათ და ვსთხოვე, მეც გამაყოლონ „პავოზკებს“. უარი არ მითხრეს, ხვალ მოდით და წაგიყვანენო. ამ დროს მე 16-17 წლის თუ ვიქნებოდი. დავფაცურდი სწავლის მონაწილისთვის, დამინერეს, მომცეს, მაგრამ დამაგვიანეს და როცა მიველ აბელიშვილებთან, მითხრეს,

---

\* ახლა ამ ციხეს უვიცნი ეძახიან თამარის ციხეს, მაგრამ ეს შეცდომაა. ხორნაბუჯი და მისი ციხე არსებობდა გაცილებით ადრე თამარზე. იგი აიღო ... ხანმა მინასთან გაასწორა. მას შემდეგ მივიწყებულ იქმნა და ალბათ ამიტომ ეწოდა ჭოეთის ციხე.

რომ „პოვოზკები“ დიდი ხანია წავიდნენო. დავლონდი, კინალამ ვიტყვი, მაგრამ გადავწყვიტე, დავწეოდი, გადავიკიდე მხარზე აბგა, ორიოდ წიგნით შიგ და გაუდექ გზას... მივდიოდა და თან შიში მივლიდა მთელს არსებაში, ან გზა არ ამერიოს და სხვა რამემ არ მავნოს-მეთქი...

მივდიოდი გამალეებით, რადგანაც ვიცოდი, რომ კაბალი დიდი წყალია, ფეხით ვერ გავალ და ამიტომ ვცდილობდი, მალე მივწეოდი „პოვოზკებს“. ღვთით, სწორეთ კაბალთან დავენიე მათ! გაეხარდათ თვით მეპოვოზკეებსაც, რომ დროზე დავენიე და მარტოკა არ მომიხდებოდა სიარული უცნობ გზაზე. „პოვოზკებთან“ ერთად წყლის პირას იდგა რამდენიმე ცხენოსანი მგზავრიც. პირველად ესენი შევიდნენ წყალში, მაგრამ წყალმა ერთს მათგანს ცხენი წაუქცია, მხედარი ქვეშ მოჰყვა და წყალმა წაიღო ცხენიც და მხედარიც. გულის ტკივილით და ფანცქალით ვუტყუროდი ამ ამბავს, მაგრამ დანარჩენები რომ გავიდნენ წყალს, ნაპირით გამოუდგნენ წაღებულს და როგორც გვითხრეს შემდეგში, მხედარიც და ცხენიც გადაურჩინიათ: თხელ ადგილზე გამოერიყა წყალს ორნივე.

რამდენი დღე ვიარეთ ტაატით ოჟიოს ალაზნის შუანამდე, აღარც კი მახსოვს, მაგრამ, როცა ოჟიოს ბოლოში ალაზანს გავედით, მზე უკვე ჩასვენებას ღამობდა. მაღლობით გამოვეთხოვე კეთილ „მეპოვოზკეებს“ და შევუდექ თელავის გზას. ბევრს ვცდილობდი, ჩქარა ავსულიყავ თელავში, მაგრამ მალევე დამიღამდა. გზა სრულიად უცნობი იყო ჩემთვის და ამიტომ ბევრი წვალეა და შიში გამოვიარე. აქაც, გზის აქეთ-იქით მინდვრებში ცხვრების ფარები მხვდებოდა და ის მაშინებდა, რომ ძალღებმა ან ახლო-მახლო მოხეტიალე მგელებმა არ დამგლიჯონ-მეთქი.

ავედი თელავს. მივედი ქვრივ ძალუებთან. გაუხარდათ, მიმიღეს, მომი-აღერეს, მკითხეს ხან რა, ხან რა, მაგრამ მე მათი ლაპარაკისა არაფერი მესმოდა, მე უცხო ვიყავი იმ ჟამად მათთვის და ისინი ჩემთვის. რუსულის მოლაპარაკეც მაშინ იშვიათი იყო და აი, აქ ვიგრძენ პირველად, თუ რა მიყო გადაგვარებულმა სკოლამ და შემძულდა იგი.

ძალუებმა კარგად მიმიღეს-მეთქი, მაგრამ მათი კარგად მიღება მხოლოდ ერთი წამით იყო. გათენდა თუ არა, პელაგია ძალუამ გამომიძახა მეორე ოთახიდან: „შვილო ვანო, ჩაირბინე ბატონის წყაროზე და ერთი კოკა წყალი ამოიტანეო.“ ამოვიტანე. „შვილო ვანო, დღეს ვენახში მივდივარ (ამათაც კურდღელაურში ჰქონდათ ვენახები ჩვენი ვენახის გვერდით), წადი მჭედლიანთასა და კეკელას დამიძახე, ვენახში მივდივარ და ჩემთან გადმოდიო“. დავუძახე, მოვიდა, აგვკიდა კალათები და ვენახს წავედით. მინდოდა ჩვენი ბალ-ვენახისა და სახლის ნახვა, მაგრამ სახლში ჩემი ძმები უკვე ვე-

ლარა ვნახე: აქ მხოლოდ მონახევრე იმერელი მოხელეები იდგნენ და და-ძმა კი თურმე სიძეს გადაესახლა შალაურში თავის სახლში.

შეუდექით საქმეს: ძალუამ დაგვაკრეფინა ბლომად ლობიო, კიტრი, ხახვი, სხვა-და-სხვა მწვანილი, რომლებიც შრომისმოყვარე იმერლებს მოეყვანათ. აგვიკიდა ყველა ეს მე და კეკელას და გამოვნიეთ თელავისკენ... „შვილო ვანო, წაიღე კოჭობი (პატარა ქილაა), აი ეს ფული, მიდი მელიქი-ასთან და უთხარი: ორი შაურის ერბო გამომიგზავნეთქო.“ წაველ და მოვიტანე. „შვილო ვანო! კოკა აიღე და წყალი ამოიტანე, აღარ გვიდგა“ და ესე გაუთავებლად ვტრიალებდი დღე და ღამ, სანამ ძალუები და მათთან ერთად მეც ძილს მივეცემოდით...

ბიძა მყვანდა, ჩიკრო მეტ სახელად, ომებში იყო განრთობილი მამაჩემთან ერთად, კეთილი და კაი კაცი, მოურავი იყო ერთ ქვრივ კნენასთან. მითხრა: ვანო, რუსული არ დაივიწყო, წიგნებშიაც ჩაიხედე ხოლმე ზოგჯერაო. ქალაქს წაგიყვან, სხვა დიდ სკოლაში უნდა მიგაბაროო. მაგრამ ძალუებთან მცხოვრებს განა შემეძლო-ლა წიგნებში ჩახედვა, რომლებიც მე სკოლიდამ აბგით ვატარე თან, როგორც წმინდა ნაწილები. ჭკვაში დამიჯდა ბიძის სიტყვები, ხუმრობაში, მართალია, არ დამავიწყდეს, რაც მისწავლია-მეთქი და მეც მოვიცლიდი ხოლმე თუ არა, მაშინვე წიგნს მივატანდი და ვკითხულობდი, თუმცა სულ ზეპირად ვიცოდი. რადგანაც სკოლაში სწავლა თავიდანვე რუსულ ენაზე სწარმოებდა და ამის გამო არაფერი მესმოდა, მეც და სხვებიც, ვისაც კი ცოტაოდენი ხალისი და სურვილი ჰქონდა რამე ესწავლათ, ყველაფერს იმდენს ხანს ვსწავლობდით და ვკითხულობდით, სანამ სიტყვა-სიტყვით არ გავიზეპირებდით გაკვეთილს...

ძალუებიც, თითქოს ჯიბრზე, განაგრძობდნენ ჩემს წვალებას და გაუთავებელს დასაქმებას, თითქოს რვა-ცხრა წლის ბიჭი ვყოფილიყავ. ერთხელ ველარ ავიტანე მათი ასეთი მოქცევა ჩემდამი და საღამო ჟამს სახლში აღარ მივედი, წაველ ვენახში, იქ ცარიელი ოთახები მეგულებოდა. მაღლა სართულში თახჩა იყო და შიგ ესვენა ძველის-ძველი ხატები.

ბნელდებოდა. აველ მაღლა, დავიჩოქე და ერთი მაგრა ვილოცე, ვსთხოვდი ღმერთს, ეშველა ჩემთვის და ამ გარემოებიდამ დაეხსნა ჩემი თავი. ახლა ღმერთისა და ხატებისა აღარაფერი მწამს, მაგრამ მაშინ კი დიდი და დიდი ამაგი გამინიეს მათ: შემინახეს, გამამხნევეს, ძალა და მოთმინება მომცეს უპატრონოს და უილაჯოს... მაგრამ მაინც, ვაი ობოლს და ღარიბს!

ჩიკრომ თავისი სიტყვა შეასრულა, დაიქირავა ერთხელ თათრის ფალნიანი ცხენები, შევსხედით და გავწიეთ ქალაქისკენ. ჩავედით. ბიძამ ინახულ სასწავლებლის (იუნკრების) უფროსი და სთხოვა, მიველე, მაგრამ უფროსმა

უთხრა, რომ ახლა დაგვიანებულია, მომავალ წელს მოიყვანე და მივიღებო. დაებრუნდით დალონებულები უკან თელავს...

